

# ახეული

ლიტერატურული ჟურნალი  
№3, 2013



## რეზა ინანიშვილის სახელობის ლიტერატურული კონკურსი



\* \* \*

მწერლობა მბინც სხვებ პრის. ნამდვილი მწერლობა, მას ყოველთვის თან ახლავს ღვთიური შუქი, რომელშიც სხრობს, ჭეჭილიც, შელის ნუკრიც და ჩვენი სულიც”.

რეზა ინანიშვილი



# ანალი

№ 3. ოქტომბერი, 2013 წელი

## ლიტერატურული ფუნდანი

ლოქსი-სანთელი	
თამაზ ჩაბახაშვილი ჰამლეტ გონაშვილის მონატრება .....	3
პბტგა	
თამაზ ბახოშვილი .....	4
სიანა ახეაშვილი .....	7
პბტგა	
ჯეთი სოსიტაშვილი .....	12
ნანა მონაშვილი .....	14
პბტგა	
ლანა ზუხაბიანი ლამზირა .....	15
ტახიკ ნამოხაძე დროგა .....	17
ერთი ლოქსი ჯაბა ლეხიანი ჩემი ქვეყანა ილუპება .....	20
დავით ქაჩიძე ნამდვილი ამბები .....	21
ივანე ჯაფარიძე ჰიმნი „ვეფხისტყაოსნის“ ივრითზე მთარგმნელს .....	24
პბტგა	
ბიკი ჩახაიძე .....	28
ივანე ჯაფარიძე ლევან გოთუას უცნობი ჩანაწერი .....	30
თამარ შაიშველაშვილის ინტერვიუ პუბლიცისტ ზვიად ნოდუასთან .....	32
ჯამბუჯი ჯიშახიანი ფრაგმენტები ამერიკული დღიურიდან .....	38
ერთი ლოქსი მახად მთვარეანიძე მამული .....	43
სსტუნის თუტტლომი	
მზინა ჯინაიშვილი სტუმრად ანა კალანდამესთან .....	44
ჩანაწერტი	
მავვანა ბაიბაშვილი .....	47
მეითსეულის გამტსმჯტტტ	
იმ დღეს თვითმფრინავი ჩამოვარდნილა ობუჯტში... ..	48
თამაზ შინაშვილის „სულალები“ .....	49
პბტგა	
ჯეთვან ნათანაძე .....	50
თათმის ლიდტი	
მონა სხსვანაძე გურამ ასათიანის გასსენება .....	52
თატტმანი	
ინეს მახაიშვილი, ბივი შანახი, მინა სხსვანაძე .....	58
სატჯასტ ატტიიდან	
ნახი ბინასონი წვიმაში .....	65
პბტგა	
ლანი ჟისოშვილი- სანტსუსიშვილი ერთი დღე .....	66
მანან ბინაშვილი იქ სადღაც... ფარდის მიღმა .....	69
თამაზ სხსვანაძე გიუების წესრიგი .....	72
პბტგა იოსებ ჟინაი, მზინა ნათაბაი .....	74
იოსებ სინაძე ჩემ თვალწინ შექმნილი საოცრებები .....	75
ნოსოლოზ ზახიანი, ჟახანა ზახიანი უჩინარი მოსაგრე .....	77
ლანი ბინინაძე პანტომიმა გუმინ, დღეს, ზვალ .....	80
ქონსანბინა ჟანანი ქართული ტიპი .....	82
ლანი ახეაშვილი რეზო სირამის ნაამბობიდან .....	84

ქვეყნის „ანელი“ ახსენებელი  
ლიტერატურული გაერთიანება:

თამარ მიქაძე  
ლევია ქიტოშვილი –  
სასლტის უცხოელი  
ჯუბა ლეგელი  
თემურ ჩალაბაშვილი  
მანანა ჩიტიშვილი  
ნინო ჩხიკვიშვილი  
თამაზ ხმალაძე  
ივანე ჯაფარიძე  
ჯუბა ჯიშკარიანი

მთავარი რედაქტორი

თამარ შაიშვილი

პასუხისმგებელი რედაქტორი

სოფიო ჯაფარიძე

ლოგოს ავტორი

ბიოგრაფიული მუშაობის ავტორი

კომპიუტერული რედაქციის მენეჯერი

გონივრული მუშაობის ავტორი

გაზეთის მენეჯერი: ქსენია ნახატი „თაშიაო“

ხელახლის ტელეფონი: 551 00 50 58

რედაქციის ინტერნეტ-მისამართი: [aneuli@mail.ru](mailto:aneuli@mail.ru)

ქვეყნის გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხისმგებელი რედაქტორი

ლეკი – სანთელი



თემატიკური მონატრები

### ჰამლეტ ბონაშვილის მონატრები

20 ივნისს ჰამლეტ ბონაშვილს 85 წელი შეუსრულდა

ხმა ღვთისა და ხმა ერისა,  
გულში ვარდი გდებია.  
ეკ, შენსავით საქართველოს –  
ცოტა მონატრებია.  
მიწა შეკრთა დაზაფრული,  
მზე თვით შენი ყელია...  
ეკ, უშენოდ გაზაფხული?  
წარმოუდგენელია...  
ენატრები მამულს, ძმაო,  
ერს – სისხლად რომ სდიოდი;  
ცრემლი დასწვიმს სასაფლაოს –  
დიმიტრის და გიორგის.  
ხმა ღვთისა და ხმა არ სხვისი,  
ხმა გვასმინე – მესია,  
ჰყვავის შენი საბრძანისი  
თეთრად ვით ეკლესია...  
...ხმა წმინდა და ხმა ნათელი,  
გულში ვარდი გდებია.  
ეკ, შენსავით საქართველოს  
ცოტა თუ ჰყვარებია...



გზა

იყო ერთი კაცი. ხელი ისე ჰქონდა შეჩვეული, გზად რასაც დაინახავდა, სჭირდებოდა თუ არა, ყველაფერს იპარავდა.

ერთხელ გზაზე ავადმყოფობა შეხვდა. ავადმყოფობამ ჰკითხა: – როგორ ხარო?

ქურდმა უპასუხა: – კარგადაა!

– მერე არა გრცხვენია, კარგად რომ ხარო? – ქურდი გაბრაზდა, ეს როგორ მაკადრავს, ადგა და ავადმყოფობაც მოიპარა.

მას შემდეგ ქურდი ავად გახდა, მაგრამ ქურდობა მაინც არ მოიშალა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, გზად სიკვდილი შემოეყარა. არც დაფიქრებულა, იმ წამსვე სიკვდილიც მოიპარა; მაგრამ სიკვდილმა არ დაინდო: – კანონიერი ქურდი შენ კი არა, მე ვარო და, კაცს რომ ეგონა, ეგ არის და სიკვდილიც მოვიპარეო, პირიქით კი მოხდა, სიკვდილმა გაასუნსულა კაცი.

აი ამის შემდეგ მოხდა, რაც მოხდა. სად იყო და სად არა, სიკვდილს სიცოცხლე წამოეწია.

– ჰეი, ძმაო, რომ იპარავ, რას იპარავ, შენი ხომ არ გგონიაო, – და ნაქურდალი ხელიდან გააგდებინა. ქურდის ქურდი გაოცდა, რადგან მსგავსი რამ არ შემთხვეოდა.

სიცოცხლე გაიბადრა და ქვეყანაზე მეტი და მეტი მამკელი სხივები გამოუშვა. ვარდის ტოტზე ახალი კოკორი გამოიშალა.

საფუარიანი

გიორგიმ მკითხა:

– დედი, ნამცხვარს სოდას რატომ აყრი?

– ცომი რომ აფუვდეს, სიცხემ კარგად შეადწიოს ფორებში და კარგად გამოცხვეს, შიგ ისევ ცომი არ დარჩეს-მეთქი, – ვუპასუხე.

იგივე მიზნით საფუარსაც უმატებენ, ანდა ძველ პურისცომს.

ცომს რომ მოხელ, შეფუთავ და თბილად დადგამ, გარკვეული ხნის შემდეგ ისე აფუვდება, ტაშტიდან ამოვა და თავი ბურთოვანი გაუხდება. ამ დროს ზემოდან ხელს რომ დააჭერ, ცომში მოხეიმე ბუშტები დასკდებიან, ტკაცატკუცს დაიწყებენ და ცომი დაბლა ჩაიწევენ.

გაღვივებული ცომი – ეს სიყვარულით აღსავსე ადამიანია. ხელს რომ დააჭერ და ბუშტები ეჩუტება, ეს იმედგაცრუებულის მდგომარეობაა. ცომმა ხელახლა უნდა აიღოს თავი. მერე, გუნდას რომ ამოიღებ, ისიც ხელახლა უნდა აფუვდეს და თონეში მაშინ ჩააკრა. ე.ი. საფუარი შენშია და სიყვარულით ხელახალი ავსებაა საჭირო, სიცოცხლის პური – თავად სიცოცხლე რომ გამოაცხო.

ის, ვინც თავის თავში ატარებს უფალს, უფლისეულ მადლს – უფლის მოსაწონი ცხოვრებით ცხოვრობს, სიკეთის მქმნელია, კაცთმოყვარე... საფუარიანი ადამიანია, შიგნიდან დაბრაწული, გემრიელი და არა ჩაცომებული, ჩაქვავებული, ჩამკვდარი.

როცა ცომი მოხელილია, გაღვივებული და თონე ცხელი, ისდა დაგრჩენია, პური ჩააკრა. რა ფორმას მისცემ, როგორ დაბრაწავ, შენი ნებაა.

იქნებ

ჩვენ რომ ვიბადებით, ვიზრდებით და მზად ვართ, ვიქცეთ რაღაცად, ვიღაცად, ინდივიდუალურ პერსონად, ის, მუდამ ჩვენს მისაღებად მზადმყოფი ცხელი თონე უფალია, რომელიც გვეხმარება, შემოქმედებითად, ჩვენი თავის აღსრულებაში; ხოლო ფორმის, ფერის, არომატის და სხვა აბსტრაქციული რეალობის თავმოყრა-გაცოცხლებაში, ჩვენ და უფალი ერთად ვმონაწილეობთ, მაგრამ, ბატონო ჩემო და ძვირფასო ქალბატონო, დაბრაწვა და საბოლოოდ ჩვენი „გემრიელად ამოყრა“ მაინც თონეზეა დამოკიდებული – მოგუზგუზე, მოგუზგუზე, მოლულუნე თუ მინავლებული ნაკვერჩხლებია შენთვის დაბედებული, ანთუ თონის ძირში, შუაწელში თუ მალლა კიდზე გიწევს ცხოვა.

ცხლად ამოყრილი პური ჩვენი არსობისა სულიერი პურია, რომელიც ისევ მიწაზე ბრუნდება სულიერთა გამოსაკვებად და მათ გასაღვივებლად.

სიყვარული თავად უფალია!

ბუნების სტიქიურმა მოვლენებმა, ხე-მცენარეებმა, ფრინველ-ცხოველებმა არ იციან, რა არის სიკეთე და რა არის ბოროტება; მათთვის ასეთი ცნებები არ არსებობს; ამდენად, მათი გამოჯვანაც არ შეუძლიათ. ისინი, უბრალოდ, ქმედებენ და მათი ქმედების მსვლელობას ან შედეგს რა დაერქმევა, მათთვის სულ ერთია. ჩვენი გადასახედიდან, ისინი ერთ მომენტში შეიძლება ძალიან კეთილები მოგვეჩვენონ, სხვა დროს კი – ძალიან ბოროტნი, სიავის მომტანნი; მაგრამ მათ ჩვენ არ განვსჯით; ყოველ წუთს ვღებულობთ ისეთებს, როგორებიც არიან; ვპატიობთ ყველაფერს.

ადამიანი კი, როგორც უმაღლესი არსება, ვალდებულია, იცოდეს და განარჩევდეს ერთმანეთისგან კეთილს და ბოროტს. ამის ცოდნას კი დიდი განათლება არ სჭირდება. შეიძლება ადამიანმა წერა – კითხვაც კი არ იცოდეს წესიერად, წიგნის კითხვის ფუფუნებითი ჩვევა არ ჰქონდეს გამომუშავებული, მაგრამ... ცხოვრების დაუწერელ წიგნს კარგად იცნობდეს და მთელი სიცოცხლის მანძილზე სიკეთეს მსახურებდეს. ვისაც სიკეთის ქმნა შეუძლია, მას სიყვარულიც შეუძლია! დიდი სიყვარული დიდი სიკეთის, კეთილად ღწვის შედეგი და გვირგვინია! კეთილი ადამიანი ღვთის შვილია და შეგობილია ენდო. მას სახეზე ნაზი, ფარული ღიმილი დასთამაშებს; ის არა მარტო თქვენთან ან სხვასთან, პირველ რიგში, საკუთარ თავთან მიმართებაშია სათნო და შინაგანად ბედნიერი. მისი სახიდან წამოსული სხივები ანათებენ, სიყვარულით გიღიმის საუბრისას. იგი ამინდით არ ირევა და ერთ დღეს რომ გიმზიანებს, მეორე დღეს მეხთატეხას არ მოგივლენს. თუ ადამიანი ამინდით ცვალებადია და მუდმივად გამოცდებს გიწვობს – მის ცნობიერებას ადამიანური სინათლე ჯერ კიდევ არ მოჰფენია და, ჯერ კიდევ, არაცნობიერად, განურჩევლად მოქმედ სტიქიას ან ბუნების შვილს – მცენარეს, ცხოველს ჰგავს. ის დიდი ღირსებაა კი, რითაც ადამიანი ყველაფრისგან გამოირჩევა – სიყვარულისა და სიკეთის შემეცნება და ტარება, ბოროტებისა და სიავის მოთვინიერება და სიყვარულში შემოყვანა.

კეთილი ადამიანის თვალეები ბრწყინავენ, სინათლეს აფრქვევენ და მუდამ გზას გიჩვენებენ შენდობისაკენ, სათნოებისკენ, რადგან ადამიანის ვალია, შესაძლებლობაა, სამყაროს განვითარებას წინ ლამპრით ხელში წარუძღვეს!

## ოქროს მაძიებელთათვის

კაცმა ბალის ერთ კუთხეში პატივი დააგროვა. წელიწადბრუნვისას პატივი იწვის და კარგ სასუქად იქცევა ხოლმე.

საიდან იყო და საიდან არ იყო, ამ პატივს, ათასი სახის სარეველის თესლთან ერთად, გოგრის გულებიც შეერია. თესლებს ზედ ახალი და ახალი ფუნე გადაეფარა. ყველაზე საპატიო ადგილას კი, სადღაც შუაში, ოქროს მარცვალნი მოჰყვა. ოქრო ოქრო იყო და იქაც კი კრიალებდა, ჩათბუნებულ გოგრაში, მაგრამ რად გინდა... დაიბერა, გაფუვდა, გაიხსნა, აღმოცენდა ყველა თესლ-გული, ზედაპირისკენ დაიძრა მათი ნაზი ღერო-ენები, ჰა, თავიც ამო-ყვეს პატივიდან, გაიზარდნენ და გადაამწვანეს იქაურობა; განსაკუთრებით გოგრამ აიყარა ტანი, აეხვა და დაეხვა, ყვითელ-ყვითელი მზიური ყვავილები მზეს შეანათა, მზემ კი ისეთი რაღაცები უთხრა, რომ ამ ყვავილიდან ნაყოფში უთვალავი გულიანი გული ჩაიტანა, ოქროსფრად მოიქარგა შიგთავსი და შიგ ზღაპრული ქსელებიც კი გაიბა; ზოგი გოგრა ღობეზე ჩამოეკიდა, ზოგი გამხმარ ხეზე აძვრა, ზოგი ღობის ძირას მიწვა, გაიბადრა:

ოქრო-მოქრი-მარგია,

მოქრი-ოქრო-აგია,

ემი-ემა-ქარგია,

ჩემი შეჭმა კარგია!

ასე ჩაერთო ყველა სიცოცხლეში, ოქრო კი, პატივცემულ პატივში ჩაფლული, თავისთვის იყო. მას არ ჰქონდა მაღლა ამოსვლის, ზრდის ისეთი ძალა, როგორც მცენარეებს ჰქონდათ. ის ადამიანს უნდა ეპოვა, აღმოეჩინა და მას შემდეგ იქცეოდა იგი მის სიმდიდრედ; იმისდა მიხედვით, თუ როგორი პატრონი აღმოუჩნდებოდა, შეეძლო უამრავი სახის სამკაულად, უამრავ ოქროდაც ქცეულიყო და სიხარული მოეტანა ადამიანებისათვის. ახლა კი სულ უბრალოდ იწვა ფუნეში. ამით მას არაფერი აკლდებოდა, ადამიანებს კი აკლდებოდათ მისი უცნაური ყვავილობა, ოქროული ყვავილობა.

გოგრამ კი იცოდა ეს ამბავი, სულ ამას გაიძახოდა თურმე, სადაც მე ვარ, იქ ოქროცააო. ხალხის გასაგონად, მთელი გულითა და სულით რომ ემღერა, გარეთ მეჭეჭებოდაც კი გამოიტანა გულები, მაგრამ ხალხს არ ესმოდა, რას ამბობდა გოგრა; მხოლოდ ბოლო სიტყვებს იგებდა კარგად და ჭამდა და ჭამდა უგემრიელეს გოგრას, რომელსაც, ოქროსთან საიდუმლო მეგობრობის გამო, ბაჯადლოსფერი გადასდებოდა.

ხალხი, მართალია, გოგრის ნაკვალევზე ოქროს არ ეძებდა, მაგრამ ოქროს ნაკვალევზე ამოსულ გოგრას კი სათანადო პატივს მიაგებდა.

გოგრას კი მეტი რაღა უნდა ექნა, ბაღში მწიფდა, ცეცხლზე იბრაწებოდა, ორთქლში იხარშებოდა თუ მარილიანი გულები ტაფაზე ეშუშებოდა, მაინც გაიძახოდა:

ოქრო-მოქრი-მარგია,

მოქრი-ოქრო-აგია,

ემი-ემა-ქარგია,

ჩემი შეჭმა კარგია!

## სიანა ხეაშვილი



*მშვენიერი წიგნები შეემატა ქართულ ლიტერატურას – ქალბატონმა ციალა არდაშელიამ გამოსცა ორი კრებული: პირველი: „სიყვარულის იეროგლიფები“ (მოთხრობები, ნოველები, მინიატიურები) და მეორე – რომელიც აერთიანებს რომანებს („იათნანელი ამორძალები“, „ჟამი მოვალს!“) და დრამატულ ნაწარმოებს („სიყვარული სიკვდილის შემდეგ“). მაღლობა გამომცემლობა „მერიდიანს“, რომ-*

*ლის წყალობითაც ქართველმა მკითხველმა, მართლაც, ძვირფასი საჩუქარი მიიღო. და ვიდრე მოიკითხავდეთ ციალა არდაშელიას წიგნებს მაღაზიებში, ჟურნალი „ანეული“ გთავაზობთ ამონარიდს რომანიდან „ჟამი მოვალს!“ და ჩვენი მწერლობის სიამაყის, ბატონი ჭაბუა ამირეჯიბის სიტყვებს, რომელიც წამძღვარებული აქვს მეორე კრებულს:*

*„არ ვიცი, რომელ უშორეს წინაპართა ფესვების კარნახით ხატავდა ავტორი ამ ცოცხალი სუნთქვით სავსე შთამბეჭდავ ამბებს, ის კი ცხადია, რომ მას სურს, პირველ ყოვლისა, ახალგაზრდობა დააფიქროს – ვინ ვართ, საიდან მოვდივართ და რას უნდა გავუფრთხილდეთ, რათა არ წაგვშალოს, არ წაგვლეკოს თანამედროვეობად წოდებულმა უსულგულო სტიქიონმა.*

*ქალბატონმა ციალა არდაშელიამ შეძლო უნიჭიერესი მწერლის სახელის მოპოვება – წინაპრებისგან ბოძებულმა ტალანტმა თავისი გაიტანა და ჩვენი ქართული ლიტერატურის უძვირფასესი შენაძენი – მკითხველის ხელთ არის.*

*ქალბატონ ციალა არდაშელიას – ნიჭით მძიმედ დატვირთულ მწერალსა და ბრწყინვალე მამულიშვილს მომავალ გამარჯვებებს ვუსურვებ.*

*უღრმესი პატივისცემითა და სიყვარულით – ჭაბუა ამირეჯიბი“.*

### ჟამი მოვალს!

ამონარიდი რომანიდან

...რედაქციის კარი უკვე შინაგანი ბრძოლით გასაცოდავებული, საწყალი კაცის იერით შევალე. ჩემს თავში ამდენი მოულოდნელი სივალხეების აღმოჩენით დათრგუნული, ძლივსძლივობით ვითქვამდი სულს. აღელვებამ ისე დამრია ხელი, რომ აღარც მახსოვს როგორ ვიკითხე ენის ბორძიკით, ბატონი ილია თუ ბრძანდება-მეთქი რედაქციაში.

წარმოდგენილი მაქვს ახლა, რა შთაბეჭდილებას მოვახდენდი დამხვდურებზე. ჯერ ერთი, ილია, კაი ხანია, უკვე აღარ იყო „ივერიის“ რედაქტორი და მეორეც...

თანდათან მომივიდა სინათლე თვალში, თანდათანობით აღვიქვი, რომ ოთახში ორი კაცი იმყოფებოდა. ერთი, ასე დაახლოებით ჩემი ხნის მამაკაცი, შუბლშეკრული მიმხერდა. რატომღაც თვალში მომხვდა მისი ბანჯგვლიანი, ღიდი ხელები, საქადალღეზე რომ ეწყო. მეორე კი – ბებერი ჩანდა, ჩია ტანის, სათვალისანი, თმაჭაღარა; სუფთად გაპარსული პირი და წვერილი, შავი თვალები ჰქონდა.

მახსოვს, სწრაფად გადახედეს ერთმანეთს. შუბლშეკრულმა კვლავ რატომღაც მტრული მზერით შემათვალა, მერმე მზერა გადაიტანა დიდ, შავ პორტფელზე, ხელში რომ მეჭირა და ვინ ბრძანდებოდა, სადაურიო, გამოსცრა კბილებში და გამგმირავი მზერა ახლა სახეზე მომასო.

უარესად ღავიბენი. ამხელა კაცი ღამნაშავე პატარა ბავშვივით ვახამხამებდი თვალებს. პირგამშრალი, ერთ ვისველებდი ტუჩებს.

– მე?... უკაცრავად... მე მეკითხებით? – ძლივს ამოვიღულულუღე საქციელწამხ-ღარმა.

– ღიახ. თქვენ! აბა, აქ სხვა ვინაა, რომ ვკითხო? – მკვახედ მომახალა და გესლიანად, ნიშნისგებით ჩაიღიმოლ-ჩაიხვიხვინა.

– მე... – შევეცადე თავი მომეყარა დაბნეული აზრებისათვის, გაწყვეტილი მძივის მარცვლებივით რომ გამბნეოდა: „რა დავუშავე ამ კაცს?“

– იცით, მე... უცხოეთიდან ჩამოველ ამ დღით. უფრო სწორად, ბათუმიდან... და... ბატონ ილიას ნახვა მინდოდა...

– ა, ა... გასაგებია!... – თქვა ბერიკაცმა და სათვალე ცხვირზე ჩამოიწია, და-კვირვებით ამხელ-ღამხელა.

„რა არის გასაგები?... და საერთოდ... რა ხდება? რამ დაგაბნია იულონ ფაღავა?“ – შევეუძახე საკუთარ თავს უკვე ცოტათი გონსმოგებულმა.

– მაშ, თქვენ არაფერი იცით, არა? – ისევ ისე მკითხა სათვალეანმა კაცმა, რომლის ხმასა თუ სახის გამომეტყველებაში უფრო მეტი გულისხმიერების თუ თანაგრძნობის ნიშანი დავიჭირე, ვიდრე იმ შუბლშეკრულ ვაჟბატონში, რატომღაც თავის თავს რომ მამადღიდა.

– რა... რა უნდა ვიცოდე? – ავმა წინათგრძნობამ გული გადამიქანა და... ერთ-ბაშად სავსებით გამოვფხიზლდი, შინაგანად გავფაცვიცი ცუდის მოლოდინში.

– ილია ცოცხალი აღარ არის, შვილო, აგერ მესამე თვეა უკვე! – თუმცა მე-ისვე მივხვდი ამ სიტყვების საშინელ მნიშვნელობას, მაგრამ როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე მაშინ, როდესაც არ გინდა დაიჯერო, უაზროდ, ექოსავით გავიმეორე:

– როგორ თუ... ცოცხალი არ არის?..

– ღიახ. არ გახლავთ ცოცხალი! ილია მოკლეს! – ახლა იმ შუბლდაბღვერილმა მესროლა ტყვიასავით ეს სიტყვები.

– როგორ თუ... მოკლეს?! – ვიგრძენი, სახე დამიგრძელდა უსაშველოდ, თვალები შუბლზე ამიცვივდა. „რას ჩმახავს ეს უბედური?“ – გამიბრინა თავში ელვის-უს-წრაფესად და უკვე შემართული, მძულვარებით სავსე თვალებით მივაჩერდი. მზად ვიყავი, ყელში ვწვდომოდი ამ არამზადას და მიმეხრჩო.

– რით ვერ გაიგეთ, ბატონო, ბოლოს და ბოლოს? ილია მოკლეს-მეთქი, გეუბ-ნებით. სიცოცხლეს გა-მო-ასალ-მეს! – დამიმარცვლა ბოლო სიტყვა.

– სანდრო! – საყვედურნარევი ხმით შეუძახა სათვალეანმა შუბლშეკრულს და წამოდგა: – დაბრძანდით, ყმაწვილო! – მომმართა საჩქაროდ კარებში აყუდებულს. ჩემს დამხვდურებს აქამდე აზრად არ მოსვლიათ, სკამი შემოეთავაზებინათ ჩემთვის. მოხუცებულმა, მისი ასაკისთვის მოულოდნელი სიმარდით, შემოურბინა მაგიდას, სკამი გამომიწია და მეც უანგარიშოდ, უფიქრელად დავეშვი მასზე, უფრო სწორად, დავეგდე ძალღონეწართმეული. ჩემი დიდი, შავი ჩანთა იატაკზე აღმოჩნდა. მოხუცმა წყლით სავსე ჭიქა მომიცუხცუხა. მექანიკურად ჩამოვართვი, და ნერწყვგამშრალ პირთან მივიტანე, რომ რამდენიმე ყლუპი მომესვა. მახსოვს, ხელის კანკალის გამო ჭიქიდან წყალი გადმოიღვარა. კბილებს კაწკაწი გაუდიოდა. ვერა და ვერ მოვრეოდი მღელვარებას, მთელი ჩემი არსება რომ შეეპყრო.

– დაწყნარდი, შვილო, დამშვიდდი. მოსვი წყალი!.. ეჰ, რას ვიზამთ! ასეთი უბედურება დავგატყდა თავს... ჩვენი სათაყვანებელი ილია აღარ გვყავს. დაობლდა ჩვენი ერი. მოგვიკლეს ჩვენი სახელოვანი შვილი, ჩვენი უგვირგვინო მეფე!..

მოკლესო? ილია მოკლესო?!

ეს იყო ცის დამხობა ჩემს თავზე! მეხის უეცარი გავარდნა.

მიწა გამომეცალა თითქოს ერთბაშად ფეხქვეშ და ჩემს ირგვლივ ყველაფერმა ტორტმანი დაიწყო.

„დაობლდა ერიო... ჩვენი სათაყვანებელი ილია... მოგვიკლესო!.. კი მაგრამ... ვინ მოკლა? ვის შეეძლო ილიას მოკვლა? თუ არა მტერს, საქართველოს დაუძინებელ, ვერაგ მტერს!“ კი, ილია შეიძლებოდა მომკვდარიყო, მომკვდარიყო თავისი ბუნე-ბრივი სიკვდილით. ამ აზრს გაჭირვებით, მაგრამ შევეგუებოდი მაინც როგომე-მაგრამ... მოკლესო?!

ილია მოკლესო?!

– ვინ... ვინ მოკლა ილია? – ისევ დამება ენა და გულმა ყელში დამიწყო ცემა.

– ისევ ჩვენ, ჩემო ბატონო, ისევ ჩვენივე ხელით: საუბედუროდ და სავალალოდ ჩვენდა!

„როგორ თუ... ჩვენ? რას ბჟუტურობს ეს ბერიკაცი?“

ილიას მოკვლით ზომ საქართველოც მოიკლა, მოიკლა მისი სული... და როგორ? ქართველების ხელით მოხდა ეს არნახული, არსმენილი ბარბაროსობა?

შეუძლებელია! წარმოუდგენელია! ღმერთო დიდებულო!

ჭკუიდან არ გადამიყვანო, არ შემშალო და არ გადამრიო. გვეედრები, გე-მუდარები, რამეთუ... არ ძალმიძს დავიჯერო, რომ, ჩვენ, ქართველებმა... ჩვენივე ხელით დავამხეთ ჩვენი დიდება!“

...იმ დღეს სამუდამოდ მოკვდა ჩემთვის ეს უბადრუკი ქვეყანა და მისი უბადრუკი ტომები. ღიახ, ტომები, რადგან ერი ერთობ ამადლებულად ჟღერს ამ ნახირისათვის!..

...კიბეზე რომ ჩამოვდიოდი, შუბლშეკრულის სიტყვები გავიგონე, მოხუცს რომ მიაყეფა ჩემს გასაგონად:

– ის დღე დაიქცეს, როცა სურამის გვირაბი გაიხსნა!

ღიახ, ასე, ზუსტად ასე ითქვა ეს ფრაზა.

ქუთაისში სწავლის დროს არაერთხელ გადავწყლომივართ, შენც გეხსომება, აღ-ბათ, მსგავს გამოხდომებს, მაგრამ მათ შედარებით ადვილად ვხსნიდით უმეცრებით, სიბრიყვით, საქართველოს და მისი ცალკეული კუთხეების ისტორიის არცოდნით (ან საიდან უნდა სცოდნოდით, ვინ ასწავლა, სად უნდა ესწავლა! – ყველას ზომ არ ჰქონდა ოჯახში მამაჩემივით, საგვარეულო ბიბლიოთეკა! ხოლო ის გარემოება, ბელიავსკის ტიპის მასწავლებლები საგანგებოდ რომ გამოგვყოფდნენ: „მენგრელებს“, „იმერეტინებს“, „გურიელებს“ ერთმანეთში და შემდეგ: „კარტლო-კახეთინცების-აგან“ და ა.შ. – გასაგები გახლდათ! აბა, რა ძნელი მისახვედრი იყო, რა მიზანს ემსახურებოდა ეს დაყოფა! დევიზი: – დაჰყავი და იბატონე! – ახალი ხილი ზომ არ არის ბიზანტიის თავგადაკლული მემკვიდრისათვის, როგორადაც რაცხს თავის თავს რუსეთის იმპერია?

...მაშ, სურამის გვირაბიო! და ამას რუსეთის მოხელე კი არა, არა მდამიო ვინმე, არამედ „განათლებული“, ე.წ. ინტელეგინტი ქართველი, „ივერიის“ მუშაკი ამბობდა! ჰმ!..

მაშასადამე, მართლა დავგვარგვია ერობის ძირითადი ნიშან-თვისება – ერთიანო-ბის შეგრძნება, მაშასადამე, მართალი იყო ილია, როცა ჩიოდა, დავითთოებულვართ, დავრჩენილვართ ცალკეული ტომების ხელოვნურ ნაერთად თუ მექანიკურ ჯამად, რომელთაც ერთმანეთის არაფერი ესმით, არაფერი გაეგებათ. სამარცხვინო კუთხუ-რობა, ურთიერთმტრობა, კინკლაობა, მეშურნეობა და მეშუღლეობა ვერ მოგვიშლია. ამ მოძიძვილავე ტომებისთვის საქართველო და ქართველი, თვით ილიას თქმითვე, მხოლოდ ქართლელია დარჩენილი. „ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა, ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში – ყველა, საცა თვითეული ყველასთვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისთვის, საცა „მე“ ხშირია და „ჩვენ“ იშვიათიო.“ მაშასადამე, ცამდე მართალი იყო ილია, როცა, უპირველეს ყოვლისა, ამ ერთობის აღდგენას მოითხოვდა, ერის არა მხოლოდ სხეულის – სულის გაერთმობიანებას ისახავდა

მიზნად; და შემდეგ: ჩვენ, ისეც დაქსაქსულთა, ერთმანეთთან გადამტერებულთა, რაღა წოდებრივის საგნების წამოსაყენებლად გვეცალოსო, რომ ამბობდა.

ილიას მკვლელნი, ყველაფერს გარდა, სწორედ ამ ერთობის მოძულენი და, მაშასადამე, საქართველოს უბოროტესი მტრები იყვნენ. წინამურში გასროლილი მუხთალი ტყვია გამიზნული იყო საქართველოს აზრის და გონების მოსაშთობად.

მკვლელს რომ შესძლებოდა, საქართველოსაც მოკლავდაო, აკი უბრძანებია თურმე აკაკის. შეძლეს და მოკლეს კიდეც, რადგან სწორედ ილია განასახიერებდა საქართველოს უკვდავ თანამდეგ სულს.

...მშობლიურ სოფელში ჩემი სახლ-კარი გადაბუგული დამიხვდა: „ერთობის, ძმობის, თანასწორობისა და თავისუფლების“ სახელით“ ცეცხლისთვის მიეცათ მამაპაპეულ ოლა-სახლი. ჩემს მოხუცებულ მშობლებს იმერეთში, ხონში, სიძე-ქალიშვილთან შეეფარებინათ თავი. რამდენიმე ხნის შემდეგ მამა გარდაცვლილა – ეტყობა, გადატანილმა ელდამ იმოქმედა მოხუცზე – გულმა უმტყუნა თურმე – (სხვათა შორის, ხანძარმა გაანადგურა ჩვენი საგვარეულო წიგნთსაცავი – საუკუნეების განმავლობაში ნაგროვები უძვირფასესი ხელნაწერები თუ ნაბეჭდი წიგნები). გასაცოდავებულ-გაუბედურებულ დედას ცოცხალს კი ჩავუსწარი, მაგრამ მალე, რამდენიმე თვეში ისიც მიიცვალა... ერთადერთი ნუგეში მისთვის ის გახლდათ, რომ ჩემს უნახავად არ მიაბარა სული უფალს.

...დიდი ხანი არ იყო გასული ჩემი ჩამოსვლიდან, რომ შემთხვევამ მოიტანა და პირისპირ შევხვდი იმ კაცს, ჩვენს სახლ-კარს რომ ცეცხლი წაუკიდა: თავისი გადარჩენილი რაზმით გრიშა გაგულია ტყეში იმალებოდა. მეც, ერთი მოკეთის მიერ დაგზაკვალანებულმა, იმ ტყეში დავიწყე ხეტიალი, ეგება სადმე გადავეყარო გაგულიას რაზმს-მეთქი; მართლაც, მალე ამიხდა ნატვრა. ერთ მშვენიერ დღეს ტყეში მობოლიაღეს, თავს დამესხნენ გაგულიას რაზმელები, შემიპყრეს და ჯერ უდიერად გამჩხრიკეს, მაუზერი უბოდიშოდ ამომაცალეს, მერე თვალი ამიხვიეს და ჯიკავ-ჯიკავით მიმგვარეს თავიანთ ბელადს.

მწყემსების თუ მეტყვევის მიერ მიტოვებულ ჯარგვალში გაგულიას გარდა კიდეც რამდენიმე, რომ იტყვიან, კბილებამდე შეიარაღებული ახალგაზრდა დამიხვდა. შედიოდნენ და გამოდიოდნენ საქმიანი იერით და აღვზნებული სახეებით. მათი მეთაური წარამარა რაღაც განკარგულებებს იძლეოდა უცნაურად გამყინავი, უსიამო ხმით. მისი მბრძანებლური იერი, მიხრა-მოხრა, თვითკმაყოფილი, თავის თავში დარწმუნებული კაცის მანერები შორიდანვე, ერთი თვალის შევლებითაც, თვალში საცემი იყო და გონებაში მკვიდრად ჩამებეჭდა (როგორც მერე გავიგე, გაგულიას რაზმს უკვე არ ედგომებოდა ჩვენში და მგონია, ჩრდილოეთ კავკასიაში თუ რუსეთში აპირებდნენ გადაბარებას).

ამ კაცის ნახვა მინდოდა არა შურის საძიებლად, არამედ სხვა რამ გრძნობა მამოძრავებდა მის მიმართ, სხვა რამე მქონდა გუნებაში განზრახული, ამიტომაც არ დავერიდე თუნდაც ასეთი გზით მასთან მოხვედრას.

ალექსანდრიაში, ბურებთან მიმავალ ნიკო ბაგრატიონს რომ გადავეყარე-მეთქი შემთხვევით, მახსოვს, ვკითხე, ბურებთან რა გინდათ, ნიკო ბატონო, განა საქართველოში დაილია-მეთქი საქმე. იმათთან მივდივარ, ვინც ეროვნული თავისუფლებისთვის იბრძვისო – მომიჭრა ბაგრატიონმა. განა ჩვენში არ იბრძვიან-მეთქი თავისუფლებისთვის, რომ გავიოცე, როგორ არა, იბრძვიანო, მომიგო ნიკომ ორჭოფული ღიმილით, ვეშაპის ხახაში მოქცეულნი, იმის ნაცვლად, უწინარესად ამ ვეშაპისაგან დაიხსნან თავი, აუფრიალებიათ კლასობრივი ბრძოლის ალამი და ერთმანეთს დარევიან, ხოლო ასეთ უგუნურ ხალხთან არაფერი მესაქმებაო-მიპასუხა.

სხვადასხვა წყაროებით გარკვეული წარმოდგენა მქონდა ამ ე.წ. კლასობრივ ბრძოლებსა და მის ნიადაგზე დატრიალებულ მოვლენებზე, კერძოდ, სოციალ-

დემოკრატებზე. სხვათა შორის, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დავიტერესდი მარქსიზმით და საკმაოდ საფუძვლიანად გადავიკითხე მარქსისტული ლიტერატურა. სტუდენტობის დროსვე გავიცანი ორი ჩვენბური ახალგაზრდა, ერთი ხალხოსანი გახლდათ, ჯაბადარის მიმდევარი, მეორე – მარქსისტი იყო. ამ თითქოსდა ერთიმეორისგან სრულიად განსხვავებული მოძღვრების მიმდევართ ერთი საერთო, დამახასიათებელი თვისება აღმოაჩნდათ: ეს იყო საშინელი მტრობა-სიძულვილი ყოველივე მშობლიურის, დედულ-მამულის და მათ მიერ თავადაზნაურულ-ფეოდალურად მონათლული ისტორიისა და კულტურის მიმართ. ამასთან, საინტერესო ის გახლდათ, რომ ორივეს ერთობ ბუნდოვანი, ზერელე ცოდნა ჰქონდა საკუთარი ქვეყნის ისტორიაზე. ალბათ, სწორედ ამ უცოდინარობიდან და უეცობიდან იყო გამომდინარე მათი ეგოდენ აგდებული, დამცინავი, ქილიკური დამოკიდებულებაც კი ჩვენი წარსულისადმი. უმეცრება ხომ ყოველთვის აგრესიულია. შემტევია! ეს საყოველთაოდ ცნობილი ამბებია სხვათა შორის! ეს ორი ახალგაზრდაც სანიშნო მაგალითი იყო ამ საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებისა.

ისინი მოსისხლე მტრებზე უფრო მოძულენი აღმოჩნდნენ ყოველივე მშობლიურის მიმართ, როგორც ჩამორჩენილისა და დრომოჭმულისადმი. საგულისხმო ისიც იყო, რომ ისინი რუსეთის სახელმწიფოს ერთიანობისა და განუყოფლობის მიმართ რუსებზე უფრო რუსები გამოდგნენ და ამას – იდეის მსახურებით და ერთგულებით ხსნიდნენ. დავა-კამათი შეუძლებელი ჩანდა ამ მართლმორწმუნე დოგმატიკოსებთან. განსაკუთრებით მარქსისტი იყო მედგარი და შეუვალი, რომელიც ჩლუნგის, ბრიყვის თვითდაჯერებით თუთიყუშით იმეორებდა სხვადასხვა ბროშურებიდან ამოკრებილ „სიბრძნეებს“ და მარქსისტულ „აფორიზმებს“. იგი, ეს ვაი-თეორეტიკოსი, რუსულ თარგზე გამოჭრილი მოძღვრებით აპირებდა მთელ მსოფლიოში დაემკვიდრებია საყოველთაო ძმობა, თანასწორობა და თავისუფლება პროლეტარიატისა. ამ ვითომდა ინტერნაციონალურ იდეას უყოყმანოდ და უფიქრელად სწირავდა საკუთარ ქვეყანას და ერს, რომლის ისტორია ისე იცოდა, როგორც ჩინელმა – ისლანდიის. სამაგიეროდ, თავზესაყრელად ჰქონდა აზნაურული კულდაბიკობა და საჭირო იყო თუ არა, ყოველთვის წინ სწევდა თავის „მეს“, თავის ძვირფას პერსონას და როგორც შევატყვე, ამ თავის უზომო პატივმოყვარეობას ანაცვალებდა, თუ საჭიროება მოითხოვდა, არამცთუ საქართველოს – მთელი ქვეყნიერების ინტერესებს, თუმცა... კაცობრიობის ბედნიერი, საამური მომავლისთვის თავშეწირულ მებრძოლად სახავდა თავის თავს.

ერთი სიტყვით, ჩემთვის საკმაოდ ცნობილი იყო ეს მოძღვრება და მის მიმდევართა შინაგანი სამყარო. ხოლო ილიას მკვლელობა უტყუარი საბუთი გამოდგა ჩემი აღრინდელი ვარაუდების სისწორისა და მაინც...

ვინ არიან ისინი: რამ წარმოშვა მშობლიურის მიმართ ასეთი მძულვარებით შეპყრობილი პირები? რა კვებავს და ასაზრდოებს ამგვარ ფენომენს? რა პოზიური ნიადაგი ჰპოვეს მათ ჩვენში?



ჩეთი ხოსიხაშვილი



ერთი ბილეთი

– გთხოვთ დაიკავოთ რიგი ჩემს მერე, არ შემოდია ამდენი მოცდა! ერთი ბილეთი გამომიწერეთ – (მოლარეს ლურჯი თვალები ჰქონდა).

ვაგონი – სამი, კუპე – მეოთხე, მერამდენელაც და ჩემი რიგი. გამცილებელი ბოლო ღერს მოწვევს, ნამწვს ვაგონიდან წკიპურტით ისვრის.

ყვირის სადგური! მელიმონათე... ცივი ღიმილით მიბრუნებს ხურდას, ფიქრებმა თავი მხარზე მომაღეს, სადღაც მივყავარ, რაღაცა უნდათ...

გზა ფანჯრებიდან – ერთი სურათი, მიმოხეული ხალხის სახლები, მატარებელი, როგორც საათი მიდის და სტკივა ძველი სახსრები.

წლების ვაგონებს ვივინებ. გვანან წინათგრძნობებით დაწერილ ლექსებს... ახლაც ლექსებმა წამომიყვანა, რაღაცა უნდათ – რაღაცას ვეძებ.

რელსები მაცლის ვაგონს. მოვედი და ახლა თითქოს სუნთქვაც დამიჯდა, წუხელ დაწერილ ლექსს ჰყავს სოფელი – ჭიმკართან ჩემი ბებიის იჯდა.

სუნია თივის, ცა უფრო – ღია, სარეცხის თოკზე ქანაობს სუსხი, ჩემი ბავშვობის თუთის ქვეშ გღია ფერდაკარგული რეზინის ბურთი.

შეხვედრა

გამოსასვლელი ჯინსი მაცვია, ვზივარ კაფეში, ვსაუბრობ შენთან, მზემ ყველა ჩრდილი გვერდზე გასწია, ალუბალს მკვახე ნაყოფი ესხა.

ორი ჩაი გვაქვს – ბევრი სათქმელი, ვინსენებთ, როგორ ვიყავით ერთად... შენ უნებურად ხელი დამადე, მერე სახლებიც ჩამოსხდნენ ჩვენთან.

სხვადასხვა დრო გვაქვს მაჯის საათზე, ვსხედვართ და თვალებს ერთმანეთს ვესვრით... მზე ჩრდილებს თავის მხარეს გადასწევს და ახლა ჩვენი მიმტანსაც ესმის.

მერე კი გზაა უკან – სახლამდის, ალუბალს მწვანე ნაყოფი ესხა. ვფიქრობ, რომ რაღაც ისევ არა ვთქვით, რაღაც ძლიერ, რომ გვინდოდა გვეთქვა...

ღუმელი

როცა სათქმელი არაფერია და ტანზე აგლის ვილაცის სუნი, სხვა ყველაფერი დანარჩენია და არაფერი ჯობია ღუმელს.

სახლში სითბოა, სითბოში ბავშვი, ფეხი მოუჩანს საბნის კიდედან, დგახარ ორპირი ქარივით კარში და გაღიმებას მხოლოდ მიბედავ.

და დგება ისევ ღუმელი – საში... რამდენი სიტყვა გამოგვრჩენია... სახლში სითბოა, სითბოში ბავშვი სხვა ყველაფერი – დანარჩენია.

მორჩა!

ვეღარ დაგიცდი. მაისიც მორჩა. იმდენი მზეა – მწყურია წყალი, სხვაგან კი არა, უბრალოდ შორს ხარ, სავალიც მაქვს და გამოსავალიც.

როგორც საფლავთან მიმხმარ ბალახებს ძველ სარეველა ფიქრებს ვიშორებ. რა მოხდა, თუკი სურვილს არ ვამხელ და სიახლოვეს ვარჩევ სიშორეს.

ასე აეწყო: დავძველდით, ვიცი, ერთი ჩიხია შენი სავალი, სადაც სადამო დილამდე იცდის და ყველა დილას შენ ხვდები მთვრალი.

ხატე, მძიმეა შენი მოღბერტი, რამდენი თვალი მოგპარავს სევდას... რამდენი ტილო იქნება ბერწი, რამდენი ფერი აჩუქე ყველას.

მე კი დავშრი და გაგიშავეთორდი, ვეღარ დაგიცდი, წავედი, მორჩა! ესეც ჩიხია, რაღაც რომ ვერ ვთქვი, ისიც ვიმყოფე, რაღაც რომ მოხდა.

იერუსალიმს რეკავდა ზარი...

კუეუკლიასთან პატიარქს ჩხრეკდნენ, ჯერ განიმოსა, შევიდა... მოხდა! მომლოცველები წამოდგნენ ფეხზე, იყო ხანძარი, ზეიმი, ლოცვა!

იყო სიცოცხლის პირობა ციდან... იყო ძალიან მაღალი წნევა, თავი სულ ყველას ეგონა წმინდა, იყო ადამი და ბევრი ევა. აქ მაქციებმა მხარი იცვალეს,

აქ გაქრა ჩრდილი ყველა სიავის, მომლოცველები ხუჭავდნენ თვალებს და არ იძროდა ტაძრად ნიავი. კვლავ სოლომანის ამბაზით, წყალით ეძებდნენ ღმერთთან უცნაურ კავშირს.

იერუსალიმს რეკავდა ზარი – როგორაც ერთხელ, როგორაც მაშინ ... გარეთ კი დამე იჯდა და ეზოდ ვილაცა, ერთი, ურჯულო ბავშვი, და არ იცნობდა ამ ხალხს საერთოდ,

და არ ელოდა არავინ სახლში. იყო ხანძარი, ზეიმი, ლოცვა და დაძლეული სულ ყველა შიში! მომლოცველების მარში რომ მორჩა, ომარის მეჩეთს აუყვა ბიჭი...

მეტი რა გითხრა...

ჩამთავრდეს მარხვა – გნახავ უნახავს. და ღრუბელივით დაგწურავ წვიმად... სანამ მზე მოვა და სანამ წახვალ, და თავი ისევ ღრუბლამდე მიგაქვს.

დილა იქნება მშრალი (შენა გგავს) – სულ არაფერზე ცოტათი მეტი... მეტი რა გითხრა, ალბათ ჩვენს ამბავს დილით ყავასთან ვილაცას ვეტყვი.



### ნანა ნონიაშვილი

#### მარტივი ფილოსოფია

ფილოსოფოსობ შიგადაშიგ,  
 არცთუ ურიგოდ,  
 იქ, ღმერთთან, გავჭერ საკუთარი  
 ჩემი ბილიკი,  
 ცხოვრება ჩემი არ ყოფილა,  
 ვფიქრობ, ურიგო,  
 თუმც ბევრი იყო შეცდომები,  
 ჭორი, ქილიკი.  
 საკუთარ თავში ჩავიხედოთ და  
 ღმერთს ვიპოვნით.  
 ძველი სიბრძნეა, მე არაფერს  
 არ ვამბობ ახალს,  
 იქ ღვინახავთ, რეალურად,  
 რასაც ვიწონით,  
 ან მოვახერხებთ სულიერად  
 თუ კიდევ გაზრდას?  
 ჩავიხედე და... გამხელილი  
 ჯობია ცოდვა,  
 მემილიონედ ვრწმუნდები და  
 მივდივარ ბოლოს  
 იმ დასკვნამდე, რომ არაფერი,  
 ქალი ვარ! ჰოდა,  
 მე შემიძლია სიყვარული  
 ქალურად მხოლოდ!

#### ქალი

ვფიქრობდი ჩემთვის  
 ამ უღიმღამო ცხოვრებაზე,  
 თან ქუჩისპირა ფანჯრებს ვწმენდდი  
 საახალწლოდ, –  
 მიმსვლელ-მომსვლელის კვალობაზე –  
 სუფთად რომ იყოს.  
 ფოთლებთან ერთად, ფანჯრის რაფაზე  
 ერთი ცალი, დამხვდა კაკალი.  
 წამსვე წუწუნი გადამავიწყდა,  
 აქვე ზღაპარი და... კონკია გავხდდი!  
 სასწაულის მოლოდინში  
 ახალწლის ღამის...  
 – ღმერთო, რა ცოტა  
 გეყოფნის ქალებს,  
 კაცებს? – რა დათვლის?...  
 14

#### ავტობიოგრაფიკი

ღიას, მე ვსუნთქავ მაღლიერი  
 სიცოცხლით... სავსე...  
 თუმც წვიმასავით გამუდმებით,  
 ხედავთ სულ ვტირი...  
 სულ ერთი სიტყვა წააწერეთ  
 საფლავის ქვაზე,  
 „უყვარდა“ და.... მრავალწერტილი...

#### წვიმა ხომ მოვიდა

მთელი დღის მოლოდინს  
 ღამესთან მოვიტან.  
 ღამე კი ბნელია,  
 მანძილი შორი და  
 თუ გინდა, ნუ მოხვალ,  
 წვიმა ხომ მოვიდა?  
 მთვარეს რომ კოცნიდა, იმ  
 ვარსკვლავს შორიდან  
 შევასწარ თვალი და  
 მეც კოცნა მომინდა,  
 თუ გინდა ნუ მოხვალ,  
 წვიმა ხომ მოვიდა?  
 მივწექი ტახტზე და  
 წვიმაც მე მომიწვა,  
 წაართვა ადგილი,  
 ლოდინს და – მორიგდა.  
 თუ გინდა ნუ მოხვალ,  
 წვიმა ხომ მოვიდა?  
 თან უფრო შორიდან...  
 თან უფრო შორიდან...

### ლანა ზუხუბიანი

#### ლამზირა

„მართლა მაგარი გოგოაო!“ – ასე  
 უთხრა მამამ დედას, როცა პირველად  
 ნახა თავისი უმცროსი ძმის მომავალი  
 ცოლი, ანუ ჩემი მომავალი ბიცილა... მარ-  
 თლა მაგარი გოგო იყო, ნამდვილი სვანის  
 ქალი. სახელიც ისეთი ერქვა... ლამზირა.  
 ლამზირა სვანურად სალოცავს ნიშნავს...

მუქი წაბლისფერი თმა, სქელი ნაწნავით,  
 წელამდე სწვდებოდა. ნუშივით გრძელი  
 თვალეები ჰქონდა, მართლა ნუშივით გრძე-  
 ლი და ნუშისფერი. ისეთი მხიარული და  
 უღარდელი იყო... დედის ერთა, დედისა  
 და მამის ნებიერა. იმხიარი გიჟმაჟი და  
 მხიარული მზერით შემოგხედავდა, იფ-  
 იქრებდი, აქამდე არაფერი სადარდებელი  
 არ შეხვედრიაო. ფანდურს უკრავდა  
 თავისებურად, მხიარულად, გიჟმაჟურად.  
 მარტო ისე კი არა, ტრადიციულად. არა!  
 ზურგსუკან გადაიდებდა და ჩამოჰკრავდა.  
 ერთი სიამოვნება იყო იმის მოსმენა.

არც საქმრო ყოფილა ნაკლები – ისიც  
 ნამდვილი სვანის ბიჭი, მაღალი, ახოვანი,  
 ბრგე, ცისფერი თვალეებით და მუქი ფერ-  
 ფლისფერი თმით...

ტრადიციულად იქორწინეს, დიდი სუ-  
 ფრით, სადღეგრძელოებით, ცხელ-ცხელი  
 კუბდრებით და ცივ-ცივი სულგუნით,  
 „შინა-ვორგილითა“ და „ო-ლილითი“.

ოჯახში თითქოს ახალი სიცოცხლე  
 შემოიტანა 19 წლის ლამზირამ. სულ სხვა  
 ფერხულში ჩააბა, გაახალისა მოხუცი  
 დედამთილიც, რომელიც რამდენიმე წლის  
 წინ დაქვრივებულიყო და აქამდე შავები  
 ეცვა. ნაბოლარა შვილის ქორწილში  
 მოიხადა შავი თავსაფარი და ჭრელი  
 დაიხურა. მას მერე აღარც მოუხსნია...

პირველივე დარდი ისეთი მეხისოდენა  
 შეხვდა ლამზირას, ამ მხიარული გოგოს  
 ჯერარმემდრკალი გული რომ გაუძლებდა  
 მხოლოდ...

ორი ვაჟის მერე ქალიშვილი შეეძინა.  
 ზამთრის ერთ ცივ და სუსხიან დღეს  
 სვანური ღუმელი გაახურეს, ქვაბები  
 გაცხელეს და ჯერ ორი უფროსი ბიჭი  
 აბანავა, მერე პაწია გოგონას მომზადებას  
 შეუდგა... ორი წლის ზურიკო, შავთვალეა  
 და დელსავით მუდამ მოლიმარი, ცხელი



წყლით სავსე ერთ-ერთ ქვაბს მიაღვა და...  
 ორი კვირა ებრძოდა სიკვდილს... ისიც და  
 მთელი მისი დიდი ოჯახობაც... ძნელია,  
 სიკვდილს ომი მოუგო, მით უმეტეს, ასე  
 პატარამ... დამარცხდნენ...

შეიმოსა თალხით ახალგაზრდა დედ-  
 მამა. მამას პირველად გაუჩნდა ცისფერ  
 თვალეებში მოუშორებელი მამობრივი  
 ნაღველი და სევდა, დედის მხიარულ  
 სახეს პირველად მოსცილდა ღიმილი...  
 დიდი ხნით...

რამდენიმე წელს გაძლეს ბაბუას ძველ  
 სახლში, ცივ, მკაცრ კედლებში, ძველი  
 მურყვამი რომ ედგა გვერდში. როცა  
 ლამზირამ მეზობლებში იმის მოყოლა  
 დაიწყო, როგორ მოიწვია პატარა თეთრი  
 თავუნია, რომელიც სიზმრებში მის გარ-  
 დაცვლილ ვაჟად გადაიქცეოდა ხოლმე,  
 ქმარი მიხვდა, რომ თუ დროზე არ შეცვ-  
 ლიდა რაღაცას, მისი მშვენიერი ლამზირა  
 ამ კედლების ფერი და ამ კედლებივით  
 ცივი გახდებოდა.

აიყარნენ, ბარში ჩამოვიდნენ და ახალი  
 ცხოვრება დაიწყეს...

კიდევ ორ გოგოს მალე ნანატრი ბიჭიც  
 მოჰყვა – ბეთქილი.

პირველად რომ შეხვდა ბეთქილს და  
 გარდაცვლილი შვილის ღიმილიანი, კეთი-  
 ლი მზერა დაიჭირა, მამის ჩაუღდა ლამზი-  
 რას თვალეებში უწინდელი ნაპერწკალი,  
 ერთ-ორ წელიწადში კი, ბეთქილი რომ  
 ცოტა წამოზარდა და ბავშვაჯი დააწყებინა,  
 ძველი, დამტკვერილი ფანდურიც გადმოიღო  
 და ისევ ჩამოჰკრა ძველებური ჰანგები...

ცხოვრებას რას გაუგებ?! გამოცდააო, ამბობენ. ნეტავ რისი? ნერვების? სიმტკიცის? რწმენის? და მერე რა, თუ ამ გამოცდას ჩააბარებ ან ვერ ჩააბარებ? ბილეთები მაინც დაარიგონ წინასწარ, რომ ცოტათი მაინც შეემზადო...

შვილები დაიზარდნენ, ორი თბილისში გამოუშვეს სასწავლებლად. ლამზირა ძროხებს წველიდა, ყველსა და მაწონს ყიდდა. ქმარი ხან მიწაზე მუშაობდა, ხან – მშენებლობებზე, სეზონურად. ნაშოვნი ფული სუთ შვილზე ხან ჰყოფნიდათ, ხან – არა.

უფროსმა ბიჭმა გადაწყვიტა, ოჯახს მხარში ამოდგომოდა. სხვა მრავალი და მრავალი მისთანასავით, უცხოეთში სცადა ბედის ძიება და მრავალსა და მრავალს მიჰყვა კვალში. ბედის, ფულისა თუ საკუთარი თავის ძიებაში ლამის მთელი მსოფლიო მოიარა, კანონიერ თუ უკანონო გზებს მისდია და ბოლოს იტალიაში მოხვდა – უფრო თავისიანებად ისინი დაიგულა, ტემპერამენტისა და ცხელი იტალიელები, ნეაპოლიტანელები.

რასაც მოულოდბა, ყველას ამყოფინებდა – მეგობრებსაც, თავის მრავალშვილიან ოჯახსაც, დებს, ძმას სწავლის საფასურს უხდიდა.

ერთ დღესაც, ნეაპოლიდან დარეკეს, მეხის გავარდნასავით – გარდაიცვალაო...

ყველამ გაიგო, მაგრამ ოჯახს ვერავინ ეუბნებოდა. ვინ გაბედავდა, შვილმკვდარი დედ-მამისთვის ეთქვა, კიდევ ერთი ვაჟკაცი მოგიკვდათო?! უკვე გაზრდილიო?! ვინ გაბედავდა, ძლივს გაღიმებული ლამზირასთვის თვალეში ჩაეხედა და კიდევ ერთხელ მოეკლა გული... უთხრეს, მანქანამ გაიტანაო... სიკვდილს ებრძვისო... ორი დღე ამ ამბით იწვალა. დედის გულს რას გამოაპარებ? კარდაკარ დადიოდა სოფელში, რამეს ხომ არ მიმაღავთო? ჩემი შვილი როგორ არისო?... ერთი კვირის მერე ჩამოუსვენეს... უკვე ტირილისა და მოთქმისგან ხმაჩაზღვნილს, ხმადაკარგულს და გონებაწართმეულს... 24 წლის ვაჟკაცი დაუსვენეს სახლში ჯერაც ახალგაზრდა ცოლ-ქმარს...

ძმაცაკები ჩამოჰყვნენ. უამბეს დედ-მამას, რა კარგი შვილი ჰყავდა. როგორ უყვარდა ყველას. რომ ნეაპოლში მთელი იმ ქუჩის კაცებმა, სადაც მათი ვაჟი ბოლო წლებში ცხოვრობდა, შავები ჩაიცვეს. რომ მთელი ის ქუჩა, ბიჭის სამშობლოში ჩამოსვენებადღე, სამძიმარზე დადიოდა. რომ ის იტალიელი ბავშვები, რომლებსთვისაც

ხან ველოსიპედს ყიდულობდა, ხან სათამაშოებს და ხან ნაყინს, გულამოსკვნილი ტიროდნენ...

ქალიც ჩამოჰყვა – უკრაინელი, ჩერნოვცელი მარინა, რომელსაც ბოლო წლები მასთან ერთად გაეტარებინა. ისევე თვალეზრაცვნილი იყო, როგორც ბიჭის დები, და ისევე გულამოსკვნილი ტიროდა, როგორც ქართველი გოგონები.

გასვენების დღეს უცებ ცუდად გახდა. ექიმთან წაიყვანეს და... ორსულად არისო, სულ ორიოდღე კვირისო...

ლამზირამ რომ ეს ამბავი გაიგო, ჯერაც წინ ესვენა ვაჟი, მაგრამ თვალეზრაცვნილი ნაპერწკალი გაუკრთა... მაინც გაუკრთა... უცნაური, გაუგებარი, ქვეცნობიერი...

გოგოსაც ძალიან ჰყვარებია... სულ არ ვაპირებდი ახლა შვილის გაჩენასო, მაგრამ ის იმსახურებსო... თქვენ იმსახურებთო, ასეთები რომ ხართო... ქართველი იზამდა, ნეტა, ამას? რას გაიგებ!

რვა თვე მუცლით ატარა, იქ, ნეაპოლში. ბოლო თვეს ისევე ჩამოვიდა საქართველოში, თავისი საყვარელი მამაკაცის ოჯახთან დაჰყო ის დრო და აქვე მილოგინა... ძნელად... ბავშვს ორჯერ ჰქონდა ჭიპლარი შემოხვეული... გაგუდული დაიბადა, მთლად ლურჯი... უკვე ხელი ჰქონდათ ჩაქნეული ექიმებს, მაგრამ იმათ რა იცოდნენ, ეს პატარა რა სასწაულით იყო ჩასახული და დარჩენილი დედის მუცელში, რა მისია ეკისრა მის ამქვეყნად მოვლინებას და როგორი გულათრთოლებული ელოდა მთელი ოჯახობა... ბოლო წამს თვალეზრაცვნილი დააჭყიტა და სვანურად, ომახიანად შეჰყვარა. ძლიერი ნაყოფი იყო და ასე უბრძოლველად დათმობდა? მერე, ლამზირასთვის რა უნდა ეთქვა?..

ლამზირამ ხელიც არავის დააკარებინა – თვითონ დაჰყოფინებდა. მარინამაც უთხრა, მე არ მინდა ძალიან მივიჩვიო, ბავშვიც ცოლოა და მეცო. დაგიტოვებთ და ხანდახან ვნახავო... ეს ღმერთის საჩუქარია თქვენთვის, ჩემი საყვარელი მამაკაცისთვისო...

პატარასაც მამის სახელი დაარქვეს...

ლამზირა ახლაც რუდუნებით უვლის, საფენებს უცვლის, ატირებულს გულში იხუტებს, თვალეზრაცვნილი უკონის – მამის თვალეზრაცვნილი... შავები ჯერ არ გაუხდია... მაგრამ პაწაწინა თავის ფუნჩულა ხელისგულს რომ ჩამოუსვამს ხოლმე ლოყაზე, სახეზე ღმიღის ვერ აკავებს.

...ფანდურს როდის ჩამოჰკრავ, ლამზირა?


## სახიჯ ნამოხაძე

### დროგბა

დროგბა, სანამ ამ სახელს დაარქმევდნენ, თითქმის ექვსი თვე, უსახელოდ იყო. დედამისი, ჯიშისანი ლაბრადორი, უცხოელებმა დატოვეს თბილისში, უფრო სწორად, პატრონი მოუნახეს და ერთი წლის ფულიც წინასწარ გადაუხადეს. პატრონს ვალეზრაცვნილი ჰქონდა, ამიტომ ერთ თვეში დროგბას დედა ვაკის პარკში აღმოჩნდა. იქ გაიცნო დროგბას მომავალი მამა, ქოფაკი, როგორც ახლა უწოდებენ, მეტი ის ანუ უბრალოდ ქუჩის ძაღლი – კუკუშა, ისიც შავი, რომელმაც დროგბას დედა არავის დაუთმო და აი, დროგბაც ამგვარად მოევიწინა ქვეყანას, უფრო ზუსტად, „ლოკომოტივის“ სტადიონის მიმდებარე ტერიტორიას. ამის შემდეგ, საკმაოდ სწრაფად კუკუშა ორ უბნელ მაგობარ ძაღლთან ერთად რეიდში გაება, კმაყოფილმა ძაღლის დამჭერებმა ის წარმატებული დღე გეგმაში მიათვალეს, სამივე ძაღლი დახოცეს და ბეიკერის ორმოში ჩაყარეს.

ცოტა რომ წამოიჩიბა, დროგბამ ზრუნვა დაიწყო თავის გადარჩენისთვის, და უნდა ითქვას შედეგისადაც, დროთა განმავლობაში სამი პატრონი იშოვა, მოსამზავლებზე – ტამარა ნიკოლაევა, ქართველის ქერივი, გამზდარი და აკურატული მანდილოსანი; ფალიაშვილზე – პენსიონერი, მილიციის ყოფილი მაიორი სულუხია და მსმელების პატარა ბირჟა. ეს იყო, ასე ვთქვათ, მიკედლების ძირითადი ადგილები, სადაც უბატონოდ ხმას არავინ სცემდა და ძაღლის დამჭერებისაგან გაბითურებულებს გაისტუმრებდნენ ნებისმიერ დროს, საჭირო რომ გამხდარიყო. მოკლედ, დროგბას სერიოზული და საიმედო „კრიშა“ ჰქონდა, თან სამი.

ამბობენ, კაცის გული ხარბი არისო, ძაღლიც ცდილობდა. კიდევ ემოვა სხვა გულშემატკივრები, თუმცა ამოდ, მხოლოდ იშვიათად თუ ვინმე, გარეშე აღამიანი გადაუგდებდა ლუკმას, ასე რომ, ძირითადად ამ სამ ვეშაპზე ეკიდა მისი კეთილდღეობა. თუ ტამარა ნიკოლაევისთან და სულუხიასთან კვების საკითხი საოცარი წესრიგით და პუნქტუალობით სრულდებოდა, ბირჟა სულ სხვა იყო. დროგბას ბირჟა გამორჩეულად უყვარდა – სკოლის მოწაფე უფროსკლასელ ბიჭებს



რომ უყურებს თვალეზრაცვნილი, ისე მოსდიოდა, ძალიან პატივს სცემდა კაცებს. ასეთ სიტყვებს სხვაგან ვერ გაიგებდი და მსგავსს საკვებსაც ვერ იგებდი. და რას წარმოადგენდა ბირჟა? დროგბა ხედავდა, რომ ეს იყო ორი, სამი, ზოჯერ ოთხი კაცი. მათ ყველას უყვარდათ არაფი, ლუდი, ერთმანეთი და დროგბა. არ უყვარდათ ჭკუის მასწავლებლები, დროგბას ხშირად ესმოდა, რომ მასწავლებლებისათვის ორი ვაგონია ჩამოტანილიო, თუმცა ვერ ხვდებოდა, რაზე საუბრობდნენ, სლენგი საკმაოდ რთული აღსაქმელია, განსაკუთრებით რვა თვის ძაღლისთვის. დროგბა იმას კი ხვდებოდა, რომ „მასწავლებელი“ ამ შემთხვევაში ის ახალგაზრდა არ იყო, რომელიც, სულუხიას შვილიშვილს ასწავლიდა არითმეტიკას სკოლაში და სულუხიამ ერთხელ სულ დედა რომ აგინა. არა, ეს მასწავლებელი ხან რომელიმეს ცოლი იყო, ხან მეზობელი და ხანაც ვინმე ახლობელი. მაინც ყველაზე ხშირად ეს გიგიშას ცოლი იყო, დარეჯანა. ამდენი წყევლა-კრულვა დროგბას კი არა, კავსაძეზე რომ ბასარა ცხოვრობს, თოთხმეტი წლის ბებერი ნაგაზი, იმას არა ჰქონია გაგონილი ოჯახში, სადაც დღეგამოშვებით სკანდალი იმართება ხოლმე სხვადასხვა თემებზე და დიდი გაწევ-გამოწევია. დარეჯანას არა მხოლოდ საკუთარი, განუშეორებული ლექსიკონი ჰქონდა, მისი სიტყვების წყობა და ურთიერთკავშირი მეტად ინდივიდუალური გახლდათ, არ ჯდებოდა არც დედა ქართულის, რომელიმე კუთხური დიალექტის, არც ინდოევროპული ენების გრამატიკაში. ამიტომაც მისი ნათქვამის შინაარსს ვერ დაიმასსოვრებდით და ფრაზასაც ვერ გაიმეორებდით, თუ მიბამვის ნიჭი არ გაგაჩნდათ, სამაგიეროდ ემოცია! – იგი ძაღლს კი არა, აღამიანს დააგდებდა ძირს. ერთადერთი ფარი და მუზარადი გიგიშასთვის სიტყვების ამ ტყვიამფრქვევის

წინაშე არაყი იყო. არაყდალეულს სამი დარეჯანას გამკლავება შეეძლო, ამაში ისიც ეხმარებოდა, რომ მთვრალს სმენა უქვეითდებოდა და მრისხანე ქუხილი ნაზ წკარუნად ესმოდა.

გივიმა ორი წლის წინ ბირჟის წევრი, ანუ ალკოჰოლიკი არ იყო, პირიქით, იქ მდგომ მეზობლებს მოკლე და მსუბუქ შეგონებას ეუბნებოდა ხოლმე, განსაკუთრებით მოსწონდა მის მიერვე აკვირებული, თითქმის ხალხურად ქცეული, ბანალური – „ბულიკი, ნუ სვამ ნაპიტოკებს, თორემ ბოლოს დაგიტოკებს“. იტყოდა, ჩაიღიმებდა და გზას აგრძელებდა ხოლმე შინისკენ. რა მოხდა შემდეგ, როგორ ჩავდა ბირჟის „სასტავში“, ზუსტად არავენ იცოდა, ზოგიერთი ამ ამბავს მის დარეჯანასთან დამეგობრებას უკავშირებდა, რომელსაც უბრალოდ „ჩემს ცოლს“ ეძახდა.

კაკოს უკვე ისეთი ციროზი ჰქონდა, რომ გამოცდილი, ნებისმიერი მსმელი შორიდან დაუსვამდა დიაგნოზს. ორმოცდაათი გრამიც ყოფნიდა. ეს დიდი შეღავათი იყო ამ გაჭირვების დროს! აბა, თამაზას ორას ორმოცდაათ გრამზე მადა ეხსნებოდა და დროგებასთვიც შეეძლო წაერთმია გადაგდებული ძეხვი. დროგებას ეს არ სწყინდა, უყვარდა ლოთები, სულ ბირჟის ლოცვაში იყო, ისე, რამდენადაც ძაღლის გულს შეეძლო ამის გაკეთება. ბირჟის ხათრით თამაზას სუნსაც იტანდა დიდი გაჭირვებით, რა ექნა, ეგენი პაპიროსს თავს მაინც არ დაანებებდნენ, იმიტომ რომ, – კტო ნე კურიტ ი ნე პიოტ, ტოტ ზდაროვენკი უმრიოტ – ასე წაუძღვრებდნენ ხოლმე, ადარც რუსული ახსოვდათ წესიერად და ქართულადაც ცოტას ლაპარაკობდნენ. დროგება გამორჩეულად უყვარდათ, ჩვენი ძმა არისო, ყველას ესე აცნობდნენ. დროგება თამაზამ დაარქვა, თავის დროზე ფეხბურთის გიჟი იყო თამაშს არ აცდენდა, ახლა ტელევიზორს ათ წუთზე მეტ ხანს ვერ უყურებდა, ჩაეძინებოდა ხოლმე.

\* \* \*

დეკემბერი მთავრდებოდა, უჩვეულოდ ყინავდა, თორემ სხვა მხრივ ყველაფერი კარგად იყო. თამაზას „ზაპოი“ დაემთავრებინა, კაკო ახალი გამოწერილი იყო საავადმყოფოდან. საავადმყოფოში სანიმუშოდ იქცეოდა, არ სვამდა, ექიმებმა შეაშინეს – ალკოჰოლი წვეთოვანში რომ აირიოს, მაშინვე მოკვდებიო, ამიტომ არაყს ყველას უკან ატანდა. მკურნალობის ბოლოს, გამოწერის დღის აღსანიშნავად იქვე პალატაში, გვერდით, მეზობელ პაჭკორია-

სთან ერთად, მისი კონიაკი გლიჯა. ელისო ექიმის კივილი კორიდორიდან გაიგო და ვიდრე იგი პალატაში შემოვარდებოდა, დროზე გაასწრო, უკვე ტაქსში იჯდა და მძღოლს კონიაკის გამოგონების ისტორიას უყვებოდა.

იმ საღამოს ყველაფერი ბოლომდე გამოწუნეს, ბოლოს ნელ-ნელა აიშალნენ. გივიმამ, თქვენ წადით, მე დროგებას ვეტყვი ორ სიტყვასო. თამაზაც და კაკოც თავიანთ გზას დაადგინენ, მეზობლად ცხოვრობდნენ და ნელი ნაბიჯით მილასლასდნენ შინ.

თამაზას სწრაფად დაეძინა, სიზმრებს იშვიათად იმახსოვრებდა, მაგრამ ღამით დროგება დაესიზმრა, რომელსაც რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ მეტყველებდა და ისე ყეფდა, მეზობლები გააღვიძა, თამაზა ადგა და გარეთ გავიდა, დროგება მართლაც ყეფდა, ქვეყანას იკლებდა, კუდს აქიცინებდა ენერგიულად, გივიმას ქუდი წამოეღო, და წინ დაეგლო. თამაზა რომ გამოვიდა, მაშინვე გარემოდა, გახარებული.

– ე, გივიმა ბირჟაზე დაგვრჩენია, თფუი, მაგის დედა... ალბათ გაიყინა, მოკვდებოდა ეგ ჩემისა! კაკო, კაკო! ადექი, გივიმა წამოვიყვანოთ, თუ კიდევ ცოცხალია, – გასძახა კაკოს.

გივიმა ბუჩქთან იწვა, მკვდარი არ იყო, თუმცა ძალიან ცოცხალიც არ ეთქმოდა, ზურგზე მოიკიდეს და შინისკენ წაიღეს. უკან დროგება მიყვებოდა, კმაყოფილი. დარეჯანამ პროცესიას შეხედა, გულგატეხილმა ხელი ჩაიქნია და იკითხა:

– როგორ იპოვნე ვით?

– აი ამან უშველა, – უთხრა თამაზამ და დროგებაზე მიუთითა, – თორემ მოკვდებოდა.

დარეჯანას სიფათი მოექცა, დამძალი ძაღლი, – გაიფიქრა, – არ ვაცოცხლებ, ეს რა გამიკეთა!

შემდეგ კაკოს მიუბრუნდა:

– კარგი, კარგი, მივხედავ.

სამივე გარეთ გავიდა. დროგება – სადარბაზოში, ლოთები – თავიანთ ბინებში.

\* \* \*

გივიმას გაღვიძება უნდოდა, უნდა ითქვას, გარკვეული თვალსაზრისით, ეღვიძა კიდევ, თუმცა, თვალებს ვერ ახელდა. ამ დროს თითების მიხმარება იცოდა ხოლმე, მოფშენეტიც შემდეგ უფრო ეადვილებოდა. ახლა ხელის განძრევა არ შეეძლო, ამიტომ გადაწვივდა, რომ ჯერ კიდევ ეძინა. თან ის უკვირდა, რისთვის უნდოდა, გაეგო, – რომელ გვერდზე იწვა, პირით საათიანი კედლისკენ თუ მეორე კედლისკენ, სადაც სარკე ეკიდა. ამ საკითხს, თვითონაც

იცოდა, რომ არ ჰქონდა სასიცოცხლო მნიშვნელობა, მაგრამ ინტერესმა ისე გაახელა, რომ ძალა მოიკრიფა, ხელი თვალთან მიიტანა და თითებით ქუთუთოები ასწია. ასწია და მიხედა რომ შეცდა, საწოლზე არ წოლილა და საძილე ოთახის კედლებიც, ბუნებრივია, აქედან არ ჩანდა; შესასვლელში ყოფილა დაგდებული, გამოდის, რომ იქ ეძინა, იატაკზე პალტოთი, ქუდიც გვერდით ეგლო. ფეხზე დაიხედა, ფეხსაცმელები ეცვა. მარჯვენა, უფრო კარგად, მარცხენა ისე, რა, ნახევრად გავარდნაზე იყო.

– რადეჯან, თფუი!.. დარეჯან, შენი დედა... – როგორც შეძლო, ისე, ხმამაღლა იყვირა გივიმამ, მაგრამ პასუხი ვერ გაიგო.

დარეჯანა მეორე ოთახში ტელეფონზე ლაპარაკობდა:

– ხოო, თელი ღამე არ გვაძინემს, იღირინება, იკბინება, ნამდვილად არის ცოფიანია, გაფლანგულია ხენწიფესავით სულმუდამ, სამი პატარა ბავშვი გაგლიჯა და ერთი აფსულუტურად მოსუცი – მესამე ჯგუფის ინვალიდი და ხოო, კიდევ ქათამიც გამოძებდა მთლიანად, მერე მოკლა, ჩასისხლიანებული თვალებით დაპუნტულობს, სრულებით არის შავი, კი, ბატონო, ყველას ამინებს და სახელიც ესე აქვს დრუგბა თუ დრუგბა... მისამართი? ხოო, ემსათში, ალიო, ჩასწერეთ!..

მაგრამ არ დასცალდა, გივიმამ ყურმილი წაართვა და კედელს მიახეთქა.

\* \* \*

სტილისტ არტურს ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, ის მოსწონდა, მისი კლიენტი ქალები ერთმანეთს რომ ესაუბრებოდნენ და ახალ ამბებს ყვებოდნენ. არტურმა იცოდა, რომ ქალები მართო გასაღამაზებლად არ ჩამოდიოდნენ სალონში, ისინი აქედან გაღამაზებულები და სიახლეებით დატვირთულები ამოდიოდნენ. მათ ყველაფერი აინტერესებდათ – სოციალური, ეკონომიური სფეროებიდან დაწყებული პოლიტიკით დამთავრებული, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი გახლდათ ამბები ნაცნობ-უცნობების პირადი ცხოვრების შესახებ. ეს დღეც არ იყო გამონაკლისი.

– გაიგე, გივიმა ცოლს გაშორებია!

– კი არ გაშორებია, გაუგვია!

– ისე, ცოლს ეძახდა, თორემ ორი წელია, არც ხელი ჰქონიათ მოწერილი, არც ჯვარი დაწერილი.

– დიდი ამბავი, ქეთუშა ესე არ დაბერდა?

– უ, ქეთუშაზე ჯვარის დაწერა ცოტა რთულია, ჰა, ჰა!

– კარგი, მაგრამ გივიმას რაღა დაე-მართა, თითქოს უყვარდა...

– კი, უყვარდა, როდესაც, მაგრამ დარეჯანას აღარ უნდოდა მაგის ლოთობის ყურება, როდის მოკლავდა ციროზი, იმაზე ოცნებობდა! ეგ ჩემთანა აქვს ნათქვამი!

– რას მეუბნები?

– კი, პროსტო ციხე მეტი აღარ მევასებაო, თორე, მაგის გასაღებას რა უნდაო! რაღაც ვარიანტებიც ჰქონდა, აბა! მაგრამ ჯობიაო, ცოტას დავიცადო, ჩქარა თვითონ წაიღებსო წერილს! აი, ასე მეუბნებოდა!

– ცოტაზე რა მოგახსენო, აგერ ნანულის ქმარს სამი წელია ციროზი აქვს და მაინც თამადად ნიშნავენ ქორწილებში, არ აპირებს სიკვდილს.

– და მერე როგორ გააგლო?

– ეგრე, გასაღები წაართვა, თავისი ნივთები ერთ ჩემოდანში ჩაუღო, მეტი არც არაფერი ჰქონდა და ესიო...

– მერე რა დარეჯანამ?

– ხმა ვერ ამოუღია, ეტყობა მაგრა ჰქონია მიქარული, წავიდა ჩუმად!

– რას მეუბნები?

– რა უქნია?

– აი, ზუსტად არ ვიცი, ამბობენ ძაღლის გულისთვისო!

– კი, მაგრამ ძაღლი მაგათ არა ჰყავთ!

– კი არ ჰყავთ, ვიცი, მაგრამ ზუსტად ვერ გავიგე, თამაზას ცოლს უნდა ვკითხო, იმას ეცოდინება. თითქოს მერიაში რეკავდაო, ძაღლების დამჭერებთან, ტყუილი არ გამოძივიდე!

– რომელი ძაღლების დამცველი გივიმაა, ალბათ იეჭვიანა, დარეჯანა ხომ გახსოვს, ლაღად უყვარდა ცხოვრება!

– კი, უყვარდა, ვიცი, თვითონა აქვს მოყოლილი, წვრილ-წვრილა! ძლიერი ყოფილა! მაცივარი მინდა ვიყიდო, ბეკო ჯობია თუ სამსუნგი?

– არისტონს აქებენ, საერთოდ გამოდგომაზეა ყველაფერი...

– ქმარიც!

– ჰო, მაგარი ხარ! ძვირფასო, მა-გა-რი!

\* \* \*

მეორე დღეს ბირჟაზე ხვანჭკარა დაიჩითა. ბირჟა ზეიმობდა. გივიმამ მაღარი იკისრა, საიდანღაც დააძრო ფული, ალბათ სამარხად გაღამაზებულიდან, კაცმა არ იცის. მეზობლებს და შემთხვევით გამვლულებს გადარჩენის, თავისუფლების და დროგებას სადღეგრძელოს სთავაზობდნენ. ყველა კმაყოფილი იყო, განსაკუთრებით დროგება, სამივეს ერთად რომ ხედავდა. კუდს აქიცინებდა, ენაგადმოვებული გივიმას თვალებში უყურებდა, თითქოს ახალი გმირობებისთვის ემზადებოდა.

ჯუბა ლხეიძე

ჩემი ქვეყანა იღუპება



ჩემი ქვეყანა იღუპება, უშველე, ღმერთო,  
 ოცი წელია საქართველოს ჩეხვენ, კლავენ,  
 ერთი ნაწილი ჩემი ხალხის კვდება, რომ ენთოს,  
 ერთი ნაწილი შემდგარია იესოს კვალზე...  
 ხოლო მეორე, ის მეორე ჩვენს თავზე ბრუნავს,  
 ამპარტავნული აღმატებით ჩვენს გულზე დადის,  
 ერთმანეთს ცვლიან, ვით სუფრაზე დაფი და ზურნა,  
 ვით ღიპლიპიტო და გარმონი, უვადო ვადით...  
 ო, ის მეორე, ის მეორე ნაწილი ჩემი,  
 როგორ გვაბრუნებს, როგორ გვიხვევს ქვედრომით თვალებს,  
 ეს მერამდენედ მოტყუებულ თევზივით ვრჩებით,  
 ჭიაყელთ რომ წამოაგეს ნემსკაგზე, დახლზე...  
 არც რუსი, ოსი, არც აფხაზი ისე არ მთრგუნავს,  
 ვით ზოგჯერ კაცი, ჩემი ჯიშის და ჩემი მოდგმის  
 და ეს ყოველი ცოდვების წილ სასჯელი თუა,  
 დროზე, უფალო, დავიდალეთ, უფალო, მოდი!..  
 მე საქართველო გულის-გულში და სულში მტკივა,  
 ფეხისგულებიც მტკივა, რითიც ვაბიჯებ მიწას,  
 მითხარი ერთი საიმედო უბრალოდ სიტყვა,  
 სანამდე ჩემი გულის ფეთქვა მინავლდა, მიწყდა...  
 სანამდე კიდევ ფეხზე ვდგავართ, ჟინი გვაქვს ბრძოლის,  
 სანამდე კიდევ გვჯერა, რომ გვაქვს მიზანი საღვთო,  
 დავდივართ შიშით (ვაი ქართველს), დავდივართ ძრწოლით,  
 მოგვძულდა, მაგრამ უბრძოლველად სიცოცხლეს არ ვთმობთ...  
 გვიშველე, ღმერთო, შეგვეწიე, სამშობლო ჩემი,  
 კვდება კი არა, მკვდარია და ადგომაც არ სურს,  
 მოტყუებული თევზებივით ანკესზე ვრჩებით  
 და სევდიანად შორს გავყურებთ დამარხულ წარსულს!..

გენიოსთან პირველი შეხვედრა



მარჯანიშვილის ქუჩაზე საცხოვრებლად ახალი გადასული ვიყავით. პატარა ბიჭი ვარ, ოთხი-ხუთი წლისა. ფეხბურთზე ლამის დაბადებიდან ვათენ-ვალამებ და იმ დღესაც ილღიაში ბურთი მაქვს ამოჩრილი და ეზოში ჩავდივარ სათამაშოდ, სადაც თემურ ჩხეიძის (დღეს უზარმაზარი რეჟისორის), მერაბ გაჩეჩილაძისა და სხვა ძალიან უფროსების „მხარდამხარ“ უნდა გავაგორო ბურთი.

იმ ადგილს ცენტრი კი ერქვა, მაგრამ მაინც მიგდებოდა, უპატრონო მხარე იყო. შესაძლოა, ამას ცენტრალური უნივერსიტეტის მეზობლობაც უწყობდა ხელს, სადაც სხვადასხვა ჯურის ქურდბაცაცა თუ მაწანწალა დადიოდა. მერე ეს დალოცვილები მაინცდამაინც ჩვენს სადარბაზოში დაიდებდნენ ხოლმე ბინას და ოდეკოლონიტა თუ სხვა მყარალი დასპირტული სითხით გამობრუნულ-გამოთაყვანებულები კიბის ქვეშ ათენ-ალამებდნენ. რა ეგზოტიკა და ბუკეტი იქ იქნებოდა, ხომ ადვილი წარმოსადგენია, მაგრამ ისედაც რა სასიამოვნო იყო მათ გვერდით გავლა. ამიტომაც მშობლებისგან მკაცრად ვიყავით გაფრთხილებული, ამ მაწანწალებს არ გავკარებოდით. ესეც რომ არა, ბავშვებს ისედაც გვეშინოდა მათი.

ასე იყო თუ ისე, ჩემი სადარბაზო გმირულად ჩავიარე და მეორე სადარბაზოსკენ გავწიე, საიდანაც ეზოში შევდიოდით. ვისაც ვერიდებოდით და ვისიც გვეშინოდა, იმ სადარბაზოს წინ არ დამხვდა ჩამინებული? ისე იყო გაჩხერილი, გვერდი ვერ ავუარე. მერე არ მახსოვს, ფეხი შეგნებულად დამიღო, ჯოხი გამიზნულად გამომკრა თუ უბრალოდ, ჩამინებულმა სხეულმა გაშლა მოინდომა (ამას ახლა ვაანალიზებ, თორემ მაშინ მაგის თავი სად მქონდა!). ერთი სიტყვით, ასფალტზე გავიშლართე და ტირილი მოვრთე – ცალკე შიშისგან, ცალკე ტკივილისგან, მგონი მუხლიც გადამეტყავა. ეს ჩემი ღრიანცელი მესამე სართულზე დედაჩემის ყურსაც მისწვდა და თვალის დახამხამებაში ძირს ჩამოვიდა (არ არის გამორიცხული, ზემოდან თვალს მადევნებდა

კიდევ, მე ხომ სულ ღლაპი ვიყავი). თან აღშფოთებული იყო, ეს რა უბანია, მაწანწალები ვერ მოვსპეთ, ბავშვები ეზოში ვერ ჩავიშვით...

რამ მომაგონა ახლა ეს ამბავი? რამ და, დედაჩემს მაწანწალას მაგივრად ჩამუხლული, ფიქრში ჩაძირული გალაკტიონი შერჩა, რომელიც, ვინ იცის, იმ წუთებში რომელ შედეგს ქმნიდა... აი, ასე უცნაურად შევხვდი პირველად გენიოს გალაკტიონს, 1954 თუ 1955 წლის ერთ თბილ საღამოს...

ბიძინა პაპას ძმობის მარანი... და სხვა ამბები

ბიძინა მახიაშვილის სოფელში, ზემო მახხაანში, საოცარი რამ ვნახეთ. მასპინძელი ნუგზარ შატაიძეს, ჯემალ მონიავას, გუჯა ბერიშვილსა და თქვენს მონამორჩილს დარბაზში შეგვიძღვა, რომლისთვისაც „ძმობის მარანი“ შეურქმევია და... თვალწინ გადაგვეშალა მთელი საქართველო შუა საუკუნეებიდან დღემდე. ამ „ძმობის მარანში“ მასპინძელს ჭერში ჩამოუკიდია XII-XIII საუკუნეებისა და შემდგომი პერიოდის უღელი, ტაბიკი, გუთანი, ჯარა, გოგროხა, კაჩო, გოდორი, ტიკჭორა, აკვანი... „მთელი ცხოვრება გადაყოლილი ვიყავი სვანებზე, – მეგზურობას გვიწევს ბატონი ბიძინა, – ჰოდა, მოვაწყობდი თუ არა ინსტიტუტში, დიმიტრიჩ, ყანწი უნდა

ჩამოვიტანო, მეტყობინე და მართლაც ჩამოჰქონდათ“.

53 წყვილი ყანწი დაუგროვდა. სად წაელო? პირამიდის პრინციპით რკინა დაღვა, რომელსაც ოთხივე მხარეს, ძირიდან, კაუჭები აქვს და მათზეა აჩონჩხილი ეს ყანწები. ამ რკინას ექვს-სანთლიანი შანდალი აქვს წამოცმული. არაჩვეულებრივი სილამაზეა, სანთლები რომ დაინთება.

„ძმობის მარნის“ მარჯვენა შეწეულ კუთხეში მამაპაპური ღრმა ბუნარი გიზგიზებს (გვიანი შემოდგომაა, სიცივე უკვე ძვალ-რბილში ატანს და ბუნარის სიმხურვალე პირდაპირ მისწრებაა), შუაში სამი დიდი კასრია ერთმანეთზე მიბჯენილი, ისინი მაგიდების მაგივრობას სწევენ, გარშემო ტაბლის 25 უზურგო სკამია შემოწყობილი, ესე იგი, სუფრა 25 კაცზეა გათვალისწინებული.

თითოეულ კედელს თავისი დანიშნულება აქვს – ერთ მხარეს სპორტული მედალ-სიგელებია გამოფენილი, რომლებსაც ფოტოები უმშვენებთ გვერდს; აგერ, მაღლიერების გრძნობით იაპონელებს გამოუგზავნიათ ფოტო, რომელზეც იაპონიის ძიუდოს მთელი ელიტაა აღბეჭდილი; ბატონ ბიძინას ღუშეთში ანზორ კიკნაძის, ფარნაოზ ჩიკვილაძისა და ღურამიშხან ბერუაშვილის დიდი ფოტოები აუტანია და იქაურ ქალებს ფოტოების ზომის სურათები მოუქსოვიათ, ეს ნაჭრის ფოტოებიც იქვეა დაკიდებული.

„ანდროპოვის დროს არყი ქვაბები რო წაართვეს ხალხსა, ჩემ ეზოში გავაკეთე ნამდვილი კახური ზავოტი, – განაგრძობს ბატონი ბიძინა, – რასა შერები, კაცო, გაილანძღებო, შემომიჩნდნენ ჩემები. ფეხებსაც ვერ მამჭამენ-მეთქი“!

ახალი აშენებული იყო ეს მარანი და მაზიაშვილებს სტუმრები ეწვივნენ – რაიონის მილიციის უფროსი ელგუჯა ჯანყარაშვილი და მისი მეგობარი ინდიკო ბენაშვილი („გაანათლოს იმათი სული ღმერთმა“ – ბიძინა მაზიაშვილი), ჰოდა,

ამ ბენაშვილს შეურქმევია – შენ ეგეთი კაცი ხარ, ამ მარანს „ძმობის მარანი“ უნდა შარქვაო...

## ბიძინა პაპას ახირებანი

ბიძინა პაპას ძალიან უყვარდა „კლიჩკე-ბი“. ოთხივე შვილიშვილს მეტსახელს ეძახდა დაბადებიდან, ვიდრე სულს დალევდა. მანანას ბიჭს, ლევანს, მიხა შეარქვა, მის დაიკოს კი – ტიკლა. დათოს ბიჭს – ბიძინა მაზიაშვილ უმცროსს – ბოკვერა, გოგოს – მასხარა. „მასხარა რო გაიზარდა და უმაღლესში უნდა ჩეებარებინა, პაპა, მასხარას ნულა დამიძახებ, სირცხვილიაო. არა გიშავ, შენ კარგი იყავ და მასხარა გერქვას-მეთქი.“ ესეც პაპა-შვილიშვილის დიალოგი...

## ხაშლამა პარიზში

ბიძინა მაზიაშვილი ლამის უცხოეთის ყველა სასტუმროდან არის გამოძევებული. „კაცო, ვეღარ გამოვია, მოჭიდავეები მიმყავთ თუ ბალერინები, იმათი საჭმელი ეყოფათ ამ ლომებს! ჰოდა, ყველა ქვეყანაში ჯერ ბაზარში შევედივარ, ხორცს, მწვანისა და ღიდ ქვაბს ვყიდულობ და აბა ხაშლამა სად მოვხარშო, თუ არა სასტუმროს ნომერში“. და კახური ხაშლამის სუნით მთელი უცხოეთის სასტუმროები იყო გაჯერებული... ისე, მართლაც, რა ექნა ძიუდოისტების პაპას, როცა მის ლომებს სენდვიჩები ვერ ანაყრებდათ!

## გიოს თვალები

ლევან ჭიჭინაძე და თქვენი მონა-მორჩილი სკოლის მეგობრები ვართ. იმდენად დავკახლოვდით, რომ ნათელ-მირონი გავხდით. დღე არ გავიდოდა, ერთმანეთი არ მოგვეკითხა, გვენახა. უერთმანეთოდ პურის გატეხვაც გვიჭირდა. უფროსებს

ჩვენი მეგობრობის დიდი იმედი ჰქონდათ. მაგალითად, დედაჩემს გული საგულეს ჰქონდა, ლევანი და მე ერთად რომ ვიყავით.

ოპერის გვერდით, ყოფილი ლუნაჩარსკის ქუჩაზე ცხოვრობდა ბებიასთან, ბებიასთან და მამიდასთან ერთად – მშობლები სოფელში, იმერეთის ულამაზეს სოფელ გოლოვანში ჰყავდა – არაჩვეულებრივად ინტელიგენტური ოჯახი იყო, უაღრესად სათნო და საყვარელი. უთუოდ ძველი მოღვმის მოხუცები იყვნენ, მათს ოჯახში ხმამაღალ სიტყვას ვერ გაიგონებდი. მათი ბინიდან შედარებით ხმამაღალი ლაპარაკი მაშინ გამოდიოდა, როცა ბებიას ვაჟი, ცნობილი მეცნიერი, ბატონი ლევან ნათაძე ესტუმრებოდათ. მისი დანახვა ყველას უხაროდა, ათას საინტერესო ამბავს მოყვებოდა ხოლმე.

ერთხელ, ახალნაპერაციევი ჩემი მეგობარი ნათურების საყიდლად გაგზავნეს მოხუცებმა, ის კი საერთო მეგობრებთან ერთად თავისი მომავალი ნათლულის, ჩემი ქალიშვილის დაბადების აღსანიშნავ სუფრაზე აღმოჩნდა, ინტურისტის ბალში. რა თქმა უნდა, თამადაც თავად იყო. არადა, მოხუცებს როგორ ეტყოდა, ორიოდე დღის წინ საავადმყოფოდან გამოსული საქეფოდ მივიღვარო! თუ მეხსიერება არ მღალატობს, ქუჩიდან დარეკა შინ, შევეფერხდი და თუ შემავიანდა, ნუ შეშინდებითო.

...აირია ცხოვრება. დაიწყო გაუცხოება-გათიშვის საშინელი პროცესი! კაცს გარეთ გამოსვლა თუ აღარ ეშინოდა, ეზარებოდა მაინც, მთელი ქალაქი სახლში ჩაიკეტა. ათასში ერთხელ გაშლილ მეგობრულ სუფრაზეც კი ძალიან ხშირად იძაბებოდა ურთიერთობა, ვინაიდან, მეგობრობის მიუხედავად, ხელისუფლებიდან წამოსული გათიშვა-გათითოკაცების „უკვდავი იდეა“ ასეთ სუფრაზეც იჩენდა ხოლმე თავს.

ერთი სიტყვით, ისე მოხდა, ეს ჩემი სიყრმის მეგობარიც კარგა ხანს არ მენახა.

ერთხელაც ვძლიე თავს და ცხრა მთას იქით (ეს მაშინ იყო ასე შორი, თორემ მანამდე მარჯანიშვილიდან ქავთარაძის ქუჩამდე, მართლაც, გრძელი მანძილი არაფრად მიგვაჩნდა) ლევანის ოჯახს ვეწვიე. ჩვეულებრივ მოვეფერეთ, ჩავეხუტეთ ერთმანეთს, სალაპარაკო-მოსაყოლს რა გამოგვილევდა, უთუოდ, პოლიტიკასაც „ჯეროვანი პატივი მივაგეთ“, ჭიქა ღვინოც დავაყოლეთ, რა თქმა უნდა, ჭიჭინაძე-ჭელიძის ძმობის სადღეგრძელო აუცილებელი, ტრადიციული, ჭაბუკობიდან დაკანონებული ვახტანგურით მივირთვით... და კარზე ზარის ხმა გაისმა.

ჩემ თვალწინ გაზრდილი ლევანის ბიჭებიც ხომ კარგა ხანს არ მენახა, და აი, ოთახში გიორგი, უფროსი ვაჟი შემოვიდა. შემომხედა თუ არა... ვერ გეტყვით, რა თვალებით შემომხედა (ალბათ, ჯეშალ კასრადის ფოტოაპარატი ისე არასოდეს მომისაკლისებია, როგორც იმ წამებში). ეს იყო განუზომელი სიხარულიც, მონატრე-ბაც, დიდი ხნის უნახაობით გამოწვეული სევდაც, მამების მეგობრობის არმოშლა-გაგრძელების იმედიც, ეგებ სწორედ იმ კარგა ხნით ერთმანეთის დაკარგვით გამოხატული ბავშვური საყვედურიც... ვერა, ვერ გეტყვით, რას იტევდა გიოს თვალები. ალბათ, სანამ მასხოვრობის უნარი მაქვს, ის თვალები არ დამავიწყდება.

სადღეგრძელოს არ ვამბობ, უბრალოდ, ვინც და როგორც უნდა ეცადოს ჩვენს გათიშვა-გათითოკაცებას, გაუცხოებას, ყურს ნუ ვათხოვებთ. პირიქით, თუ შეგვეძლება, ავუმხედრდეთ, ნურავითარი მოუცლელობის, დაღლილობის, უქეიფობის, შორი მანძილის მომიზეზებით ნუ დავჩაგრავთ შეილებსა და შეილიშვილებს. მათ ისედაც მძიმე ბავშვობა გამოიარეს და ზედმეტად ნულარ დავასევიანებთ.

...როგორ არ მინდა იმ თვალების კიდევ ერთხელ ნახვა და თან, როგორ მენატრებიან ისინი!..

„ღმერთი არ გსწივს...“

ჰიმნი

### „ვეფხისტყაოსნის“ ივრითზე მთარგმნელს



„სიტყვა ბორის გაპონოვზე“ – ასე ჰქვია გამომცემლობა „მამულის“ მიერ ნიუ-იორკში დასტამბულ წიგნს, რომლის ავტორია ქუთაისში დაბადებული და გაზრდილი შესანიშნავი ჟურნალისტი და უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი, „ღირსების ორდენის“ კავალერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მიხეილ ფიზიცი. პირადად არც ბორის გაპონოვს ვიცნობდი და არც მიხეილ ფიზიცი, მაგრამ წიგნის წაკითხვის შემდეგ ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს მთელი ცხოვრება მეც ამ ორი დიდებული პიროვნების გვერდით გავატარე. ადრე, ბორის გაპონოვის შესახებ ცოტა რამ მსმენოდა, მაგრამ მისმა სახელმა მას შემდეგ მიიქცია მკითხველი საზოგადოების ყურადღება, როცა ივრითზე თარგმნა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“. საზოგადოება აღაპარაკდა ბორის გაპონოვზე, როგორც მთარგმნელზე, მაგრამ მისი ნიჭის სიღრმესა და მასშტაბს თითქოს ვერავინ ხედავდა... აღიარება, როგორც მსოფლიო დონის მთარგმნელისა, არ მოხდა. თუმცა, რუსთაველისა არ იყო: „ღმერთი არ გასწივს კაცსა, შენგან განაწირსა!“...

ბორის გაპონოვის გვერდით თურმე ცხოვრობდა კაცი, რომელსაც განგებამ წილად არგუნა ამ უნიჭიერეს მთარგმნელთან სიახლოვე, მისი სულის ფორიაქისთვის თვალყურის დევნება, წრფელი, უანგარო თანადგომა, ერთგულება და... მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე წიგნის შექმნა, რაც „არა მხოლოდ ღირსების საქმეა, არამედ დიდი პასუხისმგებლობაც“...

ეს ღირსეული კაცი მიხეილ ფიზიცი, რომელიც ამაღლელებად მოგვითხრობს ბორის გაპონოვის ხასიათისა თუ შემოქმედებითი იმპულსების თავისებურებებზე, მისი ლიტერატურული ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტებზე, მეგობრობისა და ძმობის მეოთხედსაუკუნოვან ისტორიაზე, რაც აგრერივად ამშვენებს ამ დიდებული წიგნის ფურცლებს. ადამიანი შთაბეჭდილუ-

ბების ჯამიანო, – წერდა ოთარ ჭილაძე, – გააჩნია, ვინ ურევს ხელს იმ „ჯამში“, ღმერთი თუ ეშმაკი? ჩემი ღრმა რწმენით, ბორის გაპონოვისა და მიხეილ ფიზიციის ურთიერთობის „ჯამში“ ღმერთის ხელი ურევია!

იშვიათად მინახავს ასეთი სითბოთი და სიყვარულით, გულწრფელობითა და უშურველობით დახატული, შემოქმედების ცეცხლში გახვეული მეგობრის სრულყოფილი პორტრეტი. ესაა ჰიმნი ბორის გაპონოვის ტალანტზე, მის ნიჭიერებაზე, ყოფით ცხოვრებაზე, ამაღლებასა და უკვდავებისკენ მიმავალი გზის ღირსეულად გავლაზე, რის დასტურადაც ავტორი წერს: „ყველაფერი ეს მეხსიერებამ ისე სათუთად შემოინახა, რომ ახლაც ხშირად „მესმის“ და თვალწინ მიდგას. სწორედ ამ წმინდა მეგობრობის, სიყვარულის, თაყვანის, გულის სითბოსა და ხსოვნის ვალი მკარნახობს, აუცილებლობას ქალაქზე გადავიტანო გარდასულ დღეთა მოგონებანი“...

იმის მიუხედავად, რომ ბორის გაპონოვის გარდაცვალებიდან 40 წელი გავიდა, აქამდე არ შექმნილა მისი პიროვნების სიღიღის, ცოდნათა სიღრმის, ინტუიციისა და შემოქმედებითი შესაძლებლობების შემფასებელი ნაშრომი, რომელიც სრულყოფილად თუ არა, ოდნავ მაინც შეგვახედებდა იმ უნიკალურ „ლაბორატორიაში“, რომელსაც ბორის გაპონოვის სამყარო ერქვა. მიხეილ ფიზიციის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ეს



მისია სწორედ მან იკისრა და საზოგადოებას აჩუქა უნიკალური წიგნი, რომელიც არ გასვენებს, გაფორიაქებს, მუდამ თავისაკენ გეწევა, რათა კიდევ ერთხელ სინანულთან ერთად განიცადო სიამოვნება, რასაც დიდ ნიჭიერებასთან შეხვედრა იწვევს. სინანულის განცდა კი იმითაა გამოწვეული, რომ სიცოცხლეში ვერ მივაგეთ სათანადო პატივი, ვერ დავაფასეთ ის კაცი, რომელიც აქვე, ჩვენს გვერდით ცხოვრობდა; ის კი არ ვიცოდით, რომ მას უკვე უკვდავებაში ჰქონდა ბინა დადებული. ეს უშვებნიერესი წიგნი პირველივე სტრიქონიდან გიზიდავს, გზიბლავს და მოსვენებას გიკარგავს, რადგან ხვდები, რამდენი რამ არ ვარგუნეთ კუთვნილი ბედისწერის მორჩილ გენიოსს... აი, როგორ იწყებს თხრობას ავტორი: „ჭეშმარიტი მგოსანი არა მხოლოდ მშობელი ხალხის შვილია, თარგმნის ხელოვნების მეოხებით იგი სხვა ერების კუთვნილებაც ხდება, მიუხედავად იმისა, მონათესავეა, მეზობელია თუ საერთოდ შორეულია ეს ერი თავისი ენით, კულტურითა და ტრადიციებით, მაგრამ მაინც საკუთარი ერისა და ქვეყნის სიმბოლოდ რჩება.“

ბორის გაპონოვის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალიდან ებრაულ ენაზე (ივრითზე) თარგმნა და ისრაელში 1969 წელს ლამაზ წიგნად გამოცემა, ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების უდიდეს მოვლენად იქცა და ჭეშმარიტად მსოფლიო მასშტაბის სახელი მოიპოვა. რაც შეეხება მთარგმნელს – ბორის (დოვ) გაპონოვს

(1934-1972), მას ბევრი ყოფითი თუ მატერალური სიძნელე ზედა წილად, მაგრამ წონასწორობა არასოდეს დაუკარგავს და თანდაყოლილი სულიერი სიმტკიცის წყალობით, სასოწარკვეთილებას არ მისცემია, მოთმინებით იტანდა ყოველგვარ გასაჭირს. და, როგორც ავტორი აღნიშნავს: „მთელი თავისი არსებით, ყოვლისშემქმნელის რწმენითა და მომავლის იმედით გამსჭვალული ბორისი, ჩემს წარმოსახვაში, ოპტიმისტურად და მრავალტანჯული ებრაელი ხალხის განსახიერებად რჩება“.

პიროვნებას სხვადასხვა გარემოება აყალიბებს: ოჯახი, ტრადიციები, ერის ისტორიული მეხსიერება, ეპოქა, კულტურა და ის ატმოსფერო, რომელშიც ის ცხოვრობს. ამიტომ ბორის გაპონოვისთვის არაფერი უცხო და განსაკუთრებული არ იყო, რაც შემოქმედს, ხელოვანს არ განეცადოს და გადაეტანოს იმ „ავადსახსენებელ“ ხანაში. მან იცოდა ადამიანური ბედნიერებაც და უბედურებაც, წარმატების, შემოქმედებითი მიღწევების სიხარულიც და თვითდამკვიდრების სირთულეც, შემოქმედებითი წვის სიამეც და ტრიუმფის ხიბლი, უიღბლობაც და ადამიანური სისუსტეც.

ბატონი მიხეილი დიდი გულწრფელობითა და სიყვარულით აღწერს ბორის გაპონოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის არაერთ მღელვარე მომენტს, რომელსაც საოცარი ღირსებით უმკლავდებოდა დიდებული პოეტი და მთარგმნელი. ავტორი თითქოს, სხვათა შორის, მაგრამ მსუყვე ფერებით გვიხატავს ბორის გაპონოვის მუყაითობასა და შრომისადმი დამოკიდებულების, შრომის ორგანიზაციის ნიუანსებს. გვაცნობს, თუ რა სიღრმისეულად ფლობდა იგი ივრითს, სადაც მისთვის არ არსებობდა გადაულახავი სირთულე, მიუხედავად იმისა, რომ 18 საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, ივრითი აღარ იყო ებრაელებისათვის მშობლიური, საურთიერთობო ენა, ის არსად ისწავლებოდა და აღარ იხმარებოდა ზეპირ მეტყველებაში.

ბორის გაპონოვის მიხეილ ფიზიცი-სეული შეფასებისას გახსენდება რუსთაველის სიტყვები – „მაღლად მხედი“ და ასეთად მესახება იგი შემოქმედებაში თუ ადამიანებთან ურთიერთობაში. „მაღლად მხედი“ პიროვნება ცხოვრებას ორმაგ ჭრილში აცნობიერებს. ერთის მხრივ, ზესთასოფელს, სადაც მარადიული ფასეულობები მუდმივი ფიქრის, ფილოსოფიური განსჯის, მედიტაციის სამყაროა; მეორე კი „ამა სოფლის“ ის სამყაროა, სადაც ერთად

დულს კაცთმოყვარეობა და კაცთმოძულეობა, სიტკბო და სიმწარე, პატივმოყვარეობა და თავმდაბლობა, მაღალი ზნეობა და უზნეობა. ეს „ღუალიზმი“ შეიძლება თავისებურად გადაწყვიტოს შემოქმედმა თავის ნაწარმოებებში, მაგრამ ყოველთვის არ ჩანდეს მხატვრული სამყაროს ზედაპირზე განფენილ სახეებში. მკითხველისაგან ისინი უფრო ღრმა წვდომას მოითხოვენ. „მაღლად მხედი“ პიროვნება ნაწარმოების სტრუქტურასა და დრამატურგიაშიც ჩანს, სადაც ორი შრე იკითხება: პიროვნების ჩაკეტილი სულიერი სამყარო და გახსნილი სივრცე „ამა სოფლისა“.

ბორის გაპონოვთან ახლო მეგობრული ურთიერთობიდან გამომდინარე, არაერთ ეპიზოდს იხსენებს ბატონი მიხეილ ფიზიცი. რად ღირს თუნდაც ბორისის მიერ ივრითის „ფრაზეოლოგიური ლექსიკონის“ მომზადება: „1964 წელს მოსკოვში დაიბეჭდა „რუსული ენის ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“. ორტომეული 4 000 ლექსიკურ ერთეულს შეიცავს. მივართვი რა ბორისს საჩუქრად, შევნიშნე:

– ხომ შეიძლება შენს კარტოთეკაში თავმოყრილი მასალის სისტემატიზება და ანალოგიური ლექსიკონის შედგენა? ეტყობა, წინადადება მოეწონა, ნიკაპზე მარჯვენა ხელი მიიღო, წამით ჩაფიქრდა და ალერსიანად მომიგო: ესინჯავ, იდეისა და ლექსიკონისათვის მაღლობა.

მართლაც, „სინჯა“ და 1970 წლის დასაწყისისათვის ლექსიკონი ასევე 4 ათასი ერთეულის მოცულობით მზად ჰქონდა დასაბეჭდად. ხელნაწერმა ისრაელში მაღალი შეფასება მიიღო, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე არ გამოქვეყნებულა“.

ეს მაგალითი იმისათვის მოვიტანე, რომ კიდევ ერთხელ ვიგრძნოთ დიდებული შემოქმედის უსაზღვრო ნიჭიერება და საოცარი შრომისუნარიანობა. ბორის გაპონოვის ინტელექტი, ფართო ერუდიცია, მაღალი კულტურა, „ევროპეიზმი“ (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით) – ის ცნებებია, რომლებიც ჰარმონიულ მთლიანობას ქმნიან და სრულად წარმოჩნდებიან მისი მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში (პოეზია, თარგმანი, ლექსიკოგრაფია). როგორც ჭეშმარიტი ინტელიგენტისათვის, მისთვისაც უცხო იყო ქედმაღლობა და ამპარტავნება. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება არ გაგახსენდეს დედა ტერეზას ლოცვა: „უფალს ვთხოვე, წაეღო ჩემი სიამაყე და მან მიპასუხა – არა. მითხრა: „სიამაყეს კი არ ართმევენ, მასზე თავად ამბობენ უარს“.

წიგნში ნათლად იკვეთება მოკრძალება და თავმდაბლობა შერწყმული საკუთარ შემოქმედებით შესაძლებლობებში ღრმა რწმენასთან; გაპონოვის ეს თვისება გასდევდა მთელ მის მოღვაწეობას და განსაკუთრებულ ხიბლს ჰყენდა მას. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ პიროვნების თავისებურებიდან გამომდინარე, ადამიანური თვისებები ყოველთვის არ ძვეს ზედაპირზე, იგი ყველასათვის არაა მისაწვდომი, ხელშესახები.

შემოქმედი პიროვნება რთული კატეგორიაა. მისი ნამდვილი ბუნება ხშირად ძნელად შესაცნობია და უცხო თვალისათვის დაფარული. პიროვნული თვისებები კი ყველაზე სრულად შემოქმედებაში აისახება. თუ გარეგნული მონაცემებით ვიმსჯელებთ, თვალის ერთი გადავლებით, პიროვნების თვისებები, მწერლის ბუნება და მისი შემოქმედების ნაყოფი შესაძლოა არც ემთხვეოდეს ერთმანეთს, მაგრამ ეს შეხედულება მცდარია. შემოქმედებითი შრომის შედეგი უფრო სარწმუნოა, ვიდრე ავტორთან თუნდაც ყოველდღიური კონტაქტი. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს ბორის გაპონოვის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე მუშაობის უმნიშვნელოვანესი შედეგი, რაც ივრითის პოტენციური შესაძლებლობებისა და მისი შინაგანი რეზერვების მოძიებაში, სიტყვათწარმოებაში ებრაული ანბანის თანხმობანებით მანიპულირების ფართო შესაძლებლობების გამოვლინებასა და გამოყენებაში გამოიხატა. როგორც წიგნის ავტორი ბატონი მიხეილ ფიზიცი აღნიშნავს: „გაპონოვისეული თარგმანის წყალობით, თანამედროვე ივრითს დიდი ნაკადით შეერწყა ახალი სიტყვები და შესატყვისები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი თვით მთარგმნელ-მკვლევრის მიერაა შექმნილი. ამ სფეროში ბორის გაპონოვის ნაყოფიერი შემოქმედება სრულადაა წარმოდგენილი მის მიერვე შედგენილ და თარგმანის გამოცემას დართულ ლექსიკონში. ნეოლოგიზმების გარდა ის შეიცავს თანამედროვე ივრითში არ ხმარებულ, ნაკლებად გამოყენებულ თუ საერთოდ უცნობ სიტყვებს, რომელთა წყალობით გამდიდრდა და განვითარდა ალორძინებული ქვეყნის წმიდა ენის ლექსიკური ფონდი. სწორედ შემოქმედების ამ სფეროში მიღწეული წარმატება გახდა ერთ-ერთი გადაწყვეტი ფაქტორი პოეტის, მთარგმნელის, მკვლევარის ივრითის აკადემიის წევრად არჩევისას“. ივრითის აკადემიის წევრად ხომ მსოფლიოში აღიარებულ მეცნიერებსა და ლიტერატორებს

ირჩევენ! გაპონოვის ფენომენის სიდიადე იმაშიც მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ ივრითის აკადემიის წევრად პირველად აირჩიეს 37 წლის ნაკლებად ცნობილი ახალგაზრდა კაცი, ერთადერთი ნაწარმოების უბრწყინველესი თარგმანისათვის. ისიც გამონაკლისი იყო, რომ ფარული კენჭისყრის ნაცვლად ბორის გაპონოვი ღია კენჭისყრით აირჩიეს ივრითის აკადემიის საპატიო წევრად, სწავლულმა მდივანმა კი ბრძანა: „ვთქვათ, რომ დოვ გაპონოვი ლინგვისტია, – ეს ცოტაა. ენის ცოდნის ასეთი დონე როდი მიიღწევა თუნდაც გულმოდგინე და თანამიმდევრული შესწავლით. ეს (ცოდნის დონე) – ზეციდან ნაბობებია. გაპონოვმა ეს საჩუქარი მიიღო ზენაარიდან, ერთბაშად და მთლიანად... როგორი ნიჭიერი მთარგმნელიც არ უნდა ყოფილიყო გაპონოვი და როგორ სრულყოფილად არ უნდა სცოდნოდა ივრითი, ის ვერ შეძლებდა თითქმის 7-ათასსტრიქონიანი პოემის გადათარგმნას, თვითონ რომ არ ყოფილიყო პოეტი“... მიჰყვები მიხეილ ფიზიციის წიგნის გულწრფელ სტრიქონებს და მკითხველის თვალწინ კინოკადრებივით ჩაიქრლებს დიდებული მთარგმნელისა და მკვლევრის ტკივილითა და სიხარულით, სიბრძნითა თუ ჭმუნვით, სიკეთითა თუ უკეთურებით გაჯერებული ცხოვრების გზა, რომელიც არც თუ იშვიათად დიდ სულიერ ტკივილს აყენებდა სიღარიბეში მცხოვრებ ჭეშმარიტ გენიოსს.

იმის მიუხედავად, რომ ბორის გაპონოვის შემოქმედების მიმართ იყო მცირე გამოწონაობები, მისი ღვაწლის სრულყოფილი შეფასება აქამდე არ ყოფილა. ამიტომაც მაღლობას იმსახურებს ბატონი მიხეილ ფიზიცი, რომელმაც თავს იღო დიდი

მისია – 40 წლის შემდეგ გაეცოცხლებინა უდიდესი ნიჭის შემოქმედი, რომელთან მეგობრობამაც მას საშუალება მისცა ბორის გაპონოვის ცხოვრების მრავალი უცნობი და დაფარული ისტორია გამოეტანა დღის სინათლეზე, რათა კიდევ ერთხელ დავეფიქრებინეთ ებრაულ-ქართული სიკეთისა და სიყვარულის მქონე შემოქმედი კაცის ბედზე, რომლის სახელსაც დავიწყება არ უწყერია, ვიდრე იარსებებს რუსთველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“.

მიხეილ ფიზიციის წიგნი „სიტყვა ბორის გაპონოვზე“, რომლის გარეკანს ამშვენებს ამერიკაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულის, ცნობილი მხატვრის ცისანა ჯანაშვილის მიერ შექმნილი ბორის გაპონოვის მშვენიერი პორტრეტი, წარმოადგენს პოეტის, მთარგმნელის, მკვლევრის, პოლილოგის, ჰუმანისტის სულიერი სამყაროს, ფენომენალური ნიჭის, ინტუიციისა და სიღრმისეული ცოდნის ასახვას, რამაც განაპირობა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის გენიალური თარგმანი უშუალოდ ქართულიდან ძველებრაულ ენაზე (ივრითზე). ეს თარგმანი აღიარებულია ეტალონად და მსოფლიო ლიტერატურის ფენომენად. ბორის გაპონოვის პორტრეტი კი იხატება, როგორც სახე გამოჩენილი ებრაელისა, ორი უძველესი თვითმყოფი ერის – ებრაელთა და ქართველთა ტოლერანტობის, მათი ძმობის, ენისა და კულტურის მესობისა. მაღლობა თქვენ, ბატონო მიხეილ, ყოველივე ამის წარმოჩენისათვის!

ივანე ჯაფარიძე,

დავით აღმაშენებლისა და ნიკო ნიკოლაძის პრემიების ლაურეატი





დარიალის კარიბჭე – ზნეობით, ადამიანობით, ქალობით, ასე უწოდებენ ქალბატონ გიული ჩქარეულს, ვისი პოეზიაც სამშობლოს სიყვარულის ძლიერ მუხტს ატარებს. მისი ლექსი ფიცი და ცრემლია, საუკუნის ბინდიდან ამონთებული მოხვევის ნატვრაა, რომელსაც ყველანი გულისგულში უნდა ვატარებდეთ. გიული ჩქარეული ირლანდიაში ცხოვრობს, ამიტომაც მისი პოეზია სევდიან – ნოსტალგიური, მაგრამ, ამავედროულად, გა-ჟაკაციური და იმედია, „მაშულს ჩახრული წინაპართ ძელების ამოსხივება“ და სისხლის საოცარი ყვილი.

ეს განცდა დამებადა პოეტის მშობლიურ სტეფანწმინდაში, მყინვარის საუფლოში, სადაც მას მოხვევებმა ლამაზი საღამო უსახსოვრეს. გიული ჩქარეულის ლექსებს სამი რამ გამოარჩევს – დიდი სითბო, სიმართლე და გაბედულება, – ბრძანა საღამოზე პოეტმა სოსო ნადირაძემ. თავისი ლექსებით მოკრძალებული ეფერება დამცრობილ, მაგრამ მზით და საოცრებით სავსე საქართველოს... მისი პოეზია მინდვრის ყვავილების ფერია, ამ მიწისა და ცის სურნელებით გამთბარი ყვავილებისა... ამ ყვავილებით უნდა გვიყვარდეს ჩვენი მიწა-წყალი, არ შეიძლება უპატრონოდ დავტოვოთ და გადავთიეღს დავუთმოთ.

საქართველოს სიყვარული აკლია, და თუ ყველა ჩვენგანს ცოტათი მეტად გვეყვარება სამშობლო, მისი მომავალი სევდისფერი აღარ იქნება.

სამშობლოს მიწა მალირსე

შემეხმანა სიბერე,  
ურცხვად ჩამხედა თვალში,  
სხეულს შეხიზნა სიცივე,  
უხმოდ ჩამიდგა კვალში...  
დღეს სადღაც ჩემს წილ მიწაზე  
თოვლს ლურჯად ღებავს ია,  
ხვალ იმ მიწაში ამ სხეულს  
ჩუმად გამოხრავს ჭია...  
შემომეძარცვა დრო ჟამი,  
ამ საწუთროში ყოფნის,  
სამშობლოს მიწა მალირსე,  
დამბადებელი ყოვლის!..



ჩემი მიწა...

სამშობლოდან შორს გაქცეულს,  
ჩუმად მიმაქვს მუჭით მიწა,  
ვგვეარ გულში სისხლჩაქცეულს,  
სევდამ ცრემლებს გზა კვლავ მისცა...  
ვეფერები ჩემს წილ მიწას,  
ეპკურება ჩემი ცრემლი,  
მიწის სუნი აქაც მიცავს,  
„ჭირსა შიგან“ აქაც მშველის.  
დაეკიდა ცრემლი წამწამს,  
ხელისგულზე მიწას მისწვდა,  
უცხო მიწის მადლის არ მწამს,  
ჩუმად კენესის ჩემი მიწა.  
სხვის მიწაზე გადაკარგულს,  
მათბობს მიწა, ერთი მუჭა,  
ცას ვიხსენებ გადაკალმულს,  
ნატვრას ბოლო კვლავ არ უჩანს...  
ნაკუწ-ნაკუწ დაჭრილს კიდევ  
მეც მოგპარე მიწა მუჭით,  
ძვირფას ტვირთად მოგიკიდე –  
შევუდექი ბილიკს დუხჭირს...  
მალვით, ცხადად, მუჭით, ჯიბით,  
ყველამ ერთად თუ ცალ-ცალკე,  
შიმშილით თუ სხვათა ჯიბრით,  
სახლ-კარს ფუძე დაეუცალეთ.  
ცხელო მიწავ, გულს რომ მიწვავ,  
ჩემს მაშულს ნუ დამაცილებ,  
დაგებრუნებ კუთვნილ მიწას,  
თუ შენს მკერდზე დამაძინებ...  
სამშობლოდან გადახვეწილს,  
ხელის გულზე მიდევს მიწა,  
დარდით წელში გადატეხილს,  
ცხელი მიწა ხელებს მიწვავს...

მოხვევს იტყვი, – გულს უხარია,  
მოხვევის გულის აქ მესმის ძგერა,  
მოხვევს ხევი სხვაგვარად უყვარს,  
მოხვევის სისხლის ყივილის მჯერა.  
მოხვევ ხევის გარეშე ვერ ძლებს,  
მოხვევ რჩება უხვევოდ ობლად,  
მოხვევს ქალაქს არ ემღერება,  
მოხვევ მდერის ხალისით სოფლად.  
მოხვევს მტერი კაცურადა სძულს,  
მოხვევის სიტყვა ცეცხლია ალის,  
მოხვევის ფიცი ძმობის ფიცია,  
მოხვევ ვიცი ბურჯია ხვალის.  
მოხვევ ამაყ მთების შვილია,  
მოხვევ სიკვდილს აქვე ინატრებს,  
მოხვევის საფლავს თერგი უმღერის,  
მოხვევ იცავს თავის წინაპრებს.  
მოხვევის კაცი ჯერაც გაჟაკაობს,  
მოხვევის ქალიც ღიაცობს ისევ,  
მოხვევს ქუდიც ნამუსის ხურავს,  
მოხვევ ადათს მთებისას მისდევს.  
მოხვევის გული სამშობლოს უმღერს,  
მოხვევს გულზე ჰკიდია ჯვარი,  
მოხვევს ამ ჯვარს თუ წაართმევენ –  
მოხვევ მაშინ იქნება მკვლარი.  
მოხვევ მუდამ ამაყად იდგა,  
ხევის სახელი ეჭირა დროშად,  
ხევის გულისთვის მტერთან სიკვდილი,  
მოხვევს მუდამ მიაჩნდა გროშად.  
მოხვევისათვის უნეტარესი,  
მოხვევების ღვიძლი შვილია,  
მოხვევისათვის მისი სახელი,  
გულის ფიცარზე ამოჭრილია.  
მოხვევს ყველა კაცურად უყვარს,  
მოხვევისათვის ხევი ერთია,  
მოხვევისათვის დედაზე უწინ  
დასაფიცარი მხოლოდ ღმერთია.  
მოხვევ იცავს ერის კარიბჭეს,  
მოხვევის სულში სითბოა დიდი,  
მოხვევს გულში სამშობლო სტკივა,  
რომელსაც ზოგი გროშებად ჰყიდის..

### ლევან გოთუას უცნობი ჩანაწერი...

წელს ქართული ალპინიზმის 90 წელი აღინიშნება. თვალს თუ გადავაკვლით ქართული მთამსვლელობის ისტორიას, დავინახავთ, რომ მის სათავეებთან თვალსაჩინო მოღვაწეები და დიდებული ქართველი მამულიშვილები იდგნენ. მათ შორის, ვინც თავისი წარუშლელი კვალი დატოვა მთამსვლელობაში, იყო ქართული მწვერლობის კლასიკოსი ლევან გოთუა, რომელმაც არაჩვეულებრივ მოთხოვნებთან და რომანებთან („გმირთა ვარამი“, „მითრიდატე“) ერთად, შესანიშნავად აღწერა თავისი ლაშქრობები კავკასიონის მწვერვალებზე, რომელიც გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ერთ წიგნად აკინძა „მგზავრული კრიალოსანის“ სახით..



ლევან გოთუა და ალექსანდრა ჯაფარიძე წიწამურში, ილიას ობელისკთან

ლევან გოთუა, შესანიშნავი მთამსვლელი და მოგზაური, დიდ მთასვლურ მიღწევებს, თავისი „ოცნების დიდი მოზიარის“, უახლოესი მეგობრისა და მასწავლებლის, ქართული ალპინისტური სკოლის შემქმნელის – ალიოშა ჯაფარიძის სახელს უკავშირებდა და ალპინისტური მოღვაწეობის დასაწყისად 1937 წელს მიიჩნეოდა.

იმ ავადსახსენებელ დროს, როცა ხალხს საკუთარი ლანდისაც კი ეშინოდა, ხოლო ლევან გოთუას უკვე საკმაო ხანი ჰქონდა გატარებული გადასახლებებისა და ციხის შორეულ საკონცენტრაციო ბანაკებში, მისთვის საქართველოს მთაბარში სიარული და მწვერვალებისაკენ ლტოლვა ერთგვარი პროტესტი იყო არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. იგი მხოლოდ აქ აღიქვამდა სრულად პირველყოფილ მშვენიერებას და ჭეშმარიტი მეგობრობის განცდას. იგონებდა რა თავის პირველ ნაბიჯებს მთამსვლელობაში, იგი წერდა:

„მანამდე მე, ერთი გზაგაუკითხავი, მარტოხელა მოხეტიალე-მოგზაური ვიყავი. ხევიში მოგზაურობისას, ალიოშა ჯაფარიძის სახელოვან ხმას ავყევი და მეტეოსადგურში ავედი... ნამდვილი მთამსვლელობა, ყველა წესებითა და სიმბოლოებით, ხდეს ხეობაში, შავანაზე ვნაზე და აღვწერე კიდევაც. ასე დაიწყო ჩემი და ალიოშას დამეგობრება. ჩვენ არა მარტო თოკი და ძნელსავალი გვაანლოვებდა.

განა მარტო მწვერვალებისა და ბუნების სიყვარული. ჩვენში მთამსვლელობა მარტო მთაზე მსვლელობა არასოდეს არ ყოფილა, იგი ჩვენი ეროვნული ყოფით, ისტორიითა და გეოგრაფიით ნაკარნახევი ვაჟკაცური მოღვაწეობა იყო და არის! ალიოშას მეშვეობით ჩემს ანგარიშზეც მომრავლდა მწვერვალები, გადასახლები, მიუვალი გამოქვაბულები. მე თავის დროზევე ვეცადე ეს დაუვიწყარი გზები და დღეები კალმითა და წერაყინით აღმებეჭდა ჩემს ნარკვევებში. ასე იშვა „ხდედალეული“, „თეთრი სავალი“, „ვაჟას სამყაროში“, „ხვამლის ციხეკვაბული“, „კაცხის სვეტის საიდუმლო“ და სხვა. ამ ნარკვევების კალამი თუ მე მეკუთვნის, წერაყინი და სული უსათუოდ ალიოშასია!“.

ლევან გოთუამ ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეებთან ერთად, მრავალი მიუვალი მღვიმე თუ ქვაბი გამოიკვლია და კავკასიონი ურთულესი მწვერვალები დალაშქრა. მათ კავკასიონზე აიტანეს ქართველ მწერალთა დიდი პარანასი და პირველამსვლელთა უფლებით მწვერვალებს დაანათლეს დიდი ილიას, აკაკის,

ვაჟას, სულხან-საბა ორბელიანის, ნინოშვილისა და მარჯანიშვილის სახელები.

ლევან გოთუას მოგზაურობა შემოქმედებად მიიჩნეა და ფიქრობდა, რომ „ადამიანი, რომელიც არ იცნობს თავის მშობლიურ მიწა-წყალს, არც არის ღირსი ამ მიწა-წყლისა“. ამ მოგზაურობების დროს ბატონი ლევანი ყურადღებით სწავლობდა კავკასიონის მაღალმთიანეთის ბუნებას და ასევე შეუმჩნეველი არ რჩებოდა თოკში მასთან ერთად ჩაბმული მეგობრის ზნე თუ ხასიათი. ამ ლაშქრობების მონაწილე თანამგზავრთა პორტრეტებს, შემდგომ პროტოტიპებად იყენებდა თავის მოთხრობებსა თუ რომანებში.

ლევან გოთუას განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა ლევანდარული მთამსვლელი ქალის – ალექსანდრა ჯაფარიძის მიმართ, რომელთან ერთად, მას არაერთი ტრავერსი განუხორციელებია და მრავალ მწვერვალი დაულაშქრავს კავკასიონზე. ჩვენი ოჯახის არქივში აქამდე ინახებოდა ერთი ჩანაწერი, რომელიც ასეა დასათაურებული: „მრავალთავან ერთადერთი“. ბატონი ლევანი ჩვეული გულწრფელობით აღწერს თავისი თოკის მეწყვილის პორტრეტს, რომელსაც პირველად ვთავაზობთ ჩვენი ჟურნალის მკითხველს:

„არსებობენ ადამიანები, რომლებიც გვაოცებენ თავიანთი სიმშვიდით. მე იგი ლაშქრობისწინა ცხარე კამათის პირობებშიც მინახავს, ყოველთვის მშვიდად და გულისხმიერად გამოიყურებოდა. მაგრამ, როცა იგი წყნარი ხმით იწყებდა საუბარს, ყველა უნებურად ჩუმდებოდა და ყურადღებით უსმენდა. იგი მინახავს ალპინისტური ბანაკების მოუსვენარ ვითარებაშიც, როცა მწვერვალის შტურმის წინ ზუსტად და საქმიანად იძლეოდა უკანასკნელ განკარგულებებს, თავისი მშვიდი გამოძეველებით ყურადღებას აქცევდა რა ყველა წვრილმანს, უნებურად მუხტავდა სიმშვიდით ახალბედა ალპინისტებს, რომლებიც პირველ მწვერვალზე მღელვარებით მიდიან და გამოცდილ ინსტრუქტორებსაც, რომლებიც მოუსვენრად გამოიყურებოდნენ. იგი უზარმაზარ ზურგჩანთამოკიდებული ვნაზე აილაშქრებდა რთულ ყინვარდნილზე, როგორ ეკიდა თოკით უძირო ნაპრალის თავზე და იქაც ისეთივე წყნარი და თავმჯდომარეული იყო, როგორც ყოველთვის.

დიახ, ალექსანდრა ჯაფარიძის სიმშვიდე და თავმჯდომარეობა ნამდვილად განცვიფრებს.

მთამსვლელობას იგი 1923 წლიდან მისდევს, როცა ალექსანდრე დიდებული მთა მოწყობილ მყინვარწვერის ექსპედიციაში მონაწილეობდა.

იგი, როგორც მთამსვლელი, უფროსია მთამსვლელ ჯაფარიძეთა შესანიშნავ ოჯახში. ამ ოჯახიდან იყო გამოჩენილი მთამსვლელი სიმონ ჯაფარიძე, რომელიც 1929 წელს დაიღუპა თეთნულდზე, მაგრამ ამ მსხვერპლმა მხოლოდ გააძლიერა ალპინისტური მოძრაობა.

მეორე წელსვე (1930 წ.) ალექსანდრა ჯაფარიძემ, თავის ძმასთან – ალიოშასთან (ამჟამად ალპინიზმის სპორტის ცნობილი ოსტატი) ერთად განახორციელა პირველი საბჭოთა ასვლა ბელუკულმართ თეთნულდზე, რომელიც დაღუპული ძმის ხსოვნას მიეძღვნა. ეს საკვირველი ალპინისტური „შურისძიება“ თავისი არსით ღრმად ადამიანურ გრძნობას წარმოადგენს, რომელიც სცილდება ალპინიზმის ფარგლებს.

ალექსანდრა ჯაფარიძის მთელი შემდგომი ალპინისტური მოღვაწეობა დაკავშირებულია იმ ასვლებთან, რომლებიც ქართული და საბჭოთა ალპინიზმისათვის საეტაპოა. მაგალითად, 1934 წლის პირველი საბჭოთა ასვლა უშბაზე, კავკასიონის ქედის ტრავერსი გაუვალ მონაკვეთში, ფასის მთიდან წურუნგალამდე 1938 წელს და ბოლოს წურუნგალა-შხარის უმაღლესი ტრავერსი. განსაკუთრებით ფასეულია ის, რომ ალექსანდრას პიროვნებაში ჰარმონიულადაა შერწყმული გამორჩეული ალპინისტური ტალანტი პედაგოგის ტალანტთან.

მან ასეულობით ახალგაზრდა მთამსვლელი აღზარდა. მისი უშუალო ხელმძღვანელობით სრულყოფდა და იმაღლებდა კვალიფიკაციას ალპინიზმის მრავალი ინსტრუქტორი. იგი ალპინიზმში, მეგობრებისა და მოწაფეებისათვის მართლაც ცოცხალი მაგალითია.

მოწინავე მთამსვლელი, მეცნიერი, პედაგოგი, მეგობარი და საზოგადო მოღვაწე – განსაკუთრებული თავმჯდომარეობითა და გულისხმიერებითაა გამორჩეული.

იგი, მართლაც, ერთადერთია მრავალთა შორის“.

# გლობალიზაცია ეროვნული და სარწმუნოებრივი თავისთავადობის წინააღმდეგ

თამარ შაიშველაშვილის ინტერვიუ პუბლიცისტ ზვიად ნოლიასთან

– დღეს მავანთ ქართულ მწერლობას საბრძოლო კამპანია გამოუცხადეს. სამშობლოსა და პატრიოტიზმის მიმართ აგდებულ დამოკიდებულებასთან ერთად, გლობალიზაცია სასურველ მოვლენად ცხადდება. ლიბერალისტული იდოლოგიის გადმოსახედიდან სისულელეა წინაპართა ღვაწლიც და რელიგიური რწმენისათვის თავგანწირვაც. ჯანსაღი პატრიოტული გრძნობის გამოვლენა თურმე ფაშიზმი ყოფილა, სამაგიეროდ ქადაგებენ ეროვნულ ნიჰილიზმს... რატომ?

– ჯერ კიდევ გასული საუკუნის მამები შენიშნავდნენ და მეც ვხვდები, რომ ქრისტეს წესრიგის ჩანაცვლება ახალი მსოფლიო წესრიგით სხვა არაფერია, თუ არა წარმართობის რევანში ქრისტიანობაზე... ამასთან დაკავშირებით მასონებმა პირდაპირ დაწერეს – ოცი საუკუნე ვერ დაგამარცხეთ, ნაზარეველო და ახლა დადგა ჩვენი დრო! ეს იმას ნიშნავს, რომ მრავალსაუკუნოვანი ქრისტიანული ღირებულებები, ცნობიერება, ორიენტირები, გლობალიზაციისა და შესაბამისად, ამოყირავდა: სწორედ წარმართობის არსენალიდანაა ე. წ. სექსუალური რევოლუცია, ლგბტ (ლესბოს-გეი-ბისექსუალ-ტრანსსექსუალების) აღვირახსნილობა, ვითომ თავისუფლება, რაც სინამდვილეში ღმერთისგან განთავისუფლება და დემონთა ჭკუაზე ნავარდია. გამომდინარე აქედან, ე. წ. ლიბერალისტულმა იდეოლოგიამ მოიცვა მწერლობაც, ხელოვნებაც, საზოგადოებაც – განურჩევლად სოციალური ფენისა; განსხვავებით ქრისტეს ფორმულისა – „განაგებ ძველი კაცი და შეიმოსე ახალი კაცი“, რაც ნიშნავდა წარმართი კაცის შეცვლას ქრისტიანი კაცით, სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველი და სამოთხეში ასამაღლებელი კაცით, სანაცვლოდ მსოფწესრიგმა ჩაიფიქრა ქრისტეს ახალი კაცის საწინააღმდეგო ახალი ადამიანის გამოყვანა და სწორედ ამ პროცესს ეწირება თქვენგან ნახსენები მართალ წინაპართა ღვაწლიც და ეროვნულ-სარწმუნოებრივი მემკვიდრეობითობაც, თვით ამ სამართლიანი შემართების (გნებათ – პატრიოტიზმის) კრიმინალად გამოცხადების, ჩახშობის, აღმოფხვრის დონემდეც კი...



ეს არის სახე ყოვლისმომცველი გლობალიზაციისა, რომელიც იკვებება ყველა ხალხის ეროვნული და სარწმუნოებრივი თავისთავადობის გამოხვედრით, რათა გააბატონოს მსოფლიო მასონური იმპერიალიზმი.

ეს გახლავთ ახალი რეალობა, უფრო სწორად იმ მრავალსაუკუნოვანი, ფარული მასონური მოძრაობის გაცხადება, რომელსაც თავადვე „შეთქმულების თეორიად“ აშარაუბდნენ, ზღაპრად აცხადებდნენ, რომ ადამიანთა ინტერესი ჩაეკლათ იმ დრომდე, სადამდეც საბოლოოდ ძალას მოიკრებდნენ, ხოლო მას მერე, რაც მსოფლიოს შემოეჭდნენ, უკვე თვითონაც არ მალავენ. მიუხედავად ყველაფრისა, უუძველეს ქართველურ მოდგმას ეროვნული ნიჰილიზმის რომ არ უნდა ემინოდეს, ეს 17 მაისის კონტრაქციამ დაამტკიცა, რითაც დაუპირისპირდა გლობალიზაციის ძალადობრივ ფსიქოლოგიურ ტერორიზმს, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთობლივ ბრძოლას აზრი აქვს, ოღონდ თანამედვერულ, მტკიცე და შეურყეველ გამარჯვებამდე. ეს კი ოდენ ჯოჯოხეთის ბჭეთაგან მოურევნელ ქრისტეს ეკლესიას ეძღმოსილება და მასში, როგორც ნოეს კიდობანში გამაგრებულ მებრძოლებს: ცანი და ქვეყანანი გადავლენ, მაგრამ ღვთის სიტყვა არ გადავა – აპოკალიფსი აღესრულება და აპოკალიფტური მხეცის მომრევი ქრისტეს გარდა არავინ და არაფერია.

– ამ ბოლო დროს ხშირად გაიგონებთ აგიოგრაფიული მწერლობის კრიტიკას. ყველაფერი ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებამდე დაჰყავთ... შეურაცხყოფილია შუშანიკი,

წმინდა ნინო... ოთარაანთ ქვრივი „სქესჩამქრალი ქალია“ და ადამიანი მხოლოდ ბიოლოგიური არსებაა. რომ თურმე არ შეიძლება, „საუკუნეების წინანდელი მორალური ფასეულობები ინსტრუქცია იყოს დღევანდელი ადამიანისთვის“... თქვენ როგორ შეაფასებდით ამ ტენდენციას? შეიძლება თუ არა ქრისტიანისათვის მორალური ფასეულობები დაიყოს და შეფასდეს ეპოქალური ნიშნით?

– როგორც ზევით აღვნიშნე, მიმდინარეობს განდმრთობადი ადამიანის გამიწიერების პროცესი, რისთვისაც: ძირფესვიანად უნდა ამოშანთულ და დავიწყებულ იქნეს სამოთხესთან დამაკავშირებელი მეხსიერება, ცნობიერება, გადმოცემები, სწავლება, დამწერლობა, მათ შორის აგიოგრაფიული მწერლობის დამსახურება... უნდა განხორციელდეს ისტორიული და ლიტერატურული პერსონაჟების, ოღონდ ისტორიული წმიდანების, მაგალითად შუშანიკის, ქეთევანის... დადებითი პერსონაჟების მისაბამი უნარ-ჩვევების, მორალურ-ზნეობრივი და სულიერ-რელიგიური ადათ-წესების დევალვაცია, გაბითურება, დაგმობა, როგორც თანამედროვეობისთვის დრომოჭმული, გამოუსადეგარი და მოსაკვეთი გადმონაშთისა, და როცა ეს სრულად მოხდება, მაშინ გზა ხსნილი იქნება ანტიქრისტესთვის, ანუ განდმრთობისთვის შექმნილი ადამიანის გაეშმაკებისთვის. ადრეც იმდენნაირი „ტვინის გამორეცხვა“ ჩაუტარა – მითოსური ყოფიერებით და ცნობიერებით (დემონები ღებულობდნენ ჰერმეფროდიტული „ღმერთების“, „ცხენკაცების“, „ქალთევზების“ სახეს და თანამოქალაქობდნენ ადამიანებთან), რომ სამოთხისეული მეხსიერება – ცნობიერება გადაუკეთა და გააწარმართა; ასე დაიწყო მაშინდელი აპოსტაზია (ღმერთისგან დაშორება) და აპოსტაზიურ-აპოკალიფსური ბოლო ჟამისკენაც ზიარჭურჭლის პრინციპით ამოიწია მითოსმა, წარმართობამ, კერპთაყვანისმცემლობამ და ათეიზაცია-გლობალიზაციით დასუსტებულ ქრისტიანთა მანქურთიზაციას შეუღდა.

ასე მაგალითად, თუ ილიას დროინდელი ოთარაანთ ქვრივი და აქეთ-აქეთ მოყოლებული „მაგდანას ლურჯას“ ქვრივი პერსონაჟის ჩათვლით, ვიდრე მეორე მსოფლიო ომისგან დაქვრივებულ ომარ მხეიდის (ქორეოგრაფი) სულ ახალგაზრდა დედამდე, რომელიც თავისი სილამაზის დასამალად (რათა ვინმე არ ეცთუნებინა და თავადაც არ ცთუნებულიყო) სახეს იმურავდა და იბურავდა, აწ უკვე,

დღევანდელი „ცნობადი სახეები“ მაგიდაზე მროკავ ამერიკელ სტრიპტიზორზე აქეზებენ ქართველ ქალებს – „ეჰ, თქვენ ამას ვერ შეძლებთ“... და ისინიც, „დავეწიოთ და გავასწროთ აშშ-ს“ – ამ პრინციპით ერთმანეთს ეჯობებებიან ნეოანტიკურ ფიზიკურ-სექსუალურ კულტ(ურა)ში... რატომ? იმიტომ, რომ ქრისტიანობის წყალობით ზეცისკენ გაჭრილი სულიერი პოტენცია-მდგრადობა ხელოვნურად ჩაახშო რა მასონურმა ათეიზმმა და დაკარგა რა ქართველმა იდენტიფიკაცია საღვთო ერთან, ანუ ქართველი მართლმადიდებელს აღარ უდრის არსობრივად (თუმც, ყველაზე არ ვანზოგადებ), შესაბამისადვე დაკარგა სულიერი განზომილება, სულიერი ჭიპლარი, სულიერი ორგანო, და გადაიქცა ცალმხრივ, ოდენ ბიოლოგიურ-იზოლოგიურ არსებად (რაც, სამწუხაროდ, მისასამძიმრებელია!)...

ბუნებრივია, როცა ზეცისკენ გზა იკეტება და ადამიანი მიწიერ ნაჭკუჭში გამოემწყვდევა, იგი იწყებს მის ირგვლივ ყოველივეს მუსრის გავლებას და შემდგომ საკუთარი თავის, ანუ ადამიანის ჭმას – კანიბალიზმს (ინგლისში უკვე იყიდება საქონლის ზორცისგან იმიტირებულ-მოდულიცირებული „კაცის ზორცი“... განა არ არის ეს წაქეზება კანიბალიზმისკენ?!), რაც ემატება და ვლებულობთ ლგბტკ-ს, ასევე – იწყებს ინცესტს (სქესობრივი კავშირი უახლოეს ნათესავებს – მათ შორის, მშობლებსა და შვილებს შორის, რაზედაც ქადაგებდნენ წინასწარმეტყველნი), რითაც ვლებულობთ ლგბტკი-ს და ყოველივე ამას შესაძლოა დაამატონ „ღვთისგან დაჩაგრული თავისუფლებისთვის მებრძოლი“ (სატანისტების სიტყვებია) სატანის საყოველთაო კულტიც და ასე ფართოვდება ეს ვითომ უწყინარი ლგბტ-ს გადამგვარებელი მოცემულობა დედამიწის მასშტაბით და კაცობრიობა შედის ჩინში, როგორც ადამიანური მოდემის განგრძობის მხრივ, ასევე სასუფეველში დაბრუნების პერსპექტივის მხრივ, როგორც ღვთის რისხვის განმაპირობებელი და ჩამაქვესკნელებელი ცრუ ცივილიზაცია!

და ასეთ პირობებში სად უნდა იდგეს მღვდელი, თუ არა კაცის სასიკეთოდ შექმნილი ღვთის კანონის სადარაჯოზე?! უწინარესად, სწორედ ღვთისმსახურია ღვთის სჯულის მოდარაჯე და, ცხადია, მას მოეთხოვება ხმა აღიმადლოს ამ ანომალიურ-დამღუპველი ზნედაცემულობის წინააღმდეგ, ანომალია და გასაკვირ-დასაძრახი ის იქნებოდა, თავისი მოვალეობა რომ არ შეესრულებინათ 17 მაისს. ამიტომაც, სხვათა დასაშინებლად,

მათი სამაგალითო დასჯა აწყობთ ღვთის სჯულის მოწინააღმდეგე („იცან მათ ღვთის სამართალი, რომ ამის მოქმედი სიკვდილს იმსახურებენ, მაგრამ არამართო აკეთებენ ამას, არამედ გამკეთებლებსაც კვერს უკრავენ“ (რომ 1, 18-32),) ლგბტ-ეობის აღმძვრელებს და საქმე ისეთი ზეწოლით მიჰყავთ, რომ ყველას ავიწყდება რაშია საქმე, რაა მთავარი ათვლის წერტილი, მისადგომ-მისასვლელი და ამოსავალ-გამოსავალი, რითაც უნდა მიუდგე ამ საქმის განხილვას:

მთავარი განსაკუთრებით ის, რომ ქრისტიანები (განსხვავებით წარმართებისგან) ერთდროულად ორი სოფლის – ზესთა სოფლის და მისთვის მოსამზადებელი წუთისოფლის მოქალაქენი არიან და მათთვის პრიორიტეტულია ღვთივადგენილი იმ წეს-კანონ-სამართლის მიყოლა, რომელთა დაცვის გარეშე ვერ მიაღწევს ჭეშმარიტ და მარადიულ ზესთასამშობლოს. ლგბტე-ობა ხომ ღვთისგან აკრძალულია ბიბლიურადაც, ქრისტიანულადაც და ტრადიციული ქართული სამართლითაც დასჯადია, როგორც სასიკვდილო ცოდვა, მით უფრო გამავრცელებელი პროპაგანდა, რომელიც ცუდს კარგად ასაღებს და ასულელებს ხალხს და ამ საღვთო კანონმდებლობის დამცველთა დასჯა სიზმარშიც არ მოუვიდოდა აზრად არავის... მაშ, ვინ ჩაიგდო ზელთ ჩვენი სამშობლო და სამართალი? თუკი კაცობრიობის საუკეთესო მონაპოვარს – ბიბლიას და ქრისტიანობას არად დაგიდევს, მაშ, რა ურჯულოა ასეთი?! ანუ, ამ არაქრისტიანული და არაქართული კანონმდებლობით რაიმე იურიდიულ კაზუს-ლაფსუსთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ უცხო, არაქრისტიანულ-არაქართული სახელმწიფოს ასეთივე იურისპრუდენციასთან.

ესე იგი, აბსოლუტურად ირღვევა ქართველ ქრისტიანთა უფლებები, რათა იძულებით შეეგუონ სამოთხისკენ გზის ჩახერგვას და დაემსგავსონ წარმართებს, ანუ, არსებითად, სწორედაც რომ საამისოდ ხდება ღვთის სამართლის გადახაზვა უსამართლო და ცვალებადი ამო სოფლის იმგვარი კამონმდებლობით, როგორსაც უცხოეთის მითითებით, სიტუაციასთან შესატყვისად ჭრიან და კერავენ ნეომითური ხელისუფლანი მითიური პროკრუსტესავით (ყაჩაღი, რომელიც იტყუებდა მგზავრებს და აწყენდა სარეცელზე – ვინც გრძელი აღმოჩნდებოდა, ფეხებს აჭრიდა, ვინც მოკლე – ფეხებს უჭიმავდა. – აი, ასეთია ამათი სამართალიც...).

ასე და ამრიგად, ქრისტიანებს თანამიმდევრულად და თანდათანობით,

სჯულიდან ჯერ ერთზე ათქმევენებენ უარს, მერე მეორეზე და ისე ჩამოაშორებენ თავიანთ უფლებებს და მოვალეობებს, რომ ვერც კი გაიგებენ ამით ღმერთსაც რომ მოშორდებიან, მაშასადამე, ქრისტიანი ყოველ დროში უნდა ქრისტიანობდეს არა ეპოქალური ნიშნით და მორალური კომპრომისით წუთისოფლის სულთან, არამედ ისე, როგორც ქრისტე მოიქცეოდა ნებისმიერ ჟამთავითარებაში...

P. S: ეკლესიურ ერს მართებს ხელოვნურ ეროვნული მეტამორფოზაციის გლობალისტური მეთოდიკა შეადაროს საეკლესიო სამართლისა და რჯულის კანონისგან განიარაღებულ ეკლესიაშიც მსგავსადვე მიმდინარე ეკუმენისტურ-მოდერნისტულ-სეკულარიზებული „ფერისცვალების“ ხანგრძლივ პროცესს და 17 მაისის ანტი ლგბტ-ური პროტესტის მსგავსად და უფრო შეუპოვრად წინ აღუდგეს ეკუმენიზმს, ანუ რელიგიურ ჰერმეტიკადიტიზმს, სარწმუნოებრივ განხრწნილებას, ქრისტეს ეკლესიის ჩანაცვლებას ანტიქრისტეს ეკუმენისტური ეკლესიით, რასაც ცხადია მოჰყვება ღვთის ყოველნაირი რისხვა და სათითაოდ (17 მაისივით) პრობლემების აქეთ-იქით დევნაში ქანცი გაგვძვრება, მაგრამ შედეგს ვერ მივალწევთ (მითიური დანაიდების უნაყოფო შრომასავით, რომლებიც უძირო კასრების ავსებაში ამოღ იხარჯებოდნენ), მანამ სანამ სამართალს არ აღუდგენთ ღმერთს (თუ ჩემი კანონის მიხედვით იცხოვრებთ, დაგიცავთ მტრისაგან, ხოლო თუ კანონს დამირღვევთ, შვილებსაც მტრად გიქცევთ. – ბიბლია)!

**– ქართველი ერის წინამძღოლობის მისიას ოდითგან ასრულებდა: ქართული მწერლობა და მართლმადიდებელი ეკლესია. მაშინ, როდესაც თითქმის ყველა ეროვნული ინსტიტუტი იერიშით აიღეს, ნეოლიბერალებმა ვერ მოახერხეს ჯანსაღი კონსერვატიული ბუნების მართლმადიდებლური ეკლესიის დამორჩილება, რომელიც არასოდეს აღიარებს ჰომოსექსუალიზმს სქესობრივი ცხოვრების ბუნებრივ ფორმად და ყოველთვის მკაცრად გაილაშქრებს ყოველგვარი უზნეობის წინააღმდეგ... როგორ ფიქრობთ, ვინ და რატომ ებრძვის მართლმადიდებლობას?**

– მართლმადიდებლურ ქრისტიანობას (ანუ – ქრისტეს ეკლესიას, რომელსაც ვერ მოერევიან ჯოჯოხეთის ბჭენი) ებრძვის სატანა, მისი ძე ანტიქრისტე და მათი მოკავშირე ორგანიზებული უმცირესობა, რომელიც თავს მოაჯდა არაორგანიზებულ კაცობრიობას, დაქსაქსულს სხვადასხვა რელიგიებით, ფილოსოფიებით, იდეოლოგიებით... ისინი რომ ქრისტეში გაერთიანებულიყვნენ, მტერი

ვერაფერს დააკლებდა (ამქვეყნად და სამოთხისკენაც გზა ხსნილი ექნებოდათ) და ის, მცირე სამწყსო ქრისტიანეთა, მხოლოდ სახელწოდებით კი არა, საღვთო საქმეებით თუ გაერთიანდება, მაშინ არ მიიღებენ ანტიქრისტეს ბეჭედს, ანუ ჯოჯოხეთის ბჭეთაგან დაუმარცხებელნი გადარჩებიან, ამ ქვეყნიური განსაცდელებისაგანაც და იმ დაბრკოლებებისაგანაც, რაც ელობებათ სამოთხისკენ გეზაღებულებს.

ეს რაც ვთქვი, სათქმელად ადვილია, მაგრამ რა იგულისხმება, როგორ გავიგოთ? ამის შესახებ იხილავთ ამ ე. წ. ნეოლიბერალების, ანუ ბიბლიიდან ნაწინასწარმეტყველები და ქრისტესგანაც დადასტურებული (დან. 9, 27; 12, 11; მათე 24, 15; მარკ. 13, 14;) „გატილებს სიბილწე – უსჯულოების საიდუმლოს“ სექტის ერთ-ერთი ქურუმის აღენ დაღესის (XX საუკუნის დასაწყისი) გრძელვადიან პროგრამაში: „...პატარა-პატარა ეპიზოდებით ჩატარდება გრანდიოზული ტრაგედია ყველაზე დაუმორჩილებელი ერის დაღუპვისა და მოხდება საბოლოოდ მისი თვითმყოფადობის ჩახშობა ასეთი საშუალებებით: ლიტერატურიდან და ხელოვნებიდან ჩვენ თანდათანობით მოვწამლავთ მათ სოციალურ არსს, ხელოვნთ ჩაუკლავთ სურვილს შექმნან ჭეშმარიტი ნაწარმოებები, ყველაფერი ასახავს და განადიდებს ყველაზე უღირს ადამიანურ გრძნობებს; ჩვენ მათ მხარში ამოვუდგებით და ავამაღლებთ, რათა ადამიანთა შემეცნებაში ძალდატანებით ჩანერგონ სექსი, ძალადობა, სადიზმი, ლალატი, ყველანაირი უზნეობა. სახელმწიფოს მართვაში ჩვენ შევქმნით ქაოსს და გაურკვევლობას, ხელს შევეუწყობთ ჩინოვნიკებს მექრთამეობაში, გამოთავყვანებასა და უპრინციპობაში; წესიერებასა და პატიოსნებას დასცინებენ და არავის დასჭირდება, რადგან გავრცელდება თავხედობა, ლოთობა, ნარკომანია, გამცემლობა, ურთიერთზიზღი, რასაც ბავშვობიდანვე ჩავუნერგავთ და ჩავაბამთ ახალგაზრდებს ჩვენს სამსახურში; ცოტანილა მიხვდებიან თუ რა ხდება მათ თავს, მაგრამ ასეთებს ჩვენ ჩავაყენებთ გამოუვალ და სასაცილო მდგომარეობაში; კინოსერიალები, პორნოგრაფიად ქცეული პრესა და წიგნები გახრწნის ხალხს და ჩვენ მათგან მივღებთ ცინიკოსებს, ჰომოსექსუალისტებს, კოსმოპოლიტებს...“.

აი, ასე გამოყვანილი ადამიანთა ჯიში რასაც შეიტანს, იმასვე გამოიტანს ეკლესიიდან. თანაც, ეს ე. წ. ნეოლიბერალები, ლიბერალისტები და სხვა მრავალნი, რომელთა სახელი ლეგიონია და რაზმია ანტიქრისტესი,

ყველგან – ყველაფერში აფათურებენ ხელს და მსგავს ღონისძიებებს მიმართავენ ეკლესიაშიც, რომელშიც საუკუნეზე მეტია ინერგება სეკულარიზმი (ამა სოფლის სულისკვეთება ეკლესიაში, ანუ ზებუნებრივის გამიწიერების პროცესი, რასაც ხელს უწყობს სერგიანელობა, ანუ იერარქიის კომპრომისული თანამშრომლობა – ქრისტიანობის მეტნაკლები ზარალის ხარჯზე – ქრისტეს წესრიგის დამამხობელი ახალი მსოფლიო წესრიგის მთავრობებთან და ამ სოფლის ძლიერებთან), მოდერნიზმი (ზემოთ ხსენებული ხელოვნურად შექმნილი თანამედროვე მოთხოვნილება – გემოვნების შესაფერი სახეცვლილების და ეკლესიისთვის უჩვეულო თვისებების მინიჭების პროცესი), დაბოლოს, ყოველგვარი ერესების ბუკეტი – ეკუმენიზმი, რაც, საერთო ჯამში, სხვა რაა, თუ არა და პაგანიზაცია, ანუ ქრისტიანების უკან, წარმართობისკენ მიბრუნება!

ჩვენ გაქრისტიანებით განვკვიფრეთ ძველ ერს და გავხდით ახალი ერი, საღვთო ერი, ანუ ჩვენი ძალა ცაშია და ეს ისე გავითავისეთ, რომ დღემდე მოგვეყვა ინერციით, მაგრამ რელიგიურ პიდარასტიზმს, ანუ ეკუმენიზმს თუ არ დავუპირისპირდით ამომწურავად და საბოლოოდ, ისე როგორც ჰომოსექსუალიზმის თავსმოხვევის მცდელობას 17-ში და უფრო მეტადაც, მაშინ ზეციურ ძალას დაგვაკარგვინებს მტერი და მერე ჩვენი მორევა აღარ გაუჭირდება.

**– ერთ-ერთ ადამიანს ვესაუბრებოდი ამ უხამს ტექსტებზე და მან ასე მომიგო: კი, მაგრამ თანამედროვე ცხოვრებაა ასეთი და რა მოხდა, თუ ასე პირდაპირ აისახებაო. როცა მშვენიერება, სილამაზე დაკარგულია ტექსტებში და მხოლოდ არაესთეტიკური, უწმინდური გრძნობაა მოძალეებული, ეს მართებულია. მწერლობა ხომ სილამაზისა და მშვენიერების სამსახურში უნდა იყოს?**

– სიტყვა არამართო სილამაზის და მშვენიერების სამსახურში უნდა იდგეს, არამედ უწინარესად – ჭეშმარიტების, ამით განსხვავდება ქრისტიანი კაცი არაქრისტიანისაგან და ქრისტიანული ხელოვნებაც ამითვე განსხვავდება სულიერი ჭეშმარიტების გარეშე დარჩენილი გრძნობად-ემოციონალური, სილამაზ-მშვენიერებითი, ანუ მშვენიერი და არსობრივად წარმართული ხელოვნებისაგან (წარმართობა – ზოგადი სახელწოდებაა ყველა არა ქრისტიანული და ფსევდოქრისტიანული ხალხებისა); „საქმე მოციქულთა“ აცხადებს – „ჩვენ გონება ქრისტესი გვაქუს“ და წმიდა ოქროპირი ბრძანებს – „ჩვენ იმდენად ბრძენნი ვართ წარმართებზე, რამდენადაც

პლატონი ჩამორჩება სულიწმიდას“, ხოლო რამდენადაც წარმართობა (ასევე: ათეისტობა; ფსევდოქრისტიანობა;) არ დგას სამოთხისკენ მიმავალ ჭეშმარიტებაში, ცხადია, არც ჭეშმარიტების ქადაგება ეძალმოსილება; და თუ ხელოვნება ამას არ ქადაგებს, მაშინ უჭეშმარიტო სილამაზე-მშვენიერება, უარეს შემთხვევაში, ოდენ თრობით-ნარკოტიკულ მოვალეობას ასრულებს და წუთისოფლის ამო დროსტარებას ემსახურება, ძირითადად, ხოლო უკეთეს შემთხვევაში – ცხოვრებით დაქანცულ ადამიანებს ემოციურად მალამოდ ედება, გულს უხარებს და ცხოვრებას ულამაზებს, მაგრამ – ეკლესიისკენ არ მიუთითებს და სულიერად ვერ ამაღლებს! და რადგან – ცად სულიერად კი არ მიაახლებს ადამიანს, არამედ ემოციურ ილუზორულად, მაშასადამე მითიურ-მოჯადოებულ წრეში ატრიალებს, დროს გააყვანინებს და გამოსავალს კი არ მიუთითებს; მაშინ, როცა ჭეშმარიტად ქრისტიანული (და არა სუროგატულ-ფსევდოქრისტიანული) ხელოვნება, იქნება იგი გამოხატული აგიოგრაფიულად თუ სხვა შესაფერისი მხატვრულ-ისტორიული ჟანრით (აქ საუბარი არაა პროფესიულ-საღვთისმსახურო ლიტერატურაზე) ემსახურება სულიერ შემეცნებას და ჭეშმარიტებისაკენ სწორებას – ორთავ სოფლის კონტექსტში მსოფხედვით. ესე იგი, ქრისტიანობას თავისი ერულ-ქრისტიანული (საერო) ხელოვნება გააჩნია (ე. წ. ხალხური კი – ძირითადად წარმართულია და ალაგ-ალაგ სინკრეტულ-ქრისტიანიზებული), ხოლო წარმართულს კი, თავისი, ერულ -წარმართული ხელოვნება (ზეპირსიტყვიერადაც და მწერლობითაც წარმართული წარმართულია), რომელსაც, გარდა იმისა, რომ ჭეშმარიტებას არ ემსახურება, სწორედ აქედან გამომდინარე „გვერდითი მოვლენები“ აქვს, ანუ ხდება საზიანო ჯანმრთელობისათვის, ფსიქიკური თვალსაზრისით. მსგავსი რამ, ანუ, ეკლესიურად, დაზიანებული ბუნება, იგივე – ხიბლი, ამპარტავებისგან მოდის და შესაძლოა არასწორ ქრისტიანობაში მყოფ ეკლესიურ ადამიანსაც დაემართოს, მაგრამ, რამდენადაც სულიერების ჭეშმარიტებისაგან შორს დგას წარმართობა (და მისი ხელოვნება), მით უფრო დაუცველია ამპარტავებისაგან განპირობებული ფიზიოლოგიური და ფსიქიკური ანომალიისაგან;

მარტივად რომ ვთქვათ, ქრისტიანობა გახლავთ სულიერი ცხოვრება, სულიერი სიჯანსაღე, სულიერი განვითარება, რაშიც არაქრისტიანენი ჩამორჩებიან, შეზღუდულნი არიან (და რასაც არქმევენ ქვეცნობიერს –

ეს გახლავთ სწორედ მათში გაუხსნელი სულიერება) და სულიერების ნაკლებობის კომპენსაციას (მედიცინაში – დარღვეული ფუნქციის ანაზღაურება) ახდენენ მშვენიერ-ემოციონალური სისტემის გაძლიერების ხარჯზე. სწორედ ამის გამო, ისინი ერთმანეთში ურევნ სულიერ და გრძნობად ცნებებს და სრულიად მშვენიერ-წარმართულ ნაწარმოებს არქმევენ სულიერ ხელოვნებას, ხოლო წარმართ, მშვენიერ ხელოვანს – უკვდავ მწერალს (და ა.შ.). ადამიანი შედგება ხორციელ-მშვენიერი (გქმნათ კაცი მიწისაგან) და სულიერი არსისაგან (ხატად და მსგავსად ჩვენდა), და თუ საღმრთო სულიერებაშია განვითარებული – იცნობს და ესმის სულიერი სიბრძნე, ანუ ზეციური სიბრძნე, ხოლო თუ გამოკეტილია ხორციელ-მშვენიერ განზომილებაში – მისთვის ცნობილია ოდენ ხორციელი, წუთისოფლისეული სიბრძნე (ჭეშმარიტება, სამართალი და ა. შ.). პოტენციურად ადამიანი სულიერად უნდა განვითარებულიყო, ანუ განღმრთობილიყო, რის მაგივრადაც, ცოდვით დაცემის გამო, სულიერი დეგრადაცია დაიწყო და ამან განაპირობა ქრისტეს განკაცება, ანუ ქრისტიანთა სულიერი გაძლიერება და ღვთისკენ აღმასვლა. არაქრისტიანენი ჩარჩნენ ბუნებით სჯულში, ხოლო ქრისტეთი ჩვენ დაგვემატა რელიგიური რჯული, ანუ დაზიანებული ბუნების განახლება და მაღლით განღმრთობა, რასაც ეწოდება სრული კაცი, მაგრამ, კვლავაც ვიმეორებ, ეს პერსპექტივაა და თვით ეკლესიურებშიც არ ხდება გაქრისტიანება ამ, სრული კაცის მნიშვნელობით, თუკი ღირსეულად არ ვიქრისტიანებთ!

მაშასადამე, პირველ ქმნილი ადამიანის ღვთისგან განდგომამ და ეშმაკის „აღმზრდელობითმა“ პერიოდმა (სამოთხიდან გამოსულებს ეშმაკი ღვთისგან გაუცხოებას და ხელახლა აღზრდას აჩვევდა მითოსით, კერპთაყვანისმცემლობით, წარმართობით) მისი სულიერი ძალების ატროფია გამოიწვია (ატროფია – რომელიმე ორგანოს, ქსოვილის ან უნარ-ნიჭების დაპატარავება, დასუსტება ან გაქრობა საკვების ნაკლებობის ან ხანგრძლივი უმოქმედობის გამო), და ცოდვით დაცემული სულიერი ნაწილის გრძნობით-ემოციონალურ ნაწილთან შერწყმა-გათანაბრების შედეგად, სულზე გაბატონდა ხორცი (მაშინ, როცა, უნდა იყოს პირიქით – წმიდა გიორგი ცხენზე – ხატწერულად იმიფრება, როგორც – ცხენზე, ანუ ხორცზე ამხედრებული სული, ანუ მხედარი მძლეველია ბოროტებისა (გველეშაპი, ეშმაკი, ანტიქრისტი), შედეგად კი, დაქინებულმა ადამიანმა – ჭეშმარიტებაზე

ორიენტირების და განღმრთობის მაგივრად, სულიერ-ინტელექტუალური ძალა და ნიჭები მიაჩვია ეშმაკის ნაკარნახევ ამო ბრძნობას, მატერიალურ მეცნიერებას და სამოთხისკენ არმიმართულ წუთისოფლის კულტურას...

ამის გამო, უჭეშმარიტო, ანუ არასწორი რელიგიის და ათეიზმის წარმომადგენელი ხელოვანნი, ოდენ ბუნებითი რჯულის მქონენი, ან, თუნდაც მონათლულნი, მაგრამ ზემოთაღწერილი მასონური ხელოვნური ზემოქმედებებით გამანქურთებულები ქმნიან ისეთ პროდუქციას, როგორ შეკვეთასაც ღებულობენ ეშმაკის მუზიდან და გამხრწნელი დამფინანსებლებისგან!

ის ადამიანი, თქვენ რომ ახსენეთ, ნაწილობრივად მართალი: ცხადია ხელოვნება სარკეა ცხოვრებისა, მაგრამ სრულიად არ საჭიროებს ნატურალიზმს უწმინდურებაში, რადგან მას გააჩნია მრავალი საშუალება მისახვედრებლად; მეორე ნაწილი და არსებითი მხარე, რაც გამოჩნა მას და ასეთ „შემოქმედებს“ გახლავთ ის, რის გამოც ყურადღება მახვილდება ნაწარმოებში ნეგატიურზე (ნატურალიზმის გარეშე, მინიმუმით, ალეგორიულად...), საჭიროა დასავებობად („კარგს თუ კარგი არ ვუწოდე, ცუდს სახელად რა დავარქო...“, „ვინც ვერ არის კახაბერი, მე ვერ ვიტყვი კახაბერად...“), და არა უხამსობის პოპულარიზებისთვის...

ვაი იმ ვაი ხელოვანთ, რომლებიც ჯოჯოხეთის მუგუზლებს იგროვებენ ასეთი გასამრჯელოს საფასურად! ხოლო, ის შემოქმედი, რომელიც ღმერთს ბაძავს ჭეშმარიტების შემოქმედითობაში და არქმევს ყველაფერს თავის სახელს, სულიერი კანონების მიხედვით იყენებს ცხოვრების სარკეს, რათა აჩვენოს, თუ რომელი გზა მიდის ჯოჯოხეთისკენ და რომელი სამოთხისკენ, ანუ უარყოფითის კრიტიკის ფონზე დადებითისკენ წაქეზებას გვთავაზობს დაუძალებლად; ამ უკანასკნელზეც ვამახვილებ ყურადღებას, რადგან არსებობს ისეთი ხელოვნებაც, რომელიც, შედარებისთვის, ნაპოლეონივით დამპყრობელია, ანუ ადამიანის თავისუფალ ნებას ისე ეპატრონება და იპყრობს, როგორც მითოსური დემონები, სირინოზებად წოდებულნი, ქალების სახეს რომ ღებულობდნენ და მომაჯადოებელი სიმღერით მთლიანად ეუფლებოდნენ კაცთა მშვენიერ-ემოციონალურ სისტემას, ასევე პოეზიის მუზა-დემონები, ცეკვის ტერფსიქორა-დემონები, ან თუნდაც სიყვარულის ეროს-დემონები, რომლებსაც არაფერი აკავშირებთ ღეთაებრივ სიყვარულთან, შემოქმედებასთან,

ჭეშმარიტებასთან. ანუ, ისინი იპყრობენ წარმართების განუვითარებელ სულიერებას, დამდაბლებულ-გათანაბრებულს გრძნობით-ემოციონალურ სისტემასთან და მათ მხატვრულ ტალანტს, ანუ ნიჭს საკუთარ დემონურ წისქვილზე ფქვავენ და ამ პროდუქციას მიერთებენ ხელოვნების თაყვანისმცემელნი. მშვენიერიისგან განსხვავებით, როცა სულიერ შემოქმედება-ხელოვნებასთან გვაქვს საქმე, იქ სულიერება სუბსტანტურია, უპირატესია, დომინანტია, მტკიცეა და არ ხდება ადამიანთა ფსიქიკური დადაბუნება, ნევროზ-ნევრასთენია, ისტერია, და ეშმაკეულობა.

ათეისტური, წარმართული, ფსევდოქრისტიანული ხალხებში, განსაკუთრებით ხელოვან ადამიანებში, ანუ სულიერება მოკლებულ-სულიერება დეგრადირებულებში, როგორც წესი, ცენტრალური ნერვული სისტემა ერთობ მყიფე, სუსტი და მოწყვლადია, არ ძალუძს სულიერი რეგენერაცია – დაზიანებულის ან დაკარგულის აღდგენა, სწორედ იმიტომ, რომ წარმართებთან, ათეისტებთან, ფსევდოქრისტიანებთან სულიერება თავადაა სენსიტიურობას დაქვემდებარებული და დროებით გაბატონებული რეფლექსი, – იქნება ეს სექსუალურ-ვნებითი, აზარტული თუ სუიციდური, – იწვევს სხვა რეფლექსების შეფერხება-ცვლას და გადაგვარებას, ანუ პირობითი რეფლექსი, რაც ცოცხალ ორგანიზმს ინდივიდუალური ცხოვრების პირობებში უმუშავდება გადაიტყვევა თანდაყოლილ, ანუ უპირობო რეფლექსად და თაობიდან თაობებში გადადის გენეტიკურ კოდალ...

ცნობილია, რომ ას წელიწადში 4-5 თაობა იცვლება და არამცთუ ნევრასთენიულ-დეპრესიულ-პესიმიისტური ოჯახები, საზოგადოება, ერი ყალიბდება, არამედ პროფესიულ-დინასტიური ოჯახები (მაგ. სანსონთა დინასტია პარიზში, რომელიც გამოირჩეოდა ჯალათის ხელობით; ქურდი ოჯახები...). მაშასადამე, ისევე, როგორც არსებობს ორნაირი რჯულის ადამიანი, ასევეა ორი – ერთი საღვთო და მეორე მშვენიერი ხელოვნება, ხოლო ის გამხრწნელი, სუროგატული “ხელოვნება”, ისეთივე პარაზიტია, როგორც ბოროტება, რომელიც ღმერთს არ შეუქმნია და არსებობს ღმერთს მოკლებული ადამიანობის და მათი უღმერთო საქმეების ნიადგზე. აი, ესენი არიან მოძალადეები, რომლებიც ეროს-მუზა-ტერფსიქორ-სირინოზ დემონთა ზემოქმედებით იპყრობენ და ხრწნიან მასებს.

# ფრაგმენტები ამერიკული დღიურიდან



## გზას განდობილი ფიქრები...

გასული წლის შემოდგომაზე ბათუმმა გვარიშვილების შეკრებას უმასპინძლა. ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქში სტუმრები საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ. მასპინძლებმა დიდებული პროგრამა შემოგვთავაზეს. ყველაფერი იდეალურად იყო ორგანიზებული. გაუთვალისწინებიათ ყოველი წვრილმანი. სტუმრებმა დაათვალიერეს პორტი, ქვეყნის მთავარი საზღვაო ჭიშკარი; ახლად აგებული ბორანი, რომელიც საქართველოს ვარსისთან, კონსტანტინესთან და ილიჩევსკთან აკავშირებს; ეწვივნენ საერთაშორისო სტანდარტების დონეზე მოწყობილ სარფის საბაჟოს; თვალს ვერ აშორებდნენ საბაჟოს შესასვლელთან ფლაგშტოკზე მოფრიალე საქართველოს დროშას; იყვნენ ბათუმის გემთმშენებელ ქარხანაში, დაათვალიერეს ქარხნის პროდუქცია – სარეალიზაციოდ გამზადებული მშენებრივი საზღვაო კატარღები; იყვნენ ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში, ბინათმშენებელ კომბინატში; გაეცნენ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს; გემითაც გაისეირნეს, ზღვიდან შეავლეს თვალი „ბათუმს ქათათას“, სანთლები დაანთეს წმინდა ბარბარეს ეკლესიაში...

შეკრების მონაწილეებმა გვირგვინებით შეამკეს დიდი მამულიშვილების – ილია ჭავჭავაძისა და მემედ აბაშიძის ძეგლები. საღამოს, ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრში შეკრების მონაწილეებს მიესალმა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, ბატონი ასლან აბაშიძე.

საღამო დაავიწყებინა საგანგებოდ ამ დღისათვის მომზადებულმა კონცეპტმა, რომელიც მსოფლიოს ნებისმიერი თეატრის სცენას დაამშვენებდა.

ერთი სიტყვით, სტუმრებმა საკუთარი თვალთი იხილეს ის აღმშენებლობა, აჭარაში რომ სუფევს.

შეკრების ინციტორი, საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი იაკობ

ახუაშვილი სტუმრებს ბოლო წუთამდე თავს დასტრიალებდა.

– ეს ორი ლამაზი ბერიკაცი შენს კუბეში დავასვენოთო, – მითხრა მახინჯაურის რკინიგზის ბაქანზე.

– სიამოვნებით-მეთქი. როგორც გზაში ხდება, სწრაფად გავიცანით ერთმანეთი.

გიორგი ნონიაშვილი ახმეტის რაიონის სოფელ მატანიდან ყოფილა, მისი მეგობარი, ქისტი მახმად მარგოშვილი კი – სოფელ დუისიდან.

ბატონი მახმადი ჩუმად იჯდა ფანჯარასთან და ზღვას გაჰყურებდა. ბატონი გიორგი კი წრიალებდა. შევატყვე, საუბარს იყო მოწყურებული; შთაბეჭდილებებით დატვირთულს გულის გადაშლა, განტვირთვა სურდა.

– ე რეები ვნახე კაცო! რეები უკეთებია ამ დალოცვილსა! რა უშენებია, რა უმშვენებია! ნეტა, თავად რა გამოკეთეს მისმა მაგინებლებმა, ჰა?! კაი თხუთმეტი წელიწადია, ბათუმში არა ვყოფილვარ. ვერ კი ვიცანი, კაცო! როგო გალამაზებულა! რა ქარხნები ვნახე, რა ფაბრიკები, სუ აწყობილი; თავი უცხოეთში მეგონა! იაკობას კიდე ღმერთმა დღეგრძელობა მიცეს! ეს ათი წელიწადია, პირველად ვიცხოვრე კაცურად! ან სად მეძინა, ან რასა ვჭამდი და ვსვამდი, ან რა მანქანით დამაბრძანებდენ? იმ ორ დღეს რა დამაინწყებს?! აწი ნახე, იმის მაგინებელს სულს ამოვხდი, – იქაინებოდა ბერიკაცი.

– ახლა კიდენა, იქაურობას ჩემ სოფელ რო ვადრი, სუ გული მეწურება. ჩემი სოფელი დაქცეულია, მრეწველობა განადგურებული. მოსავალი მოგვყავ, ყურბენი ვერ გავგიყიდა. მე ტექნოლოგი

ვარ. ქარხანაში ყოველ წელს ოც ათას ტონა ყურბენ ვიდებდით და ვამუშავებდით. ახლა ჩემი ქარხანა დაბომბილ გავ. გული მაგიკვდება. ადრე სოფელში მარტო ჩვენ მეურნეობას შვიდი ათასი ტონა ყურბენი მოყავდა, კერძოსა კიდე ათას ხუთასი ტონა. ახლა მთელ ახმეტის რაიონში არ იკრიფება ათასი ტონა. მეურნეობაში ორი ათასი სული მსხვილფეხა საქონელი გვყავდა, – შაიჭამა; ცხვარი იყო – შაიჭამა; ხალხ შავი დღითვინ ფული ქონდა მიბარებული სახელმწიფოთვინ – შაიჭამა. რა აღარ მაჭამეს, მიწა ჭამა ამათმა პირმა! სატყეო გექონდა – საკავშირო მნიშვნელობისა, გაჩერებუ ლია; საკონსერვო ქარხანა გექონდა – გაჩერებულია; საყოფაცხოვრებო კომბინატი გექონდა უშველებელი, ორი ათასი კაცი იყო დასაქმებული, – გაჩერებულია; ბიოქიმიური ქარხანა იყო – გაჩერებულია. მიწა მოგეცითო, – სუ იმას გვაყვედ რიან. ნეტა რა თავში ვიხლი ცარიელ და გაბერწებულ მიწასა! ბენზინი არ არი, სალიარკა არ არი, ტრაქტორი არ არი, შხამქიმიკატი არ არი...

ჩემ სოფელში ორი ათასი კომლია, სულადობით კიდე შვიდი ათასამდინ. მოხვიდე, ნახო – გული მაგიკვდება. გალატაკდა, დაბენჩავდა ხალხი, ნახირ დეემსგავსა.

– ბატონო გიორგი! ხომ ხედავთ, თქვენს საუბარს მაგნიტოფონზე ვიწერ. არ გეშინიათ, რომ გახეთში დავბეჭდო? – ვეკითხები.

– დაწერე, დაწერე! შენ იკითხე, თუ გაბედა სიმართლი დაწერას, თორემ, მე არავისი არ მეშინიან. ვისი ან რისი უნდა მეშინოდეს?! ან ტყუილ რას ვამბობ?! ხალხი ძაან უკმაყოფილოა, მარა გულში ვისაც რა აქ, ყველა ხომ ვერ იტყვის?! ეშინიათ და მიტომა. მე კი დასამალი არაფერი მაქ. მთელი სიცოცხლე კაცურად ვიცხოვრე, ტკბილ სიბერეს ველოდი, მარა ენდე – გამიძალდა ცხოვრება. ვისი უნდა მეშინოდეს?! ან რა პირით მამადგება ვინმე, და რამეს მეტყვის? ან იმაზე მეტი რა უნდა მიქნან, რაცა მჭირს?! მეუღლე მყავ, დამსა ხურებული პედაგოგი, – მშიერი დამიდის; ხუთი შვილი მყავ, რვა შვილიშვილი; ორი შვილი ექიმია, ყრიან მშივრები. ორი შვილი ქალაქში მყავ – მამი, მამი, რამე გამოგვიგზავნო. რა ვქნა, კაცო! რა ჭირი გავუგზავნო?! ღვინო, არაყი, ხილი, მწვანელი, ჩემი ნაჯაფი რაც მაქ – კი, ბატონო, მარა ე ოხერი ფული რო არა მაქ, რაღა გავუგზავნო?! ჩემი შარშანდელი პენსია დაკონსერვდა.

წელსა კიდენა, მხოლოდ ოთხი თვისა მაქ მიღებული, დანარჩენმა ჩაილურის წყალი დალია. დღეის სწორს ყურბენი დავკრიფე, მარა ვერ გავყიდე. არა მაქ ე ოხერი ფული და რა გავუგზავნო?!  
აბა, მეტი რაღა ვითხრა, შვილოსა?  
ტყუილად კი მალაპარაკე, ამას ვინ დაბეჭდამს?!

## გრინვილი, სამხრეთ კაროლინის შტატი, აშშ, 2000

### როგორ ხარ, მამა!

ოპაიოს შტატის ქალაქ გრინვილის ბიბლიოთეკაში მე და ჩემმა მეგობარმა ვიტალი სინიციჩინმა ერთი ჩეხი გავიცანით, სახენათელი, ორმეტრიანი გიგანტი. თურმე, ჩვენს რუსულ საუბარს მოჰკრა ყური და გამოგვყვა.

– ბოდიში, შეიძლება დახმარება გთხოვოთ? – მორიდებით ჰკითხა ვიტალის, როგორც ასაკით უმცროსს.

– რა თქმა უნდა, სიამოვნებით! – გთხოვთ, ეს მითარგმნოთ, – რუსული ბარათი გაუწოდა.

ვიტალიმ წვალებით, ჯახხრით, მაგრამ თხოვნა შეუსრულა.

ჩემმა საფულე ამოიღო.  
– რამდენი მოგართვით?  
– რას ამბობთ! როგორ გეკადრებათ! – შეიცხადა ვიტალიმ.

ჩეხი შეიმშუმნა, ბავშვივით გაწითლდა, ბოდიში მოიხადა.

ცოტა ხანს კიდევ ვისაუბრეთ.  
– გთხოვთ, სადილზე გვეწვიოთ, თქვენთვის მოხერხებულ დროს, – გვითხრა დამშვიდობებისას.

შეხვედრის დღე დავნიშნეთ. მასპინძელი ზუსტად დათქმულ საათზე თეთრი, ახალთახალი „მიცუბისით“ მოვიდა. თურმე, ღუაბი გეტცი ჩვენს მეზობლად ცხოვრობს, ვაშინგტონის გზატკეცილზე, ერთსართულიან, მანსარდიან ბინაში.

– სახლი ახლახან ვიყიდე, 77 ათას დოლარად; ეს გარაჟიც ჩემია, – გვეუბნება. როგორც კი კარი გააღო, ოთახიდან ტვიასავით გამოვარდა ფინია; პატრონს ლამის მკერდზე შეაფრინდა; კვლავ ოთახში შევარდა და სირბილს მოჰყვა, ციბრუტივით ტრიალებდა.

– მუდამ ასე მხვდება; ჩემი ერთგული მეგობარია, – იღიმება ღუაბიტი.

სასადილო ოთახში სუფრა გაშლილი დაგვხვდა. სალათები, შემწვარი ხორცი, თევზი, ყველაფერი თავად მოუმზადებია, რადგან მარტო ცხოვრობს.

– ჩვენი შეხვედრა იტალიური „კიანტი“ ალენიშნოთ; იმედია, მოგეწონებათ, – ბროლის ფუჟერებში მშრალ, წითელ ღვინოს გვისსამს.

სადილის შემდეგ სასტუმრო ოთახში გავედით. მასპინძელმა მოზრდილი ალბომი გადმოიღო. ახლობლების სურათებს გვაცნობს.

ღუაიტს ვთხოვ, თავის შესახებ მიაზბოს. – წარმოშობით ჩეხი ვარ, პრაღიდან. ცოლს გავყვარე. მყავს ვაჟიშვილი, რომელიც დამოუკიდებლად ცხოვრობს ჩიკაგოში. კარგი ბიჭია.

დედაჩემი ცინცინატიში ცხოვრობს. აქამდე უნივერსიტეტში მუშაობდა. მან, ჩეხურის გარდა, იცის ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული და პოლონური ენები. უკვე ასაკშია, სამოცდაცამეტი წლისაა; ამიტომ უნივერსიტეტში აღარ ასწავლის.

– მისტერ ღუაიტ! ორი კვირის შემდეგ ქალაქ ლებანონში გადავდივარ სამუშაოდ, ცინცინატის მახლობლად. დედათქვენის ტელეფონს ხომ ვერ მომცემთ? ვფიქრობ, მასთან შეხვედრა ძალიან საინტერესო იქნება!

ღუაიტი ჩაფიქრდა. – იცით, ჯერ უნდა დავურეკო, ნებართვა ავიღო; შემდეგ დიდი სიამოვნებით მოგცემთ ტელეფონსაც და მისამართსაც. – სამშობლოსთან კავშირი თუ გაქვთ? – სამწუხაროდ – არა. იქ აღარავინ გყავს.

ღუაიტი 1965 წლის ჟურნალს მიჩვენებს, სადაც პრაღაში საპირველმისოდ დემონსტრაციის სურათებია დასტამბული.

გარეგნულად თითქოს ყველაფერი რიგზეა, – ხალხმრავალი მსვლელობა დედაქალაქის ქუჩებში, წითელი დროშების „ტყე“, ტრანსპარანტები, პარტიის ლიდერების პორტრეტები, ყვავილები...

ქვემოთ ორი ფოტოა, – დემონსტრანტების სახეები ახლო პლანით, – გაყინული, გაქვავებული, უსაზღვროდ სევდიანი თვალები...

გავვოცდი. ეს სურათები ცენზურამ როგორღა გაუშვა სადღესასწაულო ნომერში? – ვფიქრობ. ჟურნალის გარეკანს დავხედე. ამერიკული „ლაიფი“ აღმოჩნდა.

– ყველაფერი გასაგებია! – თვალეები ადამიანის სულის სარკეაო, – ნათქვამია. ამ ფოტოსურათებს რომ დახედავ, უსიტყვოდ მიხვდები, რა „ეზიმიებათ“, ან რა ცეცხლიც ტრიალებს ამ ადამიანების გულში...

...ზუსტად ხუთი წლის შემდეგ

ჩეხოსლოვაკიაში ამბოხებამ იფეთქა!

– მამაჩემი რუსი იყო, გვარად მალაიესკი, – მიამბობს ღუაიტი, – იგი წითელი არმიის ოფიცერი გახლდათ; ჩეხოსლოვაკიაში დისლოცირებულ საბჭოთა სამხედრო ნაწილში მსახურობდა. მამაჩემს რუსეთში სამი მმა და ხუთი და ჰყავდა; სამწუხაროდ, არც ერთს არ ვიცნობდით.

ჩემი მშობლები 1951 წელს დაქორწინებულან. მაშინ დედაჩემი პრაღის უნივერსიტეტში სწავლობდა. დამთავრებისთანავე კანადის საელჩოში დაუწყია მუშაობა.

1969 წლის აგვისტოში ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოსვლები დაიწყო. საბჭოთა ჯარი რომ შემოვიდა, მაშინ მე ცამეტი წლის ვიყავი. ქვეყანა აირია, სისხლი დაიღვარა. ეს დიდი ტრაგედია იყო ჩვენი ქვეყნისთვის. რაც მთავარია, არ ვიცოდით, რა გველოდა.

დედაჩემმა კანადის საელჩოს სთხოვა დახმარება. მალე ჩვენთვისაც მიიღო ვიზები. ასე რომ, დედაჩემი, ჩემი და და მე შინიდან გამოვიქეციით. მას შემდეგ არც მამაჩემი გვინახავს, არც სამშობლო...

პირველად გერმანიაში ჩავედით, ბონში. გერმანიიდან კანადაში გადავფრინდით; იქიდან – ამერიკაში ჩამოვედით. უკვე ოცდაექვსი წელია, აქ ვცხოვრობთ. ქალაქი გრინვილი ისე მომეწონა, საცხოვრებელი ადგილის შეცვლა არც მიცდია. ოცდაოთხი წელია, ამ ქალაქის ერთ დაწესებულებაში ვმუშაობ.

მამაჩემის შესახებ დიდხანს არაფერი ვიცოდით. ჩემმა დამ, ანამ, რომელიც ტენასში ცხოვრობს, ნაცნობ-მეგობრების დახმარებით დაადგინა, რომ მამაჩემი თურმე საქართველოს დედაქალაქში, თბილისში ცხოვრობს, ჰყავს ოჯახი, სამი შვილი.

ძალიან, ძალიან მოგვიწონდა მისი ნახვა. წერილი მივწერეთ, რომ მის სანახავად ვაპირებდით ჩასვლას.

რომ იცოდეთ, როგორ ვდედავდით, როგორ ველოდით პასუხს; ღამეები არ მეძინა.

სამწუხაროდ, ორი დღის წინ ჩემმა დამ დამირეკა. მამაჩემს ჩვენს ჩასვლაზე უარი უთქვამს...

უაიტი კარგა ხნით გაირინდა. ეს გიგანტი კაცი თითქოს დაპატარავდა; მხრებაწურული იჯდა სავარძელში და ერთ წერტილს დაშტერებოდა...

– ჩვენ ხომ მისგან არაფერი გვინდოდა. პირიქით, მისთვის ვაპირებდით დახმარებას, მისი ოჯახისთვის საჩუქრებს ვამზადებდით... მართალია, მრავალი წელი გავიდა;

მას უკვე სხვა ოჯახი აქვს, შვილები ჰყავს, ნათესავების წრე, მაგრამ ჩვენ ხომ მისი შვილები ვართ? ამდენი წელი იმის მოლოდინით ვცხოვრობდი, რომ მამაჩემი ცოცხალია და ოდესმე შევხვდები-მეთქი...

სამწუხაროდ, ყველაფერი დამთავრდა! რაკი მან ჩვენთან შეხვედრა არ ისურვა, ეტყობა, მის ცხოვრებაში არაფერს წარმოვადგენთ.

ძალას ვერ დავატანთ. ვნანობ, რომ ასე დაიმსხვრა ჩვენი ოცნება – ზღაპარი, მაგრამ რას იზამ, ოდესმე ყველაფერი მთავრდება...

ალბათ, აღარ გვეწერა ერთმანეთს ჩავხუტებოდით. არადა, როგორ ვოცნებობდი, ამდენი წლების შემდეგ გულში ჩამეკრა და მისთვის ერთადერთი სიტყვა მეთქვა –

– მამა, როგორა ხარ!

**ოპიოს შტატი, აშშ**

**კმარა!**

ამას წინათ კანადის პარლამენტის სპიკერის, ჯონ მილიკინის მოწვევით, ქვეყანაში სტუმრობდა საქართველოს პარლამენტის დელეგაცია, პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის მეთაურობით.

ვიზიტი წარმატებული იყო. ცხადია, ამას ჟურნალისტები სათანადოდ გააშუქებდნენ, მაგრამ როგორც თვითმხილველმა მითხრა, ადგილი ჰქონდა ერთ უსიამოვნო ფაქტს, რამაც კალამი ამაღებინა...

\* \* \*

კანადის დედაქალაქ ოტავაში ჩვენი მეგობრების ოჯახი ცხოვრობს.

ნანა გოგოლაშვილი ოცდაორი წლის გოგონა იყო, თბილისში სტუმრად მყოფი კანადელი ასპირანტის – პიტერ კუპერის გული რომ დაიპყრო.

თავდაპირველად ნანას მშობლები ქორწინების სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ, – გლობუსის მეორე მხარეს, სადღაც დასაკარგავში შვილს როგორ გავთხოვებთო...

პიტერმა საზრიანობა გამოიჩინა, – თბილისში „შუამავლებად“ მშობლები ჩამოიყვანა, – მომხიბლავი ფრანგი ქალბატონი სუზანი და დინჯი ინგლისელი, ბატონი ჯეიმსი.

ცხადია, ყველაფერი მშვიდობიანად მოგვარდა.

გუშინდელი დღესავით მახსოვს: – მაყრიონის გრძელი კორტეჟი მცნეთაში;

ჯვრისწერა სვეტიცხოველში; ზღაპრული ქორწილი ატენის ქუჩაზე თბილისში, ათასი კეთილი სურვილი...

რამდენიმე დღეში სიძე და მისი მშობლები კანადაში დაბრუნდნენ. პატარძალი კი გამგზავრების სამზადისს შეუდგა. ჩქარობდა, ძალიან ჩქარობდა რჩეულთან შეხვედრას, მაგრამ იქ, „ზემოთ“ არ ჩქარობდნენ... სხვადასხვა „მიზეზების“ გამო ვიზის გაცემა ძალიან გაჭიანურდა. დრო იყო ისეთი...

ბოლოს, ეტყობა, გული მოუღბათ, თუ ნინოს გამუდმებული ვიზიტებისგან დაოსდნენ, – ვიზა გაიცა...

შემდეგ... როგორც ზღაპარშია... კანადაში ყველაფერი ჩინებულად წარი მართა... ახალგაზრდებს ორი ვაჟი ეყოლათ, – ნიკოლოზი და ალექსანდრე. რა დრო გასულა! – ბიჭები უკვე უნივერსიტეტს ამთავრებენ! სიმაღლით მამას დაემსგავსნენ, – აშოლტილი ვაჟაკები არიან!

პიტერმა ნანას სიყვარულით ქართული ენა ისწავლა. საქართველოს თავგადაკლული თაყვანისმცემელია, ყოველივე ქართულის პატივისმცემელი და დამფასებელი. სამუშაო კაბინეტში ლამაზ ჩარჩოში საქართველოს პირველი კონსტიტუციის ფოტოპირი უკიდია; კედლებსა და თაროებზე უამრავი ქართული სუვენირია. კვირა დღეს, ქართულ ჩოხაში გამოკვანწული გადის ქალაქში სასეირნოდ.

დინჯი კანადელები გაცოცხლები უყურებენ ეგზოტიკურად ჩაცმულ „უცხოელს“, რომელიც ბრწყინვალედ ლაპარაკობს ინგლისურად შორეულ ჯორჯიაზე, მის უძველეს ისტორიაზე და უძლიდრეს კულტურაზე, ხალხზე, მათ ზნე-ჩვეულებებზე... კანადელები ინტერესით უსმენენ...

– სამღერავი ნამდვილად არ მეთქმის, – მითხრა ერთხელ ნანამ, – მყავს ერთგული და საოცრად ყურადღებიანი მეუღლე; მოსწრებული შვილები, რომლებსგან, მაღლობა ღმერთს, – არავითარი პრობლემები არ გვქონია ოჯახში; ისეთი ღვთისნიერი დედამთილ-მამამთილი მყავს, ადამიანი უკეთესს ვერც ინატრებს. პიტერის მთელი ნათესაობა თავზე მეკვლება; ეკონომიურადაც არა გვიშავს; რომ იტყვიან, ჩიტის რძეც არ მაკლია, მაგრამ ბოლომდე ბედნიერად ვერ ვგრძნობ თავს, რადგან... ძალიან მაკლია საქართველო... პიტერი ამას კარგად გრძნობს და ყოველმხრივ ცდილობს ნოსტალგია შემიმსუბუქოს. ამისთვის მისი უზომოდ მაღლობელი ვარ. თუ სადმე ქართულ ნივთს ან პროდუქტს

გადააწყდა, მაშინვე შეიძენს. ამას წინათ სასმელების სუპერმარკეტში, ვიტრინაში ორი ბოთლი „მუკუნანი“ უნახავს.

მაშინვე მენუჯერთან მისულა.  
– ეს ქართული ღვინო მეტი არ გაქვთ?  
– უკითხავს.  
კომპიუტერში უძებნიათ.  
– სამი ყუთი დაგვრჩა; თითოში თორმეტი ბოთლია.

– მომეცით სამივე ყუთი.  
გახარებულმა მომიტანა, –ნახე, ნამდვილი ქართული ღვინო, ყვარელშია ჩამოსხმული; რამდენ სტუმარს გაეუმასპინძლებითო...  
ასეთი კეთილი, დღენი დაგ საქართველოზე მოფიქრალი ადამიანები ცხოვრობენ კანადაში...

\* \* \*

16 თებერვალს კვლავ დავრეკე ოტავაში. ნანა სამსახურში იყო. პიტერთან ვისაუბრე ქართულ-რუსულ-ინგლისურ ენაზე...

– დღეს ნინო ბურჯანაძეს შეეხვდი, – მითხრა მისალმებისთანავე.

– სად მეთქი? – გავვოცდი.

– ჩვენთან იყო, კარლეთონის უნივერსიტეტში. საქართველოს შესახებ ლექცია წაიკითხა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და ასპირანტე ბისთვის. ძალიან კმაყოფილი დავრჩი. გამართული ინგლისურით საუბრობდა. მოზომილი, დალაგებული, კარგად გააზრებული მოხსენება ჰქონდა. აუდიტორია აღტაცებული დარჩა.

გადავწყვიტე, სტუმრებისთვის სიურპრიზი შემეთავაზებინა! – ქართულად მივსალმებოდი, შეკითხვებიც ქართულად დამესვა. უკვე გონებაში აზრებს ვალაგებ, რომ მოკლედ და გამართულად წარმოვთქვა, და უცებ! – ყველაფერი წყალში ჩამეყარა.

– რა მოხდა, პიტერ?  
– ერთი ასპირანტი წამოდგა, ეროვნებით სომეხი.

– რატომ ავიწროებენ სომეხებს საქართველოში? – ჰკითხა უტიფრად აშკარა სიცრუე.

– თქვენ ყოფილხართ საქართველოში?

– მშვიდად, აუღელვებლად ჰკითხა მომხსენებელმა.

– არა.

– აი, ჩამობრძანდით და ნახეთ, როგორ ცხოვრობენ სომეხები საქართველოში, – მოკლედ უპასუხა და საკითხი ამოწურა.

აუდიტორიაც მალე დაიშალა. ალბათ, გამწვავებას მოერიდნენ...

ასე რომ, ჩანაფიქრი ჩამეშალა, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ. ჯერ ერთი – გამიხარდა. საქართველო ისე ლამაზად წარმოაჩინეს, რომ ალბათ, ყველას მოუნდა იქ წასვლა; მეორეც, მთელი ერთი საათი ქალბატონი ნინოს თანმხლები ქართველების შორიახლო ვიჯექი. ოღონდ ის ვერ გავიგე, სომეხ ასპირანტს რისთვის დასჭირდა უადგილო შეკითხვა? საქართველოში რამდენჯერმე ვარ ნამყოფი, და კარგად ვიცი, სომეხები იქ თავს როგორც გრძობენ, – უკვირს პიტერს.

– ეჰ, ჩემო პიტერ! მე კარგად ვიცი, ვისაც სჭირდება ეს უტიფარი გამოხდო მები, მაგრამ გამკითხავი არავინა!

კანადაში მცხოვრებ ვიღაც სომეხს რა მოვკითხო, როცა საქართველოს პარლამენტში სხედან პიროვნებები, რომლებიც ხშირად „ამტკიცებენ“ – დაფა თეთრია, და ცარცი შავიო, მაგრამ უბატონოდ ხმას არ სცემენ...

კმარა! ეტყობა, გამოფხიზლების დროა, თორემ ხვალ უკვე გვიან იქნება!

სამწუხაროდ, არ ვიცი, იმ ლექციის შესახებ თუ ითქვა რამე საქართველოში. იქნებ, დიპლომატიური მოსაზრებით, არჩიეს საერთოდ არ მიექციათ ყურადღება იმ გამოხდომისთვის (აქაოდა, მეზობლებს არ ეწყინოთო...)

თუ ასეა, არასწორი პოზიცია იქნება!

– კაცმა ჭირი მალა, მაგრამ ჭირმა თავი არ დამალაო, ნათქვამია.

როდემდის ვითმინოთ უტიფრობა და ზღვარგადასული თავხედობა?

დროა, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას!

კმარა!

**კლევოტერი, ფლორიდა, აშშ**

# ერთი წყესი

## მუხად მთხაიძე



### კულოცავთ!

22 ივლისს ხაშურში, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პოეტის, მკვლევარის, მურად მთვარელიძის დაბადებიდან 60 წელი აღინიშნა.

ლონისძიება ჯერ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაიწყო, სადაც გამოფენილი იყო იუბილარის საარქივო ფოტოები, შემდეგ ხაშურის I საშუალო სკოლაში გაგრძელდა. იქ იუბილარს გადაეცა რაიონის ყველაზე საპატიო ჯილდო – დიპტერი ყიფიანის სახელობის მედალი. სალამოს ესწრებოდნენ თბილისიდან საგანგებოდ ჩამოსული სტუმრები.

ჟურნალი „ანეული“ ულოცავს ბატონ მურადს საიუბილეო თარიღს და დამსახურებულ ჯილდოს. მომავალშიც წარმატებულ შემოქმედებით გზას უსურვებს! გთავაზობთ მურად მთვარელიძის ლექსს „მამული“.

### მამული

ჩამოიკონკა სიყვარულის კრიალოსანი,  
დღეები ჰგვანან სევდით სავსე სნეულ მიჯნურებს,  
ვხედავ, უფსკრულში იჩეხება ჩემი მერანი,  
რომელსაც ახლა ველარავინ ვერ მომირჯულებს.  
კბილთა ღრჭიალში უღამდებათ გრძნეულ დემონებს  
და მათ ღიმილში, ალბათ, უფრო მეტი შხამია,  
შენ უფრო გიყვარს საქართველო? ხარ უბედური,  
შენ უფრო გიყვარს საქართველო? – ნუ გიხარია,  
რადგან ბნელია და ნათელიც უკვე აღარ ჩანს  
და ანგელოზად ვხედავ ეშმას როგორ სახავენ,  
ტყვიას გესვრიან შენი ქვეყნის სიყვარულისთვის  
და მერე მკვდარსაც შენს მიწაში არ დაგმარხავენ.  
დგას საქართველო და სივრცეებს ჩუმად გაჰყურებს  
და გზებიც ახლა, ალბათ, უფრო ბევრზე ბევრია,  
მაგრამ რას იზამ, თვითონ ქრისტეც ველარ გიშველის,  
საჭეთმპყრობელი როცა თავად ბელზებელია...  
და ჰვი, ქარო, იქნებ სადმე გადამაფრინო,  
მაგრამ მამული ცრემლიანი როგორ დავტოვო,  
როცა ავადმყოფს უკეთური დაუფლებია,  
როს საღვთისმშობლოს, ვხედავ, ეშმა როგორ პატრონობს,  
და რეკავს ისევ საუკუნის ჩუმი ძახილი,  
და ბორგავს ისევ გულის გულში ცეცხლის ღაღარი,  
მამული გიყვარს სხვაზე მეტად? – ხარ უბედური,  
მამული გიყვარს ღმერთის დარად? – ტყვიაც მზად არი!  
და თუკი მაინც დაავადდი ამ სიყვარულით,  
გთხოვ, მეგობარო, პატიება ზეცას შესთხოვე,  
შეგყვარებია სხვაზე მეტად შენი მამული?  
მაშინ მასაც და სიცოცხლესაც გამოეთხოვე!



## სტუმრად ანა კალანდაძის



ანა კალანდაძე და მზია კიწმარიშვილი

ლიტერატურის კარგად სწავლება, უპირველესად, ღირსეული მოქალაქის ჩამოყალიბებას განაპირობებს. იგი ხვეწს და აფაქიზებს მოზარდის სულს, უღრმავებს პატრიოტიზმისა და ჰუმანიზმის კეთილშობილურ გრძობებს; პოეზია კი, ემოციურ-ესთეტიკური ფონით, ზემოთქმულთან ერთად, კიდევ უფრო ამდიდრებს და სრულყოფს მას. ჩემს მოსწავლეებსაც ყველაზე უფრო მეტად პოეზიის გაკვეთილები უყვართ, სადაც პირველივე წუთიდან ყველაფერი პოეზიით სუნთქავს.

მინდა გავიხსენო 2005 წლის მაისი. მე-8 კლასში, ანა კალანდაძის „ლაპილზე ისევ დიდებული და სავსე მთვარეა“ უნდა ავხსნა. კლასს დავალება მივეცი: პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები და ანას პოეზიიდან, მათთვის ყველაზე სასურველი ლექსი მოეძებნათ.

მოსწავლეები შეჩვეულნი არიან მსგავსს დავალებებს, რადგან კარგად იციან, რომ მწერლის ბიოგრაფიის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს მისი შემოქმედების გასაგებად, პოეტური სულის წვდომისათვის.

- „ლამის სახლში შემოიჭრას თუთა“...
- „ლურჯ მწვერვალს ქარი რძისფერ ნისლში ხვევდა“...
- „შენ ისე ღრმა ხარ ქართულო ცაო“...
- „და რა ქალი?! ხელის გულით სატარები“....
- „მეფერება მზე ალერსის მთხოვარს“...

მეორე დღეს არ აცლიდნენ ჩემი ანცი გოგო-ბიჭები ერთმანეთს.. ნიკას მისთვის ჩვეული ფრაზა, „მთელი დღე ფეხბურთის წვრთნაზე ვიყავი, მასწ“; დავიწყებოდა და რიხით წაგვიკითხა „საქართველოო ლამაზო“.

თამუნა ორჯონიკიძემ ნიკა აგიაშვილის მოგონებით გვასიამოვნა. რა თქმა უნდა, ერთ გაკვეთილში ვერ ჩავეტყუებ და პოეტის ცხოვრებისეულ საინტერესო ეპიზოდებზე მეორე დღეს განვაგრძებთ საუბარს: პირველი ლექსის შექმნის ისტორია; 1946 წლის 25 მაისი – მწერალთა კავშირი, 22 წლის იასავით მორცხვი ანა კალანდაძე ქართველ მწერალთა წინაშე თავის ლექსებს კითხულობს... ერთხმად მწერალთა კავშირის წევრად მიღება და ა.შ. ალექსანდრე აბაშელისა და კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები, ნათქვამი მწერალთა კავშირის სხდომაზე, და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი რამ... ბავშვებმა თითქმის ზეპირად იცოდნენ.

იმდენად დიდი იყო მათი დაინტერესება ჩვენი საყვარელი პოეტის შემოქმედებისადმი, რომ გადავწყვიტე მათთვის სიუპრიზი გამეკეთებინა. იმავე დღეს, გულის ფანცქალით, მივედი ქალბატონ ანასთან სახლში. მისმა დახვედრამ ყველანაირი დამაბულობა მომიხსნა. ვთხოვე, მოსწავლეების მოყვანა მინდა, დიდხანს არ შეგაწუხებთ-მეთქი. სიამოვნებით დამთანხმდა.

შეუძლებელია იმ წუთების აღწერა, ჩემმა სიურპრიზმა რომ გამოიწვია: საოცარი სიხარული, ტაში, ოვაცია ერთმანეთში აირია. მათი განწყობა მეც გადმომედო, ყველას დაგვაკვირვდა, რომ გაკვეთილზე ვიყავით.

რამდენიმე დღეში, ლამაზი თაიგულით ხელდამშვენებულებმა, გეზი საბურთალოს ქუჩისაკენ ავიღეთ.

სულ მალე ქალბატონ ანას სამყაროში აღმოვჩნდით. საოცრად თბილი, მრავლისმეტყველი თვალებით კარგა ხანს შეჰყურებდა ახალგაზრდებს. ბავშვობა, რამ გადაგაწყვეტინათ ჩემთან მოსვლაო – იკითხა უცებ. „თქვენმა ლექსებმაო“ – არ დაიბნა ნიკა, შემდეგ „პუშკინად“ რომ „მონათლა“ ქალბატონმა ანამ. „ჩემი რომელი ლექსი მოგეწონაო“ დაუბრუნა კითხვა „პუშკინას“. ნიკამ არ დაახანა და გულიანად „საქართველოო ლამაზო“ წაიკითხა. „შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო“... მომეწონაო“ თქვა თორნიკე დოლიძემ, პასუხს არ დაუცადა და ლექსი მთელი გრძობით წაიკითხა.

ბავშვებს მალე ყველანაირი დამაბულობა მოეხსნათ. ახალგაზრდებით აღტაცებული ქალბატონი ანა სიამოვნებით, სიყვარულით, საოცარი სითბოთი აჩვენებდა მათ თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ ფოტოებს, რომელსაც მთელი ოთახი ჰქონდა „დაპყრობილი“. შიგადაშიგ მოსწავლეები მათთვის საყვარელ ლექსს მთელი გრძობით დეკლამირებდნენ. საოცრად ლამაზი, ემოციური, ამაღლოვლად, აკადემიური ცოდნის ზეიმი გამართეს ბავშვებმა. პოეზიის ცეცხლი აავიზგიზეს უსაყვარლესი პოეტის სახლში. გთხოვთ, არ ამატიროთო, გაისმა ძვირფასი პოეტის, მართლაც, ცრემლიანი ხმა.

- „ეპ, ქალბატონო ანაო,
- ვცდილობდი ძალიანაო,
- როგორ შეგბედოთ ლექსები,
- რა ვწერო ამისთანაო ....“ – უცებ, გაგვიპოეტდა სანდრო ოთარაშვილი.
- „როცა თქვენს ლექსებს გადავიკითხავ,
- გული მაშინვე დამიწყებს ძეგრას,
- ავიღებ კალამს, გადავმლი ფურცელს
- და სიხარულით მეც ვიწყებ წერას ....“ – სიყვარულით შეებდა ანა არაბულმა.
- „ჩვენო ლამაზო ქალო, ლეგენდავ ...“ მოეფერა სალომე თოხვაძე.
- „ბუღბუღივით ხმატკბილმა
- შეგვაყვარე მამული,
- გაგვანსენე წინაპრები
- ჭირში მრავალნახული ...“ – გაიღეჟა ნინო გვარლიანი.


უცებ ქალბატონი ანა წამოდგა, ჩემს ახლობელს უნდა გავაცნო თქვენი თავიო და გარეთ გავიდა. მალე ქალბატონ თინა ყანდარელს გააცნო ჩვენი თავი.

„ლამის სახლში შემოიჭრას თუთა ...“ – საოცარი ოსტატობით დაიწყო ყველასთვის საყვარელი ლექსი ანა ჩანავამ. ბავშვებო, წამოდით, რა გაჩვენოთო, უთხრა უცებ პატარებს ქალბატონმა ანამ და აივანზე გაგვიყვანა. ეს თუთა – მიგვითითა ხეზე, რომელიც პოეტის ფანჯარასთან ამაყად ყვლეკვლობდა, – „აქ რომ გადმოვედი, არც ერთი ხე არ იღვა“, – გააგრძელა საუბარი, – მეორე წელს ეს თუთა თავისით ამოვიდა და რამდენიმე წელიწადში ჩემს ფანჯარასთან ამრიგლად. გაოცებას ვერ ვმაღავდი. შავი ნაყოფი ჰქონდა და ხის ქვეშ მდგომ რამდენიმე მანქანას ეცემოდა. ამით შეწუხებულმა მანქანის მფლობელებმა მისი მოჭრა გადაწყვიტეს, მაგრამ მთელი კორპუსი ფეხზე დადგა და ასე გადაარჩინეს მისივე სურვილით „მობრძანებული“ თუთის ხე“, – დაასრულა პოეტმა და ნახად შეახო ხელი მის ფოთლებს. საოცარი განწყობა დაგვეუფლა.

ერთმანეთის სიყვარულით დიდხანს ვტკებოდით, სულ დაგვაკვირვდა დანაპირები – „დიდხანს არ შეგაწუხებთ-მეთქი“, თუმცა არც თვითონ არ ჩქარობდა ჩვენთან დამშვიდობებას. დიდხანს, ძალიან დიდხანს გვესაუბრებოდა მეგობრობაზე, ურთიერთგამტანობაზე. უხვად არიგებდა სითბოს, სიყვარულს. არ იცოდა, როგორ ეცა პატივი. სუფრაც გაგვიშალა. ჩვენს წინ სულ სხვა ანა კალანდაძე ტრიალებდა.

„...რამდენი ხანია ყველას გვენატრებოდა ასეთი ლექსების მოსმენა... აქ არის: მთით მობერილი ნიავი, ნარგვის თქმული იავნანა... ველსა გარე მიმავალი მთვარის ამიყი-ბზა, მღელვარე და შფოთიანი ალუბლის რტოდან მზის სასალამოდ გაფრენილი ჩიტები...“

გამიხარეთ მოხუცს გული, ყოველ წუთსა და საათს წვეთ-წვეთად შემასვით ეს ღვთაებრივი ზედაშე; ამ სიბერის ჟამს ნუ მომაკლებთ დიდ ბედნიერებას... მაშ, იყოს დღევრძელი ლურჯთვალა ია!“ – გამახსენდა ალექსანდრე აბაშელის სიტყვა, 22 წლის გოგონამ ასე გულწრფელად რომ ააღელვა მსცოვანი პოეტი.



უეცრად შევშოთოდი, ფიქრებიდან რამდენიმე მოსწავლის ქმედებამ გამომიყვანა. როგორც კი ქალბატონი ანა სამზარეულოში შევიდა, ისინი მაგიდასთან მივიდნენ, ლარნაკიდან შოკოლადი აიღეს და რაც მთავარია, ჯიბისაკენ გააქანეს. გული კინაღამ გამიჩერდა. ვერც ხმა ამოვიღე, რადგან ქალბატონი ანა შემოვიდა, ხასიათი გამიფუჭდა. ქალბატონი ანა კი სიყვარულით გვიმასპინძლდებოდა. ეფერებოდა თითოეულ მოსწავლეს. არ დამივიწყოთ, ვიმეგობროთო, ეუბნებოდა მათ.

დიდი სიამოვნებით გადავიღეთ სამახსოვრო სურათები. სიყვარულით გამოგვეშვიდობა. ველავდი, არ ვიცოდი, როგორ მეთქვა ბავშვებისთვის, ეს რა ჩაიდინეთ-მეთქი. ამ მდგომარეობიდან თვითონ მათ გამომიყვანეს. თორნიკემ ჯიბიდან „მოპარული“ შოკოლადი ამოიღო და მაჩვენა: მზია მასწ, ნახეთ რა მაქვსო. ეს რა არის-მეთქი, ვკითხე, თითქოს არაფერი მენახა. ჩუმად ავიღეთ, უნდა შევინახოთ, ჩვენს შვილებს ვაჩვენოთ, ვუთხრაო, როგორ გაგვიმასპინძლდა ჩვენი საყვარელი პოეტიო. ბოლო სიტყვა დასრულებული არ ჰქონდა თორნიკეს, მე უკვე კიბეზე ავრბოდი. ზარი დავრეკე, სულს ძლივს ვითქვამდი. ქალბატონ ანას მოვუყევი, რაც მოხდა. კარგა ხანი გაოგნებული მიყურებდა, თანდათან უფრო მათკებენ ეს ბავშვები, მართლაც, როგორ ვყვარებივარო, მითხრა თვალცრემლიანმა. ერთმანეთს გადავეხვიეთ, ორივე ვტიროდით.

მზია ჯინაიხიშვილი,  
128-ე საჯარო სკოლის ქართული  
ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი



### კვარტეტის კონცერტი უნივერსიტეტში

2013 წლის 9 ივლისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ჩატარდა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდა უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ადრე გოგონათა, ამჟამად ქალთა კვარტეტი.

35 წლის განმავლობაში შემდეგ, მსმენელთა წინაშე კვლავ ერთად წარდგნენ: მარიკა ჩიქოვანი, ნატო შარვაძე, გულიკო ქსანდოპულო, ნატა გუნციკიძე.

კვარტეტს აკომპანირებას უწევდა ზურაბ ქურდაძე. საღამო მიჰყავდა ჩვენი ლიტერატურული გაერთიანების წევრს – თამარ მიქაძეს.

შესრულდა სიმღერები იშხნელების რეპერტუარიდან და ნატა გუნციკიძის მანამდე უცნობი ნაწარმოებები ანა კალანდაძის, ალექსანდრე საჯაიას, ზურაბ კაკაბაძის, დათო კვიციანიშვილისა და სხვათა ტექსტებზე. გოგონებმა გაიხსენეს ზურაბ ჩიქოვანი და მისი როლი მათ წარმატებაში.

საღამო გახსნა ფილოლოგიის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ. სიტყვით გამოვიდნენ მომღერალი გია ნაცვლიშვილი და ლიტერატორი ანდრო ბუაჩიძე. ქალბატონებმა მადლობა მოახსენეს ყველას, ვინც ამ საქმეში მონაწილეობდა, მათ შორის – კონცერტის იდეის ავტორს ნინო ჭუმბურიძეს.

შეხვედრამ იშვიათად გულთბილ ატმოსფეროში ჩაიარა. იყო მონატრება, სიტბო, ცრემლიც კი... გამოითქვა სურვილი, ეს დღე ყოფილიყო დასაბამი 80-იანი წლების უნივერსიტეტელების მომავალი შეხვედრებისა..

## ჩინებულება

### ალუბალი – სადიდებელი უფლისა

ცის გუმბათისკენ ზეაზიდულის შემხედვარეს თვალნი ზეცად აღმიმართავს. გონი უფლის სადიდებელი სხივთა გაელვებით გამნათებია და ბაგეთაგან წამოსულა:

– ალუბალი – ალილუია, ალილუია, დიდება უფალს!

შეურყენელი თეთრით შემოსილი ხვდება უკვე მერამდენე გაზაფხულს, აღდგომას უფლისას.

დროთა სვლა მწვანესაც შეურევს მის სიქათქათეს, ყვავილში ნაყოფს გამონასკვამს და ელის მწიფობით მადლი უძღვნას უზენაეს შემოქმედს.

მზეჩალური ნაყოფი მწვანე ფოთლებს სისხლს წვეთებად ჩამოეკიდება, გარესკნელ სამყაროს ჯვარცმული ქრისტეს სისხლით გააჯერებს.

ალუბალი – მზის სხივების ხაზებით დაწერილი ცის კარზე, ხელიდან ანთებული სანთლებით ლოცვას აღაუღენს, მაგალითს გვაძლევს უფლის ქმნილის მოქმედებისას.

მიზიდავს ნაყოფი მისი, ვითარცა მაგნიტი. ვიღებ მის მარცვალს, როგორც ღვინოს ზიარებისას. ზიარებას სულისა და ხორცის საკურნებლად, სადიდებლად უფლისა!

ალუბალი – ალილუია, ალილუია, ალილუია! დიდება შენდა, ღმერთო ჩემო, დიდება შენდა!

### ჭუპრი

ჭუპრი წრიალებს ჩაკეტილ პარკში, კედლებს აწყდება, თავისივე აშენებულ სიმაგრეიდან ვერ გამოსულა. გარღვევა უნდა, ეწვალება, გამოსდის კიდევ. კარი იღება, ჭუპრი მეორედ იბადება, გამოვარდება და ჰაერის სიმსუბუქეს შეუერთდება, ეთერივით გამჭვირვალობას შეემსჭვალება, სამყაროს ფერში ჩაიღვრება, გაიფანტება. უცებ საყაროდ გადაიქცევა, სამყარო კი ერთი პატარა ჭუპრი გახდება.

\* \* \*

ღმერთმა ფუტკარი გამოგვიზაგნა, მისგან გვასწავლა შრომა და გარჯა, სნეულის მკვლეა, უფლის დიდება, სამყაროს ფერთა სიტკბოდ გარდაქმნა, დაჭრილებისთვის მალამოდ ქცევა, ბზუილ-ბზუილით, მწარე სიმართლის თვალეებში ხედვა...

## მაცვანა ბეჩანოზაშვილი



\* \* \*

ბედნიერება ეს ყოფილა:  
წვიმის წვეთებს  
ცრემლი ჩემი რომ უერთდება,  
მზეგავსილი დღე რომ მეფერება  
და მეც ვივსები მზის სხივებით,  
ღვთის სასწაულით...

\* \* \*

სულო, არ მინდა ხორცმა რომ გძლიოს,  
სიბრჭყვიალემ თვალი მოგწყვიტოს!

\* \* \*

ცა ზომ სამყაროს ლურჯი თვალია.  
ჩემს თვალეებში ჩატეული, ჩაბუღებული!

\* \* \*

ბედნიერი ვარ,  
ხელაპყრობილი,  
უფლის წინაშე ქედმოდრეკილი,  
პირჯვრის წერა რომ შემძილია!

\* \* \*

ო, რა ძნელია განცდა ცოდვებისა,  
სულის ტვირთისა...  
რა ძლიერია ნატვრა –  
სიმძიმის დატოვებისა.

\* \* \*

ბედნიერი ვარ, დედა რომ მქვია...  
დიდი შიშის და ძრწოლის ლოდინით...

# მკითხველის გაცხადებები

## იმ დღეს თვითმფრინავი ჩამოვარდნილა ობუჯში..



ჟურნალ „ხელეურის“ 2012 წლის მე-2 ნომერში დაიბეჭდა ბატონ ჯუშუბერ ჯიშკარიანის მშვენიერი მოთხრობა „აუხდენელი ოცნება“, რომელმაც ჩემი ბავშვობის დროინდელი ამბავი გამახსენა... და თქვენთვის გაზიარების სურვილი დამებადა. აქვე, მაღლობა მინდა ვითხრათ იმ ეროვნული მუხტისა და რულუნებისათვის, რომლითაც გამოირჩევა თქვენი ჟურნალის ყოველი ნომერი. „ანუელიც“ ამისი დასტურია.

ურბესი პატივისცემით,  
ფილოლოგი ლია მესხია

მამას სოფელი ობუჯი სამიოდე კილომეტრით არის დაშორებული წალენჯიხიდან. თურმე ობუჯელები ყოველთვის ამაცობდნენ თავიანთი წარსულით. უხუცესები ხშირად იგონებდნენ რევოლუციამდელ პერიოდს, სამეგრელოს გლეხთა აჯანყებას (1857-1876წწ.) და ობუჯელი გლეხების როლს იმ აჯანყებებში...

როცა წამოვიზარდე, მამა გვიყვებოდა: – იმ წელს დავბადებულვარ, რევოლუცია რომ დამარცხებულა (1905წ). მართალია, ზოგი რევოლუციისთვის იბრძოდა, მაგრამ ზოგი – მის წინააღმდეგ და ამიტომ აქა-იქ დენთის სუნი ჯერ კიდევ ტრიალებდაო. სამცხე-ჯავახეთის დირში კრება რომ ჩატარებულა, იმის ერთ-ერთი მონაწილე ვიო რეალურად ცხოვრობდა ჩვენს სოფელში. მას მეც ვიცნობდი. თუმცა პატარა ვიყავი, მაგრამ კარგად მახსოვს მისი მონაყოლიო. – არ ვიცი, მამას რა ახსოვდა, მაგრამ ის, რომ გიო-ლეო ქიაჩელის მოთხრობის “ტარიელ გოლუას” პერსონაჟი იყო, ეს ჩვენ VIII თუ IX კლასში ვისწავლეთ. და ერთიც: ბევრის მომსწრე ის სამი ცაცხვი დღესაც დგას წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების ათასწლოვანი თეთრი ტაძრის ეზოში (X-XI სს). ვერ შეურყიეს მათ ძირი ვერც რევოლუციებმა (1905-1917წ), ვერც შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა (1920-იანი წლები) და ვერც სამეგრელოს პაჭანიკებივით შესეულმა ჩვენი დროის არაკაცებმა – „მხედრონელების“ სახელით რომ გაუგონარ, არაკაცურ სქციელს ჩადიდნენ წალენჯიხაში (1990-იანი წლები).

ობუჯიდან იყვნენ: საზოგადო მოღვაწე და მწერალი ლეო შენგელია-ქიაჩელი, დიდი მეცნიერი და მამულიშვილი – შოთა მესხია, საყოველთაოდ ცნობილი კინორეჟისორი – კოლია შენგელია, ასევე სახელგანთქმული კინორეჟისორების – ელდარ და გიორგი შენგელიების მამა, და ცნობილი კინოვარსკვლავის – ნატო ვაჩნაძის მეუღლე. ობუჯის თავზე მოხდა იმ თვითმფრინავის კატასტროფა, ასობით ადამიანი რომ იმსხვერპლა და მათ შორის ნატო ვაჩნაძე, რომელიც მოსკოვიდან თბილისში მოფრინავდა. ის დღე დღევანდელივით მახსოვს. უჩვეულოდ წვიმდა, თითქოს წყალს ასხამებო ზეციდან...

ძალიან მიყვარდა ბავშვობაში წვიმაში სიარული. მიზეზს ვეძებდი მინდორში გასასვლელად. სახლში მარტო ვიყავი და ფანჯრიდან ვიყურებოდი. დაინახე, ერთი ინდაური თავგზაბუნული დარბოდა ჭრის ირგვლივ. უცბად გარეთ გავევარდი, თავი წვიმას შევუშვირე და ინდაურს გავეკიდე. ეზო წყალს მიჰქონდა, ელავდა, გრუნუნებდა, ინდაურს ვერ ვიჭერდი, დავრბოდი და მიხაროდა. მერე საშინლად დაიჭექა, ცას ავხედე, ელავდა და ცეცხლის ენასავით იკლავებოდა, ანათებდა და ანათებდა, გრუნუნის ისევ გამეორდა, თითქოს მეხი გავარდაო, გამაყრუებელმა ხმამ ყური დამიხმო და რაღაც ძალამ ზევით ამიტაცა, ეს მოხდა ერთ წაშში. როცა გონს მოვედი, მუხლებამდე ტალახში და წყალში ვიყავი ჩაფლული...

თითქოს ამას ელოდაო, წვიმა ერთბაშად შეწყდა, ცა მოიწმინდა და ის სულები ინდაურიც გაჩერდა. ერთიანად გაწუწული ისევ მუხლებით ვიჯექი ტლაპოში, როდის, როდის მოვახერხე იქიდან ამოსვლა და აკანკალებული შევედი სახლში. რა თქმა უნდა, გავცივდი, ერთი კვირა სიცხიანი ვიწექი ლოგინში... ამასობაში მთელი რაიონი ალაპარაკდა, – იმ დღეს თვითმფრინავი ჩამოვარდნილა ობუჯში, არავინ გადარჩენილა, ნატო ვაჩნაძე დაღუპულაო... ეს, მართლაც, მეხის გავარდნა იყო... ნატო ვაჩნაძის სახელი

ყველამ იცოდა წალენჯიხაში. ჯერ ერთი, თითქმის მისი ყველა ფილმი გვქონდა ნანახი, მეორეც, როგორც კი „აკაკის აკვანი“ გადაიღეს, მალევე ჩამოიტანეს და მსახიობებს არაჩვეულებრივი შეხვედრა მოუწვეო. ჩვენს თეატრში არც თუ ისე ბევრი კაცი ეტეოდა, ადრეც ჩატარებულა შეხვედრები მწერლებთან და პოეტებთან, მაგრამ იმ დღეს ხალხის სიმრავლემ მოლოდინს გადააჭარბა, არავის უნდოდა სახლში დარჩენა, ხალხი ფეხზე იდგა, მათი უმეტესობა ობუჯიდან იყო ჩამოსული. სცენა ყვავილებში იყო ჩაფლული, იჯდა შეუდარებელი სილამაზის ქალღმერთი, თეთრმანტიამოსხმული, ყვავილებში და თავისი დიდებულებით აღმასივით ბრწყინავდა, ხოლო პატარა „აკაკი“ – ომარ ჩიტაია გატრუნულიყო მის გვერდით და ძლივს მოჩანდა ყვავილებიდან.

განსაკუთრებული სითბო იღვრებოდა იმ საღამოს ყველა გამოშვლელისგან. კონცერტში მეც ვმონაწილეობდი, წავიკითხე ლექსი „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“, მაგრამ ვაი ასეთ წაკითხვას, ისე ვღელავდი, ნაცვლად იმისა, რომ მეთქვა: – „ტოროლა მალა ღრუბლებში“, ვთქვი: – „ტოროლა მალა ბუჩქებში“. დარბაზი ახარხარდა, მე დავირცხვინე და ავტირდი, სამაგიეროდ, სათაყვანებელი მსახიობისგან კოცნა დავიმსახურე. – ნეტავ, ჩვენც შეგვშლოდაო, – ამბობდნენ მერე ჩემი სკოლელები.

P.S. გაივლის რამდენიმე წელი და უკვე სტუდენტი ჟურნალისტებთან საერთო ლექციაზე გავიცნობ ომარ ჩიტაიას. მოუყვები კიდევ ჩემს ამბავს, მაგრამ, აბა, როგორ გაახსენდებოდა. ის უკვე ცნობილი იყო თბილისში, თუმცა შემდგომში, მე როგორც ვიცი, მას არ უთამაშია ფილმებში...

...როგორც ვთქვი, მთელი რაიონი წავიდა ობუჯში იმ ადგილის სანახავად, სადაც თვითმფრინავი ჩამოვარდა. მათ შორის ჩვენი ოჯახიც. საზარელი სურათი ვნახეთ, დახრუკულ-დანახშირებული ხეები, ჩამოლექილი ტოტები, ჩამოკონწილებული ტანსაცმლის ნაფლეთები, დამწვარი ცალ-ცალი ფეხსაცმელი. ჩამოვარდნილი თვითმფრინავის ნამსხვრევებს მიწა ისე ჩაელრძვებინათ, გვეგონებოდა, ბულდოზერით ამოთხარესო. ვინც ჩვენზე ადრე წავიდა, ისინი უფრო მძიმე სურათს ხატავდნენ... ისე, იმასაც ამბობდნენ, სიმბოლურიც კი არის, ნატო აქ, კოლიას სოფელში რომ დაიღუპა, ქმარს სივითქმდე უყვარდაო... ვინ იცის, მხოლოდ ღმერთმა უწყის, რატომ მოხდა ეს უბედური შემთხვევა მაინცდამაინც ობუჯში...

## თამარ შაიშმელაშვილის „სულალები“



### იბერია

იბერია, იბერია,  
ლოცვა ამოგინევი...  
საღვთისმშობლო შრომანივით,  
მოციავე, შორს ნამივით,  
ცრემლი სულში გიდენია...  
მწუხრის ლურჯი კვირტებია.  
გაწყვეტილი მზის სხივივით  
ნათელ-ნათელ მისხვისდები...  
თვალისჩინი მიძებნია,  
ყველგან სისხლის მძივებია...  
გულგამლილი ჭრილობები,  
ხანძრის სევდით იმოსები...  
სავედრალი იმდენია,  
ზარებს რეკავს ცით ბედია!  
მენატრები ვაზმტევანო –  
ფარნავაზის ნატერფალო...  
საღვთისმშობლო შრომანივით,  
მოციავე შორს ნამივით...  
იბერია, იბერია,  
ჩაუმქრალი ხილვებია!

საქართველოს მწერალთა სახლში თამარ შაიშმელაშვილის ახალი პოეტური კრებულის „სულალები“ წარდგინება გაიმართა. ეს მწერლის მეხუთე წიგნია. ახალი კრებულის გამოსვლა თამარს მიულოცეს მეგობრებმა, მწერლებმა, პოეზიის მოყვარულთ.

წიგნის რედაქტორია გიორგი ლალიაშვილი, მხატვარი – ნათელა იანქოშვილი, დაკაბდონება და დიზაინი – გოჩა სოზიაშვილისა.

კრებული დაისტამბა შემოქმედთა კავშირში „ქართული წიგნი“.

გთავაზობთ ერთ ლექსს ახალი კრებულიდან.

ჩეთევან ნათიანი



მარიამობის ცა

მარიამობის მოსვლა ვერ მოგილოცე წელს, უფლის სიმშვიდე მოსავს, ცას ლოცვებით ძველს.

ქარი მიყვება ამბავს, მე რომ ცრემლებით ვცან, სხვამ მოგილოცა ალბათ, მარიამობის ცა...

დარდი მარტვილობს გულში, ვხედავ უფლისკენ გზებს, მთებზე იჩოქებს მწუხრში მოლიტანიე მზე.

აღწევს ოთახში ღმერთი, ხატთან ღუმელი წვიმს, ვეღარ ვლოცულობ შენთვის, და მწყინს, უზომოდ მწყინს!

მე მწუხარება მმოსავს, ვუძლებ სინანულს მწველს, მარიამობის მოსვლა, ვერ მოგილოცე წელს.

მე თუ გაგონდები...

ზეცას ვარსკვლავების სწყდება აკორდები, სული ტკივილებში ისე იბლანდება, ნეტავ მაცოდინა მე თუ გაგონდები, როცა გგონია, რომ ვიღაც გიყვარდება... შენთვის მარტის წვიმებს

აღარ შევედრები, უხმო დასასრული იყო გამეტება, რადგან დაგამადლე ჩვენი შეხვედრები, სულში ჩაწერილი შავ-თეთრ ფრაგმენტებად. ვხვდები, შენზე ფიქრი როგორ მათავადებს, შენ არ განგიკითხავ,

სულ რომ არ გახსოვდე, რადგან ეს ლექსებიც ისე დაგამადლე, ალბათ დამეწერა ჯობდა არასოდეს. ქუჩა ფოთოლცვენით ისევ გაანათეს, ახლა უშენობის მამღვრევს აგონია, წვიმა რა იყო და წვიმაც დაგამადლე, რომლის მოსვლაშიც მე

ხელი არ მქონია... სხვისთვის უმნიშვნელო გზებად გავიყავით, და დღეს ის წუთებიც ვეღარ გვიპოვნია, ვიდრე გეტყვოდი, რომ –

ღირსი არ იყავი, ვიდრე შებღალავდა ღიმილს ირონია. ლოდინს მოყვავილე ყლორტი ავაჭვრით, ვიცი უმზეობას ხშირად დაუღლიხარ, ვიდრე იქნებოდა ბოლო განაჩენი: – ჩემგან მოწერილი

წყალსაც წაუღიხარ!" მაგრამ გეფიცები, თუ რამ მაცოცხლდა, მხოლოდ შენი ტრფობის ცივი ქარებია, ასე ქედმაღლურად ქალურ ახირებით, ქვეყნად სხვა არავინ მე არ მყვარებია. შენი მონატრება ისევ შემრიალდა, ქრიან ყვავილები მზისთვის რიგითები, იცი? ფანჯრებს იქეთ ისევ თქეშია და, ისევ ხმაურობენ წვიმის ლივრიდები. ზეცას ვარსკვლავების

სწყდება აკორდები, სული ტკივილებში ისე იბლანდება, ნეტავ მაცოდინა მე თუ გაგონდები, როცა გგონია, რომ ვიღაც გიყვარდება...

შემომათენდი

აქ მინდორია – ყვავილებით სავსე აუზი, ჩვენ შორის ახლა უსახელო

ღღებები ღგანან, რა უსაშველოდ გაიწელა ჩვენი პაუზა, მე ტკივილით და მარტობით

გამევესო ტანი... შენ აღარ მოსდევ მონატრებით

ფერწასულ მუხებს, აქ, სადაც სისხლად გადმოიმისხეს

ლექსებმა სევდა, დედის ნაჩუქარ სამკაულებს

მოწყენით ვუმზერ, და ჩემს მოწყენად გადაქცევას

განიცდის დედა. და სიჩუმე დგას ჩემს სხეულში,

უმენო ღღემდე, გავეწვიმისფერდი და ლექსებიც

ვერაფრით მკურნავს, ჩემი ბავშვობის ფოტოებით

გავსებულ კედლებს, აქვთ მზის ჩასვლისას მოთიბული

ბალახის სუნი... და ამ ღუმელსაც უშენობის

მწარე შარმი აქვს, ენთება შენი ვარსკვლავები

ჩემს ჩამქრალ ცაზე, მე ავადა ვარ – დარდი ჭირს და

მონოგამია, ანუ ვერ შევძლებ და ვერასდროს ვერ

გაგცვლი სხვაზე. ...აქ მინდორია – ყვავილებით

სავსე აუზი, მე გწერდი ლექსად – იგივეა

სანთლად განთებდი, რა უსაშველოდ გაიწელა ჩვენი პაუზა,

რა მოლოდინის ღამესავით შემომათენდი!...

მირიანს

დარდს ლექსად ფურცლები უსეტყვია, და ფიქრის დაუდგამს კარავი, მირიან, ვფიცავ რომ სულერთია, მირიან, ან შენ, ან არავინ!..

გულში გაჩენილი სამარხები, დრომ სხვა დავიწყებით ჩარაზა, აქ ქუჩის უღირსი სალაზნები, ფლირტსაც მიბედავენ გზა-და-გზა.

ღმერთს ისე უღმერთოდ ვეძალებით, ქუჩებში სიყალბის ქარია,

აქ ისე მომრავლდნენ მეძავეები, ცნება სიყვარულის მკვდარია!

მირიან, ვერ ვუძლებ უმზეობას, და მზეებს ვიგონებ უმაღვე,

მუხლზე დაჩოქილი უშენობა, ვედრებს უნუგეშოდ – უფალო...“

ლოცვა საშველია ერთადერთი, რამე საშველიდა თუ არი,

კვლავ არ დაგვიბრუნოს ერთმანეთი, ისე არ გაგვეწირავს უფალი.

მთვარეა ლექსებზე მომაკვდავი, არ ძალმიძს კვლავ დამე ვათიო,

ცივი ვარ დეკემბრის თოვასავით, არავის არაფერს ვპატიობ!...

მირიან, ჩაივლის მარტობა, წვიმების ცისფერი ქარავნით,

მირიან, ჯანდაბას ეს ქალაქი, მირიან, ან შენ, ან არავინ!

შორს, ეულ ვარსკვლავთა ამაღაში, ვხედავ ამ სტროფების მირიადს,

ოღონდ შენ ნუ მოხვალ ამ ქალაქში, მე დაგვიბრუნდები მირიან!..

უცდის კახეთი

მე მომეჩვენა იყო ზღაპარი, შენ მომაჩვენე ანდაც ზღაპარად, შენ არ აღმოჩნდი ისე სხვაგვარი, რომ გყვარებოდი უფრო სხვაგვარად...

გულში რა უცებ გაჩნდა ნაპრალი, რომ მყვარებოდი მაინც ვეცადე,

აქ მთები არის ისე მაღალი, აღარ არსებობს ზღვარი ზეცამდე!

ხელში დაძველდა ჩემი ლოცვანი, შენსას ყველაფერს ჩემი დავარქვი,

და ეს ქალაქიც ჩემად რომ ვცანი, მაინც არ არის ჩემი ქალაქი.

ნისლი ცის ერთი თეთრი სიმიო, წელს სხვანაირი იდგა ივლისი,

ხვალ მე დავტოვებ ქალაქს წვიმიანს, ფიქრად დარჩებით შენ და თბილისი...

მთვარეს დაღლილი მიწა შეჰხარის, შენ აქ ხარ, მაგრამ უკვე წაზვედი,

და ქრისტესავით გაუტეხავი, ჩემს დაბრუნებას უცდის კახეთი!

გურამ ასათიანის გახსენება

დეიდა თინა და ბიძია ლევანი

გურამის დედა, დეიდა თინა, ჭიჭინაძის ქალი, წარმოშობით სოფელ ჭოლევიდან, იყო სრულიად განსაკუთრებული დედა თავისი შვილისადმი უკრიტიკო დამოკიდებულებით, გამორჩეული სიყვარულით, მისი ყოველი ნაბიჯისადმი პოზიტიური რეაქციით, ყოველ სიტუაციაში მისი გამართლების სურვილით, შვილის გამოჩინების მცდელობით, გურამზე ხუმრობებისადმი და გადაკრულად ნათქვამისადმი უარყოფითი რეაქციებით, ყოველგვარ კამათში გურამის მხარის დაჭერით, გურამის წარმატებებით განცდილი სიამაყის არდაფარვით და სხვა უამრავი გამოხატულებით, რომელთა სრულად ჩამოთვლა თითქმის შეუძლებელია.

დეიდა თინას ასეთ საქციელზე ჩვენი მეგობარი თამაზ ალავეძე სულ ბურტყუნებდა და ბოლძიანად ამბობდა: „გამაგებინეთ ხალხო, დეიდა თინაც დედაა და დედაჩემიც?“ (თამაზის დედა – დეიდა თალიკო – სულ თამაზის საყვედურებში იყო და ყველა სიტუაციაში თამაზს ამტყუნებდა).

დეიდა თინას გურამისადმი თვალმისაცემად გამოჩნეული დამოკიდებულების სადემონსტრაციოდ მინდა გავიხსენო მისი რამდენიმე ტიპური „გურამოფილური“ გამოვლინება:

გურამი ახალი წასული იყო მოსკოვში სასწავლებლად, როდესაც დეიდა თინა და მამაჩემი ერთმანეთს ყოფილ „ვერის ბაზარში“ შეხვდნენ. შეხვედრის დროს აუცილებელი და საკალღებულო ტრადიციული ფრაზების მერე, ახლობლობისა და სიყვარულის გამოხატვის მიზნით, მამას დეიდა თინასთვის უკითხავს: „რიჟასგან რა ამბებია მოსკოვიდან, როგორ მოეწყო, რას იწერება?“ (გურამი ქერა იყო და ხანდახან „რიჟას“ ვეძახდით, რაც მამას გაგონილი ჰქონდა და დეიდა თინამ კი არ იცოდა. მოკითხვის ასეთი ფორმით დაბოღმობა დეიდა თინამ რაღაცა უპასუხა სხაპასუხობით და უეცრად გასცილდა მამას. მამა დაბნეულა და გაკვირვებული და ცოტა შეურაცხყოფილი გამობრუნებულა. აფორიაქებული დეიდა თინა სახლში რომ შესულა, ბიძია ლევანს უკითხავს,



რა მოგივიდაო. დეიდა თინას მოუყოლია ვიქტორ ცერცვაძესთან შეხვედრისა და მათი საუბრის ამბავი ასე დაუმთავრებია: „კი მაგრამ ეგ კაცი სარკეში არ იყურება?“ (მამაჩემიც ქერა იყო).

დეიდა თინა მიჩვეული იყო, რომ საზოგადოებაში, ყოველგვარ შეკრებასა და წვეულებაზე გურამი თავისი ელეგანტურობით, სიტყვაკაზმულობით, გონებაბახვილობით და არტისტიზმით ყოველთვის ბრწყინავდა და ვერ ეგუებოდა, თუ იგი ჩრდილში აღმოჩნდებოდა და ვინმე მასზე უფრო გაიღვკვდა. ერთ-ერთ 12 იანვარს, თინაობა დღეს, დეიდა თინასათვის ამ დღის მისალოცად ასათიანებთან მივედით გოგი ყუფარაძე მეუღლესთან, აკასთან ერთად, იურა ჯანელიძე, ჩემი მეუღლე ნანა და მე. იქ უკვე დაგვხვდნენ იუბილარის მეგობრები: ვერიკო ანჯაფარიძე, ნუნა ქარცივაძე, მარიკა ჩიქოვანი, რაისა მიქაძე, გოგუცა აგიაშვილი და სხვები. გოგიმ შესვლისთანავე ხელში აიღო სუფრის სადავეები, თანდათან შევიდა როლში, სულ მთლად აიწყვიტა და სუფრასთან იყო შეუკავებული სიცილი, ხარხარი და საოცარი

მხიარულება. გურამმა მოლიანად დაუთმო ინიციატივა და ასპარეზი, რაც ძალიან აღიზიანებდა დეიდა თინას. ცოტა ხანში დეიდა თინამ გურამს ზურგის მხრიდან გაუარა და გაღიმებული სახით, სხვებისთვის შეუმჩნეველად წასჩურჩულა: „Гурам расскажи что-нибудь.“ ეს შეუმჩნეველი არ დარჩენილა თურმე ხონელი იურა ჯანელიძისათვის და როცა გამოვვდით, მოგვიყვა, რაც მოისმინა. ამის შემდეგ მთელი ცხოვრების მანძილზე როგორც კი გურამი ჩამოვარდებოდა იშკილებიდან, გადავულაპარაკებდით ხოლმე: „Гурам расскажи что-нибудь.“

ცოტა რომ წამოვიზარდეთ, დეიდა თინა და მისი მეგობრები, რომლებსაც ჭეშმარიტად ახალგაზრდული სული ჰქონდათ შემორჩენილი, ძალიან გვიყვარებდნენ თავს და გვათამაშებდნენ. თუ შევესწრებოდით მათ თავშეყრას, ტოლებივით მიგვიპატიუებდნენ სუფრასთან, აგვევებოდნენ მხიარულებაში და მშვენიერი დროსტარება გამოგვიოდა ერთად. მახსოვს, ერთხელ, შუა ღამეს გადაცილებული იყო, მე უკვე მეძინა და მელიქიშვილის ქუჩის მხრიდან შემომესმა წვრილი ხმით შეძახილება: „ოჩო! ოჩო! ოჩო!“

ერთი პირობა მეგონა სიზმარში ჩამესმა ეს ხმები, მერე ჩაბნელებული ოთახიდან ქუჩისკენ გამავალი აივნის რიკულებს შორის გავიხედე და რას ვხედავ: შეჯგუფულად დგანან დეიდა თინა, ვერიკო ანჯაფარიძე, ნუნა ქარცივაძე და მარიკა ჩიქოვანი და ოდნავ გაუბედავად, ვიდაცის ძალდატანებით ერთ ხმაში იძახიან „ოჩო! ოჩო!“ სიბნელეს თვალი რომ შევჩვიე, ცოტა მოშორებით დავინახე გურამის მანქანა და შემომესმა მისი თავშეკავებული ხითხითი, რითაც ყველაფერი გაირკვა: გურამი აცილებდა დეიდა თინას „პადრუგებს“ ჩემს სახლთან გაჩერა მანქანა და ქალებს წაუყენა პირობა, რომ თუ არ გადმოვიდოდნენ მანქანიდან და „ოჩოს“ არ დაიძახებდნენ, აღარ დაარიგებდა სახლებში. რაღას იზამდნენ და იძულებულნი შეიქნენ შუალამისას, ჩემი ფანჯრების ქვეშ ემდერათ „სერენადა“ სახელად – „ოჩო“.

ერთ საღამოს გურამი და თემიკო ჩირგაძე საიდანღაც მსუბუქად ნასვამები ბრუნდებოდნენ. გურამმა წამოაყენა მეტად მომხიბვლელი წინადადება: „დღეს დედაჩემთან სტუმრად არიან მისი გოგოები. მოდი ცოტა ხნით ავიდეთ, ჩვენი გავერთობით და გემრიელადაც ვივარსებებთ. თემიკომ ეს მომხიბვლელი იდეა სიამოვნებით აიტაცა, ვინაიდან სწორედ იმ გუნებაზე იყო, როდესაც აუდიტორია სჭირდება ხოლმე.

დეიდა თინას მეგობარი ქალები ფრიად გაახალისა ბიჭების სტუმრობამ. ცოტა ხანში თემიკო მიუჯდა პიანინოს და შეასრულა კანტატა „გურამი მოსკოვში“. თემიკო ახალი ჩამოსული იყო ჯარიდან და გაიხსენა იქედან ჩამოყოლილი რუსული რეპერტუარიდან რამდენიმე სიმღერა. ნასვამობის გამო ვეღარ მოზომა თუ რა აუდიტორიის წინაშე უწევდა გამოსვლა და შემოსძახა ასეთი მსმენელებისათვის ცოტა სახამუშო კუპლეტები (ჩასტუმპი):

**ჰოპ სტოპ ზოია!**  
**კაშუ დავალა სტოია?**  
**დავალა ზოია სტოია**  
**ნაჩალნიკუ კანვოია.**

ამის მსგავსი სამი კუპლეტის დამღერების შემდეგ ხელგებაშლილი მობრუნდა სუფრისაკენ მორიგი „პაკლონის“ გასაკეთებლად და დიდი ოვაციისა და აღტაცებული შეძახილების მოლოდინის სანაცვლოდ ხელში შერჩა... გამეხებული და აღშფოთებული სახეები ქალებისა, რომლებიც ერთმანეთს უზიარებდნენ ამ უზრდელი თაობის საძრახის სიტყვებს. ცოტა ხანში სტუმრები აიშალნენ, დეიდა თინამ გააცილა სადარბაზოში და ოთახში დარჩნენ პირში ჩალაგამოვლებული, გაბითურებული გურამი და თემიკო. ერთი სიტყვით, თემიკოს კუპლეტები ჩავარდა და გურამმა უსაყვედურა: „ამ მეცხრამეტე საუკუნის ტრადიციებზე აღზრდილ ქალბატონებთან რა რუსული უწმარული კუპლეტების სიმღერა მოგინდა, შენ ესენი ოჩო, გულო ან გოგოები ხომ არ გეგონა, სირცხვილით სად წავსულიყავი აღარ ვიცოდი, ვერც განიშენე გაჩერებულიყავი ისეთი გატაცებით უკრავდი და მღეროდი.. ახლა გაეცი პასუხი დედაჩემს, სტუმრები რომ გაუყარე-ო...“

მეორე დღეს დილაადრიან დარეკა ქ-მა ვერიკო ანჯაფარიძემ და დეიდა თინას უუბნება: – „თინა, ძვირფასო! არ ვიცი, პირდაპირ რა მეძარბება. ავდექი ლოგინიდან, დავდივარ ოთახებში და ტაქტში ვმღერი – ჰოპ სტოპ ზოია – და ასე შემდეგ. როგორ მოგვწამლა წუხელ საღამოს იმ ყმაწვილმა, პირდაპირ არ ვიცი.“ ცოტა ხანში დარეკა ქ-მა ფეფუცამ, გოგლა ლეონიძის მეუღლემ: „თინა! იცი, რა მომივიდა? ნიგოზი მქონდა დასანაყი, გავიტანე ქვიჯა აივანზე, დავდე მოაჯირზე, დავიწყე ნიგოზის ნაყვა და თან ტაქტში სიმღერა – ჰოპ სტოპ ზოია- და ასე შემდეგ, არ ვიცი პირდაპირ რა მეძარბება.“ ამას მოყვა მარიკა ჩიქოვანის ზარი: „თინა! იცი მგონი გავვიჟღი. პურზე ჩავედი და კიბეზე რომ ამოვიდოდი

საფეხურებზე ასვლასთან ერთად ნაბიჯების ხმას ვაყოლებდი — ჰოპ სტოპ ზოია —და ასე „ჩასტუშკების“ ბოლომდე.. მერე დარეკა ნუნა ქარცივაძემ:— „დავდივარ და სამხედრო მარშივით ვმღერძი — ოპ სტოპ ზოია. ეტყობა გავაფრინე.“ ერთი სიტყვით, თემიკოს ჩამოტანილი და მის მიერვე არტისტულად და მოხდენილად შესრულებული სიმღერა მეტად გადამდები და სახალისო აღმოჩნდა და ამის შემდეგ როცა თემიკო იმავე საზოგადოებას ხვდებოდა, ეხვეწებოდნენ ხოლმე: „იმღერე რა ჰოპ სტოპ ზოია.“

ერთხელ გურამი გოგი ოჩიაურთან იყო სახლში და გულისტკივილით უსაყვედურა გოგის: „რა გჭირთ შენ და ოჩოს, რატომ გძულთ ტელეფონის დისკში თითის ჩაყოფა, რატომ არ მირეკავთ ხოლმე?“. გოგიმ თავი იმართლა და აუხსნა, რომ ჩვენ კი გირეკავთ, მაგრამ დეიდა თინა გიფრთხილდება და ჩვენგან გიცავსო. გურამმა, რასაკვირველია, გოგის ნათქვამი არ დაიჯერა. გოგიმ მაშინვე აკრიფა გურამის ბინის ტელეფონის ნომერი, მას გამოეხმაურა დეიდა თინა და მათ შორის შედგა ასეთი დიალოგი:

— დეიდა თინა! გამარჯობათ, გოგი ვარ ოჩიაური., როგორ ბრძანდებით?

— გმადლობთ გოგი, ჩვენ კარგად ვართ, შენ რატომ დაგვეკარგე? კარგა ხანია არ გამოჩენილხარ ჩვენთან.

— რა ვიცი, საქმეები გამომიჩნდა და ვეღარ მოვიცალე. დეიდა თინა, გურამი თუ არის სახლში?

— გოგი, გენაცვალე, გურამი კი არის სახლში, მაგრამ მთელი ღამე მუშაობდა, გამთენიისას დაწვა და თუ სასწრაფო და აუცილებელი საქმე არა გაქვს, ნუ გამაღვიძებინებ.

— არა, დეიდა თინა, საჩქარო არაფერია და ნუ გააღვიძებთ.

გოგიმ მთელი ეს დიალოგი გურამს მოასმენინა. გურამმა ღიმილით თავი ჩალუნა და კარგა ხანს ასე გაუნძრევლად იჯდა.

გურამის გასვენების მერე ავედით დეიდა თინასთან. ვიგონებდით გურამს, მასთან ერთად გატარებულ დღეებს, მის მიერ მოფიქრებულ და ღამაზად დადგმულ კურიოზულ სპექტაკლებს და ყველანი გულიანად ვიცინოდით. ჩვენთან ერთად იცინოდა დეიდა თინაც და გვეხვეწებოდა, არ დავშლილიყავით და კიდევ გაგვეხსენებინა რაიმე გურამის ცხოვრებიდან. გურამზე როცა ვსაუბრობდით და ვიხსენებდით მისი, მართლაც მჩქეფარე, დატვირთული და საინტერესო ცხოვრების ისტორიებს, ისეთი შეგრძნება დაგვეუფლა, თითქოს გურამიც ჩვენთან ერთად იყო თავისი ირონიული

ღიმილითა და ეშმაკურად მიციმციმე თვალებით. ასეთივე შეგრძნება ჰქონდა დეიდა თინასაც და არ უნდოდა, გამქრალიყო ეს ღამაზი ილუზია. ერთ მომენტში, როდესაც სიჩუმე ჩამოვარდა, დეიდა თინამ გაიხსენა: „ერთ-ერთ პანაშვიდზე შემოვიდა ერთი თავქარიანი დედაკაცი და კარებიდანვე მომატირა — შე უბედურო, რა უბედური დედა ყოფილხარო. რა შეუგნებლობაა! შეიძლებოდა ამის თქმა?! ჩემზე ბედნიერი ქალი არ მეგულება, მე ხომ გურამ ასათიანის დედა ვარ!“.

გურამის მამა — ლევან ასათიანი, წარმოშობით ლეჩხუმელი, ცნობილი ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, მწერალი, თავის თაობაში საკმაოდ პოპულარული, ძალიან კომუნიკაბელური პიროვნება იყო. ჰყავდა უამრავი მეგობარი არა მარტო მწერლებსა და პოეტებს შორის, არამედ ქართული კულტურის ყველა სფეროში (მეცნიერები, მხატვრები, რეჟისორები, მსახიობები და სხვ.), რაზეც მეტყველებს მისი ლიტერატურული პორტრეტები: „იაკობ ნიკოლაძე“, „მიხეილ ჭიაურელი“, „ნატო ვაჩნაძე“ „კოლია შენგელაია“ და სხვ.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიტან ამონაწერს ჩენი ეპოქის უდიდესი მსახიობის, ვერიკო ანჯაფარიძის 1968 წელს გამოცემული წიგნიდან „თეატრალური წერილები“.

„ვიდრე ცოცხალი იყო ლევანი, მე არასოდეს არ მითქვამს მისთვის, როგორ მიყვარდაიგი, რო შევიგრძენი მისი გულის დაუფასებელი თვისებები, რომ მწამდა მისი მაღალი გემოვნება, რომ ის დიდი ავტორიტეტი იყო ჩემთვის, რომ თუ ჩემში რაიმე კარგი არის, ეს იმიტომაც, რომ ლევანი იყო ჩემი მეგობრების წრეში, რომ ჩვენ, ვინც ათეული წლების მანძილზე ხშირად ვიყავით ერთად, ერთმანეთის მოვალენი ვართ, და ყველა ჩვენგანი — ლევანის.

ჩვენ შორის ლევანი ნამდვილი ქართველი რაინდი, კეთილშობილი, სათნო, გულდია, ერთგული მეგობარი, უაღრესად ნიჭიერი და საოცრად მიზიდველი იყო. ვითამაშე ახალი როლი, მღელვარებით ველოდები, რას მეტყვის ლევანი — ჭკვიანი, გამგები. ლევანს კეთილი გული ჰქონდა, არ მიმეტებდა, გუნებას არ მიფუჭებდა, მხოლოდ მაქებდა. დაუვიწყარია მოგონებები იქიდან დაწყებული უკანასკნელ დღემდე. არ მახსოვს არც ერთი შეხვედრა ლევანთან, რომ მისგან სითბო და სიყვარული არ მაგრძნო. ის იყო გულიხვი, მან იცოდა სიყვარული

მაგობრის, გატანა ამხანავის არ იშურებდა მეგობრისთვის ტკბილ სიტყვას. ახლაც მესმის მისი ინტონაცია გაგრძელებით, ნაზი ალერსით თქმული — „ჩემო კარგო, ჩემო საყვარელო“ — თვითონ იყო კარგი და საყვარელი. ლევანისთანად ამიანების სიცოცხლე სიკვდილით არ მთავრდება. მისი ნაწერები აგრძელებენ მის სიცოცხლეს, ხოლო ლევანის სათნო და მოსიყვარულე მეგობრის სახე ღრმად არის ჩაბეჭდილი იმათ გულში, ვინც ახლო იყო ლევანთან.“

გურამთან დაახლოვების პირველივე დღიდან საერთოდ მეგონა, რომ ბიძია ლევანი თბილისში ყველას იცნობდა და ყველა მისი მეგობარი იყო. ძალიან უყვარდა მეგობრული სუფრის სიტუაციები და იმ გაჭირვებულ ომის წლებში ხშირად შევსწრებივარ ბიძია ლევანთან. პატარა მრგვალი მაგიდის ირგვლივ, მხიარულ თავშეყრას. უმეტეს შემთხვევაში იყვნენ ბესო ჟღენტი (გურამის ნათლია გახლდათ), სიმონ ჩიქოვანი და რაჟდენ გვეტაძე. აუცილებლად მიგვიპატიყებდნენ ხოლმე და გვექცეოდნენ, როგორც თავიანთ ტოლებს. ამითი ჩვენ არა მარტო ხორცეულ სიამოვნებას (გვაჭმევდნენ), არამედ უფრო მეტად სულიერ საზრდოს ვიღებდით. საოცრად საინტერესო იყო მათი სმენა. იგონებდნენ და საკმაოდ არტისტულად ყვებოდნენ უცნაურ და მხიარულ ისტორიებს, უმეტესად თავისი ცხოვრებიდან ან, კიდევ, სხვისგან გაგონილს...

ჩემს გასალიზიანებლად გურამს უყვარდა ხოლმე შეხსენება: „ბიძია ბესო, ძალიან გთხოვთ მოყვით ვაჭვეელი ცერცვაძეები რა იყვნენ თქვენი?“ „რა იყვნენ და ჩვენი, ანუ ქვაციხელი ჟრენტების, ყმები“ — პასუხობდა ბატონი ბესო და ამასთან დაკავშირებით რაიმე საინტერესო ეპიზოდს მოყვებოდა ხოლმე, რითაც უსაზღვროდ ბედნიერი იყო გურამი.

ომის პერიოდის ერთ ხანობას ბიძია ლევანი მუშაობდა რუსთაველის თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგედ. მთელი ომის განმავლობაში ძალიან ჭირდა ბილეთების შოვნა არა მარტო რუსთაველის, არამედ სხვა თეატრებშიც (ოპერის ჩათვლით), რადგანაც იდგმებოდა ძალიან კარგი სპექტაკლები, ჰყავდათ შესანიშნავი ძალები და რაც მთავარია თეატრების შენობები თბებოდა. ასეთ პირობებში გურამსა და მე როცა სპექტაკლებზე დასწრების სურვილი გაგვიჩინდებოდა, შესვლა უზრუნველყოფილი გვექონდა. იმ პერიოდში ძალიან განმაურებული იყო, და არა მარტო საქართველოს მასშტაბით, რუსთაველის თეატრის სპექტაკლი „ოტელო“, რომელიც

დადგა აღსაბაძემ და სადაც ოტელოს როლს ასრულებდა აკაკი ხორავა, ხოლო იაგოსას — აკაკი ვასაძე. სპექტაკლზე მოხვედრა თითქმის შეუძლებელი იყო. ერთ დღეს გურამმა ჩუმად, ისე რომ სხვებს არ გაეგოთ მახარა, რომ ამ საღამოს მამამ „ოტელოზე“ ორი ბილეთი გაგვიხერხა და რვას რომ თხუთმეტი წუთი დააკლდება იყავი თეატრის მთავარ შესასვლელთანო. ისე გამეხარდა, რომ ვერ ვმაღავდი და უშნოდ ავცუნდრუკდი. გურამმა შემატყო და გამაფრთხილა: “ძალიან ბედნიერი გამომეტყველება გაქვს და უცნაურად იქცევი, უსათუოდ შეგამჩნევენ გოგები, დათუნა და თამაზი, გკითხავენ გახარების მიზეზს და შენი ამბავი რომ ვიცი, ვერ დამაღავ. ჩამაყენებ უხერხულ მდგომარეობაში, რომ მათაც ვერ ვუშოვნე ბილეთები, ძალიან გთხოვ, დაშოშმინდი და ნუ კუნტრუშობ უშნოდ“. ადგილები აღმოჩნდა I იარუსის გვერდით ლოჟაში, ისე, რომ გურამი ჩემს კეფას უყურებდა. ბოლო აქტში როდესაც ოტელომ თავისი ცნობილი მონოლოგი ჩაამთავრა და დეზდემონა დაახრჩო, თავი ვეღარ შევიკავე და ცრემლები წამომივიდა. ვაჟკაცობაში ფეხის შედგმის ასაკი გვექონდა და ძალიან შემრცხვა ჩემი გულჩვილობისა და ცრემლების. თანაც ვიცოდი, რომ ხვალ მთელ კლასს ეცოდინებოდა, როგორ ვტიროდი სპექტაკლზე. რაც შემძლო შევბრუნდი სცენისკენ, ზურგიით გურამისკენ და ჩუმად დავიწყე ცრემლების წმენდა. ცოტა ხანში ვიგრძენი, რომ გურამს სუნთქვის რიტმი დაერღვა და ერთი-ორჯერ შესუნთქვისას უცნაური ხმა ამოუშვა. ჩუმად გავაპარე თვალი გურამისკენ და რას ვხედავ: ამოელო ცხვირსახოცი და ორივე თვალს სასწრაფოდ იწმენდა, რომ მისი ღაპა-ღუპით წამსკდარი ცრემლები მე არ დამენახა. ამან ძალიან დამამშვიდა და, რაც მთავარია, მივხვდი, რომ ხვალ სკოლაში ჩემი თავის მოჭრა აღარ შედგებოდა.

ომის ბოლო წლებში ბიძია ლევანი გადავიდა მარჯანიშვილის თეატრში და ახლა აქ გვექონდა გურამსა და მე მწვანე შუქი. ეს ის დრო იყო, როდესაც ვახტანგ ტაბლიაშვილი მოვიდა თეატრში და ზედიზედ დადგა ერთმანეთზე უკეთესი სპექტაკლები: „სოლომონ ისაკიჩ მეჯღან-უაშვილი“, ლევან გოთუას „მეფე ერეკლე“ და „დავით აღმაშენებელი“. ბიძია ლევანის წყალობით არც ერთი ამ სპექტაკლის პრემიერა არ გამოგვიტოვებია.

მისივე წყალობით სისტემატურად დავდიოდით მახაბლის ქუჩაზე მწერალთა

სასახლეში დისკუსიებზე, ახალგამოცემულ ნაწარმოებთა გარჩევებზე, საიუბილეო შეხვედრებზე, მხატვრული კითხვის საღამოებზე (ირაკლი ანდრონიკოვი, კახლოვი).

პირველად დავესწარი დისერტაციის დაცვის ცერემონიას 1945 წელს, როდესაც ბიძია ლევანმა დაიცვა დისერტაცია შესანიშნავ მონოგრაფიაზე „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“.

იყო ბრწყინვალე თამადა. მახსენდება ჩვენი სკოლის მეგობრის თამაზ ალავედის ქორწილი 1954 წელს, სადაც თამადა გასწია ბიძია ლევანმა. უკვე ავად იყო, ღვინის სმა აღარ შეეძლო, მაგრამ თამაზის მამა, ბიძია ალიოშა, რომელიც ჩვენგან დამოუკიდებლად მეგობრობდა ბიძია ლევანთან, შეუჩნდა: „შენს გარდა ვერავინ ვერ შეძლებს ამ საზოგადოების გაერთიანებას, უფროსებიდან ყველა შენი ახლობელია და ბიჭები ხომ მთლად შენები არიანო“. უარი ვეღარ უთხრა



გურამ და ლევან ასათიანები

და დასამახსოვრებლად ითამადა ისე, რომ წვეთი ღვინო არ დაუღვია.

ბიძია ლევანი იყო ძალიან ელემენტური და რაინდული “კავალერი” და ქალების დიდ მოწონებას იმსახურებდა. ამასთან დაკავშირებით მაგონდება, რომ გურამის სტუდენტობისას მოსკოვიდან ერთ-ერთი მორიგი ჩამოსვლის ვადა ამოიწურა და უკან მიემგზავრებოდა (მაშინ ჩვენ ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეები ვიყავით). ნანა ხოშტარია (შემდგომში ჩემი მეუღლე), ძალი ჩხარტიშვილი (შემდგომში ჩემი ცოლის და) და მე ჭავჭავაძის ქუჩის ბინაში ვესტუმრეთ

გურამს გამოსათხოვებლად. ჩვენ შუშაბანდში დავსხედით, დიდ ოთახში ბიძია ლევანის მეგობრები ისხდნენ სუფრასთან. გურამი შევიდა ოთახში და ცოტა ხანში მას გამოყვა ბიძია ლევანი, გოგოები გაიცნო და იკითხა: „გურამმა ჩემთან საუბრისას ასხენა თქვენი სახელები და გვარები. გამიჩნდა ეჭვი, რომ ჩემი ახალგაზრდობის მეგობრის, თამარ გულუას და თალიკო ხოშტარიას შვილები ხართ. ორივე ძალიან მოხდენილი გოგონები იყვნენ და თქვენმა ნახვამ დამაინტერესა“ (როგორც მერე გავარკვიეთ, თურმე ორივეს ეკურკურებოდა). გოგონებმა დაუდასტურეს რომ მათი შვილები იყვნენ. ბიძია ლევანი უსიტყვოდ სწრაფად შეტრიალდა და შევიდა ოთახში. ცოტა ხანში გამოვიდა ხელში ნავთის ლამპით, ვინაიდან უკვე ბნელოდა და სინათლე არ იყო. მივიდა გოგონებთან, სთხოვა, ამდგარიყვნენ და თავიდან ფეხებამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა. შემდეგ წელში გაიმართა, გაიღიმა მისთვის ჩვეული ალერსიანი ღიმილით, ამოიხსრა და მცირე პაუზის მერე თქვა: „ძალიან კარგი გოგონები ხართ, მაგრამ არ გეწყინოთ და დედეები გჯობდნენ“. ნანას და დალის ეს არ გაკვირვებიათ და დაუფიქრებლად უპასუხეს: „არა, ბიძია ლევან, მაგას მიჩვეულები ვართ“.

ერთ დღეს, გურამმა და გოგი ოჩიაურმა (ეს ის პერიოდია, როდესაც ისინი უნივერსიტეტის ერთი ფაკულტეტის სხვადასხვა სპეციალობაზე გურამი ფრანგულზე, ხოლო გოგი – ინგლისურზე სწავლობდნენ და სპეციალობის გარდა ყველა საგანში ლექციები ერთად ჰქონდათ), ლექციების შემდეგ სადღაც გაუტიეს და გვიან ღამით ერთად ბრუნდებოდნენ სახლში. ორივე მთაწმინდაზე ცხოვრობდა: გურამი – ჭავჭავაძის, ხოლო გოგი – ბესიკის ქუჩაზე. მიუყვებოდნენ თოვლით დაფარულ ჭავჭავაძის ქუჩას ბლლარძუნ-ბლლარძუნით. ერთ-ერთ ახლადდარგულ ხესთან შეჩერდნენ. გურამი რაღაცას გატაცებით ყვებოდა, შემდეგ შეჩერდა, ხეს მიეყრდნო და ისე განაგრძო თხრობა. გოგი წინ დაუდგა და მთელი ყურადღებით უსმენდა. მოულოდნელად გურამი გვერდზე გახტა, გადახრილი ხე წამოიმართა და გოგის შუაგულ შუბლში მოხვდა მთელი ძალით. იგი დაბარბაცდა და რომ არ წაქცეულიყო, გურამმა ხელი შეაშველა. ცოტა ხანში შუბლზე მოზრდილკოპიანი გოგი გონს მოვიდა და აუყვინ ალმართს. ახლა გოგიმ დაიწყო გურამისთვის უცნობი და საინტერესო ისტორიის მოყოლა. როდესაც

შეამჩნია, რომ გურამი მთელი არსებით ჩაერთო მის მონაყოლ ამავეში, შეუმჩნევლად მოხიდა ერთ-ერთი ახლადდარგული ხე და როდესაც პირდაღებული გურამი გადახნილი ხეს გაუსწორდა, ხელი აუშვა და გურამსაც ზუსტად შუა შუბლში მოხვდა (გოგიმ ვერ მოასწრო გურამისათვის ხელის შეშველება, თუ წამოწყებული მზაკვრობისთვის გურამის დასჯის მიზნით აღარ ეცადა მის გადარჩენას, ეს ცნობილი არ არის) და გურამი გაიშხლართა შუა ქუჩაში. ორივე ადასტურებს, რომ წამოდგომამდე გოგი მოეხმარა და ერთმანეთის უღვთოდ გაწირვის შედეგად დასახინჩებულებმა განაგრძეს გზა. ღამის უკუნეთ სიბნელეში ზემოდან მოესმათ ფეხის ხმა. გურამმა დატკვიტა ყურები და გოგის გადაუღაპარა: „აი, ნახავ, თუ ესენი ჩემი მშობლები არ იყვნენ“. „რატომ გგონია?“ – გაიკვირა გოგიმ. – „აბა ამ შუა ღამით ჩემების გარდა ვინ შეიძლება იყოს?“ დაამთავრა გურამმა წინადადება და სიბნელიდან გამოვიდნენ დეიდა თინა და ბიძია ლევანი. ბიძია ლევანი ძალიან გაჯავრებული ჩანდა და შეხვედრის სიხარულით გამოწვეული ყოველგვარი შეძახილების გარეშე მიაღდა გურამს:

– ბიჭო! არა გრცხვენია, მთელი საღამო სახლში რომ მაყურყუტებ? ხომ გაგაფრთხილე, რომ ამ საღამოს ვაშშმად ვარ დაპატიჟებული-მეთქი!

– მერე ვერ წაბრძანდით, ჩემს მოსვლას რას ელოდებოდით?

– რითი წავსულიყავი, მითხარი, ჩემ პიჯაკში რომ გაუყარე ხელი და წაბრძანდი ლექციაზე?! გაიხადე ჩქარა და მომეცი ჩემი პიჯაკი, შენ შენი ძველი პიჯაკი მოიცვი, არაფერი გიჭირს, მიაღწევ სახლამდე.“ გურამმა – არ მახსოვდაო, მოიბოდიშა, გაცვალეს პიჯაკები და დაცილდნენ ერთმანეთს.

გურამი მიუბრუნდა გოგის: „ხომ ვითხარი, ჩემი მშობლები იქნებიან მეთქი.“

გინახავს ასეთი რამე? ომიანობასა და გაჭირვებაში ყოველ საღამოს სადღაც არიან, ან პრემიერაზე რომელიმე თეატრში, ან ვილაციის იუბილეზე, ან პანაშვილზე და ეს ერთი საცოდავი პიჯაკი როგორ უნდა გავინაწილოთ, არ ვიცი. ერთი სიტყვით გადაუჭრელი პრობლემები გვაქვს ოჯახში“.

ომის შემდგომ წლებშივე კინორეჟისორმა პიპინაშვილმა გადაიღო ფილმი „პოეტის აკვანი“ აკაკი წერეთლის ცხოვრებაზე, რომლის სცენარიც დაწერა ლევანმა ასათიანმა. ფილმის გადასაღებად მსახიობების შერჩევისას ერთ-ერთი ახალგაზრდა თავადიშვილის როლზე გასინჯეს სცენარის ავტორის შვილი – ქერათმიანი, ცისფერთვალება გურამიც, რომელიც მაშინ 20-21 წლის იყო. გადაიღეს თეთრ ჩოხაში, თავზე ჩაბალახით, ცხენზე ამხედრებული და უღვაშებმიწეპებული. როგორც შემდეგ აგვიხსნეს, გურამი არაფოტოგენური აღმოჩნდა და კინოს ენაზე – ეკრანმა არ მიიღო. ნანახი მაქვს სასინჯი ფოტოები და არ ვიცი გურამის გარეგნობის, მისი არაფოტოგენურობისა თუ გადამლების უნიჭობის ბრალია, მაგრამ მართლაც ძალიან სასაცილო გამოვიდა და ბევრიც ვიცინეთ და ვიმხიარულეთ გურამის ახლობლებმა.

ბიძია ლევანი სრულიად ახალგაზრდა, 55 წლის ასაკში გარდაიცვალა. იდგა 1955 წლის მაისის შუა რიცხვები. გურამი მოსკოვში იყო, შევატყობინეთ მამის ავადმყოფობის დამძიმება, სასწრაფოდ გადმოფრინდა, მაგრამ ცოცხალს ვერ ჩამოუსწრო. გამოასვენეს მწერალთა სასახლიდან დიდი პატივით, სიყვარულით, თბილი და ღამაზი სიტყვებით. თავისი თაობის გარდა ბიძია ლევანი ძალიან უყვარდა ახალგაზრდობასაც და მისი ინიციატივით ცხედარი მანქანაზე არ დავასვენეთ და ხელით ვატარეთ დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონამდე.



რობერტ ბერნსი

წითელი ვარდი

ჩემი სიყვარული წითელი ვარდია, მაისში კოკორს რომ აიშლის, ჩემი სიყვარული ის მწველი ჰანგია, ტკბილ სიმღერად რომ გაისმის.

რაც უფრო ლამაზი ხარ, უნდა გაგანდო, ეს გული მით უფრო არ ცხრება, ქალავ, მეყვარები, მარად მეყვარები, ვიდრე ყველა ზღვა დაშრება.

ვიდრე არ დაშრება მართლაც რომ ყველა ზღვა და არ ჩამოდნება ყველა კლდე, გწამდეს, მეყვარები, მარად მეყვარები, ვიდრე ქვიშანი ლელავენ.

მშვიდობით, გმორდები, ჩემო ერთადერთო, გჯეროდეს გულწრფელი ფიცის! ცხრა მთას გადაღმაც რომ ბედმა გადამხვეწოს, შენთვის დავბრუნდები, ვიცი.

ლორდ ბაირონი

საყოველთაოდ ცნობილია ლორდ ბაირონის და მერი ჩავორსის დიდი სიყვარულის ამბავი, მიუხედავად მათი ახალგაზრდული ასაკისა. ამ სიყვარულს ბედი არ ეწერა, რადგან მერი სხვას მისთხოვდა.

1808 წლის შემოდგომით ნოტივებში გამართულ ერთ-ერთ მეჯლისს მერი ჩავორსი მეუღლესთან ერთად ეწვია. ამ მეჯლისზე მიწვეული იყო აგრეთვე ლორდ ბაირონი. მერი ჩავორსის ქორწინების შემდეგ სამი წელი გასულიყო და ისინი ერთმანეთს პირისპირ პირველად შეხვდნენ. მერის წინაშე ახლა უკვე თვალისმომჭრელად ლამაზი 20 წლის ჭაბუკი იდგა. მერიმ, როგორც ჩანს, გვიან დააფასა ბაირონის დამოკიდებულება და ახლა ცდილობდა მასთან ურთიერთობის აღდგენას.

მერიმ ბაირონი შინ სადილზე მიიპატიჟა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორთავან არც ერთი არ იმჩნევდა

უილიამ შექსპირი

66-ე სონეტი

ასე დაღლილი მოსვენებას სიკვდილში ვეძებ: ვით ავიტანო, რომ მათხოვარს ერგოს ღიღება, სპეტაკი რწმენა შემოგჩვიის უიღბლო ბედზე, დაფნით ბრიყვები შემოსილან ქვეყნის იმედად. უბიწო ქალწულს ძალადობით ახლიან ნამუსს, და არაკაცი საზეიმოდ კვლავ მორთვება, შეურაცხყოფილ სრულქმნილებას ვინ გასცემს პასუხს, დაუძლურება ძლიერების – საქმედ ითვლება. დღეს ხელოვნება დაამუნჯა მმართველმა ძალამ, თავქარიანი, თუ უვიცი, თრგუნავს გონებას, ვხედავ, კაი ყმა ტყვეობაში ისევ სულს ღაფავს, პირდაპირობა და სიმართლე არ სცნეს მონებმა. ასე დაღლილი ამ ყველაფრით არყოფნას ვნატრობ, მაგრამ, ვაი, რომ ჩემს სიყვარულს აქ ვტოვებ მარტო.

დაძაბულობას, სტუმრებმა მაინც შენიშნეს, რომ მათ შორის გრძნობა ღვიოდა. ამ სადილზე ბაირონმა ასევე იხილა მერის ორი წლის ქალიშვილი. ნიუსტედში დაბრუნებისას ბაირონმა შექმნა ლექსი „Well! Thou Art Happy“ – „ბედნიერი ხარ“.

ლექსი პირველად 1809 წელს გამოქვეყნდა.

ბედნიერი ხარ

ბედნიერი ხარ, ვხედავ, მართლაც, ბედნიერი ხარ, შენი სიკეთით ახლა უნდა მეც გავიხარო, მშვენიერი ხარ, ძველებურად მშვენიერი ხარ, და სათნოება ჩვეულებად მსურს გავიხადო.

კურთხეულია ღვთისგან, ალბათ, შენი მეუღლე, აბა, რით ავხსნა მისი ხვედრი და ბედ-იღბალი, შენ რომ უყვარხარ, მე განგებას მისთვის არ ასცდებოდა სიძულვილის ჩემი ისარი;

როცა ვიხილე შენი პირმშო, გული ატოკდა, მეგონა, იქვე გასკდებოდა ეჭვის ტკივილით, ბავშვი კი ნდობით მიცინოდა, სულ სხვას ლამობდა, მეც ვეამბორე, რადგან ვიცან შენი ღიმილი.

თავს დავეუფლე, არ ამომხდა წუხილის ოხვრა, როს მამის სახე დავინახე ჩვილის ნაკვთებში, მაგრამ, თვალებში შენი მზერის სხივს თვალი მოვკარ და დამარწია სიყვარულმა გრძნულ ტალღებში.

მერი, მშვიდობით! შენთან ყოფნის არ მაქვს უფლება, აქ გამუდმებით მაწვალე ურცხვი ფიქრები, შენ მყავლე კარგად, და არ ვჩივი, რა მემუქრება, თუ დავაყოფე, სამუდამოდ შენი ვიქნები.

მეგონა, დრომ და თვით ღირსებამ ერთად იმძლავრეს,

ერთად ჩააქრეს ჭაბუკური ვნების ალები, მაგრამ შენს გვერდით რომ აღმოვჩნდი, მივხვდი იმწამსვე, თუმც უიმედოდ, თურმე გზნებით გეთაყვანები.

გახსოვს, ხომ გახსოვს, როგორ ვთრთოდი შენს დანახვაზე? თავი მოვთოკე, ხედავ, ნერვიც არ ამიტოკდა,

მე არ გიბიძგებ სიმუხთლეზე და ბილწ ლახვარზე, ჰო და, მივდივარ, შორს მივდივარ მე ამიტომაც.

როცა გაბედე, ჩამაცქერდი როცა სახეში, განცდილ გრძნობათა კვალით, იცი, არ შეგაცბუნე, მაინც ნახავდი დარდს, ჩამარხულს გულის სიღრმეში, სასოწარკვეთას ვეღარ წაშლი, რომ დაიბუდებს.

მიჭქრის ოცნება ადრეული, მეც შორს მივდივარ, მოგონებებმა რომ არასდროს გამოიღვიძონ, ლეთე, მითხარი, საარაკოვ, რა გზით მიდიხარ? გულო, არ გასკდე, არ მიმტყუნო, მსურს დავივიწყო.

\* \* \*

ჩრდილოეთ ირლანდიაში კონ-ფლიქტის დროს დაიღუპა რიგითი ჯარისკაცი სტივენ კამინზი. უბეში მას უპოვეს კონვერტი, რომელიც მისი სიკვდილის შემთხვევაში უნდა გაეხსნათ. იქ ლექსი იყო მოთავსებული. დღემდე უცნობია, თავად ჯარისკაცია ავტორი, თუ სხვა, თუმც, ჩვენი რწმენით, ეს მისი ლექსია. სხვაგვარად ის ამ ლექსს სანუკვარი ანდერძის სახით არ შემოუნახავდა ახლობლებსა და მკითხველს. ახალგაზრდა კაცის დანატოვარი სტრიქონები უმაღ აიტაცა ბრიტანელმა ხალხმა და გულში ჩაიკრა.

გთავაზობთ ამ ლექსს ჩემეულ თარგმანში:



თესლი

ის ტანმორჩილი წვეროსანი მამაკაცი იყო, მეტად ნერვიული. მასსოვს, როგორ ეჭიმებოდა კისრის ძარღვები.

წლების მანძილზე ცდილობდა ადამიანები ფსიქონალიზად წოდებული მეთოდით განეკურნა. ეს საქმე ცხოვრებისეულ ვნებად გადაქცეოდა. „გადავიღალე და აქ დასასვენებლად ჩამოვედი“, თქვა მან ნაღვლიანად. „სხეული კი არ დამიუძღურდა, არა, სულიერად დავძაბუნდი, რაღაც გამიცვდა სულში. მინდა ცოტა გავხალისდე, ნეტავ ერთხანს მაინც გადამავიწყა კაცი თუ ქალი და მათი ნაირგვარი ავადმყოფობა“.

ადამიანის ხმაში გაიჟღერებს ხოლმე ისეთი ნოტი, რომლითაც მის გამოფიტვას უტყუარად შეიცნობთ. ეს ხდება მაშინ, როცა მავანი მთელი სიცოცხლე თავგამოდებით ცდილობს რაღაც ძნელი გზით სიარულს, რთულ ამოცანებს წყვეტს. უეცრად მისთვის ნათელი ხდება, რომ ძველებურად გაგრძელება აღარ ძალუძს და რაღაც შინაგანი ძალა აჩერებს მას. მის სულში ხდება მცირე ამბოხი, რასაც ის სიტყვებსა და საუბრებში ავლენს, შესაძლოა, სულელურადაც. მისი ხასიათის ფარული ნიშნები, რაზეც თავად წარმოადგენდა კი არა აქვს, თავს იჩენს და გამოხატულებას პოულობს. ამ დროს კაცი ბრტყელ-ბრტყელს ლაპარაკობს, როგორც წესი, თავს ისულელებს.

სწორედ ასე აყვირდა ის ექიმიც. წამოხტა ზღურბლიდან, სადაც ერთად ვისხედით და ვსაუბრობდით და ბოლთის ცემას მოჰყვა. „თქვენ დასავლეთიდან ჩამოხვედით. იქ ხალხს მოშორებული იყავით და ამიტომაც გადარჩით – ეშმაკმა წაგიღოთ! არ –“. მან ღრიალი იწყო. „მე კი ადამიანთა ცხოვრებაში ვიჭრებოდი. ქალსა და კაცს კანქვეშ ვუძებოდი. მეტადრე ქალებს – ჩვენებურ, ამერიკულ ქალებს ვიკვლევდი“.

„მერე, არ გიყვარდებოდათ ისინი?“ ჩავეკითხე მე. „როგორ არა“, მიპასუხა მან. „თქვენ არ ცდებით. უმაგისობა როგორ იქნება. უნდა შევიყვარო ისინი და იცით, რატომ? ეს ერთადერთი გზაა. სიყვარულმა უნდა მიბიძგოს ჩემი საქმეების საკეთებლად“.

შევეცადე შემეგრძნო, როგორი გადაღლილი იყო. „ტბაზე წავიდეთ, ვიცურათ“, ვურჩიე მე. „არა, არ მინდა, ცურვის თავი არ მაქვს, არ მინდა დავიღალო. მხოლოდ სირბილი და ყვირილი მწადა“, მომიგო მან. „ცოტა ხანს, სულ რამდენიმე საათს. ნეტავ, აი, იმ ხმელ ფოთოლად მაქცია, ქარი რომ აფრიალებს გორაკებზე. ერთადერთი, რასაც ვნატრობ, თავის გათავისუფლება“.

სოფლის მტვრიან შუკაზე მივაბიჯებდით. მინდოდა გამეგებინებინა მისთვის, რომ შესძოდა მისი და ეს ჩემებურად გამომეხატა.

ის შეჩერდა და შემომაცქერდა. მე საუბარი წამოვიწყე. „რა ჭკვიანი ხართ!“ წარმოვთქვი მე. „თქვენ გაეხართ ძალღს, უსუფთაობაში ამოგანგლულს და სწორედ იმიტომ, რომ თან ხართ და თანაც არა ძალღი, საკუთარი ტყავის სუნი არ გსიამოვნებთ“.

ნელ-ნელა ხმას ვუწევდი. „ბრმა სულელო“, ვეღარ მოვითმინე და ვიყვირე. „ბრიყვივით იქცევით. ვერ შეძლებთ მაგ გზით სიარულს. ვერაფერ შეძლებს ადამიანთა სულში ასე ღრმად ჩაღწევას“.

ძლიერ ავღელდი. „უნდა ხვდებოდეთ, რომ ავადობა, რომლის განკურნებასაც ლამობთ, საყოველთაოა“, ვთქვი მე. „სურვილს ვერ აისრულებთ. სულელო, – ნუთუ ფიქრობთ, რამეს გაუგებთ სიყვარულს?“

შარაზე შეჩერდით და ერთმანეთს შევაცქერდით. ბაგეთა კიდებთან ოდნავი დამცინავი ღიმილი დაეტყო. მხარზე ხელი დამადო და შემანჯღრია. „რა ჭკვიანები ვართ, არა?! – რა იოლად ვწვდებით საკითხებს!“

მან სიტყვები გამოსტყორცნა, მერე შეტრიალდა და ცოტა გაიარა. „თქვენ კი გგონიათ, რომ გესმით, მაგრამ ცდებით. ცდებით, როცა ამბობთ, შეუძლებელია ამის მიღწევა“, იყვირა მან. „ასე სულაც არ არის. თქვენ მატყუარა ხართ. ასეთი თავდაჯერებული რაღაც მშვენიერს და მოუხელთებელს ანგარიშს არ უწევთ. ვერ სწვდებით საკითხის არსს. ადამიანები ტყის ნორჩი ხეებივითაა. მათ ლიანას ხვიარები არტყიათ. ეს ლიანები ძველი აზრები და რწმენა-წარმოდგენებია – გარდაცვლილ კაცთაგან ჩაყრილი თესლი. მეც მახვევია ლიანას ხვიარა. ის სულს მიხუთავს“.

როცა დადგები ჩემს საფლავთან, ცრემლს ნუ დაიდენ

როცა დადგები ჩემს საფლავთან, ცრემლს ნუ დაიდენ.

მე იქ არა ვარ, სამარეში ძილი არ მიწევს.

ამოვარდება ქარი ქროლვით, გმინავს ქარბუქი,

მე ის ქარი ვარ, თან ათასი, მომეც პასუხი.

მე მზის სხივი ვარ, მოკაშკაშე, ოქროს თავთავზე,

თოვლს ასხლეტილი აღმასი ვარ ფაფუკ საფარზე,

მე შემოდგომის წვიმად მოვალ, დაგეპკურები,

მე ვარსკვლავი ვარ, არდაღლილი ღამის ყურებით.

როს გაგაღვიძებს დილა მშვიდი ხმით იდუმალით,

იცოდე, ჩიტებს აყოლილი ვარ ცის სტუმარი,

და ჩემს საფლავთან როცა მოხვალ, ნუ ატირდები,

მე არ მომკვდარვარ. მე შენს გვერდით კვლავაც ვიდგები.

თარგმანი ინგლისურიდან ინესა მერაბიშვილისა



ნაკაპებტ ქუჩაკი

ჰაირენები

\* \* \*

თვალნი – ზღვის, წარბნი – მრუშე ღრუბლისა: შენს სილამაზეს არ აქვს სამანი! ყალბით ნახატი შენი სურათი ფერად – ვარდი და იასამანი...

საცა შენა ხარ, სანთელს ვინ ანთებს?! – ზედ ნათლის გარტყამს

ბრტყელი ქამარი! მაგ შენი მკერდის ამონაშუქით მკვდარს ამოიყვან ბნელი სამარით!

\* \* \*

მომწყურდი, ავდეგ, წამოველ, შორით საღბუნად მეხები, წყენა შეგატყვე, სათქმელზე უმაღ ავიდე მე ხელი, წამს წლად ნუ იქცევი, ნუ იგლოვი, ნუ დაიტყე მეხები, ისევე უკან წამიყვანს შენთან მომყვანი ფეხები.

\* \* \*

დავლევი, ჩემო, დასათრობად მინდა შენი ფერის ღვინო, შენი მკერდის სამოთხეში ვაშლები რომ მაკრეფინო, რომ ორ ძუძუს შორის ნეტარს და ნაფერებს მიმეძინოს ...მერმე თუგინდ მომკლას! – სიკვდილს „მხდალი“ როგორ ვათქმევინო!..

\* \* \*

ხელისგულს მიზის ქვეყანა და როგორც სარკეს ჩავცქერდი; ჩვენს დროში აღარსად სჩანან გულით სანდომი კაცები, ვისთანაც პურს გატეხავდი, ვისთანაც ჭიქას ასწევდი, ყველგან ნამარდი ნავარდობს ტყუილს გაბმული ფაცერით...

\* \* \*

წმიდაო დავით, შემინდე, ცოდვათა ტვირთს ვერ ვერევი... ტურფა მყავს, გაბრწყინებული მზისა დამთვარის ფერებით; შენს სენაკს რომ მოეახლოს იმისი მსგავსი, მშვენებით, დღით საგალობლებს თუ უმღერ, ღამით შენც მიეფერებ.

სომხურიდან თარგმანი გივი შაჰნაზარმა



მან მწარედ ჩაიცინა. „აი, რატომ მინდა გაქცევა და თამაში“, დააყოლა მან. „ხმელ ფოთოლად ყოფნა მსურს, ქარი რომ დააქროლებს გორაკებზე. მინდა მოგკვდე და ხელახლა დავიბადო. მეც ერთი იმ ხეთაგანი ვარ, ლიანაშემოხვეული, და ნელ-ნელა ვკვდები. გეუბნებით, რომ გადაღლილი ვარ და მინდა გავიწმინდო. ადამიანის სულში ჩახედვა მიყვარს და გაუბედავად ვცდილობ ამას“. დაასკვნა მან. „გადავიღალე და მინდა გაესუფთავდე. ხვიარებით ვარ გარემოსილი“.

\* \* \*

ის ქალი ჩიკაგოში აიოვადან ჩამოვიდა. მან ქალაქის დასავლეთში ერთ სახლში ოთახი იქირავა. ასე ოცდაშვიდი წლისა იქნებოდა. მგონი, აქ იმისთვის გამოემგზავრა, რომ მუსიკის სწავლების უახლესი მეთოდიკა შეესწავლა.

იმავე სახლში ერთ ჩემს მეგობარ ჭაბუკსაც ელო ბინა. მისი ოთახი სახლის მეორე სართულის გრძელ დერეფანში სწორედ იმ ოთახის პირდაპირ მდებარეობდა, აიოველ ქალს რომ ექირავა.

ჭაბუკი მეტად მომხიბლავი ბუნებისა გახლავთ. ის მხატვარია. ხშირად მინატრია, მწერლობისთვის მოეკიდა ხელი, რადგან საოცარი თხრობის უნარი აქვს, აი, ხატვით კი არცთუ ბრწყინვალედ ხატავს.

მამ ასე, აიოველი ქალი ქალაქის დასავლეთში დასახლდა. დღისით თავის საქმეებზე გადიოდა და შინ საღამოობით ბრუნდებოდა ხოლმე. ის ერთი ჩვეულებრივი ქალი იყო, არაფრით გამოირჩეული. სხვა ბანოვანთაგან მხოლოდ თავისი ძლივსშესამჩნევი სიკოჭლე თუ განასხვავებდა – მარჯვენა ფეხი ჰქონდა ოდნავ გაღუნული და ცოტათი კოჭლობდა. უკვე სამი თვე გასულიყო, რაც იმ სახლში მკვიდრობდა. იქ ის ერთადერთი მანდილოსანი გახლდათ, დიასახლისს თუ არ ჩავთვლიდით. სახლის ბინადარ მამაკაცებს მან ინტერესი აღუძრა.

მასზე ყველა მამაკაცს ერთნაირი აზრი გაუჩნდა. როცა ისინი მას ჰოლში თვალს მოჰკრავდნენ ხოლმე, ჩერდებოდნენ, იცინოდნენ და ჩურჩულს იწყებდნენ. „მას საყვარელი სჭირდება“, ამბობდნენ ისინი და ერთმანეთს თვალს უკრავდნენ. „თვითონ იქნებ ვერც კი ხვდება, მაგრამ ასეა, წყალი არ გაუვა“.

მაეანი, ვინც ჩიკაგოსა და ჩიკაგოელ მამაკაცებს იცნობს, გაიფიქრებს, მერედა რა უნდა ამგვარი სურვილის ასრულებასო. მეც გამეცინა, როცა ჩემმა მეგობარმა – ლეროიმ – ეს ამბავი მომიყვა, მას კი არ ეცინებოდა. მხატვარმა თავი გააქნია. „ნუ გეგონებათ ეს ასე ადვილი“. მითხრა მან „ასე რომ იყოს, მოსაყოლიც არაფერი მექნებოდა“.

ლეროი შეეცადა აეხსნა ნათქვამი. „თუ მას ვინმე მამაკაცთაგანი უახლოვდებოდა, ქალი ფრთხებოდა“. თქვა მან. „მამაკაცები ამას არ იმჩნევდნენ და კვლავ უღიბოდნენ და აგრძელებდნენ მასთან მუსაიფს. ისინი მას სადილად და თეატრში პატიჟებდნენ, თუმცა ქუჩაში ერთად გავლაც კი ვერაფრით აიძულეს. საღამოობით ქალი ყოველთვის შინ რჩებოდა. თუკი მამაკაცები გააჩერებდნენ და შეეცდებოდნენ დერეფანში დალაპარაკებოდნენ, ის ჯერ იატაკს ჩააცქერდებოდა, მერე კი თავისი ოთახისკენ მიბოლოდა. ერთხელ ერთმა ახალგაზრდა კლერკმა, საგალანტერიო საქონლით მოვაჭრემ, იქვე რომ ცხოვრობდა, როგორც იქნა, დაიყოლია ქალი მასთან ერთად სახლის წინ ზღურბლზე ჩამომჯდარიყო.

კლერკი მგრძნობიარე ჭაბუკი გახლდათ და ქალს ხელი მოჰკიდა. ამაზე ის ატირდა, ჭაბუკი დაფრთხა და ზეწამოიჭრა. მან ახლა მხარზე დაადო ხელი და შეეცადა დაემშვიდებინა ქალი, მაგრამ ის შეხებისთანავე მთელი სხეულით შიშით აცახცახდა. „არ მომეკაროთ“ იყვირა მან. „მომაშორეთ თქვენი ხელები“. ქალმა კივილი დაიწყო. ქუჩაში გამლელნი ჩერდებოდნენ, რომ გაეგოთ, რა ხდებოდა. ჭაბუკი შეშინდა და მეორე სართულზე თავისი ოთახისკენ მოკურცხლა. „ეს ფანდია“, ამბობდა ის მთრთოლვარე ხმით, „ცდილობს თავი შეგვაცოლოს. მისთვის არაფერი დამიშავებია. განა რა მოხდა ასეთი? ოდნავ შეეეხე მკლავზე“.

ვინ მოთვლის, რამდენჯერ მოუყოლია ლეროის ჩემთვის ისტორია იმ დასავლური სახლის აიოველი მდგმური ქალისა. მამაკაცებმა ის თანდათანობით შეიჯავრეს. მას არ სურდა მათთან ურთიერთობა. და მაინც ეს ქალი მათ თავს არ ანებებდა. ათასი ხერხით განავრძობდა მათი ყურადღების მიქცევას და როცა ამას აღწევდა, მერე ხელს ჰკრავდა. ხშირად, როცა შიშველი იდგა ხოლმე სააბაზანოში, იმ დერეფანში რომ გადიოდა, სადაც მამაკაცები თავს იყრიდნენ, ის კარს ოდნავ შეღებულს ტოვებდა. ქვედა სართულის ჰოლში კი ზოგჯერ სწორედ იმ დროს შედიოდა, როცა იქ მამაკაცები იყვნენ. მათ თვალწინ ქალი უხმოდ მიაშურებდა იქ მდგარ დივანს, ოდნავ ბაგეგაპობილი წამოწვებოდა ხოლმე

და თვალებს ჭერს მიაპყრობდა. ჩანდა, მთელი სხეულით რაღაცას მოელოდა. ქალის შეგრძნება აესებდა ოთახს. შორიახლოს მყოფი მამაკაცები ჯერ ვითომ ვერ ამჩნევდნენ მას, აგრძელებდნენ თავიანთ ხმამაღალ საუბარს, მერე კი უხერხულობა იპყრობდათ და ერთი მეორის მიყოლებით გაიკრიფებოდნენ ხოლმე.

ერთ საღამოს აიოვადან ჩამოსულ ქალს უბრძანეს სახლი დაეტოვებინა. ვილაცამ, ალბათ, გალანტერიით მოვაჭრემ, სახლის დიასახლისს ენა მიუტანა და მანაც აღარ დააყოვნა. „აჯობებს ამდამვე გაემგზავროთ“, გაიგონა ლეროიმ უხნესი მანდილოსნის ნათქვამი. ის დერეფანში აიოველი მდგმურის ოთახის წინ იდგა. დიასახლისის ხმა მთელს სახლში რეკდა.

მხატვარი ლეროი ტანმაღალი გამხდარი კაცი გახლდათ. მთელი თავისი ცხოვრება იდეებისთვის მიედგნა. მისი ხორციელი ვნებები სულიერ მისწრაფებებს ჩაენაცვლებინათ. შემოსავალი მოკრძალებული ჰქონოდა და ამიტომაც არ დაოჯახებულყო. ალბათ, არც გულის სატრფო ჰყოლია ოდესმე. ნივთიერი სურვილები არ გააჩნდაო, ვერ იტყოდით, მაგრამ მათ უპირველეს მნიშვნელობას არ ანიჭებდა.

იმ საღამოს, როცა აიოველ ქალს მოსთხოვეს, საჩქაროდ დაეტოვებინა იქაურობა, ის ცოტა ხანს შეყოვნა. მერე კი, როცა ეგონა, დიასახლისი უკვე ქვემო სართულზე ჩავიდაო, ლეროის ოთახში შექანდა. რვა საათი იქნებოდა. ლეროი ფანჯარასთან იჯდა და წიგნს კითხულობდა. ქალს კარზე არც დაუკაკუნებია, ისე შეაღო ის, ხმამაოულებლად გაიქცა და მის ფერხთით მუხლი მოიყარა. ლეროის თქმით, თავისი მოღრეცილი ფეხით ქალი დაჭრილ ჩიტს მიაგავდა, თვალები უელავდა და სუნთქვა ოდნავ გახშირებოდა. „დამეუფლეთ“, წარმოთქვა მან, თავი ძირს დახარა და ძლიერ აცახცახდა. „დამეუფლეთ სასწრაფოდ. ოდესმე ხომ უნდა მოხდეს ეს. ველარ მოვიცდი. დაუყოვნებლივ უნდა დამეუფლოთ“.

თქმა არ უნდა, ლეროი დაიბნა. მისი ნაამბობიდან ჩანდა, რომ იმ საღამომდე მას ეს ქალი არც კი შეუძნევიან. იქ მოსახლე მამაკაცთაგან, მგონი, ის ყველაზე გულგრილი იყო მისადმი. ოთახში კი რაღაც მოხდა. ქალს, როცა ის ლეროისკენ გაიქცა, დიასახლისი ადევნებოდა და ახლა მის წინაშე ორი ქალი წარმდგარიყო – მის ფერხთით მოხლმოყრილი, მოცახცახე და შეშინებული აიოველი ქალი და აღშფოთებული დიასახლისი. ლეროი მალევე გამოფხიზლდა. მას შთაგონება ეწვია. მუხლმოყრილ ქალს მან მხარზე ხელი დაადო და ძლიერად შეანჯღრია. „აბა, აბა, გონს მოდი“, უთხრა სწრაფადვე, „მე შეგისრულებ დანაპირებს“. მერე დიასახლისს მიუბრუნდა და გაუღიმა. „დანიშნულები გახლდით, მალე უნდა გვექორწინა“, წარმოთქვა მან, „მერე კი ვინხუბეთ. ის აქ ჩამოვიდა, რათა ჩემს სიახლოვეს ყოფილიყო. შეუძლოდ იყო, აღზნებული. ახლა მე მივხედავ. ნუ გეწყინებათ, გეთაყვა, მე წაიყვიან მას.“

მათ სახლი დატოვეს. ქალმა ტირილი მაშინვე შეწყვიტა და ლეროის ხელმკლავი გამოსდო. მას შიში გაუქრა. მხატვარმა ქალს ოთახი უქირავა სხვა სახლში, მერე კი ისინი ერთად გაემართნენ პარკში და იქ ძელსკამზე ჩამოსხდნენ.

\* \* \*

ყოველივე, რაც კი ლეროიმ იმ ქალზე მიაბზო, მხოლოდ მიმტკიცებს ჩემს რწმენას, ექიმს რომ გაუუზიარე მაშინ მთებში – ვერავინ შეძლებს ადამიანთა სულში ჩაღწევას. ძელსკამზე ის და ქალი შუალამედვე საუბრობდნენ თურმე. მერეც მრავალჯერ შეხვედრილან და უსაუბრიათ. გაგრძელება კი ამ ამბავს აღარ მოყოლია. ქალი გამგზავრებულა, ალბათ, დასავლეთისკენ, თავის სამშობლოში.

იქ ის მუსიკას ასწავლიდა. სამი და ჰყოლია, ისინიც მუსიკის მასწავლებლები და ლეროის თქმით, ერთი ერთმანეთზე ნიჭიერნი. მამა რომ მოკვდომიათ, უფროსი და ათი წლისაც არ ყოფილა, ხუთი წლის მერე ღელაც გარდაცვლიათ. გოგონებს სახლი და ბაღჩა დარჩენიათ.

ძნელია იმის ნათლად წარმოდგენა, როგორ მდინარებდა ამ ქალთა ცხოვრება, მაგრამ ეს კი შეიძლება ზუსტად ითქვას – ისინი მხოლოდ ქალურ საკითხებზე საუბრობდნენ და ფიქრობდნენ ხოლმე. არც ერთ მათგანს არასოდეს არავინ ჰყვარებია. წლების მანძილზე მათ სიახლოვეს მამაკაცს არ გაუჭაჭანებია.

მხოლოდ უმცროსისთვის, აი, იმისთვის, ჩიკაგოში ვინც ჩამოვიდა, დაუჩნევიან კვალი მკვეთრად გამოხატულ ცხოვრების ქალურ ყაიდას. დღენიადავ ის ნორჩ გოგონებს მუსიკას ასწავლიდა მთელი დღე და მერე შინ დებთან ბრუნდებოდა ხოლმე. ოცდახუთი წლის რომ შესრულდა, მან მამაკაცებზე ფიქრი და ოცნება იწყო. მას არ ტოვებდა სურვილი, მხურვალედ ჰყვარებოდა ვინმე მამაკაცს. ჩიკაგოშიც ამ იმედით გამოემგზავრა. მისი

მდგომარეობა და უცნაური ქცევა დასავლეთის სახლში ლეროიმ გარკვევით ახსნა იმით, რომ ქალს ბევრი ეფიქრა და ცოტა ემოქმედა. „მას სასიცოცხლო ძალები გადაუნაწილდა“, განაცხადა მან. „სასურველს ვერ ეწია. შინაგანი სიცოცხლისუნარიანობა ვერ გამოავლინა. სექსუალურმა ლტოლვამ მისი არსება ერთიანად მოიცვა და სხეულის ყოველი ქსოვილი განუმსჭვალა. ბოლოს კი ერთიანად სქესის გამოხატულებად იქცა, სქესი გაუპიროვნდა. გარკვეული სიტყვები, მამაკაცის ხელის შეხება, ზოგჯერ გამჟღავნებელი მამაკაცის შეხედვაც კი აკრობოდა მას.“

\* \* \*

გუშინაც ვნახე ლეროი. მან კვლავ იმ ქალსა და მის უცნაურ და საშიშ ბედისწერაზე ჩამოაგდო სიტყვა.

ჩვენ ტბისპირა პარკში ვსერნობდით. ქალის სახება არ მშორდებოდა. თავში ერთმა აზრმა გამიელვა.

„ხომ შეგეძლოთ, მისი საყვარელი გამხდარიყავით?“, ვკითხე მხატვარს, „ცხადია, შეგეძლოთ. მას არ ეშინოდა თქვენი“.

ლეროი შეჩერდა. ისიც იმ ექიმივით გაბრაზდა და გაცხარდა, ასე დარწმუნებული რომ იყო ადამიანთა სულში ჩაღწევის მისეულ უნარში. წუთით მომაშტერდა და მერე კი აი, რა მოხდა. ის სიტყვები, ექიმმა რაც ამოთქვა მაშინ მტკრიან ფერდობებზე სეირნობისას, ამჯერად ლეროის პირმა გააჟღერა. ბაგეებთან მასაც ოდნავი დამცინავი ღიმილი აუთამაშდა. „რა ჭკვიანები ვართ, არა?! – რა იოლად ვწვდებით საკითხებს!“ – თქვა მან.

ახალგაზრდა კაცი, ვისთან ერთადაც ქალაქის ტბისპირა პარკში ვსეირნობდი, აყვირდა. მივხვდი, რომ გადაღლილიყო. მერე მან გაიცინა და მაშინვე რბილად დასძინა: „ეს იოლი საქმე როდი გახლავთ. თქვენი ღრმა რწმენის გამო შეიძლება ცხოვრების მთელი რომანტიკა გაგისხლტეთ, ერთი რამეს არ ითვალისწინებთ. არაფერი ცხოვრებაში არ შეიძლება მოხდეს ასე განსაზღვრულად. ქალი ხომ იმ ნორჩ ხეს ჰგავდა, შემოხვეული ლიანა რომ ხუთავს და შუქს არ უშვებს მასთან. ის დასახიჩრდა და ისეთივე გროტესკი გახდა, როგორც სხვა უამრავი ხე ტყეში. მის ურთულეს პრობლემაზე ფიქრმა მთელი ცხოვრების მდინარება შემიცვალა. პირველად მეც თქვენსავით გავიფიქრე და სავსებით ვიყავი ამაში დარწმუნებული. გადავწყვიტე, მისი საყვარელი გავმხდარიყავი და საქმე ამით გამეთავებინა.“

ლეროი შეტრიალდა და რამდენიმე ნაბიჯით დამშორდა. მერე უკანვე მობრუნდა და მკლავზე ხელი წამავლო. ის ღრმად ჩაფიქრდა. ხმა უთრთოდა. „დიანხ, იქაური მამაკაცები არ ტყუოდნენ, მას მართლაც სჭირდებოდა საყვარელი“, – თქვა მან, – მას თან სჭირდებოდა საყვარელი და თანაც არა. საყვარლის ყოლის სურვილი მისთვის სულაც არ იყო მთავარი. ქალს სიყვარული სწყუროდა, უნდოდა დიდხანს, ჩუმად და მოთმინებით ყვარებოდათ. ის ხომ გროტესკია, მაშ, ჩვენც ყველანი ამქვეყნად გროტესკები ვყოფილვართ. ყველას გვწყურია სიყვარული. იმ ქალის წამალი ყველა ჩვენგანის წამალიცაა. ის სენი, მას რომ სჭირდა, როგორც ხედავთ, საყოველთაოა. ჩვენ ყველანი ენატრობთ სიყვარულს, განგებას კი ფიქრად არ მოსდის შეგვიქმნას მოსიყვარულე არსებანი, ისინი, ვისაც ვეყვარებით“.

ლეროის სიტყვა გაუწყდა. მღუმარედ მივაბიჯებდით. მერე ტბას შემოვუარეთ და ხეების ჩრდილში გავისეირნეთ. მე მას ახლოდან შევხედე. კისერზე ძარღვები დაჭიმოვდა. „ადამიანთა სულში ჩავიხედე და შემეშინდა“, – წარმოთქვა დაფიქრებულმა, – მეც იმ ქალს ვგავარ. ლიანა მახვევია. როგორ გავხდებოდი მისი საყვარელი, როცა საკმარისი სილბო და მოთმინება არ გამაჩნია. ძველ ვალებს ვისტუმრებ. ძველი აზრები და რწმენა-წარმოდგენები, – გარდაცვლილ კაცთაგან ჩაყრილი თესლი – ღვივის და საშველს არ მამღლევს, სულს მიხუთავს ის“.

კარგა ხანს ვსეირნობდით. ლეროიმ თავისი ფიქრები გაახშიანა. მე ჩუმად ვუგლებდი ყურს. მისი სურვილი იმ ხმის გამოძახილად გაისმა, ადრე რომ გავიგონე მთებში. „უსულო, ხმელი რამ მინდა ვიყო“, – წაიბუტბუტა მან და ბალახზე მოფარფატე ფოთლებს დააცქერდა. „ნეტავ იმ ფოთოლად მაქცია, ქარი რომ აფრიალებს.“ მან თავი ასწია და იქით გაიხედა, სადაც ხეებს შუა ტბის ნაჭრები მოჩანდა. „უსუფთაო ვარ და მინდა გავიწმინო. ხვიარები მფარავს. ნეტავ უსულო საგანი ვიყო და ქარი მაქროლებდეს უკიდევანო წყალზედა სივრცეებში, ამქვეყნად ყველაფერზე მეტად ის მინდა, სუფთა ვიყო“, – თქვა მან.

*ინგლისურიდან თარგმნა მაია ცერცვაძემ*

# სოკსხო სტყიფდნ

*ჩვენს საოჯახო არქივში ინახება ცნობილი პოეტის ნაზი კილასონიას ლექსი, დათარიღებული 1944 წლით, რომელიც ეძღვნება დედაჩემს – ლალი პატარაიას. ეს ხელნაწერი, ისევე, როგორც სხვა საარქივო მასალა, როდესმე აუცილებლად ნახავდა დღის სინათლეს, მაგრამ პოეტი ქალბატონის საიუბილეო თარიღის გამო, საჭიროდ ჩავთვალეთ, ამჟამად ვაგვეცნო ის საზოგადოებისთვის. ლექსი პირველად იბეჭდება ჟურნალში.*

*ყველა ნაწარმოებს თავისი ისტორია აქვს. ლექსის გულთბილი მიძღვნა ავტორისა და ადრესატის ახლო ურთიერთობაზე მიგვანიშნებს.*

*სამწუხაროდ, სხვას ვერაფერს დავამატებ... დანარჩენს პოეტის ახალგაზრდობაში დაწერილი ეს ლირიკული ლექსი თავად მოვითხრობთ.*

თამარ მიქაძე

## წვიმაში

„მე საიღუმლო ჩემი გულის როგორ დაფუარო, რომ დაფარული ქვეყანაზე არაფერია?“

ვწუხვარ და ცრემლები არ ვიცი, დაგეძებ ცხადად თუ სიზმარად. ცისფერი თვალებით დავიწვი დღეს ცამაც ამიტომ იძალა.

მოაწყდა სახეს და წამწამებს და ცვიმა წვეთებმა იხარა, ძვირფასო, რისათვის მაწამებ ძვირფასო, რატომ არ გიყვარვარ?

სულ წვიმა... სულ წვიმა... სულ წვიმა ტფილისის ქუჩებზედ ღვარები, მიყვარხარ ახლა და უწინაც მათობდნენ ეგ შენი თვალები.

ზეცაო, მარადის იწვიმე, მოისხი ღრუბელთა ნაბადი ვაი, რომ წვიმაშიც ვიწვიმე, ვაი, რომ ტრფიალში გავთავდი.

ცრემლები არ ვიცი და წვიმაც წამწამზე ცრემლებად მეკიდა. სიცოცხლეს დავთმობდი ას წილად, ოღონდ კი ეგ გული მეყიდა.

შევყურებ ამ ზეცას ნესტიანს, დავდივარ მტირალი ქუჩებით. გულში რა გრძნობებიც მეტია გითხარი მთრთოლვარე ტუჩებით.

თუ შეგხვდი, თუ შეგხვდი, ო მაშინ (შეხვედრაც ხომ ასე მძიმეა?..) მოვალ და მაგ მკერდზე მე ბავშვი მოგაყრდნობ თავს, დაღლილს, წვიმიანს.

ცრემლები არ ვიცი და წვიმა წამწამებს ცრემლებად ეკიდა. სიცოცხლეს დავთმობდი ას წილად, ოღონდ კი ეგ გული მეყიდა!

ძვირფას ლალიკოს ნაზიკო კილასონიასაგან 1944 წელი, თბილისი

# ღილა ქიშოვილი - სახელმწიფო



## ერთი დღე

„ზნეობის დაცემა სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური მთლიანობის კვლომა“.  
ნაპოლეონი

გამოვლევდა; დილის ძილი ისევ ხმაურმა დაუფრთხო. როგორც ყოველთვის, კედლის იქით, ერთთახიანში, მეზობლის ტელევიზორი 8-საათიანი „კურიერის“ ამბებში უკვე ჩართულიყო... ქვემო სართულიდან გაურკვეველი მიმდინარეობის მუსიკის ხმები ამოდიოდა.

უნდოდა თუ არა, უნდა ამდგარიყო და ახალ დღეს შეგებებოდა; წამოდგა, საწოლი მიალაგა... უგულოდ წაივარჯიშა, სარკეში კუნთები ყველა მხრიდან შეათამაშ-შეათვალაიერ-შემოთვალაიერა; თვალების ვარჯიში არ დავიწყია – თვალებს ფართოდ ახელდა, წუთამდე აჩერებდა, მერე მაგრად ხუჭავდა; დახუჭავდა და... რალაცნაირი უსწორმასწორო ფორმებით ლურჯ-მწვანე ფერები აუცილებლად გაკრთებოდნენ; მისი შთაგონების წყაროდ, სწორედ ეს ფორმები იქცეოდნენ... სხეულის გაკაფება დაასრულა თუ არა, კმაყოფილი, წვერის გასაპარსად აბაზანაში შევიდა. რალაც თხუთმეტ წუთში გათავისუფლდა, ნუგოს საჭმელი ჩაუყარა, ცოტა ხანს უყურა, ჩვეული სიდიდით ყავაც მოიდულა, საჭირო ქალღმერთი ჩანთაში ჩაილაგა და კარი გამოიხურა.

ლიფტის დალოდებას აზრი არ ჰქონდა, ან დაკავებული იყო, ანდა ურემივით მოძრაობდა და იმდენ ხანს უნდებოდა ასვლა-ჩასვლას, რომ ჯობდა ფეხით ჩასულიყო. მეთუე სართულიდან – თვეობით ჩაჭუჭყულ, დაუგველ-დაუსუფთავებელ კიბეებს ჩაუყვავ; მეხუთე სართულზე ხმამალალი გინებით არც თუ ახლო, მეშვიდე სართული მეზობელი დაეწია:

– ბიჭო, როგორა ხარ, საითა ხარ, რამდენი ხანია არ მინახინარ?!

– საით კი არა, მაგათი დედაცა და კეთილებიც... წელიწადნახევრის შემდეგ

დებორტაციით გამომისტუმრეს, მე მაგათი... – რა ვიცი, თქვენებს რომ ვეკითხებოდი – ბათუმშია, ტაქსაობსო, დავიჯერე; ის კი მიკვირდა, რომ ასე ახლო მანძილიდან ერთხელ მაინც როგორ ვერ ჩამოვიდა-მეთქი?!

– შენ არ იცი, რა თანხები დაგვიჯდა ჩემი იტალიაში წასვლა... არა უშავს, ლოგინში მაინც არ მოვკვდები, ლოგინში არ მოვკვდები!.. – ყვიროდა გაგულისებული. ტრანსპორტში ჩაჯდომისთანავე ყველაფერი გადაავიწყდა. დღეს სკოლასთან ნინიკოს უნდა დახვედროდა, ბაზრობაზე წაეყვანა და ფეხსაცმელები ეყიდა; გოგო მე-7 კლასში იყო, უკვე იბრანჭებოდა კიდეც... ნიას ცოტა რომ მოეთმინა და აფრები არ აეშვა, ახლა ხომ ისევ ერთად იქნებოდნენ?! ოთახნახევრიანში ვერ ვიცხოვრებ, რამე ქენი, ფული იშოვე და რომელიმე მშენებლობაში შევიდე, ნორმალური ბინა ავიშენოთ... საიდან უნდა მოეტანა ამხელა თანხა?! რას არ იგონებდა – ხან სვანეთში წაიყვანა, ხან ლოპოტას ტბაზე, ხან... მაინც იქით იწევდა, პირზე სულ ანტალია, „ოქროს ქვიშები“ და ევროპა ეკერა!.. მშობლიური აღარაფერი აოცებდა, აღარაფერი უნდოდა... ჯვრისწერამდე სულ სხვანაირი იყო – თბილი, გამგები, ყურადღებინი... რალაც ოთხ წელიწადში მთლიანად გადასხვაფერდა; მისმა წუწუნმა, ნახე იმათ რა მანქანა იყიდეს, ნახე როგორი დაზმანულები დადიან, ნახე ეს, ნახე ის... – დაღალა, ჰოდა, სიყვარულიც საღდაც, სხვებთან გაეპარათ... გული ნელ-ნელა აიყარა... შერჩა გრძნობადაცლილი, უმადური „მეშინაკა“, რომელმაც კი, ერთი შვილი გაუჩინა და ალბათ, რომ არ დაცილებულიყვნენ – მერე, მესამესაც გააჩენდა... აბა, ასეთი მოთხოვნილებების მქონეს შვილებისთვის

კლინა

რა უნდა ესწავლებინა?! ბავშვი იყო ცოდო, თავადაც ცოდო იყო, მაგრამ რა ექნა... გაბზარულს რალა გაამთელებდა?!

შესვენებაზე ნინიკოს სკოლაში გაუარა; ვაგზლის მოედნის ბაზრობა მოიარეს, როგორც იქნა, მის მოსაწონ ფეხსაცმელს მიაგნეს... მერე კაფეში შევიდნენ, დანაყრდნენ. ნინიკო დუმდა; თითქოს ჭამით იყო გართული, თუმცა დაკვირებული თვალი – მის დაძაბულსა და სევდიან სახეზე – უთუოდ შეამჩნევდა რალაცნაირ, გაორებულ გამომეტყველებას.

– დედა რას შვრება, ბებო, ბაბუა, როგორა ხართ?

– არა გვიშავს, ვართ ღვთის წყალობით... – დიდვით მიუგო ნინიკომ.

გუგა შეეოვნდა, მორიგი კითხვის დასმა გადაიფიქრა.

ბავშვი სამარშრუტო ტაქსიში ჩასვა, თავად კი ისევ ოფისში მიბრუნდა. რამდენიმე თანამშრომელი კომპიუტერს მისწერებოდა; დარჩენილი სამი საათი რამენაირად უნდა გაეყვანა. ეზარებოდა, მაგრამ ამის გარეშე, შრომის გარეშე, რა ექნებოდა?! თავის რამდენიმე ძმაკაცივით სამსახურის საშოვნელად ინსტანციიდან ინსტანციაში ივლიდა და დაიჭერდა კიდეც – ჩიტებს გალიისთვის!.. კიდეც კარგი, ხატვის ნიჭი დაჰყვა და თავისუფალ დროს თავის ჭიას ახარებდა, ბავშვობისდროინდელ გატაცებას არ ღალატობდა – ხატავდა აბსტრაქტულ ფიგურებს, ხან პეიზაჟებსაც გამოურევდა; მეგობარ-მნახველებს მოსწონდათ მისი ნამუშევრები, თუმცა გასაჩუქებლად არცერთი ემეტებოდა, ამის გამო ალბათ პირს უკან ჭორავდნენ კიდეც, ეს ამბავი ნაკლებად აწუხებდა, იცოდა – ერთ მშვენიერ დღეს მობეზრდებოდათ და საჭორაოდ ახლა სხვას გაიხდიდნენ...

საათს დახედა, ექვსი ხდებოდა. ზაზასთან ერთად ქუჩას ნელი ნაბიჯით გამოუყვა. ამ მთისა თქვეს, იმ მთისა, რამდენიმე ნაცნობს მიესალმნენ, მოიკითხეს. ამასობაში, „იმელის“ შენობას გაუსწორდნენ, წამით შეჩერდნენ, დანახვით გახედეს კაპიტალურად ნაგებ, ახლა უკვე ერთიანად გამოშიგნულ, თვალეზამოღამებულ ნაგებობას...

მეტრო „რუსთაველის“ წინ, რომელიდაც პარტიის მხარდამჭერები ხელმოწერებს აგროვებდნენ; მეტროდან გამოსული მგზავრების დიდი უმრავლესობა ცდილობდა „არ შეეჩინათ“ ანკეტებით ხელდამშვენებული ქალბატონები; იყვნენ ისეთებიც, მათთან თავად რომ მიდიოდნენ და ყველაფერს დაწვრილებით კითხულობდნენ, ზოგიც უკითხავად იღებდა პირადობის მოწმობას და ხელს უწერდათ... მოკლედ, XXI საუკუნეში,

ყველაფერი ისევ და ისევ, ქართული თავმოწონებითა და ცოტა კომიზმითაც გამოიყურებოდა...

მეტროდან ხელმარცხნივ, ახალგაზრდების ჯგუფს თავი მოეყარა და რაც შეიძლება, გამომწვევად იქცეოდნენ; აქეთ „ფრთას“ დასცინოდნენ და უწმაწური სიტყვებით ამასხრებდნენ; ორს, ხელნაკეთი ბანერი გამოსაჩენად დაეჭირათ და გამვლელების რეაქციას აკვირდებოდნენ. მართლაც, ბევრი ჩერდებოდნენ და წარწერას დიდის ამბით კითხულობდნენ: – „პარტია – ეს არის მრავალთა სიგიჟე ერთეულების სასარგებლოდ“ – ჯ. სვიფტი. თუმცა, ამ ყველაფერს გასავალი აღარ ჰქონდა; დაღლილი ადამიანები ინერციით განაგრძობდნენ გზას, ინერციითვე აღიოდ-ჩამოდიოდნენ ცხოვრების დაბრეცილსა და ბესრეკ კიბეებზე...

ერთს კითხვა გაუჩნდა: – ჩემი ბიჭი, ჯ. სვიფტი ვინ არის, ხომ ვერ მეტყვი?!

– ჯ. სვიფტი? ბიჭო, ერთი ტიპი კითხულობს, ჯ. სვიფტი ვინ არისო?

– რავი, აბა!

– თიკო! გოგო, ჯ. სვიფტი ვინ არისო?

– რა ჯ. სვიფტი, ბიჭო?!

– რა და ... – ამასობაში ერთმა, სათვალაინმა უშველათ – ჯონათან სვიფტი, მწერალი! თქვე ჩემისებო... ცოტა რალაცებიც უნდა წაიკითხოთ!..

თავის კორპუსთან რამდენიმე მეზობელი ხელების შლითა და ემოციებით საუბრობდა. საერთო სალმის მერე საუბარი განაგრძეს; ყოველთვის მოღურად, გემოვნებით ჩაცმული, სამოცდაათს გადაცილებული კაკო, ბუზს რომ არ ისვამდა და სულ იმით მოჰქონდა თავი, როგორ ცხოვრობდა ადრე, კომუნისტების დროს, რა მყუთს შოულობდა და რა ქარი უქროდა, დღესაც ინტიბარს რომ არ იტენდა, აღშფოთებული ყვებოდა;

– კაცო, ჩამოსვლით ფეხით ჩამოვდივარ ხოლმე; წელანაც ფეხით ჩამოვედი. ლიფტის კართან, ასე 20-22 წლის „კიკიმორა“ გოგო იდგა – ელასტიკებში, ბლომად ფერუმარილწასმული, ვითომ გაღამაზეულ-გასვეტებული, საჩვენებელ თითზე უშველებელი ბეჭდით! მართალია, ბოლო ორი წელია ბევრი ახალი მეზობელი შემოგვემატა, მაგრამ ეს ჩვენი მაცხოვრებელი არ იყო! ჩაუვარე და, ის იყო, გაჩერებისკენ უნდა წავსულიყავი, რომ დარტყმის ხმა შემომეხმა; მექანიკურად უკან შემოვბრუნდი და ისევ ლიფტისკენ წამოვედი. რას ვხედავ, ეს კამფეტით გამოწუნული გოგო ლიფტის კარებს ფეხებს გამეტებით ურტყამს?! წყნარად ვუთხარი: – გენაცვალე, რატომ ურტყავ ფეხებს, დაელოდე, ჩვენი ლიფტი ცოტა ნელა მოძრაობს, თორემ

აუცილებლად ჩამოვა?! ვიფიქრე, გავაგებინე-მეთქი, შენც არ მომიკვდე! მომიტრიალდა და აგდებულად მეუბნება: – წადი, წადი გაიარე! შე ბებერო, შენ ვინა გკითხავს! თავში სისხლი ამივარდა... – შენ ვის ელაპარაკები ასე, შე... ლიფტიც ჩამოვიდა, შევარდა და “თავს უშველა”... გეუბნებით, შუაზე გავგლეჯდი მაგ გაუზრდელს, მაგას... დაუდარაჯდები და, დღეს თუ არა ხვალ, კიდევ მოვა და მერე... გამასწროს აქედან, კეთილებს მოვუხნავ მაგ კახპას, მაგას!..

როგორც შეეძლოთ დააშოშმინეს; მოუბრუნდათ მერე შუახანს გადაცილებული ზეინაბა, ტუჩების პრუწვითა და ლიმილგარეული მზერით: – იმ დღეს ჩემს რვა წლის შვილიშვილს ვარიგებდი შვილო, ასე და ასე მოიქეცი, რომ კარგი გაიზარდო-მეთქი; გაჩუმებული მისმენდა; ასე, ოცი წუთის გასვლის შემდეგ, ჩემი ნათქვამი რომ მიმავიწყდა-კიდევ, მეუბნება: – ვიცი, განა არ ვიცი, ბებო, რომ შენ გინდა კარგად ვისწავლო, მერე კარგი სამსახური ვიშოვო, კარგი კაცი გამოვიდე... შენ სულ ამეებზე ფიქრობ... მაგრამ ყველაზე კარგი იცი რა არის? – რაა-მეთქი? – რა და, უსაქმურობა, უსაქმურობა! გაიგე! – გადავირიე ქალი!

– არაა, აღარაფერი მიკვირს – საუბარში ჩაერთო ანზორი, გამრჯე, მეურნე კაცი. – გახედეთ, ჩვენ სკვერში რა ხდება! დღისით, მზისით თხუთმეტი-თექვსმეტი წლის გოგობიჭები რეებს სჩადიან; ეხლაც, ცაცხვის ხის ქვეშ, სკამზე გოგოს კალთაში ჩაუდვია ბიჭის თავი და ყველას დასანახად ტუჩებში კოცნის... ეს ვირგლა წამოწოლილა, ფეხები აუშვერია – მე ვარ და ჩემი ნაბადიო?! იქვე, ბიჭები სხედან, ვითომ საუბრით არიან გართულნი და ვერავის და ვერაფერს ვერ ხედავენ... ამათ შემხედვარე პატარებმა რა უნდა ისწავლონ?! ეტყვი რამეს და კიდევ აქეთ გამოგთათხავენ, რაღაც უფლებებს შეგახსენებენ... კი მაგრამ, ჩემს უფლებებს ვილა დაიცავს?!

იქვე მდგომმა ნათელამ არ დააყოვნა და სხაპასხუპით ჩაეჭრა:

– ყველაფრის თავი და თავი ფულია, დაიწვა მაგის მომგონი! იქამდე დავეციო,

რომ ბევრმა ისეთი რამეები იკადრა... ჩვენს წინ, რეასართულიანებში, კაპიტონა რომ ცხოვრობს, მალაზიის გვერდით დიდი გარაჟი რომ აქვს, ყველანი იცნობთ, დიდი ვალი ჰქონია... თურმე, ვერაფრით ვერ ისტუმრებდა... არ ვიცი, ვისი კეთილი რჩევით...მამათმავლობა დაიბრალა... რომელიღაც არასამთავრობოში მფარველებიც გაუჩნია... შემოსავალს აღარ უჩივის... ამისთანებს მეტი რაღა უნდათ?! სამშობლოც ფეხებზე კიდათ და სხვაც ყველაფერი; მაგისნაირები კიდევ რამდენნი იქნებიან!?

– ჩემს ახალგაზრდობაში, – სიტყვა გააწყვეტინა ანზორმა, – საჯაროდ, რუსთაველზე, ეგეთი მხოლოდ „ტუზიკა“ დადიოდა (გვარიც მანსოვს, თუმცა ამას ახლა მნიშვნელობა არა აქვს) ...იმას თითქმის ყველა, ნამდვილი ქალაქელი, ცნობდა... პურის გვერდით როგორ დაჯდებოდა?! ჰაი გიღისა, რას მოვესწარიო!?

უხერხულად მდგარმა გუგამ, რომელიც მეზობლებს, თანხმობის დასტურად, მაღიმალ თავს უკანტურებდათ, დაღლილობის მომიზეზებით, ბოღიში მოუხადათ და ლიფტისკენ წამოვიდა.

შინ შემოსულმა ტანსაცმლის გამოცვლისთანავე მაგნიტოფონი ჩართო, დებიუსის „ზღვამ“, არტურო ტოსკანინის ღირიჟორობით, სულ სხვა განწყობაზე დააყენა; მოლბერტი და ფუნჯები მოიმზადა... მერე ნუგოს მიხედა, ცოტაოდენი საჭმელი ჩაუყარა; აჩემებული ფრაზა მეთათხედ ჩაიბურტყუნა: – აუცილებლად გიყიდი მეწყვილეს; დამიჯერე, შენთვისაც მოვიცილი, ფართსაც მოგიმატებ და... მოგხედავ რა?!

ნუგოს პირი წყლით ჰქონდა სავსე, პასუხს ვერ სცემდა, მაგრამ მაინც სჯეროდა გუგასი; აკვარიუმის კიდესთან მოცურდა და ლაყურების თანაბარი მოძრაობით, თითქოს აზრიანადაც, პატრონს მიაჩერდა. მერე კენჭებისკენ დაეშვა და თევზის თვლებით ოცნებით გახედა დაპირებულ მომავალს...

წყალი წყლის მცენარეებს ნებიერად ანანავებდა და რეზინის მილიდან წამოსულ ჰაერის ბუმბუკებს მონდომებით ითვლიდა.

## მანანა ბილაშვილი



## იქ, სადღაც... ფარდის მიღმა

ამონარიდი მოთხრობიდან

ყველაფერი სისულელეა... ახლა დავრწმუნდი, რომ ჩემი დაბადება და არსებობა ამ ქვეყნად ერთი დიდი შეცდომაა და მეტი არაფერი... ნუთუ ნახევარი საუკუნე იმისთვის ვცხოვრობდი, ერთ მშვენიერ დღეს ღამურასავით მარტო რომ დავრჩენილიყავი?... არავის ვჭირდები... არავის! თვალცრემლიანი მარიკა საყვედურით შემომცქერის. ჰო, ჩემგანაც ელის პასუხს... ელის იმიტომ, რომ მისი მეგობარი ვარ და მეც ვალდებული ვარ რაღაცით ვანუგეშო. ძველებური სიცოცხლე და ხალისი დავუბრუნო...

საკუთარ თავზე ვბრაზდები, რამ ჩამიგდო ენა, რა ჯანდაბა დამემართა... მაგრამ რა გინდა რომ, ქნა... ასეთი მარიკა მე არასოდეს მინახავს, ძალაგამოცლილი, მარტოსული და შეშლილი. თავის თავს არ ჰგავდა. თითქოს ვიღაც სხვა იდგა ჩემს წინ აჩაჩულ-დაჩაჩული, დამისპერანგიანი, ხალათით, თმაგაწეწილი და სახელეწილი. ყოველთვის მშურდა მისი თავდაჭერა, თუ თავდაჯერება და პედანტურობა... ვერასოდეს ვერ დაიჭერდი მას ადამიანურ სისუსტეში, ყველას რომ ემართება ხოლმე – მაგალითად მე... რის გამოც ხშირად მისი დაცინვის ობიექტი ვხდებოდი. მარიკასგან წამოსული ყოველთვის რაღაც სხვა, როგორ ვთქვა, უცნაური სიძლიერით ვიყავი დამუხტული და მისი დამოძღვრა მეორე შეხვედრამდე მომეგებოდა. ახლა კი... მარიკა გულზე მესუტებოდა და დამუნჯებულს მაგრად მაჯანჯლარებდა.

როგორღაც ძალა მივიკრიბე, სავარძელთან მიმეყვანა. ფრთხილად დავსვი, ვალერიანიც დავლევინე და აკანკალებულს უხმოდ ვეფერებოდი. რა შემძლო მეთქვა, სიტყვები ამ შემთხვევაში ზედმეტი იყო. უკვე წელიწადნახევარი, უმუშევრად დარჩენილი,

რას არ აკეთებდა, რომ სადმე ახალი სამსახური ეშოვნა. არ დარჩენია არც ერთი დასაქმების ცენტრი, ვაზეთი, ამგვარი სააგენტოები... რაც დანახოვი ჰქონდა და სახსარი გააჩნდა, არ დაიშურა... ათასი გადასამზადებელი კურსები და ტრენინგები გაიარა, ვეჭილისა, მოსამართლისა თუ ეკონომისტის სერთიფიკატებიც მოიპოვა... მაგრამ რა გამოვიდა... ორმოცდაათი წლის ქალი თურმე აღარავის სჭირდება არც ოფისში, არც სხვა დაწესებულებაში და მდივნად ხომ ყოვლად წარმოუდგენელია.

მარიკას ფარ-ხმალი არასოდეს დაუყრია. მოცებდა მისი სიღინჯე, მიზანდასახულობა, წინსწარაფვის უზარმაზარი სურვილი... მაგრამ რაკი ერთხელ დაუცდა ფეხი... თუმცა რა, ახალმა უფროსმა ახალი თანამშრომლების აპარატი შექმნა, სად იჩივლებდა, სად შეიძლებოდა სამართლის მოძებნა... თქვენ გვინათ, არ გაასაჩივრა უმიზეზოდ სამსახურიდან დათხოვნა? არაფერი არ გამოუვიდა... სასამართლო პროცესიც ერთი დაუსრულებელი ორგია აღმოჩნდა.

ღმერთო ჩემო, რისთვის ვყვები ამდენ მიეთ-მოეთს. რით ვუშველი ჩემს მარიკას, რატომ აღარავის სჭირდება ორმოცს გადაცილებული ადამიანი, საშუალო ასაკის კაცი და მანდილოსანი რატომ იქცა ზედმეტ ტვირთად ყველგან. იმაზე დიდი უბედურება არაფერია ამქვეყნად, როცა არასრულფასოვანი ხდები საზოგადოებისათვის და შენს ადგილს იკავებს სხვა... მხოლოდ იმიტომ, რომ ახალგაზრდაა, ელევანტური, გალანტურიც და თავცარიელიც, რაც მთავარია, ბოსისათვის მისადები და შესაფერიც.

არ ვიცი, ალბათ ვეღარ ვზომავ, რას

ფიქრობ და ვწერ... ერთია, რომ ამ აღმართებმა, დაბრკოლებებმა, გულქვაობამ, ეჭვებმა, უადამიანობამ, სარკაზმმა და გულგრილობამ ყველა დალაღა – მეც, შენც, მარიკაც და კიდევ ბევრი მარიკასთანა... ადამიანური ღირებულებები სადღაც, ცხოვრების მიღმა დარჩა, როგორც გამოუსადეგარი და მოძველებული წეს-ჩვეულებები... მეც ახალი ვთქვი რა!.. მკითხველს უთუოდ ჩაეცინება... სადღაა სითბო, ღიმილი, ერთმანეთის სიყვარული, გატანა... მეც არ ვიცი, რატომ შემიპყრო უცნაურმა შიშმა. ჟაკეტი მჭიდროდ შემოვიხვიე, თავი საყელოში ჩავარგე და გაუბედავად გაუყევი ჩაბნელებულ შუკას. აცაბაცა, არამყარი ნაბიჯებით მივიწვედი წინ და თავს დედამიწის უცხო სტუმარივით (უცხოპლანეტელივით) ვგრძნობდი, წინ კი მხოლოდ ერთი თეთრად გათენებული ღამე მელოდებოდა.

მიკვირს და ვვოცდები რამდენი ტკივილის ატანა შეგვიძლია. აბი მაინც არსებობდეს ისეთი, რომელიც შიშის, სიმარტოვის და გაუცხოების გრძნობას გაგიფანტავს. ასეთი ტკივილის გამაყურებელი წამლის რეცეპტს ვერც ერთი ექიმი ვერ გამოგიწერს.

იქნებ ზვალინდელმა დიღამ და დღემ მოგვიტანოს იმედი და რწმენა? არ ვიცი, არაფერი არ ვიცი... ამჯერად მართლა ისე გავეხვიე აბურღული ფიქრების გორგალში, რომ თავს ვეღარ ვაღწევ.

\* \* \*

ღმერთო ჩემო, რამდენი შემძლებია... როგორი დიდი ტვირთის ტარება მიწვეს ყოველდღიურად... ძნელი ყოფილა მარტოხელა ქალის ხვედრი, რომელიც სხვების თანდასწრებით არასოდეს იხრის ქედს, ცდილობს, ყველა სირთულე ააცილოს საკუთარ გოგონებს, თუნდაც ამისთვის ნახევარი ცხოვრების თუ სიცოცხლის გაღება მოუხდეს.

იციტ?... ვიღაც-ვიღაცებმა მტირალი და ძალაგამოლეული თუ გნახეს, ფარისევლურად თავზე ხელს გადაგისვამენ, თითქოს თანაგიგრძობენ კიდევ. ჰო, შეგიცოდებენ და მეტი არაფერი... მაგრამ, თუ შეძელი და ყველა დაბრკოლებას კეტივით დაუდექი, უსულგულონი ხდებიან... უკვირთ შენი სიმტკიცე, ქირქილებენ და შენს წამოჩოქებას ელიან... რა საშინელი გრძნობაა... არ მინდა ამ მწარე სიმართლის ლაბირინში გადავიხლართო. ჰოდა, აღარც ვფიქრობ. რაც უფრო მეტად ჩაულრმავდები ადამიან-რებუსს, მით უფრო მეტად დაიტანჯები. რაღაც ამისთანა მახსოვს, ფილოსოფოსის

ნათქვამი: „ადამიანი მუდმივად მეგობრებისგან დახმარებას კი არ ელის, არამედ ცდილობს, საკუთარი თავი დააჯეროს იმაში, რომ თუკი მძიმე ღრო დაუდგება, განსაცდელში ჩავარდება, აუცილებლად დაეხმარებიან“.

აი, ახლაც ნია ტირილით შემოვარდა ოთახში და უძწეოდ შემომეხვია. – ნახე დედიკო, გიშრის ჯვარი შუაზე გადატყდა!.. მიშველე დედიკო, დამეხმარე! – მე კი ამაოდ ვცდილობ დავაშშვიდო. ჰო, ალბათ... ვიღაცამ ავი, ბოროტი თვალთ შეხედა ბავშვს და ჯვარმა შეაჩერა, თვითონ გატყდა და ბავშვს ხიფათი ააცილა. ირმა მასწავლებელმა აჩუქა დაბადების დღეზე. ახლა, მე თვითონ ვუყიდი ნაკურთხ ჯვარს და შევთხოვ ღმერთს, დაიფაროს ბოროტი ძალებისაგან. ოჰ, მზერას რამდენი რამ შეუძლია!

მინდა ყველა ქალს მივმართო: – გაიღიმეთ, გინდათ თუ არ გინდათ, მაინც გაიღიმეთ... შეხედეთ მოკრიალებულ ლურჯ, ლილისფერ ცას, და ინატრეთ, რომ ადამიანები ბედნიერები იყვნენ... შეხედეთ, მწვანე ყვავილებით მოჩითულ მოლს, ღრმად ჩაისუნთქეთ მათი სურნელი და მიხვდებით, რომ სწორედ ეს არის ბედნიერება... ტკობა სინათლით, ფერებით, სიცოცხლით, სიყვარულით დიდი ნიჭია. ქვენა გრძნობებს გულის კარებს ნუ გაუღებთ, ნუ დაიმძიმებთ სულს და არ გაიმეტოთ სიავე სხვისთვის. მოინანიეთ ცოდვები და ბედნიერებაც არ დააყოვნებს და თქვენს არსებაში საშუალოდ დაივანებს.

ისევ წარსულში ვიქექები, იქ, ფარდის მიღმა ბევრი რამ დამრჩა, რისი გახსენებაც ცხოვრებას მიადვილებს. მახსოვს ყველაზე მძიმე წუთებში, ძმის სიკვდილის შემდეგ, როგორ სცადეს, ჩემთვის თავს დატეხილი უბედურება შემესუბუქებინათ.

იანვრის ცივი, სუსხიანი ქარი ქროდა. პედაგოგიური პრაქტიკის ერთი დამლელი და მომქანცველი დღეც მიიღია. ფეხს ვითრევდი, ხელმძღვანელს გაკვეთილებზე დასწრების შთაბეჭდილებების ჩანაწერი ჩავბარე და თანაკურსელებს შეუმჩნეველად ჩამოვრჩი. გაუგებრობის გამო მოვხვდი იმ სკოლაშიც და თავაზიანი საღმის მეტი არაფერი მაკავშირებდა მათთან.

კარგა ხანს ვიყურყუტე ფოიეში და დაჯერებული იმაში, რომ ისინი კარგა ხნის წასულები იყვნენ უკვე, გამოსასვლელს მივაშურე.

სკოლის ეზოდან რომ გამოვვდი, მოულოდნელობისგან შევცბი, კედელს მიყრდნობილები იდგნენ და მე მელოდებოდნენ. ჩემსკენ ნელ-ნელა წამოვიდნენ და მალე ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდით. ღმერთო,

გამტკნარებული ენას ვეღარ ვამოძრავებდი პირში, ყელში რაღაც გამეჩხირა, ზმაც თითქოს აღარ მემორჩილებოდა. როგორც იქნა, ძლივს გაეხსენი მორღვეული ტუჩები და ამოვთქვი:

– ვის ელოდებით?!

– როგორ თუ ვის ველოდებით? – გაიკვირვა ლელამ. შენ, შენ გელოდებით, – მანტოს გახსნილი ღილი შემიბნია ნინომ. ირინამ გაყინულ ხელზე ხელი მომიკიდა და შემანჯღრია, რეალურ სამყაროში დამაბრუნა.

– ნუ, გეშინია, ჩვენ შენთან ვართ!

– აბა რა გეგონა, ასეთ ღროს მარტო დაგტოვებდით? – ჩაიბურღუნა გელამ.

მეტი არაფერი მახსოვს... თავი ვეღარ შევიკავე, ცრემლები თავისით მოიკვლევდნენ გზას, მერე ხმამაღლა ვბლაღი უკვე და ვგრძნობდი, ყელში წაჭერილი ბოღმა როგორ ქარწყლდებოდა. მორიდება სულ დაკვარგე. აღარ მრცხვენოდა. ხელისგულებით ვიწმინდდი ცრემლებს, რომელიც შეკავებული ნიაღვარივით ჩამომდიოდა სახეზე, ცუცამ ცხვირსახოცი შემომმაშველა. ვგრძნობდი როგორ მეუფლებოდა შვება, სიხარული და რაღაც უცნაური განცდა იმისა, რომ მარტო არ ვიყავი. მე მაშინ უბედნიერესი წუთები მარგუნეს მათ. ის ცივი, სუსხიანი დღე ყველაზე თბილი და დაუვიწყარი აღმოჩნდა ჩემთვის. იმ დღიდან ახალი

მეგობრები ვიპოვე, რომლებიც წუთით არ მტოვებდნენ მარტო. მათთან ერთად გავატარე სტუდენტური ტაბილ-მწარე წლები და მეგონა, რომ არასოდეს დასრულდებოდა ის ნეტარი თავდავიწყება, რაც ამ მეგობრობას მოჰყვა.

ახლა უკვე ძალიან გვიანაა... ღამეა, მშვიდი ღამე... ხანდახან ძალი თუ დაარღვევს სინუემს და აღავლავდება. ვზივარ ჩემთვის მაგიდასთან და მოგონებებში ჩაფლული თქვენთან ვარ, ჩვენ ხომ თითქმის ვერ ვნახულობთ ერთმანეთს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, როცა ჩემსავით შვილებს კოცნით ამოუშრობთ ცრემლებს, პირჯვარს გადასწერთ, მშვიდ ძილს უსურვებთ, მცირე ხანს საკუთარ თავთან მარტო დარჩებით და ჩამყდროვდებით... გაგახსენდებათ ბედნიერი წარსული – წუთები, წამები. იღუმალი ღიმილი დაგეფინებათ სახეზე... თუმცა, კი ნაღვლიანი იქნება ეს ღიმილი, რადგან ის წლები, ჩვენი ერთად გატარებული დღეები ფარდის მიღმა დარჩა...

რას იზამ, ბედნიერება ხომ მოუხელთებელია, მას კარებზე დაკაკუნება არ სჩვევია. იგი შენ უნდა მოიპოვო, წვეთ-წვეთად შეაგროვო და ცხოვრების მიმწუხრს, უიმედობით შეპყრობილმა, გაიხსენო და ხელახლი ბედნიერება ჰპოვო. ოღონდ ისიც დიდი გმირობაა, უკან მოხედვის არ გეშინოდეს...



*სენტენციები, ანუ მარადი კიჩი*

პოლიტიკაზე	სუფრაზე
სიფხიზლემ თუ მიიძინა, ვერას გვიშველის ბიძინა.	პურადს ღვინოს რა დაუღევს, ბუნწ კაცს ღვინოს ვინ დაუღევს.
ვერ ასრულებს დანაპირს, აღარ მისხნის დანა პირს.	მწვადები შველის ყველაფერს შველის.
ესაა რუსის მისია – სხვისიც ჰგონია მისია.	ხელში ყანწი მოვიხდება, თუმც სმაც ბევრი მოვიხდება.
ის ბიჭი ქუჩის აქციათ მთავრობის კაცად აქცია.	შემოდგომის დამლევს რა დამიღევს დამლევს.
თუ ახარებს ერთობა, მტრობით რაღას ერთობა?	გამითხარა კაი ხარო, თან მიმტკიცებს: კაი ხარო.
ესენი დღესაც სპობენ ესენინს, იციან, როგორ მოშთონ ტიცინან, ბერია მათთან არაფერია.	

გიჟების წესრიგი



– გაჩერდი, ძაღლო, ვის უყვარს შენ! საქართველოს დამსახურებული პენსიონერი – სერგო მჟავანაძე!

უცნაური სტუმარი ძაღლს ცილინდრს უხდის და თავს უკრავს. ინდუსას ცილინდრი სულ ცალ ფეხზე ჰკიდია და სერგოს ეზოში არ უშვებს.

– კატო ექიმო, მომაშორე ეს ძაღლი, ძაღლი კი არა – მგელია! მთავრობას არ სცემს პატივს, ხომ?! – აიტ, შენი...!

– ინდუს, გამოდი აქეთ – ამბობს ბებო და სტუმარი სახლში შემოჰყავს. ინდუსა უკმაყოფილო სახით ზის კიბესთან და ცალ ყურს ბრაზიანად ათამაშებს. სერგო აშკარად არ მოსწონს და ერთი სული აქვს, როდის გაისტუმრებს სახლიდან.

– ინდუსა ქვია, ხომ, ამ მამაძაღლს... ინდოელია თუ რაშია საქმე?! ეჰ, შენ კარგი თქვი, თორემ ძაღლებს საიდანაც გინდა, იქიდან გამოგიგზავნიან.

– როგორ ხარ, სერგო, რამ შეგაწუხა?!

– ჯიბეები და გაოხრებულები! ქვეყანა ბანდიტებით არის სავსე, მაგრამ მე ასე ადვილად ვერ მომერევინ – ოცდახუთი წელი ციხე! დახვეტა!

– წნევა როგორ გაქვს, გული?!

– ყური ამტკივდა ცოტა, კატო ექიმო, ყური... აგერ...!

– მანახე, გტკივა?!

– ოჰ, ოჰ, ჰოლო!

სერგოს ყურის ანთება აღმოაჩნდა. ბებომ რაღაც წამლები გამოუწერა – ერთი კვირის მერე გამოიარე და ვნახოთ, როგორ იქნებიო.

– შენი მეზობელი როგორ არის, ჯიბეები მამაძაღლი?!

– ვიზე ამბობ, ხუტაზე?

– ხუტა, ანუ „ხუნტა“ – დენიპარია, წყალიპარია...

– ერთად არ სწავლობდით?!

– ააა-ტა-ტა-ტა! ახალგაზრდობაში იყო მაგი დასაჯერი. ახლა ვის რად უნდა ბებერი მამაძაღლი – მხარეთემოზეა ხომ წამოკოტრიალებული?!

ჩიკო გაოცებული უყურებდა სერგოს. პირველად ესმოდა, ვინმეს ხუტა ბაბუ გაელანძლოს.

– ვინაა, ბებო, ეს კაცი – გიჟია?!

– კიდე კარგ ჭკუაზეა, საცოდავი! – ჩაილაპარაკა ბებომ და ოთახში შებრუნდა.

ჩიკო მაინც ვერ მიხვდა, რაში იყო საქმე. სერგო სერიოზულად მასმერე გადაემტერა, რაც მამამ ველოსიპედი უყიდა.

ველოსიპედს თვალი მოჰკრა თუ არა – სერგოს ეგრევე თავში აუვარდა.

– რას უყურებს მთავრობა, ესაა წესრიგი?!

– რა გინდა, ბაბუ, ველოსიპედი...!

– საქმეც მაგშია – ამ ველოსიპედს ფანრები არ უნდა?! მუხრუჭები?! თავს დაილუპავ ან ვინმეს დალუპავ – ისედაც დალუპულია ეს ქვეყანა!

– მზეზე დიდხანს ნუ გაჩერდები, ბაბუ!

ჩიკო პედლებს დააწვა და სერგოს გაერიდა. ის კი თავისას მაინც არ იშლიდა

– სადაც თვალს მოჰკრავდა, ჯოხის ქნევით და ლანძღვა-გინებით მისდევდა.

– ჯიბეები, გათახსირებულნი! დაუყენე ფანრები მაგ ველოსიპედს, თორემ დაგაჭერინებ შენს თავს, იცოდე. არა, უჩემოდ ვერ ხედავენ რა ხდება?! ყველაფერს გაზეთში დავწერ. ახალგაზრდებს პატრონი არა ჰყავს. ფუ, თქვენი...!

– ჩიკო, ველოსიპედი მათხოვე! – დაუძახა გოგამ. ჩიკომ თავი დაუქნია – წაიღე! – და სახლის წინ, სკამზე ჩამოჯდა.

– მანქანა სად წაიღე, ხულიგანო! – უცებ სერგო წამოადგა თავზე.

– მეგობარს ვათხოვე!

– აჰა, სხვებიც გინდა, აიყოლიო, ხომ?! ჩიკოს უკვე ყელში ჰქონდა ამდენი „გიჟობანა“ ამოსული და სერგოზე სერიოზულად გაბრაზდა.

– გითხარი, მზეზე ნუ დადიხარ-მეთქი... თუ გინდა, ცივ წყალს გამოგიტან!

– ღირსეული ბებიია და ჯიბეები შეილიშვილი. ოჯახში ერთ ოხერს რა გამოილევს?!

– ყური მოგიჩაა?!

– მაგი არაა შენი საქმე. ყური შენ გაქვს ასახვევი, მამაძაღლო!

სერგომ თავისი ბებრული ხელი ჩიკოს ყურისკენ წაიღო. ჩიკომ ხელი აირიდა და მუქარანარევი ხმით სერგოს შეუბღვირა.

– წადი, ბაბუ, სახლში!

– ყური მომეცი-მეთქი! ხულიგანო! ამ დროს გოგა გამოჩნდა, ველოსიპედით სერგოს ჩაუქროლა და ცილინდრი წაადრო.

– აიტ, დედა-გაქცეული, მამა-წაქცეული, თვითონ – წყალწაღებული...

– ხედავ, როგორ მლანძღავს?! – და გოგამ ცილინდრი ჩიკოს გადაუგდო. ჩიკომ ცილინდრი ფრთხილად დაასვენა იქვე მობუფბუფე გუბეში.

– როგორ ბედავთ, მე თქვენ გაჩვენებთ... – აქ ერთი ახლობელი ბაყაყი მყავს, სამი დღეა მეხვეწება – ცილინდრი მომიტანეო. ძლივს არ ვუშოვე?!

ცილინდრის ასაღებად წახრილ სერგოს გოგამ „შემთხვევით“ გვერდი წაჰკრა და წესრიგის დამცველმა გუბეში მოაღინა ტყაპანი.

– რა ქენი, შეჩემა, ახლა მაგრად დაგვერხევა!

– არ მინდოდა... რა ვიცოდი ასე ადვილად თუ გადაფრინდებოდა ორმოში?!...

– ხოდა, ახლა დროზე წამოაყენე, ოღონდ ჯოხი მოშორებით დაუდე, თორემ გრეკავს მაგ გამოთავყვანებულ თავში და შენც საშველი გახდები...

გოგა და ჩიკო ყველამ გალანძდა. დედამ ველოსიპედიც დაუძალა დროებით.

– არა, ნერვიულობისაგან წნეკას რომ დაერტყა მოხუცისთვის, რას აპირებდით?!

– რას უნდა დაერტყას, ისედაც დარტყმულია! – იცოდე, კიდეც რომ გავიგო უფროს ადამიანზე ასე ლაპარაკობ...

– კაი, ჰო, ვიხუმრე... – წადი და შენს ტოლებს ეხუმრე!

ჩიკოს თავი დამნაშავედ არ მიანდა და ხუტა ბაბუსთან წავიდა – უსამართლოდ მექცევიანო!

– სერგოს შენხელა ბიჭი დაეღუპა!

– როდის, რატომ? – ველოსიპედით მიდიოდა და მანქანა დაეჯახა. იმის მერეა ასე, საცოდავი. იმიტომ დაუჩემებია – ველოსიპედს ფანრები უნდა ჰქონდესო.

– ალბათ ცოტას მანამდეც აფრენდა, არა?!

– არა, მანამდე ჩვეულებრივი, წყნარი კაცი იყო.

ჩიკო მიხვდა, ხუტა ბაბუც საყვედურობდა და მოიწყინა. ცოტა გაკვირვებულიც იყო – ადამიანი სანამ არ გაგიჟდა, წესრიგის დამყარება აზრადაც არ მოსვლიაო.

– ასეა, ძმაო, წესრიგს ყოველთვის გიჟები გვიმყარებენ!

ეს აზრი ჩიკოს ცხოვრების ბოლომდე არ შესცვლია.

მზია ხეთაბუხი

\* \* \*

მათრახით ედგა  
წმინდა გიორგი –  
ახატვინებდა  
ნიკალა პაპას.  
მავანთა სიტყვას  
რომ აჰყოლოდა,  
ვერ ვიხილავდით  
მის ფერთა გამას.  
მე კი იმას ვწერ,  
რაც სულ მაწუხებს,  
თრთოლვით აღვიქვამ  
დარსა თუ ავდარს.  
არც მე მასვენებს  
რალაცა ძალა,  
მიბრძანებს – ხელი  
მოვკიდო კალამს.

\* \* \*

რამდენს გაუძლოს ამ გულმა,  
უსამართლობას ამდენს?!  
ფიროსმანს მღებავს ეძახდნენ,  
პოეტს კი ლექსის მჯღაბნელს...  
ნიღბებს ირგებდნენ თვალთმაქცი,  
ბოლომდის ცლიდნენ თასებს...  
შემოქმედსა და მედროვეს  
დრო თავად წარმოაჩინს!

\* \* \*

თითქოს ამ სულში ჩაქრა სინათლე,  
მაგრამ შენ თუ გსურს, კვლავ  
გამინათებ...  
გათანგა გული იმ უნდობლობამ,  
მე შენს წინაშე თავს რად ვიმართლებ...  
თითქოს რალაცა დარჩა უთქმელი,  
ახლობელი და ძალზედ გულწრფელი...  
შენი ზმანებით გაოგნებული,  
ხან ბრძენი ვარ და ხან კი სულელი.  
თითქოს რალაცა დარჩა წარსულში,  
გამომწვევდელი სულის ფარდულში...  
და ვემსგავსები თანდათან მინდორს –  
სიცხით გადაძმარს  
უწყლო ზაფხულში!

ჩემი ცხინვალის ნაცარგორა და  
ზღუდრის კალთა

გაზაფხულობით... და ეს ხდება  
ყოველ წელიწადს,  
თუნდაც მომისწროს აპრილის თვემ  
სხვა ქვეყნის კართან, –  
მე მასხენდება უნაზესად,  
პირველ ყოვლისა,  
ჩემი ცხინვალის ნაცარგორა, და  
ზღუდრის კალთა.  
ჩამოხეული აფიშების ჩუმი შრიალი  
და მეზობელი გოგოების  
ფიცი მალიმალ,  
რომ არასოდეს წაიშლება  
ჩვენ შორის კვალი,  
მიერთგულეებენ სიკვდილამდე  
ზარაც, სალიმაც...  
მათი ხატება დღეს მაშფოთებს,  
მაკრობს და მზარავს –  
სად, სად გაფრინდა ორი გოგო  
თავგამეტებით,  
ჩემი კისკისა სალიმა და მზისფერი ზარა,  
ჩემი ბავშვობის ღობილები,  
თეთრი პეპლები!  
ფოტოგრაფის წინ დაჭერილი  
კეკლუცი პოზა  
და მზა სურათზე ხელოვნური,  
პატარა ხალი...  
ო, იმ სურათებს რა ძვირფასი  
წარსული მოსავს,  
რა მოლოდინი ნათელი ხვალის!  
რა შეჯახება მომავალში  
უცხო კედლებთან,  
რა მიაბიტი, განწირული ამოძახილი...  
ვით ქანდაკება, დგას შიშველი  
ჩემი ვედრება,  
თვალეებს სჭრის მზეზე მოელვარე  
ოქროს მახვილი...  
ჩემი ტკივილის, სინანულის,  
გულუბრყვილობის  
მოწმე ალაგო, – გაჟღენთილო  
უტყვი ლოცვებით,  
როგორ არა ჰგავს იმ ბალობის  
დიდ ყვავილობას  
შენს თბილ სხეულზე ამოყრილი  
გრილი ბორცვები!  
გაზაფხულობით... და ეს ხდება  
ყოველ წელიწადს,  
თუნდაც მომისწროს აპრილის თვემ  
სხვა ქვეყნის კართან, –  
მე მასხენდება უნაზესად, ჩემო ზეინაბ,  
ჩემი ცხინვალის ნაცარგორა და  
ზღუდრის კალთა.

ჩემი თვალწინ შემხინგი  
საოცრებები

75 წელი შესრულდა დიდებული ქართველი  
მხატვრისა და პოეტის ესმა ონიანის  
დაბადებიდან. რაც დრო გადის, მისი სახელი  
უფრო მნიშვნელოვანი და მასშტაბური ხდება,  
რადგან ჭეშმარიტი ხელოვანის შემოქმედება  
დროს უსწრებს და მას დავიწყება არ უწერია.  
ესმა ონიანის საიუბილეო თარიღთან  
დაკავშირებით, მისმა ძველმა მეგობარმა,  
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა,  
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო  
უნივერსიტეტის პროფესორმა ალექსანდრე  
ციბაძემ ჩვენი ჟურნალისათვის შემოგვთავაზა  
მცირე მოგონება უნიჭიერეს ხელოვნზე,  
რასაც სიამოვნებით ვთავაზობთ „ანულის“  
მკითხველს.

ივანე ჯაფარიძე



ხელთა მაქვს ესმა ონიანის ლექსების კრებული; კიდევ ერთხელ ვავლებ თვალს  
მრავალჯერ გადაკითხულ სტრიქონებს და ვცდილობ, ღრმად ჩაეწვიე პოეტის ნაფიქრალს.  
მაოცებს ესმას სვანური ბუნების მედგარი სულისა და იმერული კდემამოსილების საუცხოო  
ნაზავი. მისი ლექსები კეთილი ემოციებისა და ფიქრის წყარო ხდება, მზიბლავს და  
მამშვიდებს მისი ნახატები.

განა მართო მე ვარ ესმას ხელოვნების გულშემატკივარი?! დღეს საქართველოში ყველა  
იცნობს მის საქმიანობას, იგი აღიარებული პოეტი და მხატვარია. ესმას ეძღვნება არაერთი  
გამოფენა, შემოქმედებითი თუ ხსოვნის საღამო, რადიო თუ ტელეგადაცემა. თანდათანობით  
მასშტაბური ხდება მისი ნაფიქრ-ნაზარევი, პიროვნებისა და შემოქმედის ხიბლი.

ნახევარი საუკუნის წინათ გავიციანი ესმა ონიანი; ეს იყო ჩვენი ცხოვრების გზის  
დასაწყისი. ესმა სამხატვრო აკადემიის მეორე კურსზე გადავიდა, მე კი სამედიცინო  
ინსტიტუტს ვამთავრებდი. 1959 წლის ზაფხულზე, სტუდენტური არდადეგების დროს,  
ლიკანში ერთად მოგვიწია დასვენება და მაშინ შევხვდით პირველად ერთმანეთს. აქვე  
ისვენებდა სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი ლალი კაციტაძე. ესმას მსგავსად, ისიც  
მეორე კურსზე გადასულიყო.

სამწუხაროდ, დღეს არც ესმაა ცოცხალი, არც ლალი, მე კი მათთან ურთიერთობის  
თბილი მოგონებები დიდ სიხარულსა და სიამოვნებას მანიჭებს.

როგორც ვითხარით, ესმას მხოლოდ ერთი წელი ჰქონდა სამხატვრო აკადემიაში  
გატარებული, მაგრამ თანდაყოლილი ნიჭის წყალობით, მას უკვე პროფესიონალ მხატვრად  
და შემოქმედად აღვიქვამდით. მოლბერტი ჰქონდა წამოღებული და ზეთის საღებავებით  
ხატავდა.

ერთხელ შევამჩნიე, რომ მუყაოს ნაჭერზე წარმოსახვით ხატავდა სამ გოგონას. გავოცდი,  
როცა დავინახე, როგორი გატაცებითა და ოსტატობით მუშაობდა, როგორი დინამიურობა  
იგრძნობოდა მის მიერ დახატული გოგონების პორტრეტებში. მე და ლალი თვალს ვერ  
ვამორებდით ესმას „საქმიანობას“ და გოცებულნი ვიყავით მისი გულმოდგინებითა და  
საოცარი ნიჭიერებით. ესმამ განგვიმარტა, რომ ის ახლომხედველი იყო და თავისებური,  
მისთვის დამახასიათებელი აღქმით შეიგრძნობდა ფერებს.

ესმას ლალის პორტრეტის დახატვა ვთხოვე. ბევრი ხვეწნა არ დამჭირვებია, მან ჯერ  
კიდევ ზეთზე უშრობი მუყაო გადააბრუნა, ლალის სთხოვა აივანზე ასულიყო და სკამზე  
დამჯდარიყო. აივნის უკან ლამაზი ნაძვანარი სასიამოვნო ფონს ქმნიდა, ნიავი უბერავდა  
და გარემოს აგრძობდა. არაჩვეულებრივი, საოცარი საღამო იყო.

რამდენიმე დღეში შეიქმნა ლალის შესანიშნავი პორტრეტი. ნახატიდან ცისფერი,



უჩინარი მოსაზრებები

მეტყველი თვალებით გვიმზერდა ლალი. ახლა, როცა ვფიქრობ, ასე მგონია, ეს ესმას მიერ შესრულებული პირველი თუ არა, ერთ-ერთი პირველი პორტრეტი იყო; ვინ იცის, იქნებ სწორედ მაშინ დაედო სათავე ესმას მიერ შექმნილი შესანიშნავი პორტრეტების გალერეას?!

ესმა მიხვდა, რომ პორტრეტი ძალიან მომეწონა და მითხრა, რომ მეც დამხატავდა, ოღონდ მუყაო უნდა მეშოვა. რასაკვირველია, სიხარულით მოვარბენინე მუყაო და დაიწყო ჩემს პორტრეტზე მუშაობა.

ჩვენი არდადეგები და დასვენების პერიოდი იწურებოდა და თბილისში დასაბრუნებლად აჩქარებული, საშუალებას აღარ ვაძლევდი ესმას, დიდი დრო დაეთმო ჩემი პორტრეტის დასასრულებლად. ამის მიუხედავად, მაინც ძალიან კარგი ნახატი გამოვიდა. ასე რომ, რამდენიმე დღეში ჩემ თვალწინ, მუყაოს ორ ნაჭერზე სამი საუკეთესო ფერწერული ნამუშევარი შეიქმნა, ერთზე – სამი გოგონა და ლალი, მეორეზე კი – ჩემი პორტრეტი. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მომწონდა ესმას მიერ დახატული ჩემი პორტრეტი, მაშინ, რატომღაც მომერიდა და ვერ ვთხოვე ნახატი ჩემთვის მოეცა.

ესმას ეს ნამუშევრები მერე აღარ მინახავს, თუმცა არასდროს მავიწყდებოდა ის განსაკუთრებული სიამოვნება, რაც მათი შექმნისას განვიცადე.

შემდეგ წლებში უამრავი ბრწყინვალე ნახატი შექმნა ესმამ, მე კი ხშირად ვიხსენებდი მის მიერ იმ პერიოდში დაწერილ ლექსებს და უნებურად მისი ნახატები წარმომიდგებოდა ხოლმე თვალწინ. ამ ლექსებს მის დიდებულ ნახატებს ვადარებდი და საერთო სულისკვეთებას ვხედავდი მათში...

„მზეო, დილო მზეო, მზეო საოცარო,  
მზეო მბრძანებელო, მზეო სალოცავო,  
მოგვადექ!“

მართლაც, მზის სხივებით გვინათებს და გვათბობს ესმას მხატვრობა თუ პოეზია.

გავიდა წლები, უდროოდ გარდაიცვალა ესმა, ასევე მოულოდნელად დაგვტოვა ლალიმაც, რომელმაც წარმატებით დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი, დაიცვა დისერტაცია და პოსპიტალური თერაპიის კათედრის დოცენტი გახდა. ჩვენი ლიკანური საღამოების მონაწილეთაგან მხოლოდ მე დავრჩი ესმას პიროვნული მომხიბვლელობისა და შემოქმედებითი წვის მომეცნებელი.

გავიდა ხანი. ესმას დამ, ჩემმა მეგობარმა და კოლეგამ, საუკეთესო პიროვნებამ ირინა ონიანმა, ესმას მიერ ლიკანში შექმნილი ჩემი პორტრეტი მაჩუქა, კაციტაძეების ოჯახს კი „გაცოცხლებული“ მუყაო გადასცა – ერთ გვერდზე სამი გოგონას გამოსახულებით, მეორე გვერდზე კი ლალის პორტრეტით.

დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც კაციტაძეების ოჯახს ვესტუმრე, ტკბილ მასლაათში გავიხსენეთ ძველი დრო, უდროოდ დაკარგული მეგობრები. ლალის ძმამ, თერაპევტმა, პროფესორმა გივი კაციტაძემ ნება დამართო, ფირზე გადამეღო ნახევარი საუკუნის წინათ ჩემ თვალწინ შექმნილი ესმას ორი შედეგრი, რომლებიც ახლა მათ ოჯახში ინახებოდა. ამ ფაქტმა ძველი ემოციები განმიახლა და სული ამიფორიაქა, რადგან მაშინ არ ვიცოდი, რა გენილური მხატვრის „ნატურა“ ვყოფილვარ და თურმე ვის მუშაობას ვადევნებდი თვალყურს.

ბატონი გივისა და ჩემი სტუდენტის, ანა ჩიქვილაძის დახმარებით, ამ ნახატების მშვენიერი ფოტორეპროდუქციები შევქმენით და ახლა მათი ხილვით ვიხსენებ წარსულ დროებას, ესმას შემოქმედებით სამყაროში გატარებულ დაუვიწყარ დღეებს და მჯერა, რომ დიდი ხელოვნება მარადიულია.

ვფიქრობ, ესმა ონიანის – ამ უდიდესი შემოქმედის არც ერთი ნამუშევარი არ უნდა დაიკარგოს და მისი ნაზრევი დავიწყებას არ უნდა მიეცეს; ამისათვის კი საჭიროა ხშირად გავაცნოთ იგი ფართო საზოგადოებას. ეს მცირე მოგონებაც სწორედ ამ სურვილის განხორციელებას ემსახურება. ბედნიერად ჩავთვლი თავს, თუ ჩემ მიერ შემოთავაზებული ესმას ეს ადრინდელი ნახატები წარმოდგენილი იქნება მისი შემოქმედების უახლოეს ვერსიასავეზე.

აღიქმნა სიხარული

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სრული პროფესორი



ქრისტეფორე უგრელიძე (1857-1899)

შესახებ“, რომლის ნაწილიც დაიბეჭდა ჟურნალ „ნივაში“.

ქრისტეფორე უგრელიძეს პროფესორად მოსამზადებლად, სასულიერო აკადემიაში დარჩენა შესთავაზეს, მაგრამ მასზე ძლიერ უმოქმედია ხალხოსნურ იდეებს. მაშინდელი ქართველი სტუდენტობა სამშობლოსაკენ მოისწრაფოდა. ქრისტეფორემაც უარი თქვა აკადემიაში დარჩენაზე და საქართველოში დაბრუნდა. მუშაობა დაიწყო რუსულის მასწავლებლად ახალსენაკის სასულიერო სასწავლებელში, ვასილ ბარნოვთან ერთად.

ქრისტეფორე უგრელიძემ „ხალხში გასვლა“ და ხალხოსნური იდეების პროპაგანდა განიზრახა. ამ საქმეს მართლაც მონაწილეობა მიიღო. მთავრობა მის პოლიტიკურ საიმედოობაში დააყენა, ქრისტეფორე პედაგოგობისთვის შეუფერებლად მიიჩნის. სასულიერო სასწავლებლის ადმინისტრაციამ ყველა ღონე იხმარა, რომ ქრისტეფორე უგრელიძე ახალსენაკიდან სხვაგან გადაეყვანათ.

1883 წელს, ქრისტეფორე თბილისის სასულიერო სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლად გაამწესეს. მაშინ ქართული სავალდებულო საგნად არ ითვლებოდა და განზრახ, მეექვსე გაკვეთილი ეთმობოდა. ქართულის მასწავლებლის ხელფასიც ბევრად ჩამორჩებოდა სხვა საგნის

პედაგოგისას. ქრისტეფორე უგრელიძე აქტიურად ჩაება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მუშაობაში. ამავე დროს, თანამშრომლობა დაიწყო ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“.

1891 წელს კი მან ადგილი გაუცვალა გიორგი სამაგლიშვილს (შემდგომში სრულიად საქართველოს კათალიკოსი კირიონ II) და ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლად გადავიდა.

მეტად გართულებულ პერიოდში მოუწია მოღვაწეობა ქრისტეფორე უგრელიძეს: 1881 წელს ნაროდოვოლცებმა მოკლეს მეფე ალექსანდრე მეორე. ამის გამო, რუსეთში დამყარდა უსასტიკესი რეაქცია, რომლის სულისჩამდგმელნი იყვნენ – პობედონოსცევი, დიმიტრი ტოლსტოი და კატკოვი. მებრძოლი დიდმპყრობელური შოენინზმის ბატონობამ უფრო გააძლიერა ეროვნული ჩაგვრა. 1882 წელს მოისპო კავკასიის სამეფისნაცვლო /наместничество/, მეფისნაცვლის თანამდებობის მაგივრად დაწესდა მთავარმართებლის /главноначальствующий/ თანამდებობა, რომლის უფლებები დიდად არ განსხვავდებოდა რუსეთის ჩვეულებრივი გუბერნატორის უფლებებისაგან. პირველ მთავარმართებლად კავკასიაში დაინიშნა დონდუკოვ-კორსაკოვი, რომელიც მხარის საბოლოო რუსიფიკაციას შეუდგა.

ს ი ტ ვ ე ა „ს ა ქ ა რ თ ე ე ლ ო“ სახელმძღვანელოებსა და გაზეთებში „თბილისისა და ქუთაისის გუბერნიით“ შეცვალეს. მთავრობის ოფიციაში „კავკაზ“, სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი, თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი ჩუდევცი და სხვანი, კავკასიის ხალხებს ერთმანეთს უმხედრებდნენ და ეროვნულ შუღლს აღვივებდნენ. საქართველოს ეგზარქოსი პავლე კი იქამდე გათავხედდა, რომ ამბიონიდან დაწყებულა ქართველი ერი.

დ ო ნ დ უ კ ო ვ - კ ო რ ს ა კ ო ვ ი ს მთავარმართებლობის დროს და შემდეგაც, განსაკუთრებით გოლიცინის პერიოდში, კიდევ უფრო გაძლიერდა დედაენისა და ეროვნული კულტურის ყოველგვარი გამოვლინების დევნა საქართველოს ეკლესიასა და სასწავლებლებში. გაძლიერებული ცენზურა დაწესდა პრესაზე, ლიტერატურასა და თეატრზე. მთავრობის ქმედების სულ მცირე კრიტიკისთვისაც კი უღმობლად ხურავდნენ ყურნალ-გაზეთებს. ცენზორებად და სახელმწიფო თანამდებობებზე (მოხელეებად) მხოლოდ რუსებს ნიშნავდნენ.

„გოლოს კავკაზას“ რედაქტორი, დეკანოზი ვოსტორგოვი, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი კ. პ.

იანოვსკი, ქუთაისის საერო სკოლების დირექტორი ფ. ლევიტსკი, „პოპეჩიტელი“ შავრაზმელი სლავენსკი, საქართველოს ეგზარქოსი პავლე, მეორე ეგზარქოსი ფლავიანე, არქიმანდრიტი არისტარხი, ნიკანდრ ფენომენოვი, უწმინდესი სინოდის პროკურორი რუშინსკი,თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი,ანაფორიანი ჟანდარმი არქიმანდრიტი სტეფანე არხანგელსკი – აი, არასრული სია რუსეთის სინოდის იმ „წმინდანებისა“, რომელთაც ვკვარს აცვეს ყოველივე ქართული.

ქართული ეკლესიის ისტორიის მკვლევარი ნიკოლოზ დურნოვ თავის განხილვებულ წერილში „ქართული ეკლესიის ბედი“, ასე ეხმაურება ქვეყნისთვის ამ უმძიმეს პერიოდს: „1898 წელს უსამღვდელოესობა სტეფანემ რევიზია ჩაატარა იმერეთისა და სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლებში, საიდანაც მისი წარდგინებით გათავისუფლდა ყველა ქართველი, მათ შორის სასულიერო აკადემიის 4 კანდიდატი: (ა)დამაშვილი, გაფრინდაშვილი, სანებლიძე, უგრელიძე. ამასთან ერთად,უსამღვდელოესობა სტეფანეს მოხსენებითი ბარათით,ქუთაისი სასულიერო სემინარიის გამგეობამ დაადგინა: აღიძრას შუამდგომლობა ეგზარქოსის წინაშე, რათა მომავალში ქართველები არ დაუშვან სასულიერო სასწავლებლების ნორმალური კლასების მასწავლებლებად.“

იმიტომ ხომ არა, რომ ქართველ მასწავლებლებს შეეძლოთ ქართულ ენაზე ელაყბათ ან მოსწავლეებთან ქართული სიტყვა არ დასცდნოდათ? და ეს ხომ რუსული ენის ღალატი იქნებოდა? უგუნურნი! რუსულ ენას ქართველებს ყველაზე იოლი გზით ის შეასწავლის,ვინც ქართულ ენას ფლობს. რა თქმა უნდა, მეუფე ეგზარქოსმა იცის, რომ ქართველი მასწავლებლების გარეშე ძნელია რუსული ენა შეისწავლონ მცირეწლოვანებმა. რ ქართული სასულიერო სასწავლებლიდან, ყოველწლიურად, გონებაჩლუნგობისა და წარუმატებლობისათვის, ამაოდ კი არ ერეკებოდნენ ასეულობით ბავშვს. ესენი ანარქისტების მომავალი კადრები არიან. ასე არ არის მეუფეო?“ (გვ.60)

ანტიქართული კამპანიის კულმინაცია კი იყო ე. წ. „ბუნებითი მეთოდი“, რომლის ავტორებიც იყვნენ: ცნობილი შავრაზმელი იანოვსკი, კავკასიის სამოსწავლო ოლქის სკოლების ინსპექტორი დეკანოზი ვოსტორგოვი და ქუთაისის საერო სკოლების დირექტორი ფ. ლევიტსკი. ეს „ბუნებითი“ ანუ „მუნჯური“ მეთოდი მოზარდებისათვის დაწყებით კლასებში რუსული ენის მშობლიური ენის დაუნძარებლად სწავლებას

ითვალისწინებდა. ყველა პროგრესულად მოაზროვნე ქართველი მოღვაწე აღდგა ამ უმსგავსობის წინააღმდეგ.

ქ. უგრელიძეს არც მანამდე დაუტოვებია უპასუხოდ ქართული ენის მდევნელთა ნააზრევი და არც ამ ვითარებაში შემდრკალა. მაღალკვალიფიციურმა პედაგოგმა,კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ვოსტორგოვ-ლევიტსკის „ბუნებითი მეთოდი“: „როგორ უნდა გააგებინოს მასწავლებელმა შვიდი-რვა წლის ყმაწვილებს სამშობლო ენის დაუნძარებლად, მაგალითად, ასეთი ფრაზები: Бог сотворил небо и землю. Бог вдунул в человека душу бессмертную. Бог поселил Адама и Еву в рай. Господь обещал им послать в утешение спасителя мира! და ამ სიტყვების ასხნა ხომ პირველ წელიწადსვე დასჭირდება მასწავლებელს? („ივერია“ 10; 1895 წ.)

ქ. უგრელიძე გიორგი სამაგლიშვილთან ერთად იბრძოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად. დაარსების დღიდანვე თანამშრომლობდა ქართულ სასულიერო ჟურნალ „მწყემსში“, სადაც არაერთი საღვთისმეტყველო თუ პედაგოგიური წერილი გამოაქვეყნა. ქ. უგრელიძე აქტიურად იღვწოდა იმისათვის, რომ სასულიერო სემინარიებისა და სასწავლებლების მოწაფეთათვის, რუსულ (საეკლესიო) გალობასთან ერთად,ქართული გალობაც ესწავლებინათ. ის ერთ-ერთი იყო, ვინც მედგარი წინააღმდეგობა გაუწია სამეგრელოსა და სვანეთის ეკლესიიდან ქართული ენის მთლიანად გამოდევნას.

თვითმპყრობელობის აგენტებს შეუძნეველი არ დარჩენიათ ქ. უგრელიძის ქმედებანი. დაიწყო მისი პოლიტიკური მოტივით დევნა. საქართველოს ეგზარქატის მესვეურებმა გადაწყვიტეს საერთოდ მოეშორებინათ უგრელიძე საქართველოსთვის და იგი ჩერნიგოვის გუბერნიის ერთ-ერთ სოფელში გადაასახლეს, ადმინისტრაციული ზედამხედველობით. რამდენიმე წლის შემდეგ ქ. უგრელიძე დაბრუნდა საქართველოში და ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში კვლავ ქართული ენის მასწავლებლობას შეუდგა.

სასულიერო სემინარიის რექტორმა, არქიმანდრიტმა არხანგელსკიმ,ქ. უგრელიძე დამტკიცებული სასწავლო პროგრამის უგულებელყოფაში დაადანაშაულა და სამსახურიდან დაითხოვა. უკიდურესად შეჭირვებულმა, ცხოვრების ყოველგვარ სახსარს მოკლებულმა ქრისტეფორე უგრელიძემ თბილისს მოაშურა, უწმინდეს სინოდში წარსდგა და საკუთარი სიმართლის

დამტკიცებას შეეცადა.

აი, როგორ აღწერს ამ ფაქტს ნიკოლოზ დურნოვო: „პოლიტიკანობის გამო, ყოფილმა დეკანოზმა, ქუთაისის სემინარიის რექტორმა არხანგელსკიმ,იმას მიაღწია,რომ ქართველები ყველა ქართულ სასწავლებელს მოაშორა. მის სიცრუეს, რომ ქართველ მასწავლებლებს ვნების მეტი არაფერი მოაქვთ, ქუთაისის სემინარიის მთელმა კორპორაციამ ერთხმად დაუჭირა მხარი და სასულიერო სასწავლებლებიდან უღმერთოდ გაყარეს ქართველი მასწავლებლები. ამ მასწავლებელთა შორის იყო სასულიერო აკადემიის კანდიდატი ქრ. უყელიძე (იგულისხმება ქრისტეფორე უგრელიძე), ოჯახის პატრონი, განათლებული პედაგოგი, რომელსაც სამსახურის პერიოდში, ერთი გაკვეთილიც კი არ ჰქონდა გაცდენილი. სასწავლებელს მოაშორეს თავისი მოღვაწეობის მეჩვიდმეტე წელს. იგი იმუდარებოდა, ოღონდაც ნუ გამაგდებთ და თუნდაც ცივ რუსეთში, სადაც გნებავთ იქ გადამიყვანეთ სამსახურში, ოჯახი მყავსო. მაგრამ მისი თხოვნა არ შეისმინეს. სასულიერო უწყება ხომ ყველაზე უფრო უსულგულოა! უყელიძე მდინარე რიონში გადახტა, მაგრამ მამაცმა ადამიანებმა გადაარჩინეს. არხანგელსკისა და სემინარიის კორპორაციას შუამავლები გაუგზავნეს. ამაოდ, სასულიერო უწყება არარუსებისადმი შეუწყნარებელია. ქრ. უყელიძე არც გრ. პეტროვი, არც არქიმანდრიტი მიხეილი, არც გაპონი არ იყო! უყელიძემ ეგზარქოსს მიმართა, ასე ურჩიეს სასოწარკვეთილ კაცს კეთილმა ნაცნობებმა და ამხანაგებმა, იქნებ ეგზარქოსს წყალობა გაეღო და ადგილი მიეცა, – თუნდაც ზნეობრივი გრძნობების გამო, სასოწარკვეთილი ადამიანი თვითმკვლელობისგან გადაერჩინა. დიდხანს იყო საბრალო უყელიძე ატუზული ეგზარქოსის კართან, მაგრამ ამაოდ. სინოდის მესვეურებმა – ეგზარქოსმა ფლავიანემ და იერომონახმა გერმოგენმა მას რუსეთის შორეულ გუბერნიაში ხელმეორედ გადასახლება დაუპირეს.

ამდენი დევნითა და უსამართლობით შევიწროებულმა ქრისტეფორე უგრელიძემ, მამინ, როცა თავისი პატარები სასტუმროს ნომერში დააძინა, მეორე სართულიდან გადახტა და სასიკვდილოდ დაიმტვრა“ (ნიკოლოზ დურნოვო, საქართველოს ეკლესიის ბედი, გვ. 60-61). 1899 წელს კი გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა.

ნიკოლოზ უგრელიძე, ერეკლე უგრელიძე

### პანტომიმა გუშინ, დღეს, ხვალ...

ათასგვარი გასაჭირის მიუხედავად, თბილისი სისხლსავსე თეატრალური ცხოვრებით ცხოვრობს. აქ არ შევიდგებით ჩვენი სახელოვანი ტეატრების ჩამოთვლას, მაგრამ ერთს კი დავძენთ – მათ შორის გამორჩეულია პანტომიმის სახელმწიფო თეატრი. ვინც თუნდაც ერთხელ სწავიდა ამ შესანიშნავ თეატრს, მას არაერთხელ გაუწევს გული ისევ და ისევ დაესწროს ხლოვნების იმ ზეიმს, რომელსაც ეს თეატრი გვანიჭებს და რომლის დევიზიც არის: „ყველა ერთისთვის, ხელოვნებისთვის“.

ჩვენი პანტომიმის თეატრი კარგად არის ცნობილი როგორც ქართული, ისე არაქართული მაყურებლისთვის. მან მოიარა ყოფილი საბჭოთა კავშირის 150 ქალაქი და საზღვარგარეთის 20 ქვეყანა. ხშირად აქვს გასტროლები საზღვარგარეთ. მისი მაყურებლები ძირითადად ახალგაზრდები და უცხოელები არიან, რომლებიც ყოველთვის მოხიბლულნი რჩებიან სპექტაკლის შემდეგ და ხშირ-ხშირად აღმოსდებთ ყველა ხელოვანისთვის სანატრელი „ბრაგო“. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ დაახლოებით ოთხი ათეული წლის წინათ იმ დროისათვის ჯერ ისევ უცნობმა და არაფრით გამორჩეულმა მსახიობმა და რეჟისორმა ამირან შალიკაშვილმა ჩამოაყალიბა საქართველოს ფილარმონიასთან არსებული პანტომიმის ჯგუფი. დიდი ძალისხმევით და მრავალი წლის შრომის შემდეგ ეს ჯგუფი ამირან შალიკაშვილმა პანტომიმის სახელმწიფო თეატრად აქცია. ისი არის თეატრის დამაარსებელი და ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო არტისტი, კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის პრემიების ლაურეატი, პროფესორი, მსახიობთა არაერთი თაობის აღმზრდელი და გზაზე დამყენებელი.

„მე ვარ კაცი – ლეგენდა! ჩარლი ჩაპლინი და მარსელ მარსო აღარ არიან, მაგრამ მე ხომ ვარ!“ – ამბობს იგი და ეს სამართლიანი თვითშეფასებაა. არაფერია ცუდი იმაში, რომ ადამიანმა საკუთარი თავის ფასი იცოდეს, მითუმეტეს – როცა ქართული პანტომიმის მონაპოვრები საზღვარგარეთის არაერთ ქვეყანაში

გაიტანეს მისმა ყოფილმა მოსწავლეებმა და დიდი წარმატებაც დაიმსახურეს. ამირან შალიკაშვილი თავისი თეატრით ცხოვრობს, ეს მისი ერთადერთი ოჯახია ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით, რადგან მისი მეუღლე და შვილები: ამირან შალიკაშვილი (უმცროსი) და დავით შალიკაშვილი თეატრის განუყოფელი ნაწილი არიან. ამ თეატრში გაიზარდნენ და დიდი წარმატებით აქვე მოღვაწეობენ. პანტომიმის ცოდნა და სიყვარული მათ მემკვიდრებით გადაეცათ.

მართალია, ამირან შალიკაშვილი უკვე იშვიათად გამოდის სცენაზე და ასპარეზს ახალგაზრდა მემკვიდრეებს უთმობს (პანტომიმა ხომ საერთოდ ახალგაზრდული ჟანრია, ახალგაზრდა მსახიობებს მოითხოვს), მაგრამ იგი ჯერჯერობით შეუცვლელ რეჟისორად რჩება. მისი ნიჭი მეტად მრავალმხრივია და გარდა მიმების ხელოვნებისა, მოიცავს მუსიკას, ქორეოგრაფიას, კოსტუმებს და სხვა უამარავ დეტალს, რომელთაც თეატრის სპეციფიკა განაპირობებს. თეატრის რეპერტუარში არის როგორც ახალი, ბოლო ჟამს დადგმული სპექტაკლები, ასევე ძველი პანტომიმური ნოველები და პიესები, რომლებშიც მსახიობთა არაერთი თაობა მონაწილეობდა და რომლებიც ძველებურად ამშვენებენ თეატრის რეპერტუარს, იქნება ეს „კრიმანჭული“, „კიდევაც დაიზრდებიან“, „სტუმარ-მასპინძელი“ თუ სხვა. ზემოხსენებული სპექტაკლები არის უაღრესად ეროვნული, ასახავს ქართულ კოლორიტს და მეტად მნიშვნელოვანი წყაროა ინფორმაციისა ქართული კულტურის შესახებ არაქართული მაყურებლისთვის. ამასთან, არც ქართველ მაყურებელს ტოვებს გულგრილს და უკმაყოფილოს. ძველ სპექტაკლებს დროთა განმავლობაში ბევრი ახალი წარმოდგენაც მიემატა. ეს არის ამ თეატრის რეპერტუარის მშვენება: „ქრისტე“, „წმინდა გიორგი“, „ტერენტი გრანელი“, „დონ-ჟუანი“, „შექსპირის სონეტები“ და მრავალი სხვა.

მკითხველი დაგვერწმუნება, მეტად ძნელი საქმეა პანტომიმის ენაზე ამბუტყველო შექსპირი და ვაჟა-ფშაველა, ქრისტე, წმინდა გიორგი, ტერენტი გრანელი და ქართველი



უსახელო გმირები, მაგრამ პანტომიმის თეატრი ამას ერთობ წარმატებულად ახერხებს. დაგვერწმუნებით, ქრისტეს, წმინდა გიორგის და ტერენტი გრანელის როლები რთულია, ძნელი შესასრულებელია და მაყურებლის გულის გასახარად ამ როლებს შესანიშნავად ასრულებს უმცოხი ამირან შალიკაშვილი, რომელსაც არ ჩამორჩებიან თეატრის სხვა მსახიობები: ნინო ლორთქიფანიძე, სალომე ფილიშვილი, დავით შალიკაშვილი, ლუკა ჩხაიძე, ირაკლი ბიბილური, სოფიო ლოლაძე, ნინო დათუნაშვილი, სალომე ოკუჯავა, ანა ჩაგელიშვილი, მირიან კვიციანიძე, ეკა დობორჯგინიძე, ნინო აფციაური, გიორგი გურგენიძე, გიორგი ტიელიძე, შოთა ქერაშვილი, გივი ლორია, ვასო კიპაროიძე, მიხეილ ზაქაიძე, გიორგი ედიბერაშვილი და სხვები (გვაპატიონ, თუ ვინმე უნებლიეთ გამოგვრჩა).

ამირან შალიკაშვილს, გარდა თეატრალური ცხოვრებისა, საინტერესო ლიტერატურული სმყარო აქვს. იგი წერს ლექსებს და მისთვის ახლობელი, გაცნობიერებულია ტერენტი გრანელის ტრაგედია, მისი სულის მოძრაობა და ის, რომ სპექტაკლში ტერენტი გრანელის ტანჯვა გაიგებებოდა ქრისტეს ტანჯვასთან, როცა შეიძლება აღვიქვათ როგორც ზოგადად პოეტის, შემოქმედის ტანჯვა. ტანჯული რომ არ ყოფილიყო, ქრისტე ქრისტე აღარ იქნებოდა და ტანჯვის გარეშე ვერც პოეტი შექმნის ხალხისთვის სათქმელ სიტყვას. ნათქვამია, პოეტი სხვაზე ერთი ტკივილით მეტიაო და ისიც ნათქვამია – „რომ გაანათო, უნდა დაიწვა!“ პირველითგან რომ იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმერთი. სიტყვა გადადის ღმერთში, სიტყვა გადადის პოეტში და აქედან – ნიშანდობლივია ტერენტი გრანელის განღმრთობა, როგორც უკვდავი ხატის შექმნა.

რთული რელიგიური თემატიკის მიუხედავად („ქრისტე“, „წმინდა გიორგი“, „ტერენტი გრანელი“) თვითეული სცენა ახლობელი და გასაგებია მაყურებლისთვის, მაყურებელი მშვიდი და გულგრილი არ რჩება. გავიხსენოთ თუნდაც ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის სცენა „ქრისტედან“, ან ტერენტი გრანელის ჯვარცმა („ტერენტი გრანელი“). ასევე, თითქმის ყოველთვის „ბრაგოს“ იმსახურებს „ქრისტეში“ მარიამ მაგდალინელის (სალომე ფილიშვილი) ეპიზოდი.

პანტომიმის სახელმწიფო თეატრი ბევრ ქვეყანას არ აქვს, ჩვენ კი გვაქვს და უნდა გავუფრთხილდეთ, დავაფასოთ, წავახალისოთ. პლასტიკა, მუსიკა და თითქმის ტრაგიკული სიუჟეტი ორგანულად ერწყმის აქ ერთმანეთს. ვინ უწყის, თითო მოძრაობაში რამდენი ტანჯვა და შრომაა ჩადებული, რამდენი იწვალეს რეჟისორებმა და მსახიობებმა, სანამ სათქმელს ზუსტად გადმოსცემდნენ პანტომიმის ენაზე! მაგრამ სპექტაკლებს ამ ტანჯვის კვალიც არ ეტყობა, ისინი ჯანსაღი სიცოცხლით ცოცხლობენ და ხიბლავენ მაყურებელს.

დასასრულ, გვინდა არა მხოლოდ ამირან შალიკაშვილს და მის თეატრს ვუთხრათ მადლობა, არამედ ყოფილ მსახიობებს: ნანა ჯაჯანიძეს (მოლარე) და ნაირა მეფარიშვილს (კონტროლიორი), ვისი ხელშეწყობითაც ჩვენ შევძელით გვენახა თითქმის მთელი რეპერტუარი.

ჩვენი პანტომიმის თეატრს დიდი მომავალი აქვს. იგი იყო გუშინ, იგი არის დღეს და იმედია, ხვალაც განაგრძობს მაყურებლის გულის დაპყრობას შესანიშნავი სპექტაკლებით.

ქართული ტიპი\*



შინაგანი მიმდინარეობის პროვინციულობამ ჩვენს კულტურას მისცა გარედანაც პროვინციული ელფერი.

მხოლოდ შიგნით, ერის ცხოვრებაში პროვინციულობის კულტი გადაიქცა ერის ტრაგედიად. მეგრელის გამოთქმაში სიტყვა „ქართუ“ ნიშნავს არა მარტო ქართველს და იმერელს, არამედ ერთგვარ საზიზღარსა და სასაცილო ადამიანს.

შორეული წარსულიდან საქართველოში განმტკიცდა ჩვეულება დაუსრულებელი

შურისძიებისა, ურთიერთშორის მტრობისა, დაუნდობლობისა, ღალატისა. საზოგადო მუშაობას, ქართველი ყოველთვის პირადი სარგებლობის თვალსაზრისით უყურებდა და როგორც კი პირადი ინტერესები პერსპექტივებში დაესახებოდა, მაშინათვე საზოგადოებას და ერს უსინდისოდ ღალატობდა.

დავით აღმაშენებელი გრძნობდა, მწვავედ გრძნობდა ჩვენს ეროვნულ სენს და სწორედ ამიტომ, მან შემოიყვანა საქართველოში ყივჩაღები; საქართველოში ეროვნული ჯარის შედგენა მაშინ ძნელი იყო იმიტომ, რომ ქართველი დიდებულები ერთმანეთს მტრობდნენ და მათ შორის დისციპლინის დამყარება შეუძლებელი იყო. ყივჩაღების ჯარის შემოყვანით დავით აღმაშენებელს უნდოდა ეჩვენებინა ქართველი თავადებისა და აზნაურებისათვის სახელმწიფოებრივი მუშაობის სისტემისა და მხედრული დისციპლინის საჭიროება. ქართველი არისტოკრატია, რომელიც მაშინ ბატონ-პატრონი იყო ქართველი ერის და რომელსაც სახელმწიფოებრიობის საჭე ხელში მრუდედ ეკავა, დავით აღმაშენებლის აზრით, შეეჩვეოდა საქამიანობასა და საზოგადოებრივობის პატივისცემას მაშინ, როდესაც დაინახავდა დისციპლინისა და სისტემის მაგალითებს. თუ რაოდენად გრძნობდნენ ძველად მოწინავე ელემენტები ქართულ საზოგადოებაში არსებულ განაპირების კულტს და ერთმანეთის ღალატის საშინელებას, დავით აღმაშენებლის დროის მემკვიდრე გვიჩვენებს: „ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება, – ამბობს მეთავე საუკუნის ისტორიკოსი, – არს პირველთაგანვე თვისთა უფალთა, რამეთუ რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება ჰპოონ და განსვენება, იწყებენ განზრახვასა ბოროტისასა, ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატთანე ქართლისა“ (ქართლის ცხოვრება, 260). ეტყობა ქართველთა შორის ერთმანეთის მტრობა და ღალავი ძველი ამბავი ყოფილა და თვით მეთავე საუკუნის ისტორიკოსი ქართველი ერის უბედურებას მიაწერს „ქართველთა ორგულ ბუნებას“.

მე-VI საუკუნეში ქართველი მემკვიდრე ქართული აზნაურების შესახებ ლაპარაკობს: „დასრულდა მეფობა ქართლისა აზნაურთა ბოროტთა საქმეთა მათგან“ (ქართლ. ცხოვრ.).

ფრანგი მწერალი დელა-ვალე სწერს 1627 წელს რომის პაპს სხვათა შორის შემდეგს: „მის მაგიერ, რომ ერთად ებრძოლონ მტერს, ქართველები ხშირად ერთმანეთს ებრძვიან“.

მეტად დაკვირვებული, ბევრს ჭირსა და ვარაშში ამოგანგლული, საქართველოს წარსულის კარგი მცოდნე, პოეტი დავით გურამიშვილი ჩვენი ერთმანეთის კვალში ჩადგომისა და ღალატის შესახებ ამბობს:

„კახელების აღმა ხნული ქართლებმა დაღმა ფარცხესო“.

ქართული კულტურის დიდი ფსიქოლოგი და სოციოლოგი ილია ჭავჭავაძე „აჩრდილში“ ქართულს სულს ეგრე აგვიწერს:

აგერ, ორ-სამ კაცს რაღაც უგრძობიათ, ქვეყნისა სახსრად ერთად მოდიან, ერთის საქმისთვის გაუღვიძნიათ და ერთმანეთს კი არ ენდობიან. ერთმანეთისა მათ სიკეთე ჰშურთ, თუმც ერთისათვის თითქო იღუწიან, თვით ამხოზენ მას, რის აღდგენა ჰსურთ, თვით შველიან მას, რასაც ებრძვიან. პოეტი არჩილ მეფე ქართველ ერს ეგრე ახასიათებს:

ასე სჭირს საქართველოსას დიდებულთ, განა მცირეთა – აზგავდებია, იტყვიან: უჩემოდ ვინ იმღერეთა?! უჩემოდ ვინ იმღერეთა?! – აი, ჩვენი ისტორიული ტრაგედიის გამოხატულება;

„უჩემოდ ვინ იმღერეთა“ – აი, ჩვენი საზოგადოებრივობის მიმდინარეობის საშინელი სენი; საქართველოს ყოველ კულტურულ დაწესებულებაში, ყოველ საზოგადოებრივ საქმეში რომ დააკვირდებით, თქვენ აღმოაჩენთ „უჩემოდ ვინ იმღერეთა“.

ქართულ კულტურას აზრჩობს, ორიგინალობას უმცირებს და ნების ყოფას უსუსტებს „უჩემოდ ვინ იმღერეთა“.

საშუალო საუკუნეებში ქართველი ფეოდალები, ამოძრავებულნი და ამოქმედებულნი „უჩემოდ ვინ იმღერეთა“ კულტით, ერთმანეთს ღალატობდნენ, ერთმანეთის შურსა და მტრობაში იყვნენ.

მეთვრამეტე საუკუნეში ქართველ მეფეთა ოჯახი შეიქმნა ინტრიგებისა და ჭორების ბუდედ მხოლოდ იმიტომ, რომ ოჯახის ყოველ წევრს „უჩემოდ ვინ იმღერეთა“ აწუხებდა და მოსვენებას არ აძლევდა.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში და მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართველმა ინტელიგენციამ წარსულიდან მემკვიდრეობით მიიღო „უჩემოდ ვინ იმღერეთა“.

საზოგადოებრივ ძალთა შორის კვლავ ძველი ქართული ჩვეულება იჩენს თავს: იწყება ჯგუფური გამოსვლები ერთმანეთის საწინააღმდეგოდ, მხოლოდ ჯგუფებს ათამაშებს პერსონალური ინტერესები; მართალია, ჯგუფური გამოსვლების მიზეზი იყო სოც-ისტორიული ხასიათის, მაგრამ არც ერთ ჯგუფს შიგნით არ ეტყობა მთლიანობა.

ყოველი ჯგუფის წევრს აწუხებს „უჩემოდ ვინ იმღერეთა“ და ამისათვის ქმნის თავის წრეს; სოციალური ხასიათის საკითხს უყურებს პერსონალიზმის თვალსაზრისით და ყოველთვის იდეალად ისახავს არა საერთო საქმის გაკეთებას, არამედ განაპირებას, ჯიბრს, თანამშრომლის დამცირებას და საერთო საქმის დაშლას.

შედეგი ამისა იყო ყოველ დაწესებულებაში ინტრიგების მოწყობა ერთმანეთის საწინააღმდეგოდ, დაუსრულებელი ჭორები, ანტი-საზოგადოებრივი და ანტისახელმწიფოებრივი კომბინაციები, ავლარული ლაყლაყი და მკრივობა.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

მასალა მოამზადა სოფიო ჯაფარიძემ

\* წიგნიდან, კონსტანტინე კაპანელი – „ქართული სული ესთეტიკურ სახეებში“, თბ., 1996 წ.

# სოლის სოხად დე რის სთმყოფ...

## ლანი ჰეჯაშვილი

### რეზო სირაძის ნამბობიდან...

2012 წლის 3 სექტემბერი – ტრავიკული აღსასრული იმ მშენიერებისა, რომელსაც ქმნიდა ბატონი რეზო სირაძე თავის ირველივ და, ზოგადად, სამყაროში. ამ სამყაროსთან მიახლოებას კი ღვთის საჩუქრად და უდიდეს ბედნიერებად აღიქვამდა ყველა, ვისაც ჰქონდა შესაძლებლობა მასთან ზიარებისა.

ქართული საქმისთვის დაულაღავად მზრუნველი, მეცნიერებისთვის დამაშვრალი, მოქალაქეობრივად პირუთენელი, განუმეორებელი ადამიანური ხიბლით აღსავსე – ასეთად აღიბეჭდა ჩვენს ხსოვნაში ჩვენი დიდი მასწავლებლის, ბატონი რეზოს პიროვნება.



ღვას 90-იანი წლები. ინგრევა ქვეყანა, არის აუტანელი გაჭირვება, შიმშილი, უშუქობა... ახალგაზრდობა დაბნეული და დათრგუნულია... არავინ იცის, სად არის ხსნა. ყველაფერი სიბნელით მოცულია...

გამომიძახა უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა როინ მეტრეველმა და მითხრა: რა ვქნათ, რა მოვიმოქმედოთ ისეთი ამ დროს, რომ ერი არ მოიდრიკოს, ახალგაზრდობამაც სასიკეთო საქმე გააკეთოს და ქვეყანასაც წაადგეს ჩვენი ნაღვაწი. ბევრი ვიფიქრეთ, ვიმსჯელებთ და გადავწყვიტეთ, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში, მის დამაარსებელ მეცნიერთა პანთეონის მახლობლად, აგვეშენებინა წმ. მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესია. ამ მშენებლობაში უშუალო მონაწილეობა უნდა მიეღოთ უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორებს, მშენებლების გარდა.

საოცარი ერთუზიანებით შეუდგა ეს ნახევრად მშიერი ხალხი ამ წმინდა საქმის განხორციელებას და სულ მალე გედივით აღიმართა ულადაზესი ტაძარი უნივერსიტეტის ბაღში, ჩვენი სოლის სოხად და უნივერსიტეტის საამაყო. შემდეგ რექტორმა მოიწვია საგანგებო სხდომა, თუ ვის უნდა მოეხატა ახლად აშენებული ტაძარი. არაერთი აზრი გამოითქვა, დასახელდა სხვადასხვა მხატვარი. ბოლოს ბატონმა როინმა მთხოვა, აზრი გამომეთქვა. წამოვდექი და განვაცხადე: ეკლესია უნდა მოხატოს პროფესიონალმა, ფრესკის მხატვარმა. ყველამ ერთსულოვნად დამიჭირა მხარი. ამ საქმის აღსრულება ვთხოვეთ ხატმწერ ამირან გოგლიძეს. მართლაც, ცოტა ხანში ულადაზესი მხატვრობით დამშვენდა ტაძარი.

ღვას ეს უმშვენიერესი სულიერების კერა უნივერსიტეტის ბაღის საპატო ადგილას მის მესამირკველ მეცნიერ-კორიფეთა საფლავების გვერდით, ღვთაებრივი ნათლითა და მადლით შემოსილი, და აკვირვებინებს ჩვენი სათაყვანო და ერის საამაყო დედაუნივერსიტეტის ბრწყინვალე არქიტექტურულ კომპლექსს, რომელიც ქართველი ერის შინა-სახის გამოხატულებად განფენილა თბილისის გულში.

\* \* \*

P.S. მოგვიანებით, როცა უნივერსიტეტი, ფაქტობრივად, დაარბია და დაანგრია „ვარდებით“ მოსულმა ხელისუფლებამ, ყველა კათედრა და სამეცნიერო ლაბორატორია გააუქმეს და გაანადგურეს, რითაც ლახვარი ჩასცეს ივ. ჯავახიშვილის მიერ დაარსებულ უპირველეს სამეცნიერო კერას საქართველოში, ვერც ბატონი რეზოს რუდუნებით შექმნილი ქართული ქრისტიანული კულტურისა და სიტყვიერების ისტორიის კათედრა გადაურჩა ჟამთა სიავეს. წერაქებითა და ძალაყინებით ანგრევდნენ უნივერსიტეტის გუმბათის ქვეშ განთავსებულ სულიერების უძვირფასეს საგანძურს. მაშინ მოიწია, მართლაც, „უსაზომო რისხვა ღმრთისა“ ურწმუნოთა და უბირთა თავზე. ჩამოინგრა გუმბათის ქვემოთ ჭერი და მნგრეველები ძლივს გადაურჩნენ სიკვდილს.

კიდევ ერთხელ სასწაულებრივად აღსრულდა ნება ღვთისა.



ალექსანდრე ციბაძის პორტრეტი



ლალი კაციტაძის პორტრეტი

ავტორი: ესმა ონიანი

ჟურნალ „ანეულის“ შემომწირველები:

როზა ინანიშვილი, ციალა არდაშელია,

ინესა მერაბიშვილი, ნაზი უშიკიშვილი, ლეილა ჯაზველაძე

კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეულის“ რეკვიზიტებია:

ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE 22;

ანგარიშის ნომერი: GE81BG0000000306158900

თემურ ჩალაბაშვილი -  
„კამლეთ გონაშვილის მონატრება“

ივანე ჯავახრიძე -  
ჰიმნი  
„ვეფხისტყაოსნის“ ივრითზე  
მთარგმნელს

ნაზი კილასონიას უცნობი ლექსი  
სტუმრად ანა კალანდიაძესთან  
თამარ შაიშვილავის  
„სულალუბლები“

კონსტანტინე კაპანელი -  
„ძართული ტიპი“ (გაგრძელება)

ლევან გოთუას უცნობი ჩანაწერი

თამარ გაბრეშვილის პოეზია

გურამ ასათიანის გახსენება

ინესა მირაზიშვილის  
ახალი თარგმანები



ძეგული — გიბიფიულის ხეული